



გაცრეებული მოლოდინის ეფექტის კვლევის პრობლემა
(თანამედროვე ინგლისური ენის მაგალითზე)

ავტორი: თეონა კირაკოზაშვილი

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია
საქართველოს უნივერსიტეტის
ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში
ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მაია ჩხეიძე

თბილისი

2023

მიმოხილვა

ნაშრომი ეძღვნება გაცრუებული მოლოდინის ფენომენის ჰოლისტურ ხედვას, რაც გულისხმობს აზრობრივი მოლოდინისა და სიუჟეტური მოლოდინის ერთ მთლიანობად განხილვას.

სწორედ ჰოლისტურმა ხედვამ მოითხოვა გაცრუებული მოლოდინის ფენომენის ლინგვოკოგნიტური მოდელირება, რომელიც ნაშრომში გააზრებულია როგორც მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის პროცესების კვლევისადმი კოგნიტური მიდგომის განხორციელების ერთ-ერთი შესაძლებლობა.

ნაშრომში, გაცრუებული მოლოდინი გააზრებულია როგორც თამაში, რომლის ძირითად პრინციპს წარმოადგენს პროგნოზირებად (მოსალოდნელ) და არაპროგნოზირებად (მოულოდნელ) ვერსიათა შეუსაბამობით, კონვენციონალიზმის ხელყოფით წარმოქმნილი სიტუაციის ეფექტი.

ანთროპოცენტრისტულმა პარადიგმამ მეცნიერების ცენტრში დააყენა ადამიანი, როგორც ლინგვოკრეატიული და განუსაზღვრელი შესაძლებლობების მქონე პიროვნება.

ენის პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაცია ხელს უწყობს ადამიანის შემოქმედებითი მანიპულაციების განხორციელებას. სწორედ შემოქმედებითი მანიპულაციების მანიფესტაციას წარმოადგენს „თამაში“.

თამაში, როგორც უნივერსალური კატეგორია, წარმოადგენს ადამიანის ცხოვრების ელემენტარულ ფუნქციას, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ადამიანური კულტურა. თამაშს, როგორც ერთგვარ ინსტინქტს, მოქმედებაში მოჰყავს ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობები.

გაცრუებული მოლოდინის კვლევა სხვადასხვა კუთხითაა შესაძლებელი. გაცრუებული მოლოდინი წარმოადგენს ენათმეცნიერთა, ფილოსოფოსთა, კულტუროლოგთა და ფსიქოლოგთა კვლევის ობიექტს, რაც განპირობებულია ამ ფენომენის მრავალგანზომილებიანობითა და რაც მეტყველებს გაცრუებული მოლოდინის ფენომენის სხვადასხვა პერსპექტივიდან კვლევის შესაძლებლობაზე.

ენის გამოყენებისას ფიქსირდება მოსაუბრე ინდივიდის უნარი, გამოავლინოს შემოქმედებითი პოტენციალი, რომელიც გულისხმობს ენობრივი ნორმების განზრახ

დარღვევას, მანიპულაციის განხორციელებას ენაში არსებული ნორმების არასწორად გამოყენების გზითა და ყურადღების მიქცევის მიზნით. სწორედ მანიპულაციით იქმნება გაცრუებული მოლოდინი.

გაცრუებული მოლოდინის ეფექტი ჩნდება მაშინ, როდესაც გამონათქვამის არსი აღმოჩნდება ხოლმე მოულოდნელი - პროგნოზირებადი ვერსიისაგან განსხვავებული. გაცრუებული მოლოდინი ფიქსირდება ორი ფსიქოლინგვისტური მოვლენის - პროგნოზირებადობისა და არაპროგნოზირებადობის - საფუძველზე.

გაცრუებული მოლოდინის ფენომენის კვლევები ორიენტირებულია იმ კონცეპტუალურ კონსტრუქტთა ძიებაზე, რომელთაც გააჩნიათ ცოდნის, ემოციისა და განცდის ერთიანი რეპრეზენტაციული სივრცის ფორმით წარმოდგენის უნარი. აღნიშნული მიდგომის განხორციელების ერთ-ერთ შესაძლებლობას წარმოადგენს გაცრუებული მოლოდინის ლინგვოკოგნიტური მოდელირება.

თანამედროვე ლინგვისტიკაში აღდგენილია ბალანსი მეტყველების პროდუცირებისა და აღქმის პროცესებს შორის. ეს ფაქტი კი უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესების გამაერთიანებელი ახალი მოდელების გენერირების შესაძლებლობას.

ახალი მოდელების გენერირების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად განპირობებულია ლინგვისტიკაში ანთროპოცენტრისტული პარადიგმის ფუნქციონირებითა და კოგნიტური ფსიქოლოგიის ინსტრუმენტალიების ვალიდურობით ფსიქოლინგვისტური კვლევისათვის.

ცოდნა და წარმოდგენები სამყაროს შესახებ მოწესრიგებულია ადამიანის ცნობიერებაში. სწორედ ეს ფაქტი უზრუნველყოფს მნიშვნელობათა სწრაფ ხელმისაწვდომობას შეტყობინების აღქმისა და ინტერპრეტაციის პროცესში. ინტერპრეტაციის ნებისმიერი აქტი გულისხმობს ინფორმაციის მიმართებას ცოდნის სქემებთან. შეიძლება, ვიმსჯელოთ შინაგანი (მენტალური) კონტექსტის არსებობის შესახებ. ამკარაა, რომ სწორედ ეს კონტექსტი წარმოადგენს გამონათქვამის გენერირებისა და მისი აღქმის საფუძველს.

აღქმის პროცესის წარმატებას უზრუნველყოფს გარე (ტექსტუალური) კონტექსტიდან მომდინარე ინფორმაციის მუდმივი კორელაცია ინტერპრეტაციის შიდა კონტექსტთან. ასე რომ, გაუგებრობის მიზეზი არის არა მხოლოდ სიტყვების მნიშვნელობის არცოდნა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, კომუნიკანტთა მენტალურ ლექსიკონში არსებული

სხვაობა, რომელიც გულისხმობს კომუნიკანტთა ფონურ ცოდნას, წარმოდგენებს, ასოციაციებსა და მენტალურ ხატებს შორის შეუსაბამობას. ეს უკანასკნელი კი განპირობებულია აღქმის მომენტისათვის კომუნიკანტთა პერცეპტული, კოგნიტური და აფექტური გამოცდილების თავისებურებებით.

სარჩევი

მიმოხილვა _____	2
შესავალი _____	7
თავი I. გაცრუებული მოლოდინის ფენომენი _____	20
1.1. გაცრუებული მოლოდინი - ეფექტი თუ სიტუაცია? _____	20
1.2. გაცრუებული მოლოდინი მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის თეორიებში _____	25
1.3. მეტყველების აღქმა და პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის წარმატებულ რეალიზაციას _____	32
თავი II. გაცრუებული მოლოდინი როგორც საუბრის აღქმის პროცესის მოდელირების წყარო _____	41
2.1. კომუნიკაციური განზრახვა და კომუნიკაციური წარუმატებლობა _____	41
2.2. სიტყვათა თამაში _____	46
2.3. სიტყვათა თამაშის თავისებურები ენის სემანტიკურ-სტილისტიკურ დონეზე _____	57
2.4. იუმორის თანამედროვე ლინგვისტური თეორიები _____	70
თავი III. ექსპექტაციები, გაცრუებული მოლოდინი და კოგნიტური რეპრეზენტაციები _	88
3.1. შინაგანი კონტექსტი როგორც გამონათქვამის წარმოქმნისა და აღქმის კოგნიტური ბაზა _____	88
3.2. ექსპექტაციები და მათი როლი კოგნიტური რეპრეზენტაციების კონსტრუირებაში _	97
თავი IV. გაცრუებული მოლოდინი, კოგნიტური პროცესები და იუმორისტული დისკურსი _____	103

4.1. ინტერტექსტუალობის და კონტექსტის თეორიის გამოყენების ანალიზი იუმორისტულ დისკურსში	103
4.2. გაცრეხული მოლოდინის მაპროვოცირებელი კოგნიტური პროცესების ექსპერიმენტული კვლევა	113
4.3. ტექსტები და კონტრტექსტები	121
4.4. გაცრეხული მოლოდინი ანტი-ანდაზაში	135
დასკვნა	148
გამოყენებული ლიტერატურა	152

შესავალი

ლინგვისტთა უმრავლესობა აღიარებს „აზრობრივი მოლოდინისა“ და „სიუჟეტური მოლოდინის“, როგორც ოპოზიციური წყვილის, არსებობის ფაქტს. ლინგვისტთა მიერ მოლოდინის ფენომენის განმარტება სხვაობს მოლოდინის სახეობათა მიხედვით, რაც იწვევს ლინგვისტთა მიერ მოლოდინის ფენომენის ხედვის ასპექტურობას.

ლინგვისტთა უმრავლესობა „აზრობრივ მოლოდინში“ გამოყოფს ონტოლოგიურ მოლოდინს, რომელიც დამახასიათებელია სამყაროს მოწყობისათვის; კომუნიკაციურ მოლოდინს, რომელიც წარმოადგენს ურთიერთობის პრინციპებს; ენობრივ მოლოდინს, რომლითაც ხასიათდება ენის სისტემა. ლინგვისტთა მიერ მოლოდინის ფენომენის განმარტება სხვაობს მოლოდინის სხვადასხვა გენეზისის მიხედვით, სხვა სიტყვებით, კონკრეტული განმარტება რელევანტურია მხოლოდ კონკრეტული გენეზისის მქონე მოლოდინისათვის, რაც ვერ უზრუნველყოფს ზოგადად მოლოდინის ფენომენის მთლიანობრივ ხედვას.

დღემდე არ განხორციელებულა გაცრუებული მოლოდინის რეალიზაციის საშუალებათა კომპლექსური ანალიზი - გაცრუებული მოლოდინის შემქმნელი მექანიზმები განიხილება ერთმანეთისაგან იზოლირებულად.

სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს გაცრუებული მოლოდინის სტატუსის მკაფიო განმარტების არარსებობას: კვლავ ელოდება პასუხს შეკითხვა: რა არის გაცრუებული მოლოდინი - ეფექტი თუ სიტუაცია?

აზრობრივი მოლოდინისა და სიუჟეტური მოლოდინის ერთ მთლიანობად განხილვამ მოითხოვა გაცრუებული მოლოდინის სიტუაციის ლინგვოკოგნიტური მოდელირება, რომელიც ნაშრომში გააზრებულია როგორც მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის პროცესების კვლევისადმი კოგნიტური მიდგომის განხორციელების ერთ-ერთი შესაძლებლობა.

ლინგვოკოგნიტური მოდელირება ორიენტირებულია ადამიანის მიერ ბუნებრივი ენის დამუშავების მექანიზმების სპეციფიკის გამოვლენაზე ინდივიდუალური ცოდნის სტრუქტურების მოდელირების გზით.

მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთაგან მიღებული მონაცემები გამოიყენება როგორც კოგნიტურ სტრუქტურებზე წვდომის საშუალება. თანამედროვე ლინგვისტიკის ეს მიმართულება ეფუძნება ფსიქოლინგვისტიკის, ნეიროლინგვისტიკის, კოგნიტური ლინგვისტიკისა და ხელოვნური ინტელექტის სფეროებში განხორციელებულ კვლევათა შედეგებს.

მოსაუბრისა და მსმენელის როლებს შორის განსხვავება განაპირობებს მეტყველების პროდუცირების სხვადასხვა მოდელების არსებობას. დღეისათვის ხორციელდება მთელი რიგი კვლევები, რომლებშიც დეკლარირებულია მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის ინტეგრაციული მოდელის შექმნის შესაძლებლობა. აღნიშნული შესაძლებლობის რეალისტურობა განპირობებულია მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის გარკვეულ ეტაპებზე ჩართულ ერთეულთა მსგავსებით.

ჩვენ სრულად ვიზიარებთ აღნიშნული შესაძლებლობის რეალისტურობას და კვლევის მიზნად ვისახავთ ახალი მონაცემების გააზრებას მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის ინტეგრაციული მოდელის საზღვრებში.

აღნიშნული მოდელების უპირატესობა მდგომარეობს ყველა რელევანტური მიდგომის ერთ თეორიაში გაერთიანების პოტენციაში, ასევე მოსაუბრესა და მეტყველების აღქმელ სუბიექტზე ცენტრირებულობაში. სწორედ ამიტომ ვხედავთ კოგნიტურ მიდგომაში ჩვენთვის საინტერესო პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობას.

ამ პრობლემათაგან უმნიშვნელოვანესია ადამიანის მიერ ბუნებრივი ენის დამუშავების მექანიზმთა სპეციფიკის გამოვლენა, რაც იძლევა გაცრეუბული მოლოდინის ლინგვოკოგნიტური მოდელირების შესაძლებლობას.

სამეტყველო აქტივობაში გაცრეუბული მოლოდინის სიტუაციის სიღრმისეული კვლევა წარმოაჩენს ახალ მონაცემებს, რომლებიც ღირებულია დისკურსის წარმოება-აღქმის ინტეგრაციული მოდელის შემდგომი დამუშავებისთვის. აღნიშნულ მოდელს კი შეუძლია გააფართოვოს არსებული წარმოდგენები მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის პროცესების შესახებ. სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს ჩვენი კვლევის აქტუალობას.

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს „შინაგანი კონტექსტის“ თეორია, რომლის ფარგლებშიც შინაგანი კონტექსტი გააზრებულია როგორც წმინდა მენტალური წარმონაქმნი, უახლოესი ასოცირებადი კონტექსტების რიგი. აღნიშნული კონტექსტები

მეხსიერებიდან „ამოიღება“ ახალი ინფორმაციის შემოსვლისთანავე, ისინი ყოველ ჯერზე აყალიბებენ ახალ კოგნიტურ მოდელს.

შინაგან ლექსიკონს, როგორც დინამიურ თვითორგანიზებად სისტემას, შეუძლია ინდივიდის ფსიქიკური ცხოვრების პერცეპტული, კოგნიტური და აფექტური ასპექტების ურთიერთმოქმედებათა სინთეზირება.

სამეტყველო აქტივობის პროცესში ენობრივი პიროვნების მენტალური პროცესებისა და გარდაქმნების ასახვა, მათი სიღრმისეული კვლევა და ენასთან მათი კავშირის გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ ლინგვოკოგნიტური მოდელირების გზით. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის საკმარისად ინფორმაციული და მოქნილი მოდელების აგებას.

თანამედროვე ლინგვისტიკა არ განიცდის იმ კვლევათა სიმწირეს, რომლებიც ორიენტირებულია: მენტალური ლექსიკონის შინაგანი სტრუქტურისა და სტრუქტურაში არსებულ მიმართებათა ტიპების სპეციფიკის იდენტიფიცირებაზე; ლექსიკონში ერთეულთა ფუნქციონირების, რეპრეზენტაციის, ორგანიზების, მეხსიერებაში შენახვისა და მეხსიერებიდან მათი ამოღების თავისებურებათა კვლევაზე. სწორედ აღნიშნულ ვექტორსა და მიდგომაზეა ორიენტირებული ჩვენი კვლევა, რომელიც წარმოადგენს გაცრუებული მოლოდინის ფენომენის ლინგვოკოგნიტური მოდელირების პრობლემის გადაჭრის მცდელობას.

გაცრუებული მოლოდინის ფენომენი, როგორც აღსაქმელ ობიექტზე აღმქმელი სუბიექტის ემოციური რეაქცია, შეისწავლება კოგნიტური ლინგვისტიკისა და ფსიქოლინგვისტიკის სააზროვნო სივრცეებში. აქ გაცრუებული მოლოდინი განიხილება ისეთ ფსიქოლინგვისტურ ფენომენებთან კავშირში, როგორებიცაა ტექსტის არაერთმნიშვნელოვნება, ექსპექტაცია, პროგნოზირება და ალბათობა.

ხშირად გამოთქმულის არსი სრულიად მოულოდნელი და განსხვავებულია მოსალოდნელისგან – ასე იქმნება „გაცრუებული მოლოდინი“, რომელიც ფიქსირდება ურთიერთობის სრულიად განსხვავებულ პირობებში.

საქმე ისაა, რომ რიგი ენობრივი სტრუქტურების – პატერნების – არსებობა განსაზღვრულ კონტექსტებში დაკავშირებულია გამართულ, სწორ მეტყველებასთან, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სამეტყველო ასპექტებს, დაწყებული წარმოთქმიდან, კომუნიკაციური

„სვლების“ ჩათვლით. უკანასკნელ შემთხვევაში მიზანშეწონილია დისკურსის „სწორ“, ანუ ყველაზე მეტად სავარაუდო განვითარებაზე საუბარი. ექსპექტაციები და ანტიციპაციები ჩნდებიან დისკურსის „სწორად“ განვითარების პროცესში და მართლდებიან განჭვრეტადობის საფუძველზე. რაც შეეხება ექსპექტაციებისა და ანტიციპაციების გაცრუებას, ეს არაგანჭვრეტადობის შედეგია. გაცრუებული მოლოდინი ყოველთვის დაკავშირებულია სოციალური, ქცევითი, ენობრივი სტერეოტიპების რღვევასთან და შეადგენს კომუნიკატიური ექსპრესიულობის საფუძველს.

კოგნიტურ ფსიქოლოგიაში ექსპექტაციები ჩვეულებრივ წარმოდგენილია პროგნოზირების ტერმინებით, ანუ გაცრუებული მოლოდინი დაკავშირებულია სიტუაციის ყველაზე ნაკლებად მოსალოდნელ და პროგნოზირებად დასასრულთან. უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენები, რომლებსაც აღსრულების დაახლოებით თანაბარი ალბათობა გააჩნიათ, ყოველთვის თანაბარი სიძლიერით არ გვაოცებენ. გაოცება შეიძლება გამოიწვიოს იმდენად არა ამა თუ იმ მოვლენის განხორციელების დაბალმა ალბათობამ, რემდენადაც კონტრასტის ხარისხმა მოულოდნელსა და მოსალოდნელს, მაგრამ არშემდგარს შორის, სხვა სიტყვებით, გაოცება შეიძლება გამოიწვიოს ექსპექტაციასა და სცენარის ორიგინალურ განვითარებას შორის არსებულმა ცდომილებამ.

პროგნოზირების უნარი უზრუნველყოფილია მეხსიერებაში შენახული ინფორმაციით წარსულში მომხდარის შესახებ. ეს არის ინფორმაცია მოვლენათა თანმიმდევრობის შესახებ, იმის შესახებ, თუ რამდენად ხშირად ჰქონდა ადგილი წარსულ გამოცდილებაში მოვლენათა ჯაჭვს.

ჩვენ რომ ვცხოვრობდეთ ისეთ გარემოში, სადაც მოვლენათა თანმიმდევრობა მკაფიოდ დეტერმინირებულია, მაშინ პროგნოზირებაც არ მოითხოვდა განსაკუთრებულ ძალისხმევას და ზუსტიც იქნებოდა.

ალბათობით ორგანიზებულ ჩვენს გარემოში მეხსიერებას შეუძლია უზრუნველყოს მომავალი მოვლენების მხოლოდ ალბათობითი პროგნოზირება. ალბათობითი პროგნოზირების შესაძლებლობა კი გულისხმობს გარკვეული ინტუიციის ქონას მოცემული კონტექსტისთვის ალტერნატიული ვარიანტებიდან შესაფერისის ასარჩევად. ფსიქოლინგვისტური თვალსაზრისით, კონტექსტი მსმენელის თავში ინახება, რადგან ინტერპრეტირების აქტი შეუძლებელია ტექსტის ენობრივი ინფორმაციის ცოდნის გარეშე, რაც ქმნის ასოცირებულ შიდა კონტექსტებს.

ჩვენი კვლევის ობიექტია სამეტყველო სიტუაციები, რომლებიც ახდენენ გაცრუებული მოლოდინის წარმოქმნის პროვოცირებას. კვლევის საგანს კი წარმოადგენს მეტყველების აღქმის მექანიზმები, რომლებიც ემსახურებიან გაცრუებული მოლოდინის წარმოქმნას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევის მიზანია გაცრუებული მოლოდინის ფენომენის ინტეგრირებული კვლევა, რაც გულისხმობს იმის გარკვევას, თუ როგორ და რა ხარისხით ზემოქმედებს ადამიანის მენტალური ლექსიკონის ორგანიზების, მისი კოგნიტური გამოცდილების სპეციფიკა შეტყობინების აღქმაზე.

დასახული მიზნის მიღწევას ემსახურება კვლევის შემდეგი ამოცანებისა და ეტაპების განხორციელება:

1. მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის მექანიზმების დეტალური შესწავლა ფსიქოლინგვისტური და კოგნიტური მიდგომების თვალსაზრისით;
2. მეტყველების აღქმის პროცესის განხილვა გაცრუებული მოლოდინის სიტუაციურ ტერმინებში;
3. აღქმის პროცესის ძირითადი მექანიზმებისა და ინდივიდუალური სტრატეგიების იდენტიფიცირება, სტრატეგიათა თავისებურებების გამოვლენა სავარაუდო კოგნიტური ვარდნისა და მათი რეალიზების შემთხვევებში;
4. გაცრუებული მოლოდინის ფენომენის არსისა და განსაკუთრებულობის გააზრება ფსიქოლინგვისტური მიდგომის ჩარჩოებში;
5. ძირითადი კოგნიტური პროცესების გამოვლენის უზრუნველყოფი მეთოდის შერჩევა, რომელიც ახდენს გაცრუებული მოლოდინის წარმოქმნის პროვოცირებას;
6. კვლევის მიზნისა და ამოცანებისათვის რელევანტური მასალის შერჩევა;
7. ექსპერიმენტის ჩატარება, რომლის შედეგების ანალიზი გულისხმობს:

ექსპერიმენტის შედეგების ფორმალური ანალიზის საფუძველზე მეტყველების აღქმის სუბიექტის გონებრივი მოღვაწეობის ზოგადი სტრუქტურის დადგენას;

მიღებული კონტრტექსტების სემანტიკურ ანალიზსა და იმის გამოვლენას, თუ რა გზით ხორციელდება წვდომა ინდივიდის საერთო საინფორმაციო ბაზაზე ტექსტის აღქმის პროცესში;

იმის განსაზღვრას, თუ რა ხარისხით ზემოქმედებს კოგნიტური გამოცდილება და მენტალური ლექსიკონის ორგანიზების თავისებურებები ამა თუ იმ მოლოდინის ფორმირებაზე აღსაქმელი სიტუაციის შემდგომი განვითარების თაობაზე;

მოლოდინის სხვადასხვა მენტალური სივრცეების აქტივაციის სტრატეგიათა გამოვლენას და მათ ასახვას სიტუაციების აღქმის განზოგადებულ მოდელებში.

კვლევისათვის ფუძემდებლური აღმოჩნდა შემდეგი დებულებები:

1. გაცრეუბული მოლოდინის ფენომენის განხილვა წარმოადგენს მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის პროცესების შესწავლის ერთ-ერთ ეფექტურ გზას, რომელიც ხელს უწყობს წარმოქმნისა და აღქმის ინტეგრაციული მოდელის შემდგომ განვითარებას;
2. კოგნიტური მექანიზმების ფუნქციონირების მახასიათებლები გაცრეუბულ მოლოდინში შეიძლება წარმოადგენილ იქნეს როგორც „მოლოდინის მენტალურ სივრცეთა ინტეგრაციის“ მოდელები, რომლებიც ხსნიან მეტყველების აღქმის პროცესის სტრატეგიულ ბუნებას სავარაუდო პროგნოზირების პრინციპის გათვალისწინებით;
3. მოლოდინის მენტალურ სივრცეთა ხარისხი და სტრუქტურა განისაზღვრება პრაიმინგის ეფექტის გავლენით და ფორმალურ მამოტივირებელ ელემენტებზე დაყრდნობით. ამ უკანასკნელთა როლში გვევლინებიან სიტყვის ფონეტიკური და მორფოლოგიური ასპექტები;
4. მთელი თავისი ორიგინალურობისა და ინდივიდუალურობის მიუხედავად, ყველაზე არატიპური მოლოდინებიც კი არ გადიან ინდივიდის პერცეპტული, კოგნიტური და აფექტური გამოცდილების ჩარჩოებს მიღმა;
5. გაცრეუბული მოლოდინის წარმოქმნის საფუძველია აღსაქმელი ინფორმაციის ელემენტთა მენტალური რეპრეზენტაციების არაიდენტურობა.

ვერბალური შეტყობინების ელემენტების რეპრეზენტაციათა სხვაობა წარმოადგენს კომუნიკანტთა ექსპექტაციების შეუთავსებლობის მიზეზს.

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდგენიარად ჟღერს: სავარაუდოა, რომ გაცრეუბული მოლოდინის ფენომენის ანალიზის სისრულისა და ობიექტურობის მიღწევის გზას წარმოადგენს აღქმის ინტეგრაციული მოდელისა და მოლოდინის მენტალურ სივრცეთა ინტეგრაციის

მოდელების გამოყენება, ვინაიდან სწორედ აღნიშნული მოდელები ხსნიან მეტყველების აღქმის პროცესის სტრატეგიულ ბუნებასა და პროგნოზირების პრინციპის არსს.

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს პლურალისტური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს ფენომენის სხვადასხვა პერსპექტივიდან კვლევის შესაძლებლობას. კვლევაში განხორციელებულია ისეთი მეთოდების სინთეზი, როგორებიცაა: ექსპერიმენტული მეთოდი, კონტრტექსტების ფორმალური და სემანტიკური ანალიზის მეთოდი, დაკვირვების, აღწერისა და მოდელირების მეთოდები.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს გაცრუებული მოლოდინის ფენომენის შესწავლაში კომპლექსური პოზიციებიდან და ყურადღების ფოკუსირებაში გაცრუებული მოლოდინის მაპროვოცირებელ კოგნიტურ პროცესებზე. მოსაუბრისა და საუბრის აღქმელი სუბიექტის მენტალურ სივრცეთა ლინგვოკოგნიტური მოდელირება პირველად განხორციელდა გაცრუებული მოლოდინის კონტექსტში.

კვლევის თეორიული ღირებულება განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:

1. კვლევის შედეგები იძლევა მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის ინტეგრაციული მოდელის შემდგომი განვითარებისთვის საჭირო მონაცემებს;
2. კვლევის შედეგები ხელს უწყობს „შინაგანი კონტექსტისა“ და „სიტყვის იდენტიფიკაციის“ თეორიათა განვითარებას;
3. კვლევას გარკვეული წვლილი შეაქვს იმ კოგნიტური სტრუქტურების ფუნქციონირების პრობლემათა შესწავლაში, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ინფორმაციის შენახვასა და გადამუშავებაში;
4. კვლევის შედეგები ღირებულია როგორც ტექსტის გაგების ფსიქოლინგვისტური პრობლემის, ისე აღქმის პრობლემის ზოგადდისციპლინარულ კონტექსტში შესწავლისათვის.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება განისაზღვრება კვლევის შედეგების ვალიდურობით ენის თეორიის, ფსიქოლინგვისტიკისა და კოგნიტური ლინგვისტიკის სასწავლო კურსებისათვის.

კვლევის მასალად გამოყენებულია მაგალითები სატელევიზიო გადაცემებიდან, ყოველდღიური ურთიერთობის გამოცდილება, ასევე ჩატარებული ექსპერიმენტის

მონაცემები. ექსპერიმენტულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 30-მა ადამიანმა; 16 მასტიმულირებელ ტექსტზე მიღებულ იქნა და ანალიზს დაექვემდებარა 480 კონტრტექსტი.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე. განსაზღვრულია კვლევის მიზანი, მიზნის მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და კვლევის ეტაპები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგია.

დასკვნით ნაწილში შეჯამებული და განზოგადებულია კვლევის შედეგები.

თავი I. გაცრუებული მოლოდინის ფენომენი - ემღვნება გაცრუებული მოლოდინის ფენომენის არსის ანალიზს მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის თეორიებში; მეტყველების აღქმისა და პირობების თავისებურებათა განხილვას.

მოლოდინის ყველა სახეობას აერთიანებს ინტეგრალური თვისება - ადამიანის სტერეოტიპიზირებული დამოკიდებულება მოსალოდნელი ობიექტის მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოლოდინის ყველა სახეობის საფუძველში დევს ენობრივ ერთეულთა შეთანხმების თავისებურებათა შესახებ ცოდნის არსებობა, ენის მატარებელთა წარმოდგენა „სიტუაციის ნორმალური განვითარების” თაობაზე ან ცოდნა ეფექტური ურთიერთობის განხორციელების პრინციპების შესახებ.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნებისმიერი მიზანმიმართული „შეფერხება”, „ჩავარდნა” აზროვნების ლოგიკაში, რომელზეც მრავალი ტექნიკაა აგებული, ასოცირდება გაცრუებული მოლოდინის ფენომენტთან. ლინგვისტიკაში ალოგიკურს მიაკუთვნებენ იმ ხერხებს, რომლებიც ეფუძნება სიტყვების სემანტიკური და სინტაქსური შეთანხმების დარღვევას. სიტყვათშეთანხმებებსა და წინადადებებში (ოქსიმორონი, კალამბური, ზევგმა) ალოგიკურ კავშირებს წარმოადგენს პარადოქსი.

სპეციალური ლიტერატურის ანალიზის შედეგად შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ ლინგვისტები განიხილავენ გაცრუებული მოლოდინის ეფექტის განხორციელების ენობრივ საშუალებებს ერთმანეთისაგან იზოლირებულად.

ზოგი ლინგვისტისათვის გაცრუებული მოლოდინი ასოცირდება ანტიფრაზის, კორექციისა და კალამბურის სხვადასხვა ტიპის გამოყენებასთან, ზოგი მკვლევარი კი თვლის, რომ გაცრუებული მოლოდინის შექმნის უნარი გააჩნია ზევგმასა და ოქსიმორონს. მკვლევართა ნაწილი გაცრუებული მოლოდინის შექმნის საფუძვლად მიიჩნევს მხატვრულ პარადოქსებს, პარალელიზმებს, იდიომების დეფორმაციასა და ალოგიზმის სხვადასხვა სახეობის გამოყენებას. ზოგიერთი ლინგვისტის თვალსაზრისით, ლექსიკურ დონეზე გაცრუებული მოლოდინი იქმნება არქაიზმების, ნეოლოგიზმების, პოეტიზმებისა და ბარბარიზმების გამოყენების გზით.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ არ არსებობს გაცრუებული მოლოდინის ენობრივი სტატუსის მკაფიო განმარტება: ისევ ელოდება პასუხს შეკითხვა: რა არის გაცრუებული მოლოდინი - ეფექტი თუ სიტუაცია? ამის მიზეზად კი მივიჩნევთ იმ ფაქტს, რომ დღემდე არ განხორციელებულა გაცრუებული მოლოდინის რეალიზაციის ენობრივ საშუალებათა კომპლექსური ანალიზი.

თავი II. გაცრუებული მოლოდინის სიტუაცია როგორც საუბრის აღქმის პროცესის მოდელირების წყარო - ეძღვნება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: კომუნიკაციური განზრახვისა და კომუნიკაციური წარუმატებლობის არსი; სიტყვათა თამაშის თავისებურები ენის სემანტიკურ-სტილისტიკურ დონეზე; იუმორის თანამედროვე ლინგვისტური თეორიები.

გაცრუებული მოლოდინი, როგორც აღქმად ობიექტზე (ტექსტზე) ინდივიდის ემოციური რეაქციის პრობლემა, იკვთება ცოდნის სხვადასხვა სფეროში. ითვლება, რომ გაცრუებული მოლოდინის თეორია პირველად კომიკური ეფექტის კონტექსტში წარმოიქმნა და დაიმსახურა ფილოსოფოსთა და ფსიქოლოგთა განსაკუთრებული ყურადღება.

აღსაქმელ ტექსტზე ინდივიდის ემოციური რეაქციის პრობლემას ვერ ვუწოდებთ წმინდა ლინგვისტურს - იგი იკვთება კოგნიტური ფსიქოლოგიის, დისკურსის ფილოსოფიისა და კიბერნეტიკის სფეროებშიც, რომლის ფარგლებშიც მეტყველება განიხილება ალბათობითი პროცესის ერთ-ერთ სახეობად.

კომუნიკაციის სწორად განვითარების მოლოდინი, ანუ ექსპექტაციები, თავს იჩენენ გაცრუებული მოლოდინის სიტუაციებში, რომლებიც წარმოიქმნება ორი

ფსიქოლინგვისტური მოვლენის - პროგნოზირებადობისა და არაპროგნოზირებადობის - ბაზაზე. გაცრუებული მოლოდინი დაკავშირებულია სოციალური, ქცევითი და ენობრივი სტერეოტიპების ნგრევასთან და წარმოადგენს კომუნიკაციური ექსპრესიულობის საფუძველს.

თანამედროვე სამყარო წარმოადგენს საინფორმაციო ველს, სადაც ნებისმიერი კომუნიკაცია ხორციელდება ენის მეშვეობით. ენა კი, მიდრეკილია თამაშისკენ. სიტყვათა თამაშის ფენომენი ლინგვისტიკაში თანდათანობით განსაკუთრებული ინტერესისა და დეტალური შესწავლის საგანი ხდება. ცალკეული ფორმები განიხილება სხვადასხვა თვალსაზრისითა და სხვადასხვა ენობრივ მასალაზე დაყრდნობით.

ადამიანი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში დაკავებულია „კომუნიკაციური თამაშით“. სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს გაცრუებული მოლოდინის ეფექტის შემქმნელ ერთ-ერთ მექანიზმს. კომუნიკაციის პროცესში ადამიანებს აქვთ მძაფრი სურვილი იუმორისტული ეფექტის შექმნისა და სწორედ ეს არის სიტყვათა თამაშის წარმოქმნის მოტივაცია.

იუმორის თეორიათა უმრავლესობა შერეული თეორიებია და ბევრ თანამედროვე მკვლევარს მიაჩნია, რომ მთლიანობაში იუმორი არის ერთიან ინტეგრირებულ თეორიაში გაერთიანებული უზარმაზარი და მრავალმხრივი ფენომენი.

თავი III. ექსპექტაციები, გაცრუებული მოლოდინი და კოგნიტური რეპრეზენტაციები - ეძღვნება შინაგანი კონტექსტის, როგორც გამონათქვამის წარმოქმნისა და აღქმის, კოგნიტური ბაზის არსის ანალიზს; ექსპექტაციების სპეციფიკისა და მათი როლის განხილვას კოგნიტური რეპრეზენტაციების კონსტრუირებაში.

თანამედროვე ლინგვისტიკაში აღდგენილია ბალანსი მეტყველების პროდუცირებისა და აღქმის პროცესებს შორის. ეს ფაქტი კი უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესების გამაერთიანებელი ახალი მოდელების გენერირების შესაძლებლობას.

ახალი მოდელების გენერირების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად განპირობებულია ლინგვისტიკაში ანთროპოცენტრისტული პარადიგმის ფუნქციონირებითა და კოგნიტური ფსიქოლოგიის ინსტრუმენტების ვალიდურობით ფსიქოლინგვისტური კვლევისათვის.

ცოდნა და წარმოდგენები სამყაროს შესახებ მოწესრიგებულია ადამიანის ცნობიერებაში. სწორედ ეს ფაქტი უზრუნველყოფს მნიშვნელობათა სწრაფ ხელმისაწვდომობას შეტყობინების აღქმისა და ინტერპრეტაციის პროცესში.

ინტერპრეტაციის ნებისმიერი აქტი გულისხმობს ინფორმაციის მიმართებას ცოდნის სქემებთან. შეიძლება, ვიმსჯელოთ შინაგანი (მენტალური) კონტექსტის არსებობის შესახებ. აშკარაა, რომ სწორედ ეს კონტექსტი წარმოადგენს გამონათქვამის გენერირებისა და მისი აღქმის საფუძველს.

შეტყობინების აღქმა დამოკიდებულია არა მხოლოდ სიტუაციურ კონტექსტზე, არამედ შინაგანი კოგნიტური კონტექსტების მთელ კომპლექსზე. ახალი კოგნიტური მოდელის ფორმირება რეალობის ახალ ელემენტებსა და ობიექტებთან ურთიერთქმედების პროცესში გულისხმობს კოგნიტური რეპრეზენტაციის კონსტრუირებისათვის უახლოეს შინაგან კონტექსტებზე დაყრდნობას. აქედან გამომდინარე, იდენტიფიცირების პროცესი არასოდეს არ ხორციელდება „დეკონტექსტუალიზირებულ ვაკუუმში“. ადამიანისათვის კონტექსტს მიღმა წარმოდგენილი უცნობი სიტყვაც კი „გამოიხმობს“ მის შემეცნებაში არსებულ განსაზღვრულ ინფორმაციას.

ამრიგად, ვერგაგების საფუძველში დევს არა მხოლოდ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა სიტყვების დამატებითი მნიშვნელობების არცოდნა და სააზროვნო პროცესის პარალელიზმი, არამედ ურთიერთობის მონაწილეთა შინაგანი ლექსიკონის თვისობრივი განსხვავებები, ლექსემის კონოტატიურ ველთა სახესხვაობა და შესაბამისად, ასოციაციათა ნაწილის არქონა - კომუნიკანტის გონებაში არავერბალური სახეებისა და იმპლიკაციების არქონა, რაც ხშირ შემთხვევაში გაცრუებული მოლოდინის გაჩენის პროვოცირებას ახდენს.

ინდივიდის მეხსიერების განსაკუთრებული ორგანიზება იძლევა ინფორმაციას არა მხოლოდ წარსულში მომხდარი მოვლენების შენახვის, არამედ ამ მოვლენათა თანმიმდევრობის, სიხშირის შესახებაც. მეხსიერების სწორედ ეს თვისება განაპირობებს სუბიექტის სავარაუდო პროგნოზირების უნარს. ჩვენი რეალობა წარმოადგენს ალბათობით ორგანიზებულ გარემოს, ამიტომ ჩვენს მეხსიერებას ძალუძს მხოლოდ მომავალი მოვლენების სავარაუდო განჭვრეტა. პროგნოზირებისას ინდივიდი გრძელვადიან მეხსიერებაში ჩადებული რამდენიმე ალტერნატიული შეტყობინებიდან ირჩევს ერთს, მოცემული კონტექსტისთვის მაქსიმალურად მისაღებს.

აშკარაა, რომ სავარაუდო პროგნოზირების გარეშე ნებისმიერი მოღვაწეობა შეუძლებელი იქნებოდა: სავარაუდო პროგნოზირება წარმოადგენს ამ სამყაროში მცხოვრები არსების მიერ სამყაროს სავარაუდო მოდელირებას.

თავი IV. გაცრუებული მოლოდინი, კოგნიტური პროცესები და იუმორისტული დისკურსი - ემღვნება ინტერტექსტუალობისა და კონტექსტის თეორიის გამოყენების თავისებურებათა ანალიზს იუმორისტულ დისკურსში; გაცრუებული მოლოდინის მაპროვოცირებელი კოგნიტური პროცესების ექსპერიმენტული კვლევის შედეგების - ტექსტებისა და კონტრტექსტების - განხილვას; გაცრუებული მოლოდინის ფენომენის სპეციფიკის გამოვლენას ანტი-ანდაზაში.

დისკურსის ანალიზში იუმორის ინტერტექსტუალური პერსპექტივიდან ხედვა მნიშვნელოვანი ტენდენციაა. აღნიშნული ტენდენციის არსებობას სრულიად ლოგიკური საფუძველი გააჩნია, ვინაიდან იუმორისტულ დისკურსს ახასიათებს ინტერტექსტუალური ბუნება.

გაცრუებული მოლოდინის წარმოქმნის მიზეზების იდენტიფიცირებისა და გაცრუებული მოლოდინის ფენომენის სხვადასხვა ასპექტის შესწავლის მიზნით ჩატარდა ექსპერიმენტი. ექსპერიმენტული კვლევა წარმოადგენს გაცრუებული მოლოდინის ლინგვო-კოგნიტური მოდელის აღწერას.

არ არსებობს მოდელი, რომელიც მოიცავს მოდელირებული ობიექტის ყველა მახასიათებელს, გამონაკლისის გარეშე. თუმცა, ეს არც არის საჭირო, ვინაიდან მოდელირების ამოცანა მდგომარეობს კვლევისათვის ფენომენის ყველაზე საინტერესო მახასიათებელთა გამოყოფას.

საკვლევი ობიექტის მოდელირების გზით ჩვენ ვიღებთ ახალ ინფორმაციას მის შესახებ, რაც აუცილებლად აისახება კონსტრუირებულ მოდელში. ჩვენ ვაცნობიერებთ მოდელის იზომორფულობას საკვლევი ობიექტის მიმართ წინასწარ განსაზღვრული პარამეტრების მიხედვით. ამრიგად, ობიექტის მოდელირება წარმოადგენს ობიექტის შემეცნების აუცილებელ კომპონენტს.

ნაშრომში ექსპერიმენტული კვლევის მონაცემთა გადამუშავების პროცესი გულისხმობს ცდისპირთა მიერ ტექსტი-სტიმულის მიერ წარმოდგენილი სიტუაციის ან მოვლენის გონებაში „გადათამაშებას“, შემდეგ კი რეაქციის დაფიქსირებას. „გადათამაშების“

შედეგის (კონტრტექსტის) ხასიათზე გავლენას ახდენს კომპოზიცია (composition), დასრულება (completion) და გადამუშავება (elaboration).

ერთი და იმავე სიტუაციისა თუ ფენომენის რეპრეზენტაციები სხვაობენ ინდივიდიდან ინდივიდში. აღნიშნული სხვაობა განპირობებულია ინდივიდთა ცხოვრებისეული გამოცდილების არაიგივეობრიობით. სხვადასხვა ცდისპირთა მიერ აგებულ კონტრტექსტებში ფიქსირდება ცოდნის განსხვავებული სქემები, რომლებიც დეტერმინირებულია ინდივიდის წარსული გამოცდილების სპეციფიკით.

ექსპერიმენტული კვლევის შედეგად მიღებული კონტრტექსტების ანალიზმა ცხადყო, რომ ვერბალური შეტყობინების გააზრებისა და ალტერნატიული ვერბალური შეტყობინების აგებისას სუბიექტი პროგნოზირებს სიტუაციის ამა თუ იმ დასასრულის ალბათობას. ალბათური პროგნოზირება ეფუძნება მოლოდინებს, რომლებიც ყალიბდება აღმქმელი სუბიექტის ცოდნის, თვალსაზრისების, გარეგანი და შინაგანი კონტრტექსტების შესაბამისობას.

თავი I. გაცრეუბული მოლოდინის ფენომენი

1.1. გაცრეუბული მოლოდინი - ეფექტი თუ სიტუაცია?

შ. ბოდლერი თვლიდა, რომ, ერთი მხრივ, „რეგულარობა და სიმეტრია ადამიანის გონების პირველყოფილი მოთხოვნაა“, ხოლო, მეორე მხრივ, „მცირე დარღვევები“,

რომლებიც გამოირჩევიან ამ კანონზომიერების ფონზე ასევე აუცილებელია მხატვრული ეფექტის შესაქმნელად... „მცირე დარღვევები“ არის „სანელებელი, სილამაზის არსებობის გარდაუვალი პირობა“ (დონგაკ / Донгак, 2001).

სწორედ ამ „სანელებელს“ უწოდებს რ. იაკობსონი „გაცრუებულ მოლოდინს“ (ანუ „წარუმატებელ პროგნოზს“). მეცნიერი მიიჩნევს მას ნებისმიერი სამეტყველო ცვლილების ზოგად პრინციპად, რომელიც განხორციელებულია სტილისტური მიზნით და წარმოდგენილია ნორმიდან გადახვევით. მ. რიფატერი განმარტავს, რომ სტილისტური მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტი განპირობებულია არა ლინგვისტური ნორმიდან, არამედ მოცემული შეტყობინების ნორმიდან გადახრით (რიფატერი / Рифатер, 1980, გვ.:69-98). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი სტილისტური მექანიზმი, გარკვეულწილად, ეფუძნება გაცრუებული მოლოდინების პრინციპს (არნოლდი / Арнольд, 1981, გვ.: 70).

რ. იაკობსონი „გაცრუებული მოლოდინის“ თეორეტიკოსად მიიჩნევს ედგარ ალან პოს. იაკობსონის აზრით, სწორედ პო იყო ის, ვინც სწორად შეაფასა - როგორც მეტრიკის, ისე ფსიქოლოგიის თვალსაზრისით - ჯილდოს მიღების შეგრძნება იმ მოულოდნელობისთვის, რომელიც უჩნდება მკითხველს "მოლოდინის" საფუძველზე. მოულოდნელი და მოსალოდნელი წარმოუდგენელია ერთმანეთის გარეშე, ისევე როგორც ბოროტება არ არსებობს სიკეთის გარეშე (იაკობსონი / Якобсон, 1987, გვ.: 211).

სტილისტური ეფექტის პრობლემა - აღქმულ ტექსტზე ინდივიდის ემოციური რეაქციის პრობლემა - არ განეკუთვნება წმინდა ლინგვისტურ პრობლემათა რიგს. იგი წარმოადგენს მეტყველების ფსიქოლოგიის ელემენტის შეტანას ლინგვისტურ კვლევაში. გაცრუებული მოლოდინების პრინციპის არსის გასაგებად აუცილებელია მივმართოთ მეტყველების აღქმის ფსიქოლოგიის ზოგიერთ დებულებას, კერძოდ კი, ალბათური პროგნოზირების შესახებ არსებულ მონაცემებს. ალბათური პროგნოზირება გააზრებულია როგორც „ადამიანის უნარი, გამოიყენოს წარსულ გამოცდილებაში არსებული ინფორმაცია გარკვეული მოვლენების ალბათობის პროგნოზირებისთვის“ (არნოლდი, 1981, გვ.: 59). საუბარია მკითხველის ერთგვარ ინტუიციასზე და მის უფლებაზე, შესაძლო ალტერნატიულ შეტყობინებათა შორის აირჩიოს ის, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება მოცემულ კონტექსტს. კონტრასტი უფრო სავარაუდოს (ტიპურს) და ნაკლებად სავარაუდოს (მოულოდნელს) შორის გამოიხატება პროგნოზირებადობისა და

არაპროგნოზირებადობის თვალსაზრისით. ამრიგად, გაცრუებული მოლოდინი წარმოიქმნება ფსიქოლინგვისტური ხასიათის ორი საპირისპირო ფენომენის - პროგნოზირებადობისა და არაპროგნოზირებადობის ურთიერთქმედების საფუძველზე.

მოლოდინი პროგნოზირებადობის მთავარი პირობაა. რეციპიენტი განწყობილია გარკვეული სახის ინფორმაციის მისაღებად - რეციპიენტი აღიქვამს, მაგალითად, წაკითხული მონაკვეთის მნიშვნელობას, მაგრამ ამავე დროს პროგნოზირებს ტექსტის შემდეგი სეგმენტის შინაარსს წინაზე დაყრდნობით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეციპიენტი ელის „დაპირებული“ სქემის რეალიზაციას. რეციპიენტის მოლოდინი ან რეალიზებულია, ან გაცრუებული.

კიბერნეტიკის თვალსაზრისით, მეტყველება ალბათური პროცესის ერთგვარი სახეობაა (კისელევა და გერცენა / Киселева & Герцена, 1970, გვ.: 37). ინფორმაციის თეორიაში „მოულოდნელობის“ ფსიქოლოგიურმა ფენომენმა მიიღო მათემატიკური ინტერპრეტაცია: „ინფორმაციის რაოდენობა, აღმქმელის თვალსაზრისით, მისი მოულოდნელობის პროპორციულია: რაც უფრო ნაკლებ ინფორმაციას ელით, მით მეტია მისი მოცულობა. ყველაზე მეტ ინფორმაციას მოიცავს მოსალოდნელი წესრიგის დარღვევა. მოსალოდნელი წესრიგის დარღვევის შემთხვევაში რეციპიენტის გაოცებას იწვევს მოცემულ კოდიფიცირებულ სისტემაში არსებული წინააღმდეგობრიობა, რომელიც, თავის მხრივ, მრავალაზროვანია. პროგნოზირებადობის რღვევა წარმოადგენს ექსპრესიულობის საფუძველს.

ფსიქოლოგები თვლიან, რომ პოზიტიური ემოციების შენარჩუნების სურვილი კარნახობს გაურკვევლობის აქტიურ ძიებას, ვინაიდან „ინფორმაციის სისრულე კლავს სიამოვნებას“ (მარტვეევა / Матвеева, 1991, გვ.: 86).

გაცრუებული მოლოდინი ასოცირდება სხვადასხვა ტიპის (სოციალური, აზროვნების, ქცევის, ენობრივი და ა.შ.) სტერეოტიპების რღვევასთან. სათაურის წაკითხვისას მკითხველი აკეთებს გარკვეულ პროგნოზებს მთელი ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით. შემდგომ ეს პროგნოზები მოწმდება. აღნიშნულ პროცესში პროგნოზები შეიძლება იყოს დადასტურებული, დაკორექტირებული ან უარყოფილი.

გაცრეუბული მოლოდინი შეიძლება წარმოიშვას როგორც შინაარსის, ისე რელევანტურ ენობრივ საშუალებათა გამოყენების შედეგად. გაცრეუბული მოლოდინის განზრახ შექმნით იზრდება ექსპრესიულობის ხარისხი.

წინადადების დონეზე გაცრეუბული მოლოდინის შექმნის ძირითად გზას წარმოადგენს აღნიშნული ეფექტის აქტუალიზაციისათვის ვალიდურ სტილისტურ საშუალებათა გამოყენება. აღნიშნულ საშუალებათა ფუნქციონირება ვლინდება დამაბულობის კლებით, ანტითეზისით, ზევგმით და სიტყვათა თამაშით.

დამაბულობის კლება შეიძლება განისაზღვროს როგორც დამაბულობის თანდათანობითი ზრდის (გრადაციის) გაქრობა, რაც მიიღწევა წინადადების ბოლო ნაწილში ისეთი სიტყვის ან ფრაზის გამოყენებით, რომელიც არ განეკუთვნება წინადადების დასაწყისის ერთეულების ლოგიკურ „სერიას“.

ანტითეზის საფუძველს წარმოადგენს ორი კონტრასტული იდეის ინტეგრირება ერთ წინადადებაში. სწორედ ამ ტიპის დაპირისპირებისაგან წარმოიქმნება წინადადების „ახალი“, მოულოდნელი ჟღერადობა. ზევგმა და სიტყვათა თამაში კი ეფუძნება ერთი და იმავე სიტყვის უნარს, ჩამოაყალიბოს ფრაზები სემანტიკურად სრულიად განსხვავებული სიტყვებით.

სტილისტურ საშუალებათა გამოყენება უზრუნველყოფს გაცრეუბული მოლოდინის შექმნას წინადადების დონეზე.

მასალის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ოპოზიციის არსებობა: „აზრობრივი მოლოდინი“ და „სიუჟეტური მოლოდინი“. „აზრობრივ მოლოდინში“ გამოიყო:

1. ონტოლოგიური მოლოდინი, რომელიც დამახასიათებელია სამყაროს მოწყობისათვის;
2. კომუნიკაციური მოლოდინი, რომელიც წარმოადგენს ურთიერთობის პრინციპებს;
3. ენობრივი მოლოდინი, რომლითაც ხასიათდება ენის სისტემა.

მოლოდინის ყველა სახეობას აერთიანებს ინტეგრალური თვისება - ადამიანის სტერეოტიპიზირებული დამოკიდებულება მოსალოდნელი ობიექტის მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოლოდინის ყველა სახეობის საფუძველში დევს ენობრივ ერთეულთა შეთანხმების თავისებურებათა შესახებ ცოდნის არსებობა, ენის მატარებელთა

წარმოდგენა „სიტუაციის ნორმალური განვითარების” თაობაზე ან ცოდნა ეფექტური ურთიერთობის განხორციელების პრინციპების შესახებ.

გაცრუებულ მოლოდინს წინ უძღვის მოლოდინი. ანტიციპაცია ხშირად ხელს უწყობს ცრუ მოლოდინის შექმნას დიდ ტექსტებში, სადაც სიუჟეტის განვითარებისას სულ უფრო იზრდება მკითხველის მოლოდინი. სწორედ ეს მოლოდინი აიძულებს მკითხველს მიაღწიოს ბოლომდე - იქ, სადაც ჩნდება ეფექტი, რომელიც ავტორს სჭირდება.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნებისმიერი მიზანმიმართული „შეფერხება”, „ჩავარდნა” აზროვნების ლოგიკაში, რომელზეც მრავალი ტექნიკაა აგებული, ასოცირდება გაცრუებული მოლოდინის ფენომენტთან. ლინგვისტიკაში ალოგიკურს მიაკუთვნებენ იმ ხერხებს, რომლებიც ეფუძნება სიტყვების სემანტიკური და სინტაქსური შეთანხმების რღვევას. სიტყვათშთანხმებებსა და წინადადებებში (ოქსიმორონი, კალამბური, ზევგმა). ალოგიკურ კავშირებს წარმოადგენს პარადოქსი.

პარადოქსი გააზრებულია როგორც ალოგიკური კავშირი წინადადების ორ ნაწილს ან რამდენიმე წინადადებას, ასევე ფრაზეოლოგიური ერთეულების კომპონენტებს შორის. აღნიშნულ ერთეულებში რეპრეზენტირებულია ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ზოგადად მიღებულ მოსაზრებებსა და კლიშეებს. უნდა აღინიშნოს, რომ პარადოქსული გამონათქვამი მხოლოდ ერთი შეხედვით ეწინააღმდეგება საღ აზრს - გადამოწმებისა და განმარტების შემდეგ აღმოჩნდება, რომ ასეთი გამონათქვამი სრულებითაც არ არის დისტანცირებული საღი აზრისაგან. წინააღმდეგობის შემცველ ყველა გამონათქვამს არ შეიძლება ეწოდოს პარადოქსი.

გრამატიკულ სტანდარტს შორის შეუსაბამობა და მისგან გადახრა „ჩრდილავს” პარადოქსული წინააღმდეგობის არსს, ვინაიდან შეტყობინების მიმღების ყურადღება იფანტება გამონათქვამის ფორმასა და შინაარსს შორის. გრამატიკული წინააღმდეგობის ფონზე იკარგება სემანტიკური წინააღმდეგობა (სემენი / Семён, 1987, გვ.: 80-83).

სპეციალური ლიტერატურის ანალიზის შედეგად გაგვიჩნდა შთაბეჭდილება, რომ ლინგვისტები განიხილავენ გაცრუებული მოლოდინის შემქმნელ ენობრივ საშუალებებს ერთმანეთისაგან იზოლირებულად.

ზოგი ლინგვისტისათვის გაცრუებული მოლოდინის შექმნის მექანიზმი ასოცირდება ანტიფრაზისის, კორექციისა და კალამბურის სხვადასხვა ტიპის გამოყენებასთან, ზოგი

მკვლევარი კი თვლის, რომ გაცრუებული მოლოდინის შექმნის უნარი გააჩნია ზევგმასა და ოქსიმორონს. მკვლევართა ნაწილი გაცრუებული მოლოდინის შექმნის საფუძვლად მიიჩნევს მხატვრულ პარადოქსებს, პარალელიზმებს, იდიომების დეფორმაციასა და ალოგიზმის სხვადასხვა სახეობის გამოყენებას. ზოგიერთი ლინგვისტის თვალსაზრისით, ლექსიკურ დონეზე გაცრუებული მოლოდინი იქმნება არქაიზმების, ნეოლოგიზმების, პოეტიზმებისა და ბარბარიზმების გამოყენების გზით.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ არ არსებობს გაცრუებული მოლოდინის ენობრივი სტატუსის მკაფიო განმარტება: ისევ ელოდება პასუხს შეკითხვა: რა არის გაცრუებული მოლოდინი - ეფექტი თუ სიტუაცია? ამის მიზეზად კი მივიჩნევთ იმ ფაქტს, რომ დღემდე არ განხორციელებულა გაცრუებული მოლოდინის რეალიზაციის საშუალებათა კომპლექსური ანალიზი.

1.2. გაცრუებული მოლოდინი მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის თეორიებში

კვლევის ობიექტის შესწავლა განხორციელდა ვერბალური შეტყობინებების წარმოებისა და აღქმის მექანიზმების მოდელირებით ლინგვოკოგნიტური მეთოდის გამოყენების მეშვეობით გაცრუებული მოლოდინის სიტუაციის კონტექსტში.

მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის მოდელირების პრობლემის განხილვა შეუძლებელია იმ საკითხის შესწავლის გარეშე, თუ როგორ ხორციელდება მეტყველების პროდუცირება და მეტყველების აღქმა და როგორია მოცემული პროცესების სამეცნიერო აღწერისადმი ძირითადი თანამედროვე მიდგომები.

კვლევის თეორიულ ნაწილში განვიხილავთ გამონათქვამების პროდუცირებისა და აღქმის ძირითად მოდელებს, „შინაგანი კონტექსტის“ თეორიას, როგორც მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის ფუნქციონირების კოგნიტურ ბაზას, გაცრუებულ მოლოდინს როგორც პროცესის მოდელირებისათვის საჭირო მონაცემთა მიღების წყაროს.

ჩვენ მივმართავთ ისეთ ცნებებს, როგორებიცაა: „ინტერპრეტაციის შინაგანი კონტექსტი“, „მენტალური ლექსიკონი“, „განწყობის თეორია“, „ტექსტის პროექცია“, „გაცრუებული მოლოდინის ეფექტი“, „ექსპექტაციები“, „ალბათობითი პროგნოზირება“.

მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების გაგების პროცესების ურთიერთქმედების პრობლემას ემყარება ფსიქოლინგვისტიკა, როგორც მეცნიერება ურთიერთობების შესახებ (Cutler, 2005). აღსანიშნავია, რომ ფსიქოლინგვისტიკის განვითარების საწყის ეტაპებზე დომინირებდა ვერბალურ შეტყობინებათა კვლევა, ვინაიდან აღქმაზე ორიენტირებული სტიმულის კონტროლი ნაკლებად შრომატევადია, ვიდრე სპონტანურ მეტყველებაზე დაკვირვება.

თანამედროვე ეტაპზე რაოდენობა იმ ნაშრომებისა, რომლებიც ეძღვნება დისკურსის წარმოებასა და გაგებას, გათანაბრდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერიმენტალური გზით დაგროვილი ცოდნა მეტყველების პროდუცირების მექანიზმთა შესახებ, ძირითადად, ეფუძნება აფაზიოლოგიას. კოგნიტური ტერმინების მოკლე ლექსიკონის თანახმად, „მეტყველების პროდუცირება ერთ-ერთია სამეტყველო მოღვაწეობის ორი უმთავრესი პროცესიდან, რომელიც მდგომარეობს საუბრის დაგეგმვასა თუ

რეალიზაციაში ბგერებისა თუ გრაფიკული ნიშნების გამოყენებით” (კუბრიაკოვა / Кубрякова, 1997:129).

ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით აქტუალურია შემდეგი იდეა: მეტყველების პროდუცირება გახლავთ აზრიდან სიტყვისკენ, აზრიდან მნიშვნელობისკენ მიმავალი რთული, მრავალმხრივი პროცესი, რომელიც რამდენიმე ეტაპისგან შედგება და რომელიც მიმდინარეობს ევრისტიკულობის (ლეონტიევი / Леонтьев, 2005), მეტყველების აღქმის აქტიური ხასიათის და სავარაუდო პროგნოზირების პრინციპების შესაბამისად.

მოცემული საკითხის განხილვა შეუძლებელია შინაგანი მეტყველების პრობლემასთან მისი მიმართების განხილვის გარეშე. შინაგანი მეტყველება წარმოადგენს „სამეტყველო აზროვნების განსაკუთრებულ შიდა სფეროს, რომელიც განაპირობებს აზრსა და სიტყვას შორის დინამიურ დამოკიდებულებას” (ვიგოცკი / Выготский, 1982: 353). აზრი თავისთავად ყოველთვის არის რაღაც სრული; მისი განგრძობადობითა და მოცულობით ის ყოველთვის მნიშვნელოვნად აღემატება ცალკეულად აღებულ სიტყვას. „ის, რაც აზრში სიმულტანურია, მეტყველებაში თანმიმდევრულია”. [Op.cit.: 356]

ამგვარად, მეტყველება და აზროვნება გააზრებულია როგორც ერთგვარი დინამიური მთელი, სადაც აზრისა და სიტყვის ურთიერთკავშირი განიხილება ერთიდან მეორე პლანისაკენ სვლად. თავდაპირველად ხორციელდება გადასვლა მოტივიდან, რომელიც აზრის პროვოცირებას ახდენს, აზრის ჩამოყალიბებისკენ, რასაც თან ახლავს მის შინაგან სიტყვად ფორმირება; შემდეგ ხდება აზრის სიტყვების მნიშვნელობაში კრისტალიზაციაზე გადასვლა და მხოლოდ საბოლოო ეტაპზე პროცესი სრულდება სიტყვაში. [Op.cit.: 358].

მაგრამ, აღწერილი გზა აზრიდან სიტყვამდე რეალურად ყოველთვის როდი ხორციელდება. არსებობს ერთიდან მეორე პლანზე გადასვლის სხვადასხვა ვარიანტი. ნ. ი. ჟინკინმა დააზუსტა ლ.ს. ვიგოცკის წარმოდგენა უნივერსალურ საგნობრივ კოდზე. ჟინკინის თქმით, უფრო უპრიანი იქნებოდა საუბარი არა მეტყველების ორ სახეობაზე (შინაგანი და გარეგანი), არამედ ორ ენაზე. მეცნიერების თვალსაზრისით, უნივერსალური საგნობრივი კოდი აპროგრამებს გამოთქმას და მიეკუთვნება შინაგან ენას, მაშინ როდესაც გარეგანი ენა რეალიზდება გრამატიკული კოდის გავლით (ჟინკინი / Жинкин, 1982: 140).

ამგვარად, გამონათქვამის ფორმირების ძირითად პრობლემას წარმოადგენს არსის მნიშვნელობაში გადასვლა. ლ. ს. ვიგოტსკის იდეების საფუძველზე ა. რ. ლურამ ჩამოაყალიბა თვალსაზრისი გამონათქვამის შიდა დინამიური სქემის შესახებ, რომლის თანახმადაც, გამონათქვამი გადის ჩამოყალიბების შემდეგ ეტაპებს:

1. პირველადი, „სემანტიკური ჩანაწერის“ ეტაპი (ამოსავალი სქემა), რომელიც წარმოადგენს შეკუმშულ გამონათქვამს, რომელიც მოიცავს თემასა და რემას და რომელიც შემდგომში გარდაიქმნება ერთმანეთთან თანმიმდევრულად დაკავშირებულ სიტყვათა სისტემად;
2. შინაგანი მეტყველების ეტაპი, რომელზეც შინაგანი აზრი გარდაიქმნება გავრცობილ, სინტაქსურად ორგანიზებულ მნიშვნელობათა სისტემად;
3. გავრცობილი გამონათქვამის ფორმირების ეტაპი.

მესამე ეტაპი ნაკლებად შესწავლილია იმ მიზეზით, რომ, ერთი მხრივ, გაშლილი გამონათქვამი ჩართულია სასაუბრო ურთიერთობის პროცესში, და, მეორე მხრივ, „მის შემადგენლობაში შედის არა ერთი წინადადება, არამედ ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა მთელი ჯაჭვი“ [Op.cit.: 197].

პირველ რიგში, გავრცობილი გამონათქვამის შემადგენლობის ცალკეული ფრაზებისა და წინადადებების შესწავლა კონტექსტის მიღმა შეუძლებელია. მეორე რიგში, წინადადებებს, რომლებიც შედიან გავრცობილ გამონათქვამებში, რეფერენტულის გარდა, აქვთ სოციალურ-კონტექსტური მნიშვნელობა, ამიტომაც, ა. რ. ლურამს აზრით, გამონათქვამის ფორმირების პროცესის წმინდა ლინგვისტური ანალიზი არ არის საკმარისი, ვინაიდან ეს უკანასკნელი წარმოადგენს უფრო ფართო ფსიქოლოგიური ანალიზის მხოლოდ ერთ-ერთ რგოლს.

ლ. ს. ვიგოტსკის იდეები თავის ნაშრომებში განავითარა ა.ა.ლეონტიევმა, რომელმაც შემოგვთავაზა მეტყველების პროდუცირების მოდელი, რომელიც მოიცავს:

1. მოტივაციის ეტაპს;
2. ჩანაფიქრის ეტაპს;
3. ჩანაფიქრის განხორციელების ეტაპს;
4. რეალიზებული ჩანაფიქრის თავად ჩანაფიქრთან კონტრასტირების ეტაპს.

მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ა.ა.ლეონტიევის წარმომქმნელი მექანიზმების მოდელი ეფუძნება შემდეგ მეთოდოლოგიურ პრინციპებს:

1. ანალიზი უნდა განხორციელდეს „ერთეულებით“ და არა „ელემენტებით“, სხვა სიტყვებით, იმ ერთეულებით, რომლებსაც, ელემენტებისაგან განსხვავებით, ახასიათებს მთელისათვის ტიპური ყველა მახასიათებელი (ვიგოცკი, 1982: 48). მინიმალურ ერთეულად ა. ა. ლეონტიევი მიიჩნევს ელემენტარულ ქმედებას, „ქმედების ელემენტარულ „უჯრედს“, რომელსაც ახასიათებს ქმედების ყველა ნიშანი (ლეონტიევი, 2005: 263);
2. ერთეულები სამწევრიანია და მოიცავენ დაგეგმვის, განხორციელებისა და კონტრასტირების ფაზებს;
3. უნდა შეირჩეს გამონათქვამის წარმოქმნის ოპტიმალური გზა, რომელიც შეესაბამება ექსპერიმენტულ სიტუაციას;
4. უნდა იქნეს გაზიარებული ალბათური პროგნოზირების იდეა, რომელიც სათავეს იღებს ნ. ა. ბერნშტეინის ნააზრევიდან (ბერნშტეინი / Бернштейн, 1997);
5. უნდა იქნეს გათვალისწინებული მეტყველების აღქმის, როგორც აქტიური პროცესის, სპეციფიკა.

აღნიშნული პრინციპების საფუძველზე ა. ა. ლეონტიევი გვთავაზობს მეტყველების პროდუცირების ეტაპთა შემდეგ თანმიმდევრობას:

1. გამონათქვამის გრამატიკულ-სემანტიკური კომპონენტის პროგრამირება;
2. გამონათქვამის გრამატიკული რეალიზება და სიტყვათა შერჩევა;
3. გამონათქვამის კომპონენტების (სინტაგმების) მოტორული პროგრამირება;
4. ბგერების შერჩევა;
5. რეალიზაცია (ლეონტიევი, 2005: 265).

გამოიყოფა აზრობრივი გავრცობის ორი სტადია, რომელთაგან პირველი მიმდინარეობს ტექსტის აგების სქემათა კონტროლის ქვეშ. პირველ სტადიაზე რეალიზდება მოსაუბრის განზრახვა, კონტექსტისა და მსმენელის სპეციფიკის გათვალისწინება. მეორე სტადია კი მიმდინარეობს სემანტიკური სინტაქსის სქემათა კონტროლის ქვეშ და უზრუნველყოფს სიტუაციის კომპონენტთა მიმართებების „ობიექტივიზაციას“ (ახუტინა / Ахутина, 1985: 100).

ლინგვისტები გამოყოფენ გამონათქვამის წარმოქმნის სამ ძირითად პროცესს: მამოტივირებელს, მაფორმირებელს და მარეალიზებელს.

აღნიშნულ მოდელში ჩანაფიქრი წარმოადგენს პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელს, ხოლო თავად პროგრამა გააზრებულია როგორც „დინამიური წარმონაქმნი, რომელიც იქმნება სივრცობრივ-დროით სქემაში აზრის გავრცობის პროცესში“ (ზიმნაია / Зимняя, 1985: 95].

აღნიშნული მოდელის ავტორის თვალსაზრისით, მოდელის მარეალიზებელი დონის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ აქ არტიკულაციური პროგრამა ხორციელდება სივრცობრივ-აქტიური სქემის აქტუალიზაციასთან ერთად. თავად ავტორის აზრით, საუბრის წარმოების შემოთავაზებული სამწევრიანი მოდელის უპირატესობა მისი ყველა დონის ურთიერთდაკავშირებულობა და ურთიერთგანპირობებულობა, ასევე მეტყველების პროდუცირების ყველა დონის ერთდროული რეალიზაციაა.

აღნიშნული მოდელის თაობაზე სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია შემდეგი თვალსაზრისი: მოდელი, რომლის ერთეულსაც წარმოადგენს მექანიზმი „TOTE“ (Test-Operate-Test-Exit), ენობრივი პროცესების სამეტყველო ქმედების საფუძველია (მილერი, გალანტერი და პრიბრამი / Миллер & Галантер & Прибрам, 1965).

მოდელში წარმოდგენილი უკუკავშირი, უფრო ზუსტად კი, მიღებული შედეგის მუდმივი ანალოგიზაცია-კონტრასტირება სასურველთან, ნამდვილად დევს არა მხოლოდ სამეტყველო ქმედების, არამედ ადამიანის ქცევის ნებისმიერი სხვა სახეობის საფუძველში.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ მოდელის მკაცრი ალგორითმისა, იგი ეხმიანება ა. ა. ლეონტიევის მოდელს: ორივე მოდელის საფუძველს წარმოადგენს მოქმედებითი მიდგომა. ნ. ა. ბერნშტეინმა ჩამოაყალიბა თვალსაზრისი მოქმედებითი მოდელის შესახებ თავის კონცეფციაში, რომელშიც მოქმედების შესრულების აუცილებელ პირობად დაასახელა „წინ ხედვა“, „მომავლის ექსტრაპოლაცია“, სხვა სიტყვებით, მომავლის მოდელირება, კონსტრუირება (ბერნშტეინი, 1966: 182). ასე, სრულიად კანონზომიერია მკვლევარის პროტესტი ტვინის მიერ სენსორული ინფორმაციის პასიური მიღების იდეის წინააღმდეგ. ნ.ა. ბერნშტეინის აქტივობის პრინციპი იკვეთება რეალობის წინმსწრები არეკვლის პრინციპთან (ანოხინი / Анохин, 1962).

მეტყველების წარმოქმნის პრობლემის განხილვისას იკვეთება შინაგანი მეტყველების მნიშვნელოვნება, ვინაიდან ბუნებრივი ენის მიღმაც კი იგი ანზოგადებს მსგავს მოვლენებს და ქმნის ტიპურ ნიმუშებს, რაც მომავალში იძლევა ობიექტური რეალობის ელემენტების ანალიზის, არსებითის არაარსებითისგან დიფერენცირებისა და მსგავსი ნიშნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

აღწერილი ოპერაციები მოიცავენ ორ წინასამეტყველო ეტაპს, რომლებზეც ხორციელდება ალბათობითი პროგნოზირება და შედეგის სპეციფიკის წვდომა.

დიდია იმ სტერეოტიპთა როლი, რომლებიც ახდენენ ზეგავლენას შეტყობინების ლექსიკურ რეპერტუარზე. ადამიანები სტერეოტიპულად რეაგირებენ სტერეოტიპულ სტიმულებზე. ნებისმიერი მუდმივი მკითხველის მეხსიერებაში არსებობს რეაგირებისათვის მზა სიტყვათაშეთანხმებები. საწყის ეტაპზე შიდა მეტყველებაში ანტიციპირდება საერთო თემა, შემდეგ დამუშავებისა და კონკრეტიზაციის ეტაპზე ვლინდება ქვეთემა, რის შემდეგაც პროდუცირდება ტექსტები, რომლებიც ასახავენ უკვე კონკრეტულ სიტუაციას.

გამონათქვამის წარმოქმნის პრობლემის განხილვამ გამოავლინა მოდელების მსგავსება. პრობლემის განხილვამ გამოკვეთა შემდეგი დებულებები:

1. გამონათქვამის შინაარსის კონსტრუირება წინ უსწრებს მეტყველებაში მისი გამოსახვის ფორმის მოდელირებას. შეტყობინების გარეგანი გაფორმება მიმდინარეობს იმ ენობრივი ნიშნების ექსპლიკაციის მეშვეობით, რომლებიც მეტყველების აღქმის მომენტისათვის უკვე ინახებიან გრძელვადიან მეხსიერებაში. გამოხატვის შესაფერისი საშუალებების ძიება მიმდინარეობს სელექციისა და კონტროლის ეტაპებზე, რომლებიც ფუნქციონირებენ მეტყველების პროდუცირების მთელი პროცესის განმავლობაში;
2. შეტყობინების შინაარსის კონსტრუირების მექანიზმი უნივერსალურია და არ არის დამოკიდებული ამა თუ იმ ენის სინტაქსზე;
3. სამეტყველო ქმედების ძირითად კომპონენტებს წარმოადგენს მოტივი, ინტენცია (კომუნიკაციური მიზანდასახულობა) და ანტიციპაცია, როგორც მომავლის წინჭვრეტა. შინაარსის ანტიციპაცია და გამოთქმის ფორმის ანტიციპაცია ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, მაგრამ ისინი ფუნქციონირებენ ურთიერთქმედებაში;

4. მეტყველების კონსტრუირების პროცესში ანტიციპაციის მექანიზმი მუშაობს პარალელურად სხვადასხვა მიმართულებით: ერთდროულად ხორციელდება გამონათქვამის შინაარსის, გამონათქვამის ფორმალური პლანის, ურთიერთობის სიტუაციისა და ადრესატის ინდივიდუალური მახასიათებლების წინჭვრეტა.

მეტყველების პროდუცირების პრობლემა განუყოფელია გამონათქვამის გაგების პრობლემისგან: ერთად ეს მექანიზმები ქმნიან სამეტყველო ქმედების საფუძველს.

1.3. მეტყველების აღქმა და პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის წარმატებულ რეალიზაციას

კოგნიტური ტერმინების ლექსიკონში „გაგებას“ შემდეგი განმარტება აქვს: „აღქმა (understanding, comprehension; Verstehen, Verständigung, entendement) კოგნიტური ქმედებაა (სამეტყველო ქმედების სახესხვაობაა), რომლის შედეგსაც წარმოადგენს კონკრეტული ობიექტის (ძირითადად, ტექსტისა ან დისკურსის) არსის დადგენა“ (კუბრიაკოვა, 1997: 124). კოგნიტური თვალსაზრისით, გაგების პროცესის წარმატებულობა განპირობებულია რამდენიმე კომპონენტის (მოდულის) ურთიერთქმედებით. ეს კომპონენტებია:

1. ენობრივი ცოდნის გამოყენება;
2. ჰიპოტეტიურ ინტერპრეტაციათა კონსტრუირება და ვერიფიცირება;
3. ნათქვამის ათვისება;
4. ავტორის განზრახვათა რეკონსტრუქცია;
5. შიდა და მოდელურ სამყაროებს შორის ცდომილების ხარისხის განსაზღვრა;
6. მოდელური სამყაროს შეფარდება რეალობის უშუალო აღქმასთან;
7. ქცევასთან შესაბამისობის დადგენა;
8. „ტონალობის“ შერჩევა [Op.cit: 125-126].

აქტივობის პრინციპი უმნიშვნელოვანესია ტექსტის აღქმის პროცესშიც. მეტყველების აღქმა და გაგება რთული და მრავალწახნაგოვანი მთლიანობის ორი ურთიერთმოქმედი შემადგენელია.

ტექსტის გაგების პროცესის ფსიქოლინგვისტური კვლევის თავისებურებათა განხილვისას იკვეთება ტექსტის ვარიატიულობისა და მისი წყაროების მნიშვნელოვნება, რამაც გამოიწვია ბევრი მეცნიერის განსაკუთრებული ინტერესი.

ტექსტის გაგების პროცესის ფსიქოლინგვისტური კვლევის შედეგებმა გამოავლინა შემდეგი კანონზომიერება: კითხვის პროცესში ნებისმიერი მკითხველი დამოუკიდებლად აგებს წაკითხულის შინაარსს - რაღაცას ამატებს, ან პირიქით, აკლებს მას. ტექსტის მკითხველისეული პროეცირება ხორციელდება ტექსტისათვის საკუთარი აზრების, გრძნობებისა და ხატების მიწერით. შესაძლებელია საუბარი არა მხოლოდ ტექსტის, არამედ ტექსტის ავტორის პროექციაზეც. ტექსტის შინაარსის ფსიქოლოგიური ბუნება და არა სიტყვები და ასოები, აღვიძებენ მკითხველში გრძნობებსა და განცდებს. მკითხველის

სოციალური სტატუსისა და ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, განცდილი გრძნობები სხვადასხვაგვარია, შესაბამისად, ერთი და იგივე ტექსტის შინაარსი სხვადასხვაგვარადაა აღქმული სხვადასხვა მკითხველის მიერ.

მკვლევარები გამოყოფენ ტექსტის გაგების ვარიაციულობის სამ ძირითად წყაროს:

1. ტექსტის გარდაქმნილ ხასიათს;
2. ენობრივი პიროვნების ინტელექტის კოდის ვერბალურ მეტყველებაზე გადასვლისა და უკუსვლის არაერთნიშვნელოვნებას;
3. ტექსტში აზრობრივი „სიღრმეების“ არსებობას.

ტექსტის გარდაქმნილი ხასიათი გულისხმობს ტექსტის აღქმას, როგორც რეალობის გაშუალებული აღქმის საშუალებას, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეციპიენტს გააჩნია განსაკუთრებული ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს ტექსტური ნიშნებისა და მათით ჩანაცვლებული ობიექტების შეფარდებას.

მეორე დასახელებული წყარო დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ უნივერსალური საგნობრივი კოდის გავლით გადასვლა იდეალური სახეებიდან - „ხატებიდან“ (რომლებიც წარმოიქმნენ ქმედებაში და ფუნქციონირებენ აზროვნებაში) წერილობით ტექსტში დაფიქსირებულ ვერბალურ მეტყველებაზე არაერთნიშვნელოვანია. ერთსა და იმავე ცოდნას სხვადასხვა ადამიანი განსხვავებული ფორმის ტექსტებში გადმოსცემს და ერთი და იმავე ტექსტის აღქმისას სხვადასხვა რეციპიენტს არაიდენტური აზრები უჩნდება.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტექსტის აღქმის ვარიაციულობა წარმოადგენს რეციპიენტის იმ ცოდნის თვისებრივი არათანხვედრის შედეგს, რომელიც ქმედებას იწყებს აღქმის პროცესში. სწორედ ვარიაციულობა გვამღვებს შესაძლებლობას ვამტკიცოთ, რომ ტექსტის წარმოქმნისა და ტექსტის აღქმის ყოველ ეტაპზე ჩნდება თავისი მახასიათებლებით უნიკალური ტექსტი და ეს უნიკალურობა იქმნება იდეალური სახეებით (მნიშვნელობებით), რომელთა „მფლობელებიც“ არიან ავტორი - ტექსტის შემქმნელი და რეციპიენტი - ტექსტის მკითხველი (ტექსტის მსმენელი).

ტექსტის გაგების ვარიაციულობისადმი განხილული მიდგომა ეყრდნობა მ. მ. ბახტინის თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ გაგება ქმნის ჯაჭვს: „სიტუაცია - ტექსტი როგორც სიტუაციის არეკვლა - ტექსტის გაგება როგორც ანარეკლის არეკვლა“. აქ იკვეთება ბახტინის დიალოგიზმის (ორსუბიექტიანობის) კონცეფციის არსი, რომლის თანახმადაც

პირველადი და მეორადი გაგება ხორციელდება სხვადასხვა სუბიექტის მიერ. გაგება აქტიურია, რაც მოტივირებულია სუბიექტის აქტივობით რეალობის ასახვის პროცესში. გაგება, როგორც მეტარეკვა, უზრუნველყოფილია უკვე არა დენოტატივით, არამედ ცნობიერებაში ტრანსფორმირებული სიგნიფიკატივით (ბახტინი / Бахтин, 1986: 317).

ამრიგად, გაგებისას საქმე გვაქვს არა დენოტატივებთან, არამედ სიგნიფიკატივებთან. აქვე იკვეთება მიმართება გაგების ხარისხსა და მოსაუბრეთა სიგნიფიკატივთა ინდივიდუალურ ველებს შორის არსებულ დამთხვევებსა და ცდომილებებს შორის. მნიშვნელოვანია სიგნიფიკატივების ინდივიდუალურ ველთა არათანხვედრის სპეციფიკის გააზრება: ერთია, როდესაც მსმენელს არ გააჩნია საკმარისი ცოდნა ამა თუ იმ მოვლენაზე და მეორეა, როდესაც ეს ცოდნა არსებობს, მაგრამ ან არ ემთხვევა, ან ეწინააღმდეგება მოსაუბრის ცოდნის ხარისხს. პირველ შემთხვევაში ურთიერთგაგება უფრო მარტივად და უმტკივნეულოდ მიიღწევა, ვინაიდან ახალი ინფორმაცია არ ეწინააღმდეგება უკვე არსებულს.

დავუბრუნდეთ გაგების დიალოგიზმის თეორიას: მ. მ. ბახტინთან დიალოგური ურთიერთობები არ დაიყვანება არც წმინდა ლოგიკურ, არც ლინგვისტურ, არც ფსიქოლოგიურ, არც მექანიკურ და არც ნებისმიერ სხვა არსებულ ბუნებრივ ურთიერთობებზე. „ეს აზრობრივი ურთიერთობების განსაკუთრებული ტიპია, რომლის წევრებიც შეიძლება იყვნენ მხოლოდ მიზნობრივი გამონათქვამები, რომელთა უკან დგანან (და რომლებშიც გამოხატავენ საკუთარ თავს) რეალური ან პოტენციური მეტყველი სუბიექტები, მოცემულ გამონათქვამთა ავტორები” (ბახტინი, 1986: 320).

ენობრივი ერთეულებისგან განსხვავებით, რომელთა რეპროდუცირება შესაძლებელია და რომელთა შორის შეუძლებელია დიალოგური ურთიერთობების არსებობა (მათ შორის შესაძლებელია მხოლოდ ლინგვისტური ურთიერთობების არსებობა), გამონათქვამები არარეპროდუცირებადია. ყოველი მათგანი წარმოადგენს მთლიანობას და დაკავშირებულია სხვა გამონათქვამებთან დიალოგური ურთიერთობებით.

იმის გამონათქვამი, ვისაც პასუხობენ, უკვე არსებობს, ხოლო პასუხი მასზე ჯერ კიდევ მომავლის საქმეა – სწორედ ეს დევს გამონათქვამის კონსტრუირების ტექნოლოგიის საფუძველში: „ჩემი გამონათქვამის ჩამოყალიბებისას მე ვცდილობ ის აქტიურად განვსაზღვრო; მეორე მხრივ, მე ვცდილობ იგი წინასწარ განვჭკვიტო და ეს წინასწარგანჭკვირებული პასუხი, თავის მხრივ, ახდენს აქტიურ გავლენას ჩემს

გამონათქვამზე... საუბრისას მე ყოველთვის ვითვალისწინებ ადრესატის მიერ ჩემი საუბრის აღქმის აპერცეპციურ ფონს: რამდენად გათვითცნობიერებულია ის სიტუაციაში, ფლობს თუ არა მოცემული ურთიერთობის კულტურული სფეროს სათანადო ცოდნას, მის შეხედულებებს, მისწრაფებებს, სიმპათიებს და ანტიპათიებს – ეს ყველაფერი ხომ განსაზღვრავს მის მიერ ჩემი გამონათქვამის საპასუხო აქტიურ გაგებას” (1986: 291).

გამონათქვამის კონსტრუირების პროცესში ჩართული სიტყვები ყოველთვის ენის სისტემიდან ნეიტრალური სალექსიკონო ფორმით არ შეირჩევა - ისინი, ჩვეულებრივ, სხვა გამონათქვამებიდანაა აღებული. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ჟანრის, სტილის, თემისა და კომპოზიციის თვალსაზრისით მონათესავე გამონათქვამები.

შეიძლება დავასკვნათ, რომ გაგების დიალოგიზმი, მ. მ. ბახტინის მიხედვით, ემყარება ეტაპების შემდეგ თანმიმდევრობას: „ამოსავალი წერტილი - მოცემული ტექსტი - უკუსვლა - ძველი კონტექსტები - მოძრაობა წინ - მომავალი კონტექსტის წინასწარჭვრეტა და ახალი კონტექსტის შექმნა” (1979:349,364).

გაგების პრობლემის კვლევისას ვლინდება „აზრობრივი მაკრატლის” ფენომენი - ნიშნობრივი კომუნიკაციის პროცესში პარტნიორთა ტექსტური მოღვაწეობის აზრობრივი „ფოკუსების” არათანხვედრა, რომლის შედეგადაც იქმნება „ვაკუუმი”. ეს, პირველ რიგში, არის ტექსტური ენობრივი საშუალებების შეუსაბამობა ადრესატის „ენობრივ რესურსებთან”, ტექსტის შინაარსობრივ-აზრობრივი სტრუქტურის შეუსაბამობა მის ვერბალიზაციასთან (ავტორის უუნარობა, გამოხატოს ტექსტში საკუთარი ჩანაფიქრი), რეციპიენტის ინდივიდუალური ცნობიერების სემიოსოციოფსიქოლოგიური ორგანიზების სპეციფიკა, რომელიც ხშირად ხელს უშლის ინფორმაციის ადეკვატურ გაგებას (დრიძე / Дридзе, 1984: 260)

კოგნიტური საწყისის უნივერსალიზაციის მოვლენაზე მსჯელობისას იკვეთება ორი მნიშვნელოვანი საკითხი.

პირველი ეხება გაგების და ცოდნის შესატყვისობას როგორც მსოფლალქმის ორი ძირეული ელემენტის მნიშვნელოვნებას: ზოგ სიტუაციაში სამყაროს ათვისების გაგება იმდენადვე პირველადია ცოდნასთან მიმართებაში, რამდენადაც ცოდნა პირველადია გაგებასთან მიმართებაში სხვა სიტუაციებში. რაც შეეხება აზრს, იგი გენეტიკურად ყოველთვის

პირველადია მნიშვნელობასთან მიმართებაში, რომელიც ექვემდებარება არა შექმნას ან აღდგენას, არამედ საკუთრივ ცოდნას.

მეორე საკითხი დაკავშირებულია ცალკეულად აღებული ინდივიდის აღქმასთან: ინდივიდს არ შეუძლია იცოდეს ყველაფერი, რისი ცოდნაც მას სურს და მას არ შეუძლია ყველაფრის შემეცნება, რისი შემეცნებაც სურს. სწორედ აქ იკვეთება გაგების მოხმობის აუცილებლობა. აღნიშნული აუცილებლობა კი განპირობებულია შემდეგი ფაქტით: გაგება შეიარაღებულია ტექნიკით და თვითრეფლექტირების უნარით.

სპეციალურ ლიტერატურაში ფიქსირდება თვალსაზრისი, რომელიც უარყოფს თანამედროვე ჰუმანიტარულ ცოდნაში ნიშნობრიობის აბსოლუტიზაციისა და უნივერსალიზაციას, კერძოდ კი, ცოდნის სიზუსტესა და ობიექტურობას ტექსტის შინაარსის ათვისების პროცესში. აღნიშნული თვალსაზრისის არარაციონალურობა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით:

1. არ იკვეთება განსხვავება შინაარსთა და აზრთა სფეროებს შორის;
2. აღრეულია აზრთა და მნიშვნელობათა შინაარსები;
3. ცოდნა გააზრებულია ცნების სახით წარმოდგენილ უნივერსალურ სტიქიად;
4. უგულებელყოფილია გაგების, როგორც ცოდნის ბევრი სახეობის წყაროს ფენომენი;
5. გამორიცხულია შესაძლებლობა იმისა, რომ ადამიანს შეიძლება არ ესმოდეს ის, რაც იცის.

დღეს აქტუალურია თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, ტექსტის გაგება ხორციელდება არა ცოდნაზე, არამედ გაგების რეფლექტური ბუნების მქონე ტექნიკაზე დაყრდნობით. აღნიშნული ტექნიკა ააქტივირებს რეციპიენტის რეფლექტურ რეალობას, რის შედეგადაც ახალი ტექსტური სიტუაციის ათვისება ხდება ოდესღაც წარსული გამოცდილების ოდესღაც განცდილი ონტოლოგიური ხატების მეშვეობით.

გაგების ტექნიკის განხილვისას გამოყოფენ: მეტაფორიზაციას; ინტენდირების ტექნიკას; ჰერმენევტიკური წრის ტექნიკას; განსაგნების ტექნიკას.

პირველი სამი ტექნიკა ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, აღიქვას ეროვნულ-კულტურული შინაარსები, რომლებიც შეადგენენ სხვა ხალხების აზრთა სამყაროს. ამგვარად, არ არსებობს მიუწვდომელი აზრი – არსებობს გაგების ტექნიკის არაკორექტული ფლობა (ან არქონა): იმ აზრთა ჰერმენევტიკური გააზრებისას, რომლებიც

დგანან ნებისმიერ კონკრეტულ ენაზე უფრო მაღლა, არ ფიქსირდება კულტურათაშორისი შეუღწევადობა. აქ ნებისმიერი კულტურის თავისებურებათა შეფასების შესაძლებლობა ორგანულად ერწყმის იმ აზრთა სამყაროს არსის გაგებას, რომელშიც ცხოვრობენ ამ კულტურის კოლექტიური თუ ინდივიდუალური მატარებლები. სწორედ ამაში ძვეს მრავალფეროვნებისა და ერთობის არსი.

მეტაფორულ გადატანას ავტორები მიიჩნევენ გაგების მთავარ მექანიზმად ყველა დონეზე, ხოლო კოგნიტური ბარიერების წარმოქმნას უკავშირებენ კომუნიკანტების კონცეპტუალურ სფეროთა არათანხვედრას. შესაბამისად, კოგნიტური ბარიერები ჩნდება სუბიექტის გარემომცველ რეალობასთან შეჯახების შედეგად, უფრო ზუსტად კი, მის აზრობრივ მოდელთან, რომლის მატარებლებიც არიან სხვა სუბიექტები ან ფასეულობები. ამგვარად, ხორციელდება კოგნიტური ბარიერის შექმნის აუცილებელი პირობა – სუბიექტის კოგნიტური გამოცდილების კონტაქტში შესვლა უცხო კოგნიტურ გამოცდილებასთან ან თავად რეალობასთან.

შემეცნების პროცესში შემცნობი სუბიექტის თავში „ლაგდება“ აზრთა და მნიშვნელობათა განსაზღვრული სისტემა, რომელიც მუდმივად იცვლება, კორექტირდება და შედგება ტექსტისაგან – ნიშნობრივი სისტემისა და ფონური ცოდნისაგან, რომელიც საჭიროა ამ ტექსტის გასაგებად. ტექსტის აზრის ფორმირების საფუძველს წარმოადგენს ფონური ცოდნის სისტემა, რომლის სემანტიკისაგანაც მიიღება შესაბამისი ფრეიმი. შედეგად ივსება აღქმაში არსებული ლაკუნები და ხდება ტექსტის გაგება (დეიკი, 1989; კინჩი, 1989; ვან დეიკი, 1983; / Деїк 1989; Kintsch 1977; Van Dijk 1983).

გაგების პროცესი სრულიად დამოკიდებულია რეციპიენტის ფონურ ცოდნაზე და არა მხოლოდ მის უშუალო გამოცდილებაზე ან კულტურულ ტრადიციებზე, ტექსტში ჩადებულ ინფორმაციაზე. რეციპიენტის ფონური ცოდნის მოცულობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ტექსტის გაგების მექანიზმის ფორმულირებისა და კონკრეტული სუბიექტის მიერ ტექსტის გაგების პროცესის პროგნოზირებისათვის (ლი ნი და კინჩი / Le Ny & Kintsch, 1982: 35].

ტექსტის გაგების საკითხთან დაკავშირებით ხშირად განიხილება მსმენელის გრამატიკა, რომელიც, ისევე როგორც მოლაპარაკეს გრამატიკა, ატარებს ავტომატიზირებულ ხასიათს: იგულისხმება, რომ კონტროლის მექანიზმის მიზანია შეტყობინების აზრის ვერიფიცირება, იმ დროს, როდესაც მორფოლოგიური და სინტაქსური დარღვევები

ხშირად რჩება რეციპიენტის ყურადღების მიღმა და უკანასკნელის მიერ ავტომატურად აღმოიფხვრება.

ისევე როგორც მეტყველების პროდუცირებისათვის, შეტყობინების აღქმისთვისაც მნიშვნელოვანია პრობლემის ემოციური ასპექტი. ემოციის შინაარსი ეხმარება აღქმელ სუბიექტს მოახდინოს საკუთარი ადგილის იდენტიფიცირება კონკრეტულ საგნობრივ სიტუაციაში, მაშინაც კი, თუ სუბიექტის ადგილი ფორმალურად დაკავებულია: სიმპათიის, შეცოდების და ა.შ. გრძნობების მეშვეობით მოაზროვნე ინდივიდი აფასებს სიტუაციის განვითარებას კონკრეტული პერსონაჟის ან სუბიექტის პერსპექტივიდან ისე, რომ იაზრებს მასთან საკუთარ არაიგივეობრიობას. მიუხედავად ამისა, ფუნქციონალურად ასეთი მდგომარეობა იდენტურია „საკუთარ“ სივრცეში ყოფნის სიტუაციისა. თავად ტექსტშიც შესაძლებელია შევხვდეთ „ემოციების ნიშნებს“, რომლებიც ახდენენ მკითხველის ან მსმენელის პოზიციის ფორმირებას.

აღქმის პროცესში ხდება მკითხველის ან მსმენელის მიერ ტექსტის პროექციის კონსტრუირება. მკითხველისა და მსმენელის პოზიციის მუდმივი ცვლილება სიტუაციის სივრცეში განპირობებულია ასოციაციური ველის შინაარსის სპეციფიკით. სიტუაციის სივრცეში მოაზროვნე სუბიექტი აიგივებს საკუთარ თავს, პირველ რიგში, „გარეშე დამკვირვებელთან“, მეორე რიგში კი ახდენს საკუთარი თავის, როგორც აგენტის, მოვლენის კოლაბორანტის, იდენტიფიცირებას.

ტექსტის პროექცია წარმოადგენს ზოგიერთი მენტალური წარმონაქმნის, როგორც გაგების რეზულტატის, თავისებურებათა მთლიანობრივ და სისტემურ გააზრებას, რომლის ობიექტადაც წარმოგვიდგება ენობრივი ნიშნები, სუბიექტად კი - მათი რეციპიენტი. რეციპიენტის მიერ ტექსტის აღქმის პროდუქტი ამა თუ იმ ზომით უახლოვდება ტექსტის პროექციის ავტორისეულ ვარიანტს.

ტექსტის პროექციის არსის განხილვისას იკვეთება მხატვრული ტექსტის სემანტიკური ველის სტრუქტურული წყობის სპეციფიკის საკითხი. მხატვრული ტექსტის სემანტიკური ველის სტრუქტურული წყობის სპეციფიკა დევს ტექსტის პროექციის ვარიაციულობის საფუძველში. მხატვრული ტექსტის სემანტიკური ველი შედგება ბირთვისა და პერიფერიისგან, რომელთა შორის მდებარეობს ელემენტთა მარგინალური ან შუალედური ზონა. სხვადასხვა მკითხველისეულ პროექციებში აღნიშნული ზონა შეიძლება მიეკუთვნებოდეს მოცემული პროექციის ან ბირთვის, ან პერიფერიას.

დღეს საკმაოდ აქტუალურია მეთოდოლოგია, რომელიც ორიენტირებულია სიტყვის სემანტიკურ ველსა და ტექსტის მკითხველისეული პროექციის სემანტიკურ ველს შორის არსებული მიმართების სპეციფიკის გამოვლენაზე, სხვადასხვა კონტექსტებში საკვანძო სიტყვების ჩართვის გზით, მათი ასოციაციურ ექსპერიმენტებში წარდგენისათვის.

აღნიშნული მეთოდოლოგია იძლევა სიტყვის სემანტიკური ველის დინამიკის სქემაზე დაკვირვების, მინიმალურ კონტექსტში ვარიაციული ტენდენციების იდენტიფიცირების, ვრცელ კონტექსტში ვარიაციულ და ინვარიანტულ ტენდენციათა შორის ბალანსის გამოვლენის შესაძლებლობას. რაც მთავარია, აღნიშნული მეთოდოლოგია იძლევა იმ ფაქტორების განსაზღვრის შესაძლებლობას, რომლებიც იცავენ სიტყვის სემანტიკურ ველს კონტექსტუალური ერთეულების სემანტიკური ველის ზეგავლენისგან.

შეტყობინების აღქმის პრობლემაზე მსჯელობისას იკვეთება ქვეტექსტის პრობლემა, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს კომუნიკაციის აქტში მეტყველების რეცეფციის საკითხის კვლევასთან.

ქვეტექსტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ (ტექსტის) ვერბალური ინფორმაცია მკითხველის ცნობიერებაში აცოცხლებს მის წარსულ გამოცდილებაში უკვე არსებულ აზრობრივ კავშირებს. ტექსტის ზედმეტი ინფორმაციისგან „განთავისუფლებისას“, მწერალი არ მიუთითებს ამ კავშირებზე პირდაპირ იმ იმედით, რომ მკითხველის თეზაურუსი ემთხვევა მის საკუთარს. მაგრამ მრავალ შემთხვევაში დამთხვევა არ ხდება – ასე ჩნდება ვერგაგების პრობლემა.

ტექსტის ათვისებისას ქვეცნობიერ დონეზე აღმქმელი სუბიექტი ყოველთვის ანაწილებს ყურადღებას კომუნიკაციური აქტის ვერბალურ და ავერბალურ შემადგენლებს შორის და თუ კომუნიკაციის ერთი ნაწილის ჩარჩოებში ინფორმაცია არასაკმარისია, იგი კომპენსირდება სხვა შემადგენლის შევსების ხარჯზე. ავტომატურად ფუნქციონირებადი საინფორმაციო სისტემების მსგავსი ურთიერთქმედება უზრუნველყოფს აღქმის პროცესის მთლიანობას და გამორიცხავს ვერბალური ინფორმაციის აზრის შეჯერების აუცილებლობას სხვა არხებით მიღებულ ინფორმაციასთან.

საუბრის სწორედ პირველი ხმოვანი მონაკვეთი მოიცავს საყრდენ სემანტიკურ კვანძს და სწორედ მისი რეცეფციის ადეკვატურობაზეა დამოკიდებული შეტყობინების ფორმა და შემდგომი შინაარსი. ხშირად რთული შეტყობინებების რეცეფცია სირთულეს

წარმოადგენს ადრესატისთვის: პირველ ეტაპზე წამოწეული ჰიპოთეზა არ მტკიცდება, მაგრამ რეციპიენტს უხდება ბგერითი რეპერტუარის მიღება. ამ პრობლემასთან გამკლავებაში რეციპიენტს ეხმარება ფორმის სავარაუდო პროგნოზირების შესაძლებლობა, რომელიც იძლევა მომდევნო ვერბალური ელემენტების რეკონსტრუირების საშუალებას. ასეთ შემთხვევებში რეციპიენტი ხშირად უგულებელყოფს ფორმის დარღვევას, მაგრამ ცალკეული მონაკვეთები, რომლებიც შეიცავენ საყრდენ სემანტიკურ კვანძებს, ნარჩუნდებიან.

მეტყველების აღქმის პროცესების განხილვისას აშკარა ხდება ის ფაქტი, რომ შეტყობინების გაგება, პირველ რიგში, გულისხმობს ტექსტის ენობრივი ინფორმაციის შეფარდებას ცოდნისა და მსოფლმხედველობის სქემებთან, რომლებიც მიიღება წარსულის გამოცდილებით. სწორედ ამიტომ, პრობლემის ადეკვატური ახსნისთვის აუცილებელია წმინდა ლინგვისტური ჩარჩოებიდან გასვლა, რაც უზრუნველყოფილია ინტერპრეტაციის შიდა კონტექსტის ცნების მოხმობით.

თავი II. გაცრუებული მოლოდინი როგორც საუბრის აღქმის პროცესის მოდელირების წყარო

2.1. კომუნიკაციური განზრახვა და კომუნიკაციური წარუმატებლობა

კომუნიკაციური პროცესის გაგების მექანიზმების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კომუნიკაციური განზრახვის (ინტენციის) კატეგორიას. არსებობს გარკვეული განსხვავება ურთიერთობას გაგებასა და იმის გაგებას შორის, თუ რატომ იქნა პროდუცირებული კონკრეტული შეტყობინება. სამეტყველო აქტის, როგორც ქმედების, განხილვისას სწორედ ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი (ფოლესდალი / Фоллесдаль, 1986: 135-159).

ჭეშმარიტი კომუნიკაციური ინტენცია, რომელიც განაპირობებს პიროვნების სამეტყველო ქცევას, წარმოადგენს ინფორმაციის შეტყობინებისა და ურთიერთობაში (კონტაქტში) შესვლის განზრახვას საკუთარი თავის, როგორც კომუნიკაციური პიროვნების რეალიზების მიზნით.

მსმენელის ან მკითხველის კომუნიკაციური როლი მდგომარეობს მის სიტყვიერ რეაქციაში, ანუ, საპასუხო სამეტყველო ქმედებაში, რომლის ჩანაფიქრი და შესრულება ხდება აღქმისა და გაგების პროცესის რეალიზაციის დონეზე. მოცემულ უმაღლეს დონეს აქვს საკუთარი იერარქიული სტრუქტურა, დაწყებული ცალკეული სიტყვებისა და სიტვათშეთანხმებების აზრის გაგებიდან ავტორის ჩანაფიქრის - დისკურსის გაგებამდე. მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციურობის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი (სუბიექტის) ინტენცია მიმართულია, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ (გაცრუებულ ან გამართლებულ) მოლოდინზე.

სამეტყველო ურთიერთქმედების დასასრული მის საბოლოო ფაზაში სრულადაა დამოკიდებული რეციპიენტზე, იმის გათვალისწინებით, რომ მისი კომუნიკაციური როლის რეალიზება ადასტურებს მზადყოფნას ურთიერთობისათვის.

ურთიერთქმედების საწყისი ფაზა კი არ ითვალისწინებს სხვა პირის მონაწილეობას და ხორციელდება რეაქციისა და ინტენციის (განზრახვის) შერწყმის მომენტში, ვინაიდან რეაქცია საკუთარ მეტყველებაზე პირველადია სამეტყველო ამოცანის შესრულების რეალურ მიზანთან მიმართებაში. ამოცანა სრულდება შესაბამისი ეფექტის მოლოდინში. ეს უკანასკნელი კი უზრუნველყოფს სხვა პირთა მიერ მეტყველების გაგებას.

რ. იაკობსონი იზიარებს აღნიშნულ თვალსაზრისს: მოსაუბრე ყოველთვის არის საკუთარი კომუნიკაციური ძალისხმევის პირველი მიმღები. იგი უსმენს საკუთარ თავს და აცნობიერებს საკუთარ მეტყველებას. სწორედ თვითშემეცნების კონტექსტში ჩნდება სამეტყველო მოღვაწეობის ზედაპირზე ინტრაპერსონალური პრობლემები, რომელთა შესახებ საუბარი მიღებულია მხოლოდ შინაგანი მეტყველების ფენომენტან კავშირში (იგულისხმება საკუთარ თავთან საუბარი) (იაკობსონი, 1985: 319-320).

კომუნიკაციურ წარუმატებლობის შემთხვევაში გაუგებრობის წარმოქმნა განპირობებულია, პირველ რიგში, ადამიანის ცნობიერების წყობისა და მუშაობის თავისებურებებით, რასთან დაკავშირებითაც გამოიყოფა მისი რამდენიმე თავისებურება:

1. ცნობიერების ორი ტიპის - მასკულინურის და ფემინინურის - არსებობა;
2. ეროვნული ცნობიერების სხვადასხვა ტიპის არსებობა, რომელთა ფორმირებასა და ფუნქციონირებაში დიდ როლს ასრულებს სხვადასხვა ერისა და ხალხების სამყაროს ენობრივი ხატი.

ამრიგად, გაუგებრობის საფუძველში დევს არა მხოლოდ ისეთი აშკარა ფაქტორები, როგორებიცაა სიტყვების დამატებითი მნიშვნელობების ცოდნა, სააზროვნო პროცესის პარალელიზმი, არამედ ლექსემათა კონოტაციური ველების არაიგივეობრიობა და, შესაბამისად, „ვერგამგები“ კომუნიკანტის ცნობიერებაში ასოციაციების, იმპლიკაციებისა და არავერბალური ხატების არარსებობა.

სწორედ კონოტაციაა ძირითადი და არა დამატებითი მნიშვნელობა, ვინაიდან სწორედ კონოტაციის საფუძველზე ლექსემა იცვლის თავის დენოტატს, კარგავს, ან პირიქით, იძენს ახალ ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობებს: სწორედ კონოტაციური ველების არაიგივეობრიობა ახდენს გაგების ფორმატირებას.

ზეპირ მეტყველებასთან შედარებით, წერილობითი მეტყველება უფრო დისტანცირებულია პიროვნებისაგან. წერილობითი მეტყველების ობიექტივაციის ხარისხი მნიშვნელოვნად აღემატება ზეპირი მეტყველების ობიექტივაციის ხარისხს. სწორედ ამიტომ ზეპირი შეტყობინების გამგზავნი უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე კომუნიკაციური წარუმატებლობის გამო, ვიდრე წერილობითი შეტყობინების გამგზავნი. თემატური და ექსპრესიული ფაქტორების გათვალისწინებით

მომზადებულ და წინასწარ გააზრებულ ზეპირ მეტყველებაშიც კი გაცილებით მკვეთრია პიროვნულ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, ვიდრე წერილობით მეტყველებაში.

გაცრეხული მოლოდინი, როგორც აღქმად ობიექტზე (ტექსტზე) ინდივიდის ემოციური რეაქციის პრობლემა, იკვეთება ცოდნის სხვადასხვა სფეროში. ითვლება, რომ გაცრეხული მოლოდინის თეორია პირველად კომიკური ეფექტის კონტექსტში წარმოიქმნა და დაიმსახურა ფილოსოფოსთა და ფსიქოლოგთა განსაკუთრებული ყურადღება. დანიელი ფსიქოლოგის გ. გეფდინგის თანახმად, კომიკური ეფექტის წყაროს წარმოადგენს კონტრასტი, რომელიც ჩნდება იმის გამო, რომ მოულოდნელად ერთმანეთს უპირისპირდება ორი აზრი და ორი შთაბეჭდილება, რომელთაგან თითოეული თავისთავად იწვევს გარკვეული შეგრძნებას, მაგრამ ისე, რომ ერთი ანგრევს იმას, რაც მეორემ ააშენა (დონგაკი, 2001: 78-84).

დღეს კოგნიტური ლინგვისტიკისა და ფსიქოლინგვისტიკის ჩარჩოებში გაცრეხული მოლოდინის ფენომენი განიხილება ისეთ ფსიქოლინგვისტურ ფენომენებთან კავშირში, როგორცაა ტექსტობრივი არაერთმნიშვნელოვნება (ვოსკრესენსკი / Воскресенский, 2002:132-139), გაოცების ფენომენი (მეიერი & სხვანი / Meyer et al, 1997:251-274), ექსპექტაციები და სავარაუდო პროგნოზირება (ფეიგენბერგი / Feigenberg, 1969: 354-369).

აღსაქმელ ტექსტზე ინდივიდის ემოციური რეაქციის პრობლემას ვერ ვუწოდებთ წმინდა ლინგვისტურს - იგი იკვეთება კოგნიტური ფსიქოლოგიის, დისკურსის ფილოსოფიისა და კიბერნეტიკის სფეროებშიც, რომლის ფარგლებშიც მეტყველება განიხილება ალბათობითი პროცესის ერთ-ერთ სახეობად.

ხშირად გამონათქვამის არსი აღმოჩნდება ხოლმე სრულიად მოულოდნელი და საკმაოდ დაშორებული პროგნოზირებულისგან. ასე წარმოიქმნება გაცრეხული მოლოდინი, რომელიც გვხვდება ურთიერთობის სხვადასხვა პირობებში. საქმე ისაა, რომ განსაზღვრული ენობრივი სტრუქტურების - პატერნების - არსებობა ამა თუ იმ კონტექსტში დაკავშირებულია სწორად მეტყველებასთან, რომელიც ეხება სხვადასხვა სამეტყველო ასპექტებს, დაწყებული გამოთქმიდან და დამთავრებული კომუნიკაციური სვლებით. სწორი მეტყველება გულისხმობს სამეტყველო ურთიერთობის ყველაზე სავარაუდო, სწორ განვითარებას. კომუნიკაციის სწორად განვითარების მოლოდინი, ანუ ექსპექტაციები, თავს იჩენენ გაცრეხული მოლოდინის სიტუაციებში, რომლებიც წარმოიქმნება ორი ფსიქოლინგვისტური მოვლენის - პროგნოზირებადობისა და

არაპროგნოზირებადობის - ბაზაზე. გაცრეხული მოლოდინი დაკავშირებულია სოციალური, ქცევითი და ენობრივი სტერეოტიპების ნგრევასთან და წარმოადგენს კომუნიკაციური ექსპრესიულობის საფუძველს.

გაცრეხული მოლოდინი არის სიტუაციის განვითარების ვარიაციულობა, უფრო ზუსტად კი, სიტუაციის განვითარების რამდენიმე სცენარი. კვლევაში სიტუაცია გააზრებულია როგორც ერთგვარი სქემა, რომელიც ემსახურება მენტალური რეპრეზენტაციების აღწერას. მოცემული მოდელის თანახმად, ენობრივი პიროვნება, რომელსაც საქმე აქვს ამა თუ იმ სიტუაციასთან, აკონსტრუირებს ალტერნატიულ სიტუაციას - კონტრსიტუაციას, რომელიც იძლევა არაერთმნიშვნელოვნების გადალახვისა და სიტუაციის შემდგომი განვითარების პროგნოზირების საშუალებას.

ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონტრსიტუაციის პროდუცირებაზე, ჯგუფდებიან ფაქტორებად, რომლებიც:

1. დაკავშირებულია რეციპიენტთან, კერძოდ: მის ასაკთან, სქესთან, სოციალურ მდგომარეობასა და პროფესიასთან, ფიზიკური და მორალური სრულფასოვნების ხარისხთან, ენობრივ კომპეტენციასთან, იუმორის გრძნობის არსებობა-არარსებობასთან, ემოციურობის ხარისხთან;
2. არ არის დაკავშირებული რეციპიენტთან - დაკავშირებულია სიტუაციისა და მიმდინარე მომენტის ფაქტორებთან.

სიტუაციის ფაქტორები მოიცავენ:

1. ტექსტის ფრაგმენტის კომპოზიციას;
2. ტექსტის პერსონაჟებისა და სიტუაციების სიხშირეს მოცემული კულტურის კონტექსტში;
3. ტექსტის აღქმის საშუალებას (სმენით თუ ვიზუალურს);
4. თხრობის ენას (მშობლიურს თუ უცხოურს);
5. კონტექსტის საკმარისობის ხარისხის არაერთმნიშვნელოვნების გადასალახად;
6. აღსაქმელი ტექსტის სტილისტურ თავისებურებებს.

კონტრსიტუაციის კონსტრუირება მოიცავს სამ ძირითად ეტაპს:

1. საწყის ეტაპზე რეციპიენტი ეცნობა ტექსტის ფრაგმენტს (მონაკვეთს), რომელიც მოიცავს არაერთმნიშვნელოვან ელემენტს;
2. რეციპიენტის მიერ პროდუცირდება სიტუაციის გადაწყვეტის ვარიანტი;
3. რეციპიენტი უპირისპირებს კონტრსიტუაციას ორიგინალურ სცენარს.

პირველ და უკანასკნელ ეტაპებს აკავშირებს მოლოდინის ფენომენი. რეციპიენტის მიერ კონსტრუირებული კონტრსიტუაციისა და ორიგინალური სიტუაციის არათანხვედრა ქმნის გაცრუებული მოლოდინის ეფექტს. ერთმანეთისაგან გამიჯნულია ის ძირითადი საყრდენები, რომლებიც მიმართულებას აძლევენ რეციპიენტის აზროვნებას:

1. წინარე კონტექსტზე დაყრდნობა;
2. მსგავს სიტუაციაზე დაყრდნობა;
3. სტერეოტიპზე დაყრდნობა.

ტექსტის გაგება ეყრდნობა სოციალურად მნიშვნელოვანი ცოდნის შენახვისა და ფუნქციონირების თავისებურ ფორმებს. თავდაპირველად პოლისემანტური სიტყვა აღიქმება კონტექსტში, რომელიც, ერთი შეხედვით, ჩანს ერთადერთი. მხოლოდ კვანძის გახსნა, რომელშიც ხდება სიტყვის სხვა მნიშვნელობის აქტივირება, ავლენს მის მრავალმნიშვნელოვნებას და სრულიად სხვა სცენარის განვითარების შესაძლებლობას.

არაერთმნიშვნელოვანი ელემენტის კორექტულად ამოცნობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს კოგნიტური ძალისხმევა. მრავალმნიშვნელოვანი სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობის შერჩევა ხორციელდება სიტყვის ამ კონკრეტული მნიშვნელობით გამოყენების მაღალი სიხშირის გავლენითა და პრაიმინგ-ეფექტის საშუალებით (წინსწრების ეფექტი).

გაცრუებული მოლოდინი კავშირშია ენობრივ თამაშთან, სხვა სიტყვებით, არსებობს გაცრუებული მოლოდინისა და ენობრივი თამაშის გადაკვეთის წერტილები: ენობრივი თამაშის ადეკვატურად გასაგებად აუცილებელია, რომ რეციპიენტს გააჩნდეს გამოცდილებითი ცოდნა, ამას გარდა, ადრესატი უნდა ითვალისწინებდეს კულტურულ სივრცესაც, რომელშიც მიმდინარეობს კომუნიკაცია (დონგაკი, 2001: 78-84.). ამრიგად, გაცრუებული მოლოდინი არის სწორედ ენობრივი თამაში. გაცრუებული მოლოდინის სიტუაციის გააზრებულად შექმნა, ანუ ნორმიდან გააზრებული გადახვევა, ისევე როგორც ნებისმიერი თამაში, მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევას.

2.2. სიტყვათა თამაში

ცნება „თამაში“ მრავალმნიშვნელოვანია, თამაშის პრინციპების გააზრება კი - არაერთგვაროვანი. არაერთგვაროვნება განპირობებულია სოციალურ-კულტურული ცვლილებებით.

არსებობს თამაშის ორი პრინციპულად განსხვავებული გაგება, რომლის გასამიჯნად ინგლისურ ენაში არსებობს ორი სხვადასხვა შინაარსის სიტყვა: „play“ და „game“.

„Play“ არის თავისუფალი თამაში, რომელსაც არ აქვს პირობები და წესები. ამავე დროს „play“ გულისხმობს პროცესს. „Game“ არის თამაში წესები, რომელიც ორგანიზებულია გარკვეული პირობების მიხედვით. შესაბამისად, „play“ და „game“ შეადგენენ ერთგვარ ოპოზიციას, ორი განსხვავებული პარამეტრით: 1. იმპროვიზირებული თამაში; 2. თამაში წესებით.

თამაშის ზოგადი თეორიის ერთ-ერთ ცნებას წარმოადგენს „კომუნიკაციური თამაში“. ისევე, როგორც ზოგადად თამაშით, ადამიანი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში დაკავებულია „კომუნიკაციური თამაშითაც“. სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს გაცრუებული მოლოდინის შემქმნელ ერთ-ერთ მექანიზმს.

გაცრუებული მოლოდინი მრავალგანზომილებიანი ფენომენია და იგი სრულიად სამართლიანად წარმოადგენს ენათმეცნიერთა, ფილოსოფოსთა, კულტუროლოგთა და ფსიქოლოგთა კვლევის ობიექტს.

გაცრუებული მოლოდინი ასახავს ენის მატარებლის მიერ გარესამყაროს აღქმის თავისებურებას, ვინაიდან მუდმივი ქმნადობისა და განვითარების პროცესში მყოფ ტრანსფორმაციებში ჩადებულია მთელი რიგი მოვლენებისა და ფაქტების ერთობლიობა, მათ შორის იუმორისა და ირონიის გამოხატვის სხვადასხვა მექანიზმი.

დღესდღეობით ენის ფილოსოფიასა და ლინგვისტიკაში ხდება ფუნდამენტური და კარდინალური გადასინჯვა იმ წარმოდგენებისა, რომლებიც ეხება ენის ფუნქციებსა და არსს. დღეს უკვე აშკარაა, რომ წარსულში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ენაზე, როგორც სემანტიკური ან ენობრივი ინფორმაციის გადაცემის საშუალებაზე, საჭიროებს განვითარებას.

სიტყვათა თამაში ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იღებს სათავეს. არისტოტელემ (ძვ. წ-ის 384-322 წწ.) რიტორიკას ვრცელი ნაშრომები მიუძღვნა. არისტოტელეს მიხედვით, არსებობს სიტყვის შედგენის შემდეგი საფეხურები:

ინვენცია - inventio (ლათ.), რაც ლათინურში აღმოჩენას, გამოვლენას, დაძებნას ნიშნავს. სწორედ ამ საფეხურზე ხდება იმ საჭირო სიტყვების მოძებნა, რაც უნდა ითქვას;

დისპოზიცია - dispositio (ლათ.) განლაგებას ნიშნავს. ამ დროს მუშავდება ტექსტის კომპონენტები, ყალიბდება არგუმენტების თანმიმდევრობა, ფორმულირდება შეკითხვები და პასუხი გაეცემა შეკითხვას: „სად ვთქვათ?“

ელოკუცია - elocutio (ლათ.) გამოთქმას ნიშნავს. რიტორიკის ეს ნაწილი გულისხმობს სიტყვების შერჩევა-შეხამებას რიტორიკის ძირითადი ცნებების, კატეგორიებისა და ტროპების გამოყენებით. აზრი გადადის სიტყვაში. აქ გათვალისწინებულია რიტორიკული ფორმები (ტროპები, ფიგურები).

მემორიო-memoria (ლათ.) გახსენება. ამ დროს საჯარო გამოსვლისას ხდება სიტყვის დამახსოვრება.

მოქმედება -actio (ლათ.) შესრულებას ნიშნავს. ამ საფეხურზე ხდება საჯაროდ სიტყვით გამოსვლა, სიტყვის წარმოთქმა.

ყველა ჩამოთვლილი ელემენტი შედის რიტორიკის წესებში და ამ კომპონენტების საშუალებით ხდება დამარწმუნებელი სიტყვის შედგენა და წარმოთქმა. დარწმუნების ხელოვნება სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: ეთოსი (კეთილგონიერება, კეთილგანწყობა, კარგი კომუნიკაციის უნარი, კორექტულობა, პატივისცემა), პათოსი (ვერბალური, პარავერბალური და არავერბალური კომუნიკაცია, იუმორი, ემოციები) და ლოგოსი (ანალიზი, სინთეზი, ლოგიკური აზროვნება, არგუმენტირება), რომელთა გამოყენებითაც ხდება ადამიანის ცნობიერებაზე ზემოქმედება.

არისტოტელემ რიტორიკაში აგრეთვე გამოყო რიტორიკული სიტყვის სამი ძირითადი ნაწილი: ორატორი, საგანი - რის შესახებაც ორატორი საუბრობს და მსმენელი. იგი რიტორიკაში მონაწილე სხვადასხვა სოციალური ფენის, ფსიქოლოგიის მქონე ადამიანებს ღრმად იკვლევს და განსხვავებულ გზებს გვთავაზობს ეფექტური ზეგავლენის

მოსახდენად. გამოთქმამდე ორატორმა უნდა განსაზღვროს, თუ როგორ მიიღებს მის აზრებს მსმენელი და შემდეგ უნდა გამოთქვას იგი (არისტოტელე / Aristotle, 1981:143).

იგივე მოსაზრებას ეთანხმება ქ. ლინგი და აცხადებს, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში უკვე უამრავ სიტყვათა თამაშის მაგალითებს ვხვდებით (ლინგი / Ling, 2006:68).

რედფერნის აზრით, ისევე როგორც კლასიკურ საბერძნეთსა და რომში, სიტყვათა თამაში პოპულარული იყო ელიზაბეთის, ვიქტორიანულ და ტიუდორთა ეპოქაშიც (რედფერნი / Redfern, 1984: 57).

„რიტორიკა არის მოძღვრება საჯარო მეტყველების შესახებ, რომლის დანიშნულებაც დარწმუნება და გადაბირებაა. იგი შეისწავლის ტექსტის ენობრივ ფორმას. ლიტერატურასა და რიტორიკას აერთიანებთ არა მხოლოდ სწრაფვა მსმენლის/მკითხველის დარწმუნება-გადაბირებისკენ, არამედ მასზე ემოციური გავლენის მოხდენის სურვილიც. განსაკუთრებით პოლიტიკური ლიტერატურა ცდილობს მკითხველის პოზიციის, დამოკიდებულების შეცვლას“ (ცაგარელი, 2012:23).

რიტორიკის ფარგლებში ჩამოყალიბებული წარმოდგენა იდეალური სტილის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში განსაზღვრავდა იმ ჩარჩოს, რომლის საზღვრებიც უნდა გაეთვალისწინებინა ნებისმიერს, ვინც ტექსტის შექმნას აპირებდა. რიტორიკა იყო პირველი დისციპლინა, რომელიც ტექსტის მთლიან აგებულებას შეისწავლიდა.

რიტორიკული ფორმებით ვეხებით არა მხოლოდ ვერბალურ სფეროს, არამედ ვიზუალურსაც, რადგან აქ მრავლადაა მეტაფორა, მეტონიმია, ოქსიმორონი და ა.შ.

რიტორიკული ფორმები, ძირითადად, ეყრდნობა ანტიკური რიტორიკის შეხედულებებს, მაგრამ თანამედროვე ავტორები ცდილობენ მათ კლასიფიკაციას პირადი ინტერესებიდან გამომდინარე.

„XVIII საუკუნიდან თანდათან შეიცვალა ესთეტიკური მოთხოვნები: ტექსტში უმნიშვნელოვანესი გახდა ინდივიდუალობის გამოხატვა, რისი გაიგივებაც ძირითადად ხდებოდა პირად, განუმეორებელ სტილთან. ინდივიდუალობის კვლევის სირთულის გამო რიტორიკის სახელმძღვანელოების ადგილი თანდათანობით დაიკავეს სტილის სახელმძღვანელოებმა, რომელთა დანიშნულებაც იყო არა ტექსტის შესათხზავად სასარგებლო რჩევების მიცემა, არამედ ისტორიული ენობრივი ნორმების აღწერა. საჭირო

იყო მწერლის დიდი ძალისხმევა იმისთვის, რომ ამ სახელმძღვანელოებში აღწერილი ნორმები დაერღვია და ამით გამოეხატა თავისი ინდივიდუალობა. შეიძლება ითქვას, რომ სტილის სახელმძღვანელოები მოიცავდნენ მითითებებს იმის თაობაზე, თუ როგორი არ უნდა ყოფილიყო ტექსტი. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა სტილის სახელმძღვანელოების აგებულება, რომელიც ენობრივ ერთეულებს ემყარებოდა (მარცვალი, სიტყვა, წინადადება, ტექსტი, ტექსტების კორპუსი). დღეს სტილისტიკური კატეგორიები ლიტერატურული ტექსტის ანალიზის განუყოფელი ნაწილია” (ცაგარელი, 2012:27).

გამოდის, რომ ანთროპოცენტრული პარადიგმის წინა პლანზე წამოწევამ ესთეტიკური მოთხოვნების შეცვლა გამოიწვია: ტექსტში მთავარი გახდა ინდივიდუალობის გამოხატვა, რის გამოც რიტორიკა ჩაანაცვლა სტილისტიკამ. ინდივიდუალობაში ტექსტის აღქმის მთავარ პირობად გადაიქცა, ინდივიდი კი თავად ავტორის როლს ასრულებდა, რომელიც გარკვეულ ტექსტს ქმნიდა. ენის მატარებელი ადამიანი იქცა იმ კრეატიულ პიროვნებად, რომელსაც განუსაზღვრელი შესაძლებლობები და უნარი გააჩნდა მკაფიო, განსხვავებული სტილის ჩამოსაყალიბებლად.

არისტოტელეს რიტორიკას ერთი მიზანი აქვს, მოახდინოს ზეგავლენა მკითხველზე თუ მსმენელზე. ამდენად, რიტორიკა, რომლის მთავარი მიზანი დარწმუნებაა, კვლავაც ამართლებს თავის თავდაპირველ დანიშნულებას და შესაბამისად, არისტოტელეს განმარტებაც აქტუალობას არ კარგავს.

სიტყვათა თამაში დამახასიათებელია ყველა ენისთვის, თუმცა ამა თუ იმ ხერხის რეალიზება უკვე განსხვავებულია და დამოკიდებულია ცალკეული ენის სტრუქტურულ და სემანტიკურ თავისებურებებზე. რაც შეეხება ტერმინს, იგი 1953 წელს პირველად განიხილა ლუდვიგ ვიტგენშტეინმა „ფილოსოფიურ გამოკვლევებში“. ნაშრომში გაანალიზებულია ენის მრავალფეროვანი ბუნება და დასაბუთებულია, რომ ერთი და იმავე სიტყვას სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებული დატვირთვა შეიძლება ექონდეს, რაც განპირობებულია სიტყვათა თამაშის მრავალფეროვანი ბუნებით.

ვიტგენშტეინი განიხილავს კონტექსტის მნიშვნელობას და მიიჩნევს, რომ ცალკე აღებული სიტყვა არ ატარებს არანაირ კონტექსტურ მნიშვნელობას, იგი მნიშვნელობას იძენს მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში. თვალსაჩინოებისთვის და სიტყვათა თამაშის დასასაბუთებლად ვიტგენშტეინს მაგალითისთვის მოჰყავს სიტყვა „წყალი“, რომელიც

კონტექსტის მიხედვით, რეციპიენტმა შეიძლება აღიქვას როგორც ბრძანება, თხოვნა, ან კიდევ პასუხი შეკითხვაზე. ეს განპირობებულია იმ სიტყვათა თამაშის კონკრეტული ფუნქციით, რომელიც კონტექსტზეა დამოკიდებული ან კიდევ გარკვეულ იმპლიციტურ მნიშვნელობას ატარებს მოცემულ მომენტში. მოთამაშე ჩართულია და სიტუაციის შესაბამისი რეაქცია აქვს იმაზე, თუ რას გულისხმობს ადრესანტი: ბრძანებას, თხოვნას, მოთხოვნას, პასუხს თუ ა.შ. ვიტგენშტეინი იყო პირველი, ვინც აღნიშნა, რომ ადამიანი თამაშობს სიტყვებით სიტუაციის შესაბამისად. იგი იყენებს ტერმინს ენობრივ თამაშს და ხშირად ცვლის სიტყვათა თამაშით იმის საჩვენებლად, რომ ადამიანია სწორედ ის ღერძი, ვინც სხვადასხვა ენობრივ დონეზე სიტყვების თამაშით ახორციელებს კომუნიკაციურ ფუნქციას მიზნის მისაღწევად (ვიტგენშტეინი / Wittgenstein, 2009).

ვიტგენშტეინის მიხედვით, ენა განიმარტება როგორც სიტყვათა თამაშის ერთობლიობა. ცხოვრებაც სიტყვათა თამაშის ერთობლიობას წარმოადგენს.

თანამედროვე სამყარო წარმოადგენს საინფორმაციო ველს, სადაც ნებისმიერი კომუნიკაცია ხორციელდება ენის მეშვეობით. ენა კი მიდრეკილია თამაშისკენ. სიტყვათა თამაშის ფენომენი ლინგვისტიკაში თანდათანობით განსაკუთრებული ინტერესისა და დეტალური შესწავლის საგანი ხდება. ცალკეული ფორმები განიხილება სხვადასხვა თვალსაზრისითა და სხვადასხვა ენობრივ მასალაზე დაყრდნობით.

სიტყვათა თამაშის (word play) ფენომენი ლინგვისტიკაში განმარტებულია როგორც კრეატიულობის საშუალება, რომლისთვისაც დამახასიათებელია პროცესუალობა, იმპროვიზაცია, გარკვეული ეფექტის შექმნა. ამგვარი ზემოქმედება ხორციელდება უმეტესწილად ირიბი გზით, კერძოდ კი, ენის გამოყენების განსაკუთრებული ნიუანსების ხარჯზე, რომლებიც ქმნიან ერთგვარი იმპლიციტურობის ეფექტს მინიშნებებისა თუ ალუზიების ფორმით.

მიიჩნევა, რომ სიტყვათა თამაშის ძირითადი მიზანი იუმორისტული ეფექტის შექმნაა, თუმცა სიტყვათა თამაში მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. როგორც დ. დელაბასტიტა განმარტავს, გარდა იუმორისტული ბუნებისა, სიტყვათა თამაში ტექსტს მატებს კოჰერენტულობას, იზიდავს მკითხველის/მსმენელის ყურადღებას, დამაჯერებელს ხდის ტექსტს, იმპლიციტურად ეხება ტაბუდადებულ თემებს და ა.შ. (დელაბასტიტა / Delabastita, 1996:129-130).

რ. ლეპიჰალმე აღნიშნავს, რომ იუმორისტულ ფუნქციასთან ერთად, სიტყვათა თამაში ასევე გულისხმობს მძაფრ პაროდias, ირონიას ან სარკაზმს გარკვეული პიროვნებისა თუ მოვლენის მიმართ (ლიპიჰალმე / Leppihalme, 1997: 141).

ი. არუტინოვა გვთავაზობს სიტყვათა თამაშის ფუნქციური რაკურსით განხილვას. მეცნიერის თვალსაზრისით, სიტყვათა თამაში დაკავშირებულია სემანტიკური და პრაგმატიკული წესების დარღვევასა და ენობრივ ანომალიებთან. არუტინოვა თვლის, რომ სიტყვათა თამაში არის ენობრივი ერთეულის ნორმატიული გამოყენების დარღვევა ენობრივი სტერეოტიპების ფონზე (არუტინოვა / Арutyhova, 1987).

სიტყვათა თამაში გამოიყენება როგორც კომიკური ეფექტის შექმნის საშუალება. ასე იქმნება კალამბურები, ანეკდოტები. ამ დროს სიტყვათა თამაში რეალიზდება ისეთ კონტექსტებში, რომლებიც ქმნიან დამატებით, იმპლიციტურ აზრს, ეხებიან ეთნო-პოლიტიკურ, პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ფასეულობებს, ნაციონალურ-კულტურულ კონცეპტებს, ყოფით წარმოდგენებს. სიტყვათა თამაშის დროს ხშირად გამოიყენება არაერთმნიშვნელოვანი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ხაზს უსვამენ იდეოლოგიურ ფასეულობებს, აკრიტიკებენ საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერ მხარეებს და ააშკარავენ პოლიტიკური წრეების და ხელისუფლების სუსტ მხარეებს. თუმცა ეს იმპლიციტურად ხდება - მკითხველისა თუ მსმენელის ცნობიერებას ინფორმაცია დაფარული გზით მიეწოდება.

სხვადასხვა ფუნქციურ და ჟანრობრივ კონტექსტში სიტყვათა თამაშის აზრობრივი დატვირთვა არ არის ერთნაირი. მაგალითად, ანეკდოტებში, რომლებიც ორიენტირებულია უშუალოდ კომიკურ ეფექტზე, გამოკვეთილია შედარებით მკაფიო ფუნქციურ-სემანტიკური ინტერპრეტაცია, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა აზრობრივი ეფექტი. სხვა შემთხვევაში, მაგალითად, მხატვრულ, პოეტურ, აბსურდულ ტექსტებში სიტყვათა თამაში და მათი ფუნქციები არ არის ერთგვაროვანი. ერთ შემთხვევაში მათ შეუძლიათ უბრალოდ გაამდიდრონ გამოთქმა, სხვა შემთხვევებში კი შეიძლება შექმნან ღია სივრცე, სადაც მკითხველი თუ მსმენელი სუბიექტურად აღიქვამს მოცემულ სიტუაციას, სხვა სიტყვებით, მკითხველს თუ მსმენელს ეძლევა არაერთგვაროვანი და ინდივიდუალური გააზრების საშუალება. მხატვრულ-პოეტური დისკურსი ამ გაგებით უნივერსალურია.

სიტყვათა თამაში არის ენობრივი პიროვნების განზრახ „ჩარევა“ ენის გამოყენების კონვენციურ პროცესებში. სიტყვათა თამაში ხასიათდება ნორმების განზრახ დარღვევით გარკვეული მიზნების განხორციელების მიზნით.

სიტყვათა თამაშთან დაკავშირებული საყოველთაოდ მიღებული მიდგომა და მისი ყველასათვის მისაღები განმარტება არ არსებობს (ლიპიჰალმე, 1997:141-143). დელაბასტიტა სიტყვათა თამაშს შემდეგნაირად განმარტავს: სიტყვათა თამაში აღნიშნავს სხვადასხვა ტიპის ტექსტუალურ მოვლენებს, სადაც ენის სტრუქტურული თვისებები გამოყენებულია იმისათვის, რომ შედარებულ იქნეს ორი ან ორზე მეტი ლინგვისტური სტრუქტურის მქონე მსგავსი ან განსხვავებული კომუნიკაციურად მნიშვნელოვანი ფორმა (დელაბასტიტა, 1996:128). ხშირად სიტყვათა თამაშს კალამბურთან აიგივებენ (დელაბასტიტა, 1996; გოტლები, 2005; რედფერნი, 1984; / Delabastita, 1996; Gottlieb, 2005; Redfern, 1984;).

სიტყვათა თამაშის განხორციელების სხვადასხვა გზა არსებობს. მისი გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ ლექსიკურ დონეზე, არამედ გრამატიკასა და ფონეტიკაშიც.

გამოდის, რომ მკვლევართა ერთი ჯგუფი სიტყვათა თამაშს და კალამბურს ერთმანეთთან აიგივებს, მაშინ როდესაც სხვები კალამბურს სიტყვათა თამაშის ქვეჯგუფად მიიჩნევენ (ლლადო/ Llado, 2002:47). ამ უკანასკნელთა თვალსაზრისით, კალამბური სიტყვათა თამაშის მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც კონკრეტულ ჯგუფს მიეკუთვნება (ლლადო, 2002:47).

დ. დელაბასტიტას მიაჩნია, რომ სიტყვათა თამაშის დროს წარმოქმნილი ორაზროვანი მნიშვნელობა განაპირობებს იუმორისტული განწყობის შექმნას. იგი ასევე განმარტავს, რომ მხოლოდ ორაზროვნება არ არის საკმარისი იუმორისტული ეფექტის მისაღებად. სიტყვათა თამაში ტექსტის ნაწილია და უნდა გავითვალისწინოთ კონტექსტი, იქნება ეს ვერბალური თუ სიტუაციური. ვერბალური კონტექსტი ადამიანის ცოდნასთან პირდაპირ კავშირშია, სიტუაციური კი უნდა შეიცავდეს იუმორისტულ ელემენტს და მხატვრულ გამონათქვამს, რომელიც ტექსტს დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს (ibid:130)

სიტყვათა თამაშის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელსაც დ. დელაბასტიტა განიხილავს, კომუნიკაციური ფაქტორია. სიტყვათა თამაში მიეკუთვნება კონტექსტუალურ ასპექტს და ეხება სიტყვათა თამაშის ინტენციურობა-

არაინტენციურობის საკითხს, სხვა სიტყვებით, საკითხს იმის თაობაზე, თუ რა განზრახვით იქნა ავტორის მიერ კონკრეტული სიტყვათა თამაში გამოყენებული (ibid:132). თუმცა, ის აღიარებს, რომ მოცემულ სიტუაციაში საკმაოდ რთულია ზღვრის გავლება, რადგან ავტორის ინტენცია ზოგჯერ შეიძლება სულაც არ იყოს ინტენცია და სიტყვების განზრახ გამოყენება. საბოლოოდ კი მაინც მკითხველზე და ტექსტის ჟანრობრივ მახასიათებლებზეა დამოკიდებული, თუ როგორ აღიქმება სიტყვათა თამაში. ლევიჰალმე იზიარებს დელაბასტიტას თვალსაზრისს და მიიჩნევს, რომ ხშირ შემთხვევაში რთულია გარჩევა, რამდენად ინტენციური თუ არაინტენციურია მოცემული სიტყვათა თამაში (ლევიჰალმე, 1997:141).

რ. დევისის მოსაზრებით, სიტყვათა თამაში პირდაპირ კავშირშია ენის სისტემასთან, სადაც მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან ფონეტიკა, სინტაქსი, სემანტიკა, პრაგმატიკა. ის ასევე აღნიშნავს, რომ ცალკეულ სიტყვათა თამაშს არ გააჩნია მნიშვნელობა და ის სისტემურადაა დაკავშირებული ენის რომელიღაც დონესთან (დევისი / Davis, 1997:25).

კომუნიკაციის პროცესში ადამიანებს აქვთ იუმორისტული ეფექტის შექმნის მძაფრი სურვილი და სწორედ ეს არის სიტყვათა თამაშის წარმოქმნის მოტივაცია. ამასთან ერთად, ისინი პარალელურად ამოწმებენ სხვების უნარ-ჩვევებს, თუ როგორ შეუძლიათ აღიქვან გამიზნულად შექმნილი სიტყვათა თამაში. იმპლიციტური მნიშვნელობის აღქმის შემთხვევაში მოსაუბრეს (ავტორს) და მსმენელს შორის დადებითი განწყობა და სოლიდარობა მყარდება. იმ შემთხვევაში, თუ მსმენელი ან მკითხველი ვერ ჩაწვდება იმპლიციტურ მნიშვნელობას, მოსაუბრეში ლიდერობის გრძნობა იღვიძებს. აქედან გამომდინარე, სიტყვათა თამაში არ არის მხოლოდ იუმორის შექმნა, მის მიღმა სხვა სოციალური ფუნქციებიც იმალება. სიტყვათა თამაში უნივერსალური მოვლენაა, რადგან ყოველ ენას გააჩნია მისი გარკვეული ფორმები. ეს ყველაფერი კი გამოწვეულია ენასა და გარესამყაროს შორის არსებული ასიმეტრიით (ალექსიევა / Alexieva, 1997: 139-140).

დ. დელაბასტიტა აკონკრეტებს, რომ ენები განსხვავდება სტრუქტურულად და შესაბამისად, ყველა ენას განსხვავებული ხერხი აქვს სიტყვათა თამაშის შესაქმნელად (დელაბასტიტა, 1996:131).

ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, სიტყვათა თამაში შეიძლება აღვიქვათ როგორც ფართო, ისე ვიწრო გაგებით. ვიწრო გაგებით იგი კალამბურთანაა

გათანაბრებული. ფართო თვალსაზრისით მისი განხილვა კი გულისხმობს მის ფარგლებში მრავალი ქვესახეობის გამოყოფას და ენობრივ ფორმირებას სხვადასხვა დონეებზე. კერძოდ, სიტყვათა თამაში მოიცავს კალამბურს, სპუნერიზმს, ველერიზმს, ანაგრამას, პალინდრომს, ონომატოპეას, მონდეგრინს, ოქსიმორონს და სხვ.

სიტყვათა თამაშის მიხედვით, წარმატებული სამეტყველო აქტის განხორციელება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ერთ-ერთი მათგანი გარემოა. მოსაუბრემ თუ მწერალმა უნდა გაითვალისწინოს კულტურული, პოლიტიკური თუ სოციალური ფონი.

ისე როგორც სიტყვათა თამაშის დეფინიციისას არ არსებობს ერთხმად აღიარებული განმარტება, ასევე სიტყვათა თამაშის კლასიფიკაციაც სხვადასხვა მკვლევრების შეხედულებებისამებრ ვარირებს.

დ. დელაბასტიტა სიტყვათა თამაშის ტიპოლოგიისას შემდეგ კრიტერიუმებს იყენებს:

ლექსიკურ ერთეულებს შორის არსებულ მსგავსებას: ომონიმია, ომოფონია, ომოგრაფია და პარონიმია (პარონიმები-სიტყვები რომელთაც განსხვავებული მნიშვნელობა, მაგრამ მსგავსი ჟღერადობა აქვთ).

ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ განსხვავებას სიტყვათა თამაშს შორის. ვერტიკალური სიტყვათწარმოებისას ორი ან ორზე მეტი მნიშვნელობა აქტიურდება ერთი სიტყვის საშუალებით, მაშინ როდესაც ჰორიზონტალური სიტყვათა თამაში ორი ან ორზე მეტი მნიშვნელობის წარმოებას გულისხმობს არა ერთი, არამედ ორი ან რამდენიმე სიტყვის მეშვეობით. (ibid:128)

დ. დელაბასტიტას მიხედვით სიტყვათა თამაშის კლასიფიკაცია მრავალნაირად შეიძლება განხორციელდეს და ზოგჯერ საკმაოდ რთული ხდება იმის განსაზღვრა, თუ რომელ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ კონკრეტული ენობრივი ერთეული (ibid: 130).

რ. ლლადოს კლასიფიკაცია მკაფიო და უფრო მასშტაბურია. იგი სიტყვათა თამაშის შემდეგ სახეებს გამოყოფს:

მსგავსი ჟღერადობის შედეგად მიღებული სიტყვები (ფონეტიკური მსგავსება). მათ შორის: პარონიმაზია, ალიტერაცია, ასონანსი, დერივაცია, კაკოფონია, ნეოლოგიზმი;

პოლისემიაზე დამყარებული სიტყვათა თამაში: სილეპსისი და ზევგმა;

ომოფონიის ან ფონეტიკური იდენტურობის შედეგად წარმოქმნილი სიტყვათა თამაში, რომლის მაგალითს წარმოადგენს კალამბური;

ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული სიტყვათა თამაში: ანაგრამა, მეტათეზისი, მეტაგრამა, ჰეტეროგრამა, პალინდრომი (ლლადო, 2002:125).

მიუხედავად იმისა, რომ დ. დელაბასტიტა სიტყვათა თამაშის კლასიფიკაციას ინგლისური ენის სპეციფიკაზე დაყრდნობით განიხილავს, რ. ლლადოს საპირისპირო მოსაზრება აქვს და თვლის, რომ სიტყვათა თამაშის ვიწრო გაგებით განხილვა და კალამბურთან გაიგივება არასწორია. რ. ლლადო აღნიშნავს, რომ სიტყვათა თამაში გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე კალამბური.

თუმცა, რ. ლლადოს კლასიფიკაციაც არ არის სრულყოფილი, რადგან მეოთხე ჯგუფში, სადაც ის პალინდრომს განიხილავს და მაგალითად მოჰყავს ცნობილი ინგლისური პალინდრომი ნაპოლეონის შესახებ (“Able was I ere I saw Elba” (ნაპოლეონ ბონაპარტეს გამეგება კუნძულ ელბაზე)), არ არის მითითებული, რომ მოყვანილი მაგალითი კალამბურსაც წარმოადგენს. ეს მაგალითი კი დასტურია იმისა, რომ არ არსებობს შემოსაზღვრული ჩარჩოები სიტყვათა თამაშისთვის - ერთ შემთხვევაში პალინდრომი შეიძლება იყოს მხოლოდ ფონეტიკური მოვლენა, რომელიც ტრანსფორმაციას ემყარება, ხოლო მეორე შემთხვევაში ის შეიძლება მოექცეს კალამბურის ჩარჩოში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რ. ლლადოს კლასიფიკაცია ტერმინოლოგიურად ძალიან დეტალური და დატვირთულია, მაშინ როდესაც დ. დელაბასტიტა უფრო ლაკონურ კლასიფიკაციას გვთავაზობს.

ჯ. ლეის კლასიფიკაციის მიხედვით, სიტყვათა თამაში ორ დიდ ჯგუფად იყოფა. ეს ჯგუფები, თავის მხრივ, ქვეჯგუფებისგან შედგება:

ტროპები - გაერთიანებულია ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვებით თამაში. მაგ: კალამბური, ასოციაცია, პარონომაზია, ალუზია, ირონია და სხვ.

სქემები - გულისხმობენ სიტყვათა თამაშის იმ ფორმებს, რომელთაც გრამატიკული დატვირთვა აქვთ. მაგ: სიტყვათწყობა, სიტყვების განზრახ გამოტოვება, ინვერსია, გამეორება, რითმა (ლეი / Leigh, 1994:18-20).

ზემოთ განხილული სქემებიდან და ცხრილებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯ. ლეი სიტყვათა თამაშს ორ ენობრივ დონეზე - სემანტიკურ და გრამატიკულ დონეზე - განიხილავს და იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახადოს საკუთარი თვალსაზრისი, სიტყვათა თამაშს ორ დიდ ჯგუფად შემდეგ კი ქვე-ჯგუფებად ყოფს, თუმცა ვერც ლეის კლასიფიკაციაა ამომწურავი ისევ და ისევ სიტყვათა თამაშის უსაზღვრო ბუნების გამო. ლეი არ ახსენებს, მალაპროპიზმს, სპუნერიზმს, მეტაფორას - იგი შემოიფარგლება მხოლოდ გარკვეული ენობრივი ერთეულების განმარტებით. (ლეი, 1994)

დ. კიარო კი სიტყვათა თამაშის სემანტიკურ კატეგორიაში მოაქცევს მხატვრულ შედარებას, მეტაფორას, კალამბურს, სპუნერიზმს, მალაპროპიზმს, კალამბურს, ველერიზმს და სხვა ერთეულებს (Chiario / კიარო, 1992:4).

ერთი რამ აშკარაა: სიტყვათა თამაშის ბუნება მრავალფეროვანი და ამოუწურავია.

2.3. სიტყვათა თამაშის თავისებურები ენის სემანტიკურ-სტილისტიკურ დონეზე

ამ კატეგორიაში განიხილება სიტყვათა თამაშის რამდენიმე სახეობა (კალამბური, მალაპროპიზმი, ველერიზმი, ოქსიმორონი და ზევგმა), რომელთაც სემანტიკურ-სტილისტიკური ორაზროვნება ახასიათებთ.

კალამბური ორაზროვანი სიტყვათა თამაშია, რომელიც ემყარება სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე გამოთქმებისა და სიტყვების ბგერითი მსგავსების კომიკურ ინტერპრეტაციას. არსებობს ერთ-ერთი ვერსია, რომლის მიხედვითაც კალამბური ერქვა საფრანგეთში მცხოვრებ გერმანელ გრაფს, რომელიც ისე ცუდად ლაპარაკობდა ფრანგულად, რომ ყოველი მისი ნათქვამი ფრაზა ორაზროვანი გამოდიოდა (ჟურნალი „თბილისელები“ #22, 2010).

მალაპროპიზმისთვის დამახასიათებელია სიტყვის ჩანაცვლება სხვა მსგავსი ჟღერადობის მქონე სიტყვით, რის შედეგადაც ვღებულობთ სრულიად აბსურდულ ან კომიკურ სიტუაციას. მალაპროპიზმის წარმოშობის ისტორია დაკავშირებულია რიჩარდ შერიდანის პიესის „მეტოქეების“ (1775) მთავარ პერსონაჟთან - მალაპროპთან, რომელიც საკმაოდ ხშირად იყენებდა მსგავს სიტყვებს. სახელი მალაპროპი შერიდანმა განზრახ შეურჩია, რათა მიეღო იუმორისტული ეფექტი. ეს სახელი „არამართებულს, შეუფერებელს“ ნიშნავს. ტერმინი კი 1814 წელს ლორდ ბაირონმა გამოიყენა მეტყველების დროს დაშვებული შეცდომის აღსანიშნავად. ზოგჯერ მალაპროპიზმი მოიხსენიება როგორც დოგბერიზმი. უილიამ შექსპირის ნაწარმოების - „აურზაური არაფრის გამო“ ერთ-ერთი პერსონაჟი ოფიცერი დოგბერია, რომელიც მალაპროპიზმის მსგავსად, საუბრისას მსგავსი ტიპის შეცდომებს უშვებდა.

პოლიტიკოსების მეტყველებაში ხშირად ფიქსირდება მალაპროპიზმები.

ეს მალაპროპიზმები ამერიკის ექს-პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ეკუთვნის: "And there is distrust in Washington. I am surprised, frankly, at the amount of distrust that exists in this town. And I'm sorry it's the case, and I'll work hard to try to elevate (alleviate) it." (ჯორჯ ბუში). ჯორჯ ბუშს ალბათ უნდოდა ეთქვა: ვიმუშავებ იმისათვის, რომ გავფანტო უნდობლობა/ეჭვი. შემსუბუქების/გაფანტვის გამომხატველი ლექსიკური ერთეულის alleviate ნაცვლად, ჯორჯ ბუში იყენებს ზმნა - elevate, რაც აწევას, ამაღლებას ნიშნავს. წინადადება იცვლის ლექსიკურ მნიშვნელობას. "Justice was being delivered to a man who defied (denied) that gift

from the Almighty to the people of Iraq." ზემოთ მოყვანილ წინადადებაში, ბუში გულისხმობს ერთს და ამბობს მეორეს. ის საქციელს უწონებს პიროვნებას, რომელმაც არ მიიღო საჩუქარი ყოვლისშემძლე ადამიანისგან და შესაბამისად, სამართლიანობამაც არ დააყოვნა. თუმცა, უარის თქმა/უარყოფის მაგივრად ექს-პრეზიდენტი იყენებს ზმნას „defy”, რაც გამოწვევას ნიშნავს.

მალაპროპიოზებს ვხვდებით ასევე ყოველდღიურ ცხოვრებასა და მეტყველებაში. „ყურადღება! ლიფტი განსაზღვრულია 4 პერსონალზე”. ასეთი წარწერა არსებობდა ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ლიფტში, რაც არაინტენციური მალაპროპიოზია - ავტორს უნდოდა ეთქვა, რომ ლიფტი იტევდა მხოლოდ 4 ადამიანს, მაგრამ მან გამოიყენა სიტყვა, რომელმაც სრულიად შეცვალა განცხადების შინაარსი. სავარაუდოდ, პერსონა გააიგივა ხალხთან და ჩათვალა რომ პერსონალი, რაც სინამდვილეში მომსახურე პერსონალთან ასოცირდება, ამ სიტყვის მრავლობითი ფორმა იყო. შედეგად კი მივიღეთ არაინტენციური მალაპროპიოზი.

მალაპროპიოზებს ხშირად პარონიმებსაც უწოდებენ, რადგან ისინი კომიკურ ეფექტს ქმნიან. ამ დროს მოსაუბრემ არ იცის სიტყვათა მნიშვნელობა და შეცდომით იყენებს მათ. პარონიმებს უწოდებენ ისეთ სიტყვებს, რომლებიც ჟღერადობით (ხან საერთო წარმომავლობის ან მსგავსი წარმოების გამო, ხან შემთხვევით, ზოგჯერ სემანტიკური ელფერითაც) ჰგვანან ერთმანეთს, რაც ხდება მათი აღრევის მიზეზი (ისინი გაუმართლებლად მონაცვლეობენ როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში). (აფრიდონიძე, 2011:9). ქართული ენის პარონიმული ლექსიკონიდან გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს. სოციალურ ქსელში პარონიმთა გვერდიც კი შეიქნა სახელწოდებით სწორია/არასწორია, სადაც მედიასა და ყოველდღიურ მეტყველებაში გავრცელებული პარონიმებია მოცემული:

1. აქტიური – აქტუალური; აქტიური: ენერგიული; მუდმივად რაიმე საქმიანობაში ჩართული (აქტიური მასწავლებელი /მოსწავლე); აქტუალური: არსებითი მნიშვნელობის მქონე (დროის გარკვეულ მონაკვეთში) (აქტუალური ამოცანები / თემა). (ibid:42)
2. დისკრედიტაცია – დისკრიმინაცია; დისკრედიტაცია: ღირსების, ავტორიტეტის, პრესტიჟის შელახვა; სახელის გატეხა; ნდობის დაკარგვა; დისკრიმინაცია: უფლების შეზღუდვა; თანასწორუფლებიანობის მოსპობა. (ibid:83).

3. ეთიკური – ესთეტიკური; ეთიკური: ეთიკასთან დაკავშირებული: ეთიკური ნორმები (ეთიკა – მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ); ესთეტიკური: ესთეტიკასთან დაკავშირებული: ესთეტიკური სიამოვნება (ესთეტიკა – მოძღვრება ხელოვნებისა და საერთოდ, მშვენიერების შესახებ). (ibid:87).
4. კაზმავს-კმაზავს; (კულინარიული პროგრამებიდან ხშირად ისმის სიტყვა შეკაზმვა, კაზმავს, რაც მაღაპროპიზმის მაგალითია.) კაზმავს-1. ამკობს, რთავს; 2. ამზადებს სამგზავროდ ცხენს; კმაზავს: სანელებლებს უკეთებს საჭმელს. (ibid: 114)
5. კამპანია-კომპანია; კამპანია: ერთობლივ, კოლექტიურ ღონისძიებათა მიმდინარეობა (საარჩევნო კამპანია) ან ერთ საბრძოლო ასპარეზზე გაჩაღებული ომი, ლაშქრობა, რომელიც სათანადო გეოგრაფიულ სახელს უკავშირდება (ყირიმის კამპანია); კომპანია: სავაჭრო, სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა სახის გაერთიანება, ამხანაგობა (მაგ., ავიაკომპანია); გადატ. წრე, ჯგუფი (მეგობართა კომპანია). (ibid:114).
6. ამპლუა-ამპულა; ამპლუა-შესაფერისი როლი/საქმიანობა. ამპულა - წამლის პატარა ჭურჭელი. (ibid:28).
7. მაცხოვრებელი-მცხოვრები; მაცხოვრებელი: ვინც ვინმეს აცხოვრებს. საუბრ: კარგი (=შეძლებული). მცხოვრები: ის, ვინც ცხოვრობს (რამდენი მცხოვრებია ქალაქში?). (ibid:140).

ოქსიმორონი ოქსიმორონი (ბერძ. oxymoron – გონებამახვილური სისულელე; oxy – მჭრელი, ბასრი, მახვილი და moron – უგუნურება) ემყარება ერთმანეთთან „შეუთავსებელ“, ურთიერთგამომრიცხავ ცნებათა დაკავშირებას, კონტრასტული ნიშნის გადატანას, რითაც ახალი ცნება ან წარმოდგენა იქმნება. ოქსიმორონი ფართოდაა გავრცელებული ლიტერატურაში, პოეზიაში და აგრეთვე ყოველდღიურ მეტყველებაში: „გამაყრუებელი სიჩუმე“, „მოსიარულე მკვდარი“. ოქსიმორონები გვხვდება ზოგიერთი წიგნის, კრებულის, ნაწარმოების სახელწოდებაშიც კი. მაგალითისთვის, ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამე“, მუხრან მაჭავარიანის ლექსების კრებულის სახელწოდება „დუმბაძის რეკავს“, ლევ ტოლსტოის რომანის „ცოცხალი ლეში“ და ა.შ. არაინტენციური ოქსიმორონი უნებლიედ იქმნება საუბრის დროს, მაგალითად, original copy- ორიგინალი ასლი.

დანკინ დონატის შემოთავაზება: “Frozen hot chocolate” (გაყინული ცხელი შოკოლადი) ოქსიმორონის ბრწყინვალე მაგალითია.

ანტონიმური მიმართება მყარდება საფერფლესა და მოწევის აკრძალვის ნიშანს შორის, როცა ეს ნიშანი თვით საფერფლეშია მოთავსებული.

არაინტენციური ოქსიმორონის მაგალითია 2015 წლის 25 ივნისს (მეზღვაურთა საერთაშორისო დღე) აჭარის ტელევიზიით მომავალი მეზღვაურის მიერ გაკეთებული განცხადება: „ნახევრად სრულყოფილი მეზღვაური ვარ.“

როგორც აღმოჩნდა, ოქსიმორონში ორი საპირისპირო ცნების პარადოქსული, ერთი შეხედვით, უაზრო შეერთებით შესაძლოა მიღწეულ იქნეს განსაკუთრებული სტილისტური ეფექტი.

ველერიზმი მსგავსების გამოხატვა, გამონათქვამია, რომელიც შედგება კარგად ცნობილი ციტატისგან/ანდაზისგან, აქვს სახუმარო, იუმორისტული გაგრძელება. წარმოიშვა ჩარლზ დიკენსის (1812-1872), „პიკვიკის კლუბის ჩანაწერებიდან“ (1836-37), სადაც სემ ველერი იყენებდა მსგავს ფრაზებს. ველერიზმი არის კლიშეთა, გამონათქვამთა თუ ანდაზათა იუმორისტულად უარყოფა, მიგვითითებს რა რომ აღნიშნული ანდაზა ან გამონათქვამი ყველა სიტუაციაში არ ამართლებს. დიდი ხნის წინ დამკვიდრებულმა კლიშემ თუ სტერეოტიპმა გარკვეულ სიტუაციაში შესაძლოა კრახი განიცადოს, ველერიზმი კი ამ სიტუაციას მახვილგონივრული სიტყვებით ცვლის და ისე გადმოსცემს. ველერიზმი სამი ნაწილისგან შედგება: ანდაზის ან გამონათქვამის, მოსაუბრისა და იუმორისტული სიტუაციისგან:

1. "So I see," said the blind carpenter as he picked up his hammer and saw.
2. This week is beginning splendidly," said one who was to be hanged on Monday.

ვ. მიდერის მიხედვით, თუ ველერიზმი შეიცავს ტრანსფორმირებულ, კომიკურ ანდაზას, ამ შემთხვევაში ანტი-ანდაზასთან გვაქვს საქმე. ქართულ სატელევიზიო სივრცეში ანტი-ანდაზების გამოყენებით ცნობილია ვანო ჯავახიშვილი (გადაცემა the ვანოს show-ს წამყვანი). ველერიზმის მიზანი ანდაზის, გამონათქვამის, ციტატის იუმორისტულად უარყოფაა და სწორედ ამის დახმარებით ვანო ჯავახიშვილის შოუ გაცილებით მრავალფეროვანი და სახალისო ხდება. ძირითადი სამიზნეები პოლიტიკური სფეროს წარმომადგენლები არიან. თავად ვანო ამ მონოლოგს „თანამედროვე პოლიტიკურ სიბრძნეს უწოდებს“, სადაც, როგორც თვითონ ამბობს, ახალ ანდაზებს გვთავაზობს:

„დედის წინ მორბენალი ხადური, მგელსაც შეჭამს და მგლის შვილსაცო“, „ასჯერ გაზომე და ერთხელ მაინც ააშენო“.

ველერიზმი ძირითადად გარკვეული ინტენციით იქმნება, რომელიც გამოიყენება იუმორისტული ან სარკასტული ეფექტის მიღებად. არაინტენციური ველერიზმი კი შეიძლება უნებურად წარმოიშვას საუბრის დროს. იდიომები, ანდაზები, ფრაზეოლოგიზმები ხასიათდება სემანტიკური მთლიანობით, ამიტომაც მათი ტრანსფორმირებული გამოყენება გვეხმარება იმ მექანიზმის გასაძლიერებლად, რომელიც წარმოადგენს რეციპიენტზე ზემოქმედების ძირითად საშუალებას.

ველერიზმის განსაკუთრებულ სახეობად მიჩნეულია ტომ სვიფტი (Tom Swifty), რომელიც შეიცავს კალამბურულ ზმნიზედას და განსაზღვრავს მის კავშირს წინადადებასთან. კომიკურ თუ სარკასტულ სიტუაციას ამ შემთხვევაში ძირითადად ზმნიზედა ქმნის, მიუხედავად იმისა, რომ ზმნიზედა წინადადებაში სწორადაა გამოყენებული, დატვირთვა მასზე მოდის და იუმორისტული ხასიათისაა, მაგ.: “Life isn’t fair,” said Tom darkly. „ცხოვრება უსამართლოა“ - თქვა ტომმა პირქუშად. ზედსართავი “fair” გარდა სამართლიანისა, მზიანს/ნათელსაც ნიშნავს. სიტყვა “fair” ზმნიზედას (darkly) უკავშირდება კონოტაციური მნიშვნელობით, ერთგვარი ანტონიმური მიმართებით. “Yes, we have no bananas,” Tom said fruitlessly (Bananas-ბანანები; fruitlessly- უნაყოფოდ, უსარგებლოდ). “Let’s spice it up,” said Tom gingerly. „მოდი, სანელებლებით შევაზავოთ“, თქვა ტომმა ფრთხილად. ზმნიზედა „ფრთხილად“ განსაზღვრავს ზუსტად იმ მიმართებას, რასაც კალამბურული მიმართება ჰქვია და ტომ სვიფტს ახასიათებს, რადგან სიტყვა “ginger” ერთ-ერთ სანელებელს, კერძოდ, კოჭას ნიშნავს. ზოგჯერ, შესაძლოა ზმნიზედის ნაცვლად ზმნამ ითამაშოს იგივე როლი წინადადებაში. მაგ.: “I hate math,” Tom added. „მძულს მათემატიკა“, დაამატა ტომმა. ამ შემთხვევაშიც ზმნა ორმაგი მნიშვნელობის მატარებელია „დამატება“ და „მიმატება“ როგორც მათემატიკური ტერმინი. “I hear a brook,” Tom babbled (Brook - ნაკადული; babble - ბუშტების გამოშვება). ამ მაგალითშიც მკაფიოა ორი სიტყვის ურთიერთკავშირი, მახვილგონივრული გზითაა გადმოცემული მათი მჭიდრო ლექსიკური მიმართება. “I’m a broken man,” Tom cracked (Broken-გატეხილი, დამტვრეული; cracked-დარტყმა, ტკაცანი). მოყვანილ მაგალითში, ველერიზმი/ტომ სვიფტი ასოციაციის მეშვეობით იგება, რადგან ლექსიკურ ერთეულებს (Broken/cracked) შორის ასოციაციური კავშირი მყარდება.

ველერიზმების კომიკური ეფექტი ლინგვისტური თვალსაზრისით ძირითადად, ოპოზიციით, ანტონიმური, ასოციაციური, პოლისემანტური მიმართებებით მიიღწევა.

ზევგმა სიტყვათა თამაშის ის ხერხია, სადაც წინადადებაში განზრახ ან შემთხვევით ხდება სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობით გამოყენება, მაგ.: „ფანჯრის მიღმა მოდიოდა თოვლი და სამხედროთა ასეული“. ზევგმა სტილისტიკური ხერხია, როცა შემასმენელი ერთხელ იხმარება, შემდეგ კი გამოტოვებულია, მაგრამ იგულისხმება. “He lost his coat and temper” - მან დაკარგა პიჯაკი და მოთმინება. “Mr. Pickwick took his hat and his leave”- ბატონმა პიკვიკმა აიღო ქუდი და შვებულება.

ზევგმას სილექსისსაც უწოდებენ. გამოიყოფა გრამატიკული და ლექსიკური სილექსისი. განვიხილოთ ლექსიკური სილექსისის მაგალითი, სადაც ზმნის საშუალებით ხდება გადატანითი მნიშვნელობის აქტუალიზება: “Eggs and oaths are soon broken”. (English proverb) “They covered themselves with dust and glory”. (Mark Twain, the adventures of Tom Sawyer). ამ წინადადებებში ზმნა არასწორადაა გამოყენებული, თუმცა გარკვეულ ეფექტს ქმნის და ორაზროვნებას არ ბადებს - მკითხველისთვის/მსმენელისთვის ადვილად აღსაქმელია, რომ პირველ წინადადებაში „broken“ გამოხატავს მიმართებას როგორც კვერცხთან, ისე სიძულვილთან. სემანტიკური თვალსაზრისით, სიტყვები არასწორადაა შერჩეული, ვინაიდან „დამტვრევა“, ჩვეულებრივ, არ გამოიყენება ისეთ არსებით სახელთან, როგორიცაა „სიძულვილი“.

გრამატიკული სილექსისი ზმნის გამოტოვებაზეა კონცენტრირებული, ანუ ძირითადი დატვირთვა სიტყვათა წყობაზე მოდის. გამოტოვებულია, თუმცა ნაგულისხმევია შემასმენელი. გრამატიკული სილექსისის ანალიზისას ხშირად ვაწყდებით გრამატიკული ფორმის რღვევას, მაგალითად: “Meet adoration to my household gods, when I am gone. He works his work, I mine”. (Tennyson, lines:39-43) ფრაზა არ შეესაბამება გრამატიკულ ფორმას, რადგან მესამე პირის დაბოლოება ინგლისურ ენაში იგივე არ არის რაც პირველი პირის. მოცემულ შემთხვევაში ზევგმა ეფუძნება სინტაქსურ შეცდომას. ასეთი ტიპის შეცდომები (დარღვევები) ინტენციურია და ავტორის მიერ გამიზნულადაა შერჩეული გარკვეული ეფექტის მისაღებად.

სემანტიკურ-სტილისტიკურ დონეზე განხილული ერთეულების ანალიზმა ცხადყო, რომ მათ შორის სემანტიკური თვალსაზრისით მჭიდრო და უწყვეტი კავშირი არსებობს და თითოეული მათგანი ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით. აღსანიშნავია რომ,

როგორც ველერიზმის, ისე ოქსიმორონისა და კალამბურის (მისი ქვესახეობების) გამოყენებისას წინადადების სინტაქსური წყობა უცვლელია - გარკვეული სემანტიკურ-სტილისტიკური ეფექტი მიიღწევა წინადადების სინტაქსური წყობის ცვლილების გარეშე. რაც შეეხება ზევგმას (გრამატიკული/ლექსიკური სილეპსისს), მას ახასიათებს სინტაქსური წყობის რღვევა გარკვეული ეფექტის მისაღებად.

კვლევამ ცხადყო, რომ თითოეული ერთეულის ანალიზი შესაძლებელია მისი ინტენციურობა-არაინტენციურობის კრიტერიუმზე დაყრდნობით.

ნაშრომში განხილული სიტყვათა თამაშის ხერხები ძირითადად გარკვეული ინტენციით გამოიყენება. იყენებს რა ავტორი სიტყვათა თამაშის სხვადასხვა ხერხს, იგი მიმზიდველობას მატებს ტექსტს.

მალაპროპიოზმი არის სიტყვათა თამაშის ის ფორმა, რომელიც ხშირ შემთხვევაში არაინტენციურია და არ გააჩნია სიტუაციის შესაბამისი დატვირთვა. აქ ადგილი აქვს სემანტიკური მნიშვნელობის ცვლილებასა და მის უნებლიე გამოყენებას. ძირითადად კი მალაპროპიოზმის გამოყენება რეციპიენტში ბადებს შეგრძნებას, რომ ადრესანტი დილეტანტია და არ იცის განსხვავება მსგავსი ჟღერადობის სიტყვებს შორის. შესაბამისად, ადრესანტი იყენებს მალაპროპიოზმს არაინტენციურად და დარწმუნებულია მის მირ შერჩეული სიტყვის მნიშვნელობის სისწორეში.

კალამბური ფართოდ გამოიყენება მედიადისკურსში. ასევე ხშირად ვაწყდებით გრამატიკულ და ლექსიკურ სილეპსისს ე.წ. ზევგმას, ოქსიმორონს. უნდა აღინიშნოს, რომ კალამბური ის ხერხია, რომელიც ყველაზე ფართოდ გამოიყენება ზემოხსენებული სემანტიკურ-სტილისტიკური ხერხებიდან მედია სივრცეში, რომელიც, თავის მხრივ, კლასიფიცირდება ცალკეულ ქვე-ჯგუფებად და იძლევა უფრო ფართო და მასშტაბური ანალიზის საშუალებას.

იუმორი ის მოვლენაა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ყოველი ენის კულტურასა და ლიტერატურასთან. კალამბური კი იუმორის განუყოფელი ნაწილია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მკვლევრები კალამბურს განიხილავენ როგორც სიტყვათა თამაშის ერთ-ერთ სახეობას. მიუხედავად მდიდარი მემკვიდრეობისა, ტერმინი კალამბური ჯერ კიდევ ინოვაციად ითვლება და შეისწავლება მრავალ მკვლევართა მიერ.

კალამბური ენათმეცნიერებაში პოპულარული XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში ხდება. ტერმინის „კალამბური“ ზუსტი წარმოშობა არ არის დადგენილი, თუმცა არსებობს რამდენიმე ვერსია:

ერთ-ერთ ვერსიის თანახმად, ტერმინი „კალამბური“ შეიძლება წარმოქმნილიყო შემდეგი ერთეულებისაგან:

1. ფრანგული “calembredaine” (ფუჭი საუბარი, ხუმრობა);
2. ფრანგული cale - შეცდომით დაწერილი და bourre - ტყუილი, გამონაგონი;
3. “calendar” სისულელის ჩმახვა;
4. იტალიური “calamago” - მელანი და “burlare” სიცილი, დაცინვა;
5. ბერძნული “kale” ბრწყინვალე და ფრანგული “bourde” სისულელე, ტყუილი.

კალამბურის ისტორიული ვერსია უკავშირდება ვესტფალელ ბარონ კალენბერგს, რომელიც ცხოვრობდა მე-18 საუკუნეში და სახელი გაითქვა ლუდოვიკო XV-ის კარზე ორაზროვანი გამონათქვამებით. ფრანგული ენის ცუდად ცოდნის გამო იგი ამახინჯებდა გამონათქვამებს, ფრანგებმა კი სახელი დაუმახინჯეს და კალენბერგის ნაცვლად კალამბური შეარქვეს.

მეორე ვერსიის თანახმად, ტერმინი კალამბური ქალაქ კალენბერგიდან მოდის, სადაც ლუთერის ცხოვრების პერიოდში გერმანელი მღვდელი ცხოვრობდა, რომელიც განთქმული იყო ხუმრობებით.

კალამბური აღმოჩნდა იუმორის ის სახე, რომელიც თანამედროვე ლინგვისტიკაში სათანადო შესწავლის ობიექტი გახდა. ს. ატარდო აღნიშნავს, რომ წინა კვლევებში კალამბური ძირითადად ტაქსონომიური მიდგომებით შეისწავლებოდა და ე.წ. „განმარტებით მაგალითები“ არ არსებობდა (ატარდო / Attardo, 1994:107). დღემდე ლინგვისტიკა ახდენდა მხოლოდ სხვადასხვა ტიპის კალამბურების კლასიფიკაციას. ამ კლასიფიკაციას არაფერი ჰქონდა საერთო ფუნქციებთან - მინიმალურ დონეზე ხდებოდა კალამბურის ფუნქციების ჩვენება რეალური ცხოვრების დისკურსში.

გ. რიტჩი იგივე პრობლემაზე საუბრობს და კრიტიკულადაა განწყობილი წინა კვლევების მიმართ ამ სფეროში. რიტჩი გვთავაზობს პრაქტიკული და გარემო პირობებით დეტერმინირებული კალამბურების შესწავლას (რიჩი / Ritchie, 2004:110).

კალამბური დამახასიათებელია ყველა ენისთვის - იგი შეიძლება უნივერსალურ ფენომენად მივიჩნიოთ. ყველა ენაში მოიპოვება სიტყვა ორზე მეტი მნიშვნელობით (პოლისემია), განსხვავებული სიტყვები ერთნაირი მართლწერითა და წარმოთქმით (ომოგრაფები და ომოფონები). კალამბური შეიძლება განიმარტოს როგორც სიტყვათა თამაში, რომელიც დამყარებულია სემანტიკურ ორაზროვნებაზე, როდესაც ორი პირდაპირი ან კონტექსტუალური მნიშვნელობის მქონე სიტყვა მოულოდნელად იჩენს თავს და გამოწვეული შეუსაბამობა კომიკურ ეფექტს ქმნის. ამ ეფექტურ სტილისტურ საშუალებას შეიძლება წავაწყდეთ მხატვრულ ნაწარმოებებში, გამოცანებში, ანეკდოტებში, იუმორისტულ ციტატებსა თუ სარეკლამო სლოგანებში. კალამბური წინასწარ დაგეგმილი კომუნიკაციური სტრატეგიაა, რომელიც გარკვეული სემანტიკური და პრაგმატიკული ეფექტის მისაღებად გამოიყენება (დელაბატისტა, 1997:2).

დ. დელაბასტიტას (1996), ჯ. ლიჩისა (1969) და პ. ნიუმარკის (1988) მოსაზრებით, კალამბური ხაზს უსვამს სიტყვათა ომონიმურ და პოლისემიურ ბუნებას. მეცნიერ ვ. ნაშს მიაჩნია, რომ კალამბური არ არის მხოლოდ იუმორის მატარებელი ერთეული, იგი განიხილავს სხვადასხვა ტიპის კალამბურს, მათ შორის კალამბურულ მეტაფორებს და აღნიშნავს რომ ყველაზე ხშირად ეს მეტაფორები მედია დისკურსში გვხვდება. (Nash 1985:137). მაგ.: “Council puts brake on progress of cycle path scheme.” ნათელია, რომ მაგალითი მეტაფორულია, ამასთანავე თავს იჩენს ომონიმური კალამბური სიტყვით “brake”. პირველი განმარტება მუხრუჭთან და მოძრაობასთან ასოცირდება, მეორეში კი ნაგულისხმევია პროგრესის, წინსვლის ელემენტები.

კალამბური ფართოდ გამოიყენება ლიტერატურულ ტექსტებში, ფილმებსა თუ სატელევიზიო შოუებში, მრავლად გვხვდება ჟურნალისტურ სტატიებში, ძირითადად ირონიულ ან სარკასტულ სვეტებში. კალამბური ეხება საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს პრობლემებს იუმორისტული კუთხით და იზიდავს მკითხველის ყურადღებას. მაშასადამე, კალამბური არის კონსტრუქტი, რომელიც დაფუძნებულია სხვადასხვა მნიშვნელობათა კომიკურ გამოყენებაზე.

კალამბური დამახასიათებელია სემანტიკურად მრავალმნიშვნელოვანი ტექსტებისთვის, რომლებიც გამოირჩევიან იუმორისტული და სატირული მიმართულებით. კალამბური, როგორც ხუმრობის ფორმა, იძლევა საშუალებას გვერდი ავუაროთ ცენზურას და გამოვხატოთ აზრი, რომელიც (გარკვეული მიზეზების გამო) აკრძალულია. კალამბურულ

გამოთქმაში უხამსობა დასაშვებად იქცევა, უხეშობა მეგობრულ ქილიკად. ყოველივე ეს კი გამოდინარეობს იქედან, რომ გარდა პირდაპირი ზუსტი აზრისა, ყოველ კალამბურში იმპლიცირებულია დამატებითი აზრი.

კალამბურის სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებების მკაფიოდ წარმოსადგენად და სტრუქტურული თავისებურებების ნათლად ასახვის მიზნით განვიხილავთ კალამბურის საერთო სტრუქტურას.

კალამბურული სქემის შექმნის პირველი ცდა ეკუთვნის ვ.ს. ვინოგრადოვს. მისი სქემის თანახმად, კალამბური შედგება ორი კომპონენტისგან: ლექსიკური ფუძისგან, რომელსაც იგი საყრდენ კომპონენტად ე.წ. სტიმულატორად მიიჩნევს და რომელიც იძლევა თამაშის დაწყების საშუალებას და შედეგზე დამყარებული კომპონენტისგან, რომლის როლს თამაშობს არა ერთი ზუსტად განსაზღვრული ენობრივი ერთეული, არამედ კონტექსტი. ვ. ვინოგრადოვის სქემა უბრალო და თვალსაჩინოა, მაგრამ იგი იძლევა მხოლოდ მიახლოებით წარმოდგენას კალამბურზე. კალამბური შესაძლოა წარმოდგენილი იყოს გართულებული ფორმებით და ვერ ჩაეტიოს მხოლოდ ორკომპონენტის საზღვრებში (ვინოგრადოვი / Виноградов, 1972).

მეცნიერები ცდილობენ კალამბურის განმარტებასა და კლასიფიკაციას, მაგრამ შედეგი ყოველთვის ნაკლებ წარმატებულია (ქულერი / Culler, 1988:4).

ა. პარტინგტონი ემხრობა კალამბურის ტრადიციულ დაყოფას ომონიმურ და ომოფონურ კალამბურებად, მაგრამ ამასთანავე აღიარებს რომ განსხვავება უფრო მკაფიოა „ზუსტ“ და „მსგავს“ კალამბურებს შორის. ტრადიციული თვალსაზრისით, ომონიმური კალამბური გულისხმობს სიტყვას მსგავსი ჟღერადობითა და მართლწერით, მაშინ როდესაც ომოფონურ კალამბურებს მხოლოდ მსგავსი ჟღერადობა აქვთ (პარტინგტონი / Partington, 2009:1796). მისივე განმარტების მიხედვით, ზუსტი კალამბური ის მსგავსი ჟღერადობის სიტყვებია, რომლებიც თამაშში ერთვებიან, ასე რომ ზუსტი კალამბური შეიცავს როგორც ომონიმურ, ისე ომოფონურ კალამბურებსაც, მაშინ როდესაც მიახლოებული კალამბური დამყარებულია მიმსგავსებული ჟღერადობის სიტყვებზე.

შემდეგი მაგალითის საშუალებით შესაძლებელია ზუსტი კალამბურის ილუსტრირება: “Do you believe in clubs for young people?” - “Only when kindness fails” (ibid:1797). აქ კალამბური ატარებს განსხვავებულ მნიშვნელობებს, სიტყვა „club“ ნიშნავს როგორც

ხალხის ჯგუფს, ისე ხელკეტს, რომელიც ზოგიერთი სპორტის სახეობაში გამოიყენება მაგ.: golf club.

რაც შეეხება მიახლოებულ კალამბურს, პარტინგონი შემდეგ მაგალითს გვთავაზობს: “A man forgets to buy his wife her favourite anemones for her birthday. The shop has only some greenery left, which he purchases. But the forgiving wife exclaims on his return: “With fronds like these, who needs anemones?” (ibid:1796) სიტუაცია: ქმარს ავიწყდება მეუღლის საყვარელი ზღვის მცენარეების ყიდვა დაბადების დღისთვის, ყიდულობს სხვა საჩუქარს. ცოლი კი პატიებას გამოხატავს შემდეგი ფრაზით: “With fronds like these, who needs anemones?” ხაზს უსვამს, რომ მიუტევა ქმარს გულმავიწყობა. აქ კალამბურის მიზანია მკითხველი მსგავსი ჟღერადობის სიტყვებით მოხიბლოს და იუმორისტულად დატვირთოს, კერძოდ: “With fronds like these, who needs anemones?” ფრაზა შემდეგნაირად ჟღერს: “With friends like these, who needs enemies?”

ფრაზა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უარყოფით სიტუაციებში. ა. პარტინგონის აზრით, მიახლოებული კალამბურები გარკვეულ ფრაზათა ჯგუფის აქტუალიზების შედეგად იქმნება. ესენია: ჩანაცვლება, აბრევიატურა, დამატება და გადაადგილება. ჩანაცვლების მაგალითებია:

1) Bonfire of the Sanities

2) Elway does it his way ტომ ვულფის რომანის „Bonfire of the Vanities“, სახელწოდების ცვლილება გამოწვეულია ერთი ფონემის ჩანაცვლებით.

მეორე შემთხვევაში გვაქვს ფრენკ სინატრას სიმღერის სახელწოდების ცვლილება I Did It My Way by, ორიგინალი ვერსიის სრული სახეცვლილება. ავტორი აღნიშნავს საინტერესო ფაქტს: მკითხველი მსწრაფლ ხვდება, რომელ ფრაზასთან აქვს საქმე, თუნდაც სამი ან ხუთი ლექსიკური ერთეულით ჩანაცვლდეს ერთი. სინატრას სიმღერის სათაურში მხოლოდ ორი სიტყვაა უცვლელი it და way. მკითხველი დაუყოვნებლივ იაზრებს, რომ ეს ფრაზის ორიგინალი ფორმის ლექსიკური ნიმუშია. ა. პატრინგტონი ამ მოვლენას „პირველად პროსოდისა“ უწოდებს. ფრაზა დალექილია მკითხველის ცნობიერებაში, შესაბამისად, მკითხველს აქვს სწრაფი საპასუხო რეაქციის უნარი. მეორე მექანიზმი, რომელიც იწვევს კალამბურის შექმნას, აბრევიატურაა. ის აცნობს მკითხველს ინფორმაციის რაღაც ნაწილს და დანარჩენს თავად მკითხველი „ამოიცნობს“: Accountancy & Management: For what we are about to receive. Simon Pincombe finds that company

administrators and receivers are among those destined to do well this year. Partington (ibid:1807) ფრაზა ბიბლიიდან: For what we are about to receive, may the Lord make us truly Thankful - შემოკლებულია, გამოტოვებულია ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი: that receivers of some financial reward should be thankful. აქ მკითხველი ვალდებულია შეავსოს გამოტოვებული ადგილი თავისი მენტალური ლექსიკონით. დამატება, როგორც სახელი გვაუწყებს, ითვალისწინებს ლექსიკური ერთეულების დამატებას ორიგინალი გამონათქვამისათვის. Iain Gale gives the artists the chance to put the palette knife in. (2009:1806) აქ, ორიგინალ ვერსიაში: to put the knife in, გაკრიტიკებას ნიშნავს, მაგრამ ემატება სიტყვა palette და ვიღებთ სხვა გამონათქვამს, რომელიც უფრო შესაფერისია იმ ხელოვანისთვის, ვინც უგულოდ აკრიტიკებს ნამუშევრებს. ბოლო მეთოდი კალამბურის მისაღებად, რომელსაც პარტინგონი განიხილავს, არის ფრაზათა ცვლილება: Another catch for the early birds (ibid:1806) It's the early bird that catches the worm. ორიგინალი ვარიანტი შეცვლილია ზემოხსენებული ფრაზით და საკმაოდ აშკარაა ეს ცვლილება, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ტიპის ცვლილება ყოველთვის როდია თვალშისაცემი. ა. პარტინგტონი, ამ მაგალითს განიხილავს როგორც კალამბურს. თუმცა, ყურადღების მიღმა რჩება მაგალითების შინაარსობრივი ცვლილება, რომელიც ველერიზმის, ამ შემთხვევაში კი ანტი-ანდაზის ნათელი მაგალითია. აქ ორი სემანტიკური ხერხი შეიძლება გავაანალიზოთ თანადროულად და აღვნიშნოთ, რომ ზემოხსენებული მაგალითი არა მხოლოდ კალამბურულ ბუნებას ატარებს, არამედ ველერიზმის მაგალითიცაა. საგაზეთო სტატიის სათაური: “To conquer at the Stoop” სიტყვათა წყობა გოულდსმიტის პიესის სათაურია და შემდეგნაირად ჟღერს: She stoops to conquer, მაგრამ მოცემულ სიტუაციაში Stoop ასოცირდება რაგბის სტადიონთან და მკითხველის ცნობიერება ადვილად აკავშირებს ორ მოცემულ სიტყვას. აზრი გასაგები ხდება. როგორც ავტორი აღნიშნავს, ადამიანის გონებას აქვს უნარი შეინახოს და გაიხსენოს მთელი რიგი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ერთმანეთთან თანხვედრაში არიან.

კალამბურის ბუნების განხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კალამბური იუმორის ერთ-ერთი ფორმაა. იუმორი შეიძლება იყოს: შავი, უხეში, გულუბრყვილო, მარტივი, წარმატებული, წარუმატებელი. კალამბურის იუმორი, გამომდინარე ადრესატის ინტენციიდან, შეიძლება მოიცავდეს ყველა ჩამოთვლილ ფორმას. მაშასადამე, არსებული განმარტება, რომ კალამბური მხოლოდ რომელიმე მათგანს უნდა გამოხატავდეს, მცდარი შეიძლება აღმოჩნდეს ზოგიერთ სიტუაციაში, რადგან მისი შექმნა გარკვეულ ფონურ ცოდნასთან, კრეატიულ უნარებთან და ინტენციასთანაა დაკავშირებული.

ლინგვისტური თვალსაზრისით, კალამბური წარმოადგენს რთულ მექანიზმს, რადგან აქ ჩართულია მთელი რიგი ენობრივი მოვლენები, როგორცაა: ომონიმია, ომოფონია, პოლისემია, პარონიმია და ა.შ. კალამბურის ზუსტი საზღვრების მონიშვნა საკმაოდ რთულია, ვინაიდან კალამბური და სიტყვათა თამაშის სხვა ხერხები ხშირად კვეთენ ერთმანეთს.

2.4. იუმორის თანამედროვე ლინგვისტური თეორიები

იუმორი წარმოადგენს ადამიანის ცხოვრების იმ უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ადამიანის ყოველდღიური საქმიანობა. ამასთანავე, იგი კომუნიკაციის დამყარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. იუმორში აისახება ადამიანის ყოფის სუბიექტური მხარეები: ხასიათი, განწყობა, ადამიანთა დამოკიდებულებები კონკრეტული მოვლენების, საგნებისა თუ სხვა ადამიანების მიმართ. ამასთანავე, იუმორი წარმოაჩენს ერის კულტურას, ფსიქიკასა და სამყაროს აღქმის თავისებურებებს.

იუმორი ის ფენომენია, რომელიც კულტურის მიერ იმართება. იუმორის აღქმის თავისებურების განსაზღვრა საკმაოდ რთულია, რადგან ეს დაკავშირებულია ისეთ სუბიექტურ ფაქტორებთან, როგორცაა: ასაკი, ინტელექტის დონე, ცხოვრებისეული გამოცდილება, საცხოვრებელი ლოკაცია. ამასთანავე, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ისტორია, ღირებულებები, წეს-ჩვეულებები, რის გამოც იუმორის მეორე ენაზე გადმოცემა რთულია, ზოგიერთ შემთხვევაში კი - შეუძლებელიც. ის, რაც იუმორისტულ მონათხრობად აღიქმება ერთი კონკრეტული ერის წარმომადგენლისთვის, მეორე ერის წარმომადგენლის მიერ შესაძლოა აბსურდად ჩათვალოს. გამოდის რომ, იუმორი მნიშვნელოვანადაა დეტერმინირებული კულტუროლოგიულ-სპეციფიკური და ფონური ცოდნით.

დისტანციის შენარჩუნება ინფორმაციის გამგზავნისა და რეციპიენტს შორის აუცილებელია, იმისათვის რომ იუმორი სწორად იქნეს აღქმული. დისტანციაში მოაზრება არა მხოლოდ ტერიტორიული დაშორება, არამედ მენტალური სხვაობაც. გამოდის რომ, დისტანცია გულისხმობს კულტურებს, მსოფხედვებსა და სამყაროს აღქმის თავისებურებებს შორის სხვაობას.

იუმორი ყველა სფეროს შემადგენელი ნაწილია. იუმორი მჭიდროდაა დაკავშირებული კულტურასა და ლინგვისტიკასთან. იუმორის სხვა ენაზე გადმოცემა საკმაოდ რთულია, რადგან მთარგმნელს უწევს ისეთ სირთულეებთან შეჭიდება, როგორცაა: ორიგინალის ენაზე მოცემული იუმორის დატვირთვის შენარჩუნება და შესაბამისი რეაგირების გამოწვევა სხვა კულტურის წარმომადგენელში. კულტურათაშორისი სხვაობა, განსხვავებული შეხედულებები, ღირებულებები, სამყაროს აღქმის თავისებურებები გამორიცხავს იუმორის უნივერსალურობას. იუმორი სოციალური ფენომენია, რომლის

მანიფესტაციაც ძალზედ განსხვავებულია სხვადასხვა კულტურებში. იუმორის სპეციფიკიდან და მასში ჩადებული კულტურული კოდიდან გამომდინარე, იუმორის თარგმნის მცდელობა ზოგიერთ შემთხვევაში მარცხით სრულდება ხოლმე. ამ პროცესს კიდევ უფრო ართულებს იუმორის სხვადასხვა ტიპების, კატეგორიების არსებობა.

იუმორს მეცნიერები სხვადასხვაგვარად განმარტავენ. იუმორის განსაზღვრება კი პირდაპირ კავშირშია მისი გამოყენების მიზანთან. ლიტერატურის კრიტიკოსების შეხედულებით, აუცილებელია იუმორის დეტალური, ღრმა კატეგორიზაცია, მაშინ, როდესაც ლინგვისტების აზრით, ყველაფერი, რაც იწვევს სიცილს, თუნდაც, ღიმილს და რაც სასაცილოდ მიიჩნევა, არის იუმორი.

ფსიქოლოგიურმა და სოციოლოგიურმა კვლევებმა გამოავლინა, რომ იუმორს ხშირად ახასიათებს ემოციური, კოგნიტიური და სოციალური გავლენა ინდივიდსა და საზოგადოებაზე. თუმცა, ზოგიერთი მოსაზრებით, იუმორისკენ მიდრეკილება თანდაყოლილი და უნივერსალური რამაა, რაც გულისმობს იმას, რომ ზოგადად ადამიანები იუმორის თანდაყოლილი გრძნობით იბადებიან და ეს გრძნობა ვლინდება სოციალური გამოცდილების შედეგად.

იუმორისა და ხუმრობისადმი ინტერესი საუკუნეებს ითვლის. თუმცა საინტერესოა რა ქმნის იუმორს? - რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა იწვევს სიცილს. ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან ამ ფენომენის ძირითად ნიშან-თვისებად მიიჩნევდნენ შეუთავსებლობას თქმულსა და ნაგულისხმევს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იუმორის ძირითად ნიშან-თვისებად მიიჩნეოდა მის ექსპლიციტურ და იმპლიციტურ დონეებს შორის არსებული განსხვავება.

იუმორის თეორიები ზემოთხსენებულ პრობლემას მეტ-ნაკლებად აგვარებს. არსებობს იუმორის ასზე მეტი თეორია. აღნიშნული თეორიები მოიცავენ ზოგად თეორიებს იუმორის შესახებ. არსებობს იუმორის თეორიის რვა კატეგორია:

1. ბიოლოგიური;
2. უპირატესობის;
3. შეუსაბამობის;
4. გაოცების;
5. ამბივალენტურობის;

6. განმუხტვის;
7. კონფიგურაციის;
8. ფსიქოანალიტიკური თეორიები.

ცნობილია, რომ იუმორის თეორიები ტრადიციულად იყოფა სამ განშტოებად: შეუთავსებლობის, უპირატესობის ან ბისოციაციის თეორიებად.

უპირატესობის თეორია ერთ-ერთი ყველაზე ძველია იუმორის თეორიებს შორის და პლატონისა და არისტოტელეს მოღვაწეობის დროით თარიღდება. არისტოტელეს მტკიცებით, „სიცილი სისუსტისა და სიმახინჯის“ საპასუხოდ წარმოიქმნება, ანუ ხშირად გვეცინება ადამიანებზე დეფექტების და უარყოფითი თვისებების გამო. გვეცინება შეცდომებზე, არასწორ გამოთქმებზე, გრამატიკულ შეცდომებზე და ა.შ. გამოდის რომ, „იუმორს ქმნის აღმატებულობის შეგრძნება, რომელიც წარმოიშობა საკომუნიკაციო აქტის მონაწილე პირში სხვა პიროვნების არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩენის გამო.“

თომას შულცს (შულცი / Schultz, 1976:11-36) ეკუთვნის იუმორის აღქმის სპეციფიკის შესწავლის ერთ-ერთი წარმატებული ცდა. ორ პლანს შორის შეუთავსებლობას იგი განმარტავს როგორც კონფლიქტს მოსალოდნელსა და რეალობას შორის. აქვე აღნიშნავს, რომ ამგვარი შეუთავსებლობის სწორი დეკოდირება განაპირობებს ანეკდოტისა თუ ხუმრობის ადეკვატურ გაგებას.

ფსიქოანალიტიკური თეორიისგან განსხვავებით, რომელიც ემოციებსა და მასტიმულირებელ ფაქტორებს უსვამს ხაზს, შეუთავსებლობის თეორიები არსებითად კოგნიტურია, სხვა სიტყვებით, ანუ შეუთავსებლობის თეორიები ეფუძნება იუმორისტული ტექსტის ობიექტურ მახასიათებლებს (სიტუაცია, მოვლენა, სურათი). ვარაუდობენ, რომ ყოველი ასეთი მოქმედება მოიცავს შინაარსის ორ განსხვავებულ სიბრტყეს - აზროვნების ხაზებს, რომლებსაც სპეციალურ ლიტერატურაში მოიხსენიებენ როგორც ჩარჩო ფრეიმებს, იზოტოპებს, სქემებს, სკრიპტებს და ა.შ.

აქ იკვეთება შეუთავსებლობა, თუმცა ამასთანავე იკვეთება გარკვეული საერთოც, რომელიც უზრუნველყოფს გადასვლას ერთიდან მეორე შესაძლო ვარიანტზე. მიმღები იწყებს ტექსტუალური ან სხვა ტიპის ინფორმაციის დამუშავებას და დაჰყავს იგი ყველაზე ხელმისაწვდომ, რელევანტურ სკრიპტამდე. ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ ინტერპრეტაცია არ „შეეჯახება“ სემანტიკურ დაბრკოლებას და არ დასრულდება

მარცხით. შემდეგ სრულდება რამდენიმე კოგნიტიური ოპერაცია, რათა დაიძლიოს წინააღმდეგობა და მოძიებულ იქნეს სხვა ფარული ინტერპრეტაცია. გაგების განახლებას თან ახლავს გაცრუებისა და კმაყოფილების ემოცია, რომელიც იწვევს სიცილს.

გამოდის რომ, იუმორი გულისხმობს ორი სრულიად შეუსაბამო იდეის, კონცეპტისა თუ მოცემულობის ერთმანეთთან დაკავშირებას მოულოდნელობისა და გაცრუების ეფექტის შექმნის მიზნით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეუსაბამობა ჩნდება ნათქვამსა და ნაგულისხმევს შორის.

უპირატესობის, დაცინვის, კრიტიკის ან მტრობის თეორიები ხაზს უსვამენ იუმორის გამომყენებლის უარყოფით დამოკიდებულებას სამიზნესადმი. ასეთ დროს სიცილი იძენს აგრესიულ ხასიათს - იუმორი გამოიყენება რომელიმე ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის, როგორც წესი, პოლიტიკური, ეთნიკური ან გენდერული ნიშნის საწინააღმდეგოდ რაიმეს გამოსახატავად.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეთნიკური ხუმრობის ფენომენი. ეთნიკური ხუმრობა გულისხმობს ერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლის მიერ მეორე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელზე ან საკუთარ თავზე ხუმრობას. ეთნიკური ხუმრობებისთვის ძირითადი სამიზნეა სტერეოტიპები და ერთა ფსიქოლოგია. უნივერსალური ხუმრობა ზოგადსაკაცობრიო თემებს ეხება, შესაბამისად, მისი თარგმნა შედარებით მარტივია, რადგან მარტივად გასაგებია სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლისთვის.

მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს რეციპიენტის სავარაუდო რეაქცია, ისევე როგორც მათი საპასუხო რეაქცია ამა თუ იმ ხუმრობაზე. ეთნიკურ იუმორში მონაწილეობას იღებს ერთზე მეტი ეთნიკური ჯგუფისა თუ კულტურის წარმომადგენელი. ასეთი იუმორის საფუძველი საერთო კულტურულ სივრცეში არსებული წარმოდგენებია, რომლებიც მიემართება სხვა კულტურის მქონე ხალხს. ეთნიკურ იუმორს, სხვა სიტყვებით, სტერეოტიპებზე ხუმრობასაც უწოდებენ.

ვილჰელმ ჰუმბოლდტი წერდა: „ყოველი თარგმანი გადაუჭრელი ამოცანის გადაჭრის ამოცანად წარმომიდგენია. მთარგმნელი აუცილებლად დაიმსხვრევა ორიდან ერთ-ერთ წყალქვეშა კლდეზე, მაშინაც, თუ თავისი ხალხისა და ენის გემოვნების ხარჯზე ზედმიწევნით ზუსტად გაჰყვება დედანს და მაშინაც, თუ თავისი ხალხის თავისებურებებს უერთგულებს და დედანს გასწირავს. ამათ შორის რაღაც საშუალო

არამცთუ ძნელი მისაღწევია, უბრალოდ, შეუძლებელიც არის”. (ჰუმბოლდტი / Humboldt, 1909)

თითოეულ ენას სამყაროს აღქმის თავისებური ხედვა, კონცეპტუალიზაციის საკუთარი გზა გააჩნია. სოციუმში დროთა განმავლობაში ყალიბდება გარკვეული სტერეოტიპები, იმისათვის რომ აღქმულ იქნეს კულტურულ არეალში მიღებული ქცევები და ტრადიციები, რომლებიც მთარგმნელობით პროცესში ბარიერებს ქმნიან.

განვიხილოთ სტერეოტიპი როგორც მეცნიერული კვლევის ობიექტი. სტერეოტიპი დაკავშირებულია კულტურათა ურთიერთქმედებასთან. ცნება „სტერეოტიპი“ არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა ინტერესის საგანი და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა კამათი მოცემული ცნების გარშემო. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთ ანალოგიური აზრობრივი დატვირთვის მქონე ტერმინს შევხვდებით: „ეროვნული სტერეოტიპები“, „ეთნიკური თავისებურებები“, „ეთნიკური წარმოდგენები“ და სხვ. რაც შეეხება თავად ბერძნული წარმოშობის ტერმინს „სტერეოტიპი“, იგი სამეცნიერო სივრცეში ამერიკელმა მეცნიერმა უ. ლიპმანმა დააფიქსირა წიგნში „საზოგადოებრივი აზრი“, რომელიც 1922 წელს გამოქვეყნდა. უ. ლიპმანი ცდილობდა დაედგინა, თუ რა გავლენა ჰქონდა სტერეოტიპებს საზოგადოებრივ აზრზე. მისი განმარტებით, სტერეოტიპი წარმოადგენს გარესამყაროს აღქმის განსაკუთრებული ფორმას, რომელიც ჩვენს გრძნობებზე გონებაში შეჭრამდე ზემოქმედებს. უ. ლიპმანის აზრით, ადამიანს აქვს მცდელობა, გაერკვეს გარესამყაროში და ცდილობს იმ მოვლენების გაგებას, რომელშიც უშუალოდ მას მონაწილეობა არ მიუღია. შესაძლოა პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ ლიპმანის მოსაზრებით, ადამიანის გონებაში მოვლენებთან და ნივთებთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული წარმოდგენები, რომლებიც ყალიბდება მოვლენებთან თუ ნივთებთან ადამიანის უშუალო შეხებამდე. გამოდის რომ, სტერეოტიპები ყალიბდება კულტურული მემკვიდრეობის გავლენით.

ლიპმანის აზრით, ადამიანი უმეტესად წინასწარ ახერხებს ამა თუ იმ მოვლენის გაცნობიერებას, შემდგომ კი დაკვირვებას აწარმოებს და ცდილობს იმაში გაერკვეს, რა ვერსიასაც კულტურა გვთავაზობს ან თავზე გვახვევს. საბოლოოდ სტერეოტიპები მკვიდრდება, ანუ ვიაზრებთ არსებულ სტერეოტიპებს. სტერეოტიპები ადამიანს სამყაროზე წარმოდგენის შექმნის, ვიწრო სოციალური, გეოგრაფიული თუ პოლიტიკური გარემოდან გასვლის შესაძლებლობას აძლევენ. სტერეოტიპი საუკუნიდან საუკუნეში ისე

გადადის, რომ ხშირად რეალობად აღიქმება ხოლმე. როდესაც ადამიანი უპირისპირებს პირად გამოცდილებას დამკვიდრებულ სტერეოტიპს, ადამიანი მყარია თავის შეხედულებებში და არ ცვლის თავის პოზიციას ან ცდილობს არ შეამჩნიოს არსებული ცვლილებები, შესაბამისად, ივიწყებს მათ. ხოლო ის, ვინც დაინტერესებულია სტერეოტიპებსა და რეალობას შორის კავშირით, იცვლის საკუთარ შეხედულებას სამყაროზე. ლიპმანის აზრით, სტერეოტიპი არ წარმოადგენს ცალსახად ცრუ ცნებას. სტერეოტიპი შეიძლება შეესაბამებოდეს როგორც სიმართლეს, ისე სიცრუეს. ლიპმანი იყო ის მეცნიერი, ვინც დაამკვიდრა სიტყვა სტერეოტიპი მეცნიერებაში და დაგვარწმუნა კიდევ მის მნიშვნელოვნებაში. ლიპმანის აზრით, სტერეოტიპების სისტემა ჩვენი ცხოვრების განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. სტერეოტიპები განაპირობებს ჩვენს ადგილს საზოგადოებაში, განკარგავს ჩვენს დროს და უზრუნველყოფს ტრადიციების მთლიანობრივ აღქმას.

20-30-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოქვეყნდა ბევრი მნიშვნელოვანი ნაშრომი სტერეოტიპებთან დაკავშირებით. სოციოლოგი რ. ბინკლი სტერეოტიპებს „უდიდეს ცვალებადობად“ მოიხსენიებს. (ბრინკლი / Brinckley, 1928:393). მისი ნაშრომი საშუალებას გვაძლევს კარგად გავერკვეთ ადამიანისთვის ძნელად აღსაქმელ და გასაგებ საკითხებში. ბინკლის ნაშრომებში რეპრეზენტირებულია ორ სამყარო: ერთი სამყარო ჩვენს ემოციებს და გრძნობებს აერთიანებს, სხვა სიტყვებით, მოიცავს ყველაფერ იმას, რაც ჩვენს ირგვლივაა; მეორე სამყარო კი შედარებით პატარაა. ეს ვერბალური სამყაროა, რომელიც აერთიანებს ცხოვრებისთვის აუცილებელ ფაქტორებს და ყველაფერს ენის საშუალებით გადმოსცემს.

ამერიკელმა მეცნიერებმა დ. კაცი და კ. ბრეილმა დაამუშავეს მეთოდიკა, რომელმაც მოგვიანებით მკვლევარებს საშუალება მისცა განევრცოთ სტერეოტიპების გაგება. დ. კაცი და რ. ბრეილი აღნიშნავენ, რომ ეთნიკური სტერეოტიპი მყარი წარმოდგენაა, რომელიც ნაკლებადაა შეთანხმებული იმ რეალებთან, რომელთა გადმოცემასაც იგი ცდილობს. სწორედ ამიტომ, ადამიანები ჯერ გადმოცემენ მოვლენას, შემდეგ კი აკვირდებიან მას. (კაცი და ბრეილი / Katz & Braly, 1933)

ეთნიკური სტერეოტიპების გაგება ისტორიულ მოვლენებთან ერთად გადაფასდა. ეთნიკური სტერეოტიპების შესწავლის ახლებური გაგება 40-იანი წლებიდან დაიწყო. იუნესკომ წამოიწყო ფართომასშტაბიანი კვლევები: როგორ აღიქმება ერთი ქვეყნის ხალხი

მათი კულტურა, ტრადიციები და ენა მეორე ქვეყნის ხალხის მიერ; რომელი მათგანია აღქმისთვის პრიორიტეტული. აღნიშნული კვლევა მოიცავდა ავსტრალიას, ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიასა და აშშ. -ს.

კლენბერგი (ბუჩანანი / Buchanan, 1953) და მისი თანამოაზრეები ეთნიკურ სტერეოტიპებს განმარტავდნენ როგორც ადამიანთა გონებაში ერთხელ და სამუდამოდ ჩაბეჭდილ სურათებს. მსგავსი მოსაზრებები საკმაოდ აქტუალური და გავრცელებულია, თუმცა უნდა ითქვას, რომ საკმაოდ პრიმიტიული და რეალობისაგან დისტანცირებულია.

რუსი მეცნიერები დიდ ინტერესს არ იჩენდნენ დასავლურ მეცნიერებაში არსებული შეხედულებების მიმართ. ნ. ეროფეევის განმარტებით, „ეთნიკური წარმოდგენები“ ინფორმაციის გაგების, გაცნობიერების შედეგია, რომელიც ძალაუნებურად გავლენას ახდენს ერთაშორის დამოკიდებულებებზე, ისევე როგორც ეთნიკურ ჯგუფებს შორის კავშირზე. (ეროფეევი / Erofeev, 1962) სტერეოტიპების მდგრადობასთან დაკავშირებით ორი აზრი არსებობს: ერთი მოსაზრების თანახმად, თუ სტერეოტიპის საფუძველი რეალობაა, ის მდგრადია და ინარჩუნებს სიმტკიცეს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ის შეიძლება შეიცვალოს ქვეყნის შიგნით არსებული სიტუაციის ცვლილებასთან ერთად. სწორედ ამის გამოა, რომ სტერეოტიპები, მათ შორის, დადებითი სტერეოტიპებიც კი, გარკვეული ხიფათის შემცველი არიან, ვინაიდან ისინი რეალურად არსებულის, ობიექტურის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

განსხვავებული მოსაზრება აქვს ი. სოროკინს (სოროკინი / Сорокин, 1988). მისი წარმოდგენით, სტერეოტიპები სხვადასხვაგვარად აღიქმება ინდივიდების მიერ, რადგან თითოეული ინდივიდი განსხვავებულია. შესაბამისად, მათ გონებაში ფიქსირდება სამყაროს სხვადასხვაგვარი აღქმა, რომელიც მოიცავს სუბიექტურ შეფასებებს. სწორედ ამ უკანასკნელთა ნაწილია სტერეოტიპი.

ზოგიერთ შემთხვევაში სტერეოტიპების განსაზღვრებას თანდართული აქვს აღნიშვნა „ნეგატიური მნიშვნელობა“. მაიკლ კორგელის ლექსიკონ-ცნობარში სტერეოტიპი შემდეგნაირად განიმარტება: სტერეოტიპი წარმოადგენს ხალხის გარკვეულ ჯგუფებზე არსებულ გამარტივებულ წარმოდგენას. ადამიანის ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, ხალხთა მოსალოდნელი ქცევების და რეაქციების გათვალისწინებით ყალიბდება სტერეოტიპები, რაც ხშირად ნეგატიური და დისკრიმინაციულია. მათ ადამიანთა მასა

ითვალისწინებს და მიუხედავად იმისა, რომ ის დროის ცვალებადობასთან ერთად იცვლება, ხალხში დამკვიდრებული სტერეოტიპის შეცვლა მაინც რთულია.

მოცემული განმარტებებისგან განსხვავებით, ენის და კულტურის შინაარსობრივ კონტექსტში განიხილება სტერეოტიპი კოგნიტურ ლინგვისტიკასა და ეთნოლინგვისტიკაში. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, სტერეოტიპი გაგებულია როგორც აზრობრივი სტერეოტიპი, რაც დაკავშირებულია სამყაროს სურათთან. სამყაროს ენობრივი სურათი და ენობრივი სტერეოტიპი ერთმანეთთან მთლიანობისა და ნაწილის მიმართებაშია.

კოგნიტური ლინგვისტიკის მიმდევრებისთვის მთავარი მახასიათებელი სტერეოტიპის განმარტებისას კულტურით დეტერმინირებულობაა, რაც გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი ადამიანის წარმოდგენა სამყაროს შესახებ ყალიბდება კულტურული გარემოს ზეგავლენით და ეს წარმოდგენები კულტურულ ცვლილებებთან ერთად იცვლება.

საბოლოოდ, სტერეოტიპად შეიძლება განვიხილოთ როგორც სხვა ხალხთა მახასიათებლები, ისე ნებისმიერი რამ, რაც სხვა ერზე შეხედულებასთანაა კავშირში, იქნება ეს აზრობრივი ანალოგიები, ცრურწმენები თუ მორალური ან ეთნიკური ნორმები.

ერთი კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის შიგნით ჩამოყალიბებული ხუმრობა, რომელიც გავრცელებულია ერთ ერში, ადვილად გასაგები და ბუნებრივი შეიძლება აღმოჩნდეს მეორე კულტურის იმ წარმომადგენლისთვის, რომელიც ხუმრობის ობიექტის კულტურას იცნობს. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ხუმრობაში მონაწილე ეთიკური ჯგუფის წარმომადგენელთა შეხედულება მსგავსი უნდა იყოს ხუმრობის ობიექტთან დაკავშირებით. ეს ფაქტი წარმოადგენს წინაპირობას იმისთვის, რომ ეთნიკური იუმორი სწორად და ადეკვატურად ითარგმნოს. ეთნიკური იუმორის სწორი თარგმნისთვის ერთი ენის ენობრივი საშუალების მეორე ენის საშუალებებით ჩანაცვლება საკმარისი არ არის - მთარგმნელს უხდება რიგი სირთულეების გადალახვა. ერთ-ერთი სირთულე შეიძლება იყოს ლინგვისტური ბარიერი. მაგრამ ლინგვისტური ბარიერი მხოლოდ ერთ-ერთია ბარიერთა შორის - მთარგმნელს უწევს ეთნიკური კედლის გარღვევა, რაც ადეკვატური თარგმანის შესრულების აუცილებელი ფაქტორია.

იმისათვის რომ უფრო გასაგები გახდეს ზემოთ ნათქვამი, მაგალითად მოვიყვანოთ ერთ-ერთ გავრცელებულ იუმორს, სადაც დაცინვის ობიექტი საქართველოში არსებული

ქალიშვილობის ინსტიტუტია, რის დაუცველობას, კონტექსტის მიხედვით, ეწირება სვანის ახლად შერთული მეუღლე. მოცემულ იუმორში დაცინვის ორი ობიექტია. ერთ ობიექტს ჩვენ ვუწოდებდით პირდაპირ ობიექტს და ამ შემთხვევაში ეს არის სვანის სტერეოტიპი და მეორე ანუ არაპირდაპირი ობიექტი არის ქალიშვილობის ინსტიტუტი.

მსგავსი იუმორი წარმოადგენს ეთნიკურ ანუ კულტურულ იუმორს. ამ იუმორის თარგმნა სომეხი რეციპიენტისთვის საჭიროებს მხოლოდ ლინგვისტური ბარიერის გადალახვას, იქიდან გამომდინარე, რომ სომხური კულტურის წარმომადგენელი კარგად იცნობს ქართული კულტურის შემადგენელ საბაზისო ელემენტებს, რის საფუძველზეც უმარტივდება შინაარსის ადეკვატური გაგება. მაგრამ იგივე იუმორის თარგმნა იმ კულტურის წარმომადგენლისთვის, რომლისთვისაც გაუგებარია ქალიშვილობის ინსტიტუტის მნიშვნელოვნება თანამედროვე სამყაროში, საკმაოდ რთულია. აღნიშნული სირთულის დაძლევის მიზნით, მთარგმნელი იძულებულია მიმართოს მთარგმნელობით ტრანსფორმაციებს, რითაც ხსნის შინაარსს, მაგრამ ვერ ინარჩუნებს ფორმას.

განვიხილოთ ერთი ეთნიკური ხუმრობა ირლანდიელებზე, სადაც ხაზგასმულია ირლანდიელის დამოკიდებულება, უფრო კონკრეტულად კი, მიჯაჭვულობა ალკოჰოლურ სასმელებზე. ანეკდოტში მღვდელი აშინებს პადის, რომ დაღვევის გაგრძელების შემთხვევაში გადაიქცევა თაგვად. თუმცა, ირლანდიელების სიყვარული სასმელისადმი იმდენად დიდია, რომ ის მაინც განაგრძობს სმას და თან მეუღლეს აფრთხილებს, რომ სახლში კატა არ შემოუშვას.

ამ ხუმრობაში ხაზგასმულია ირლანდიელების ხასიათი და მათი სტერეოტიპი, რომელიც ცნობილია როგორც სასმელისადმი დიდი სიყვარული. ანეკდოტი რომ გასაგები და ეფექტური იყოს განსხვავებული კულტურის მატარებელი რეციპიენტისთვის, მან უნდა იცოდეს ირლანდიელების ხასიათი და კულტურა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ გაიგებს ანეკდოტის დატვირთვას.

- „სადაური ხარ?“ - კარგა ხნის საუბრის შემდეგ შეეკითხა შოტლანდიელი პოლს.
- „მსოფლიოს ყველაზე მაგარი ქვეყნიდან!“ - უპასუხა ამერიკელმა.
- „მართლა?!“ - აღმოხდა შოტლანდიელს. „შოტლანდიელისთვის ძალზედ უცნაური და სასაცილო აქცენტი გაქვს“.

აღნიშნული ანეკდოტი კარგად ასახავს შოტლანდიელებისა და ამერიკელების ხასიათის ისეთ შტრიხს, რასაც პირველობის სიყვარული ჰქვია. ამერიკელის და შოტლანდიელის სტერეოტიპის შესახებ გარკვეული ფონური ინფორმაციის ფლობის გარეშე მკითხველი სათანადოდ ვერ შეაფასებს მოცემული ანეკდოტის ღირებულებას.

ანეკდოტი კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომლის თარგმნაც დამოკიდებულია როგორც მთარგმნელისათვის საჭირო უნარ-ჩვევებზე, ისე რეციპიენტის ცოდნასა და გამოცდილებაზე.

ანეკდოტი წარმოადგენს ტექსტის ისეთ სახეობას, რომელიც რიგ შემთხვევებში უთარგმნელი და გაუგებარი რჩება ბევრი კულტურის წარმომადგენლისთვის. და ეს განსაკუთრებით ხშირად ხდება ეთნიკური იუმორის შემთხვევაში. სიტყვების თამაშთან და უნივერსალურ ანეკდოტებთან შედარებით, ეთნიკური იუმორი ყველაზე რთულად სათარგმნია, ბევრ შემთხვევაში კი არათარგმნადია.

გათავისუფლების, შვების ან რელაქსაციის თეორიები ცნობილია როგორც ფსიქოანალიტიკური თეორიები. აღნიშნული თეორიების ყველაზე ცნობილი და გამორჩეული წარმომადგენელი ზიგმუნდ ფროიდი. (ფროიდი / Freud, 1949) ფროიდი მიიჩნევს, რომ იუმორი არის ერთგვარი თავდაცვის მექანიზმი, რომელიც იძლევა რთული სიტუაციასთან უარყოფითი ემოციით დატვირთვის გარეშე გამკლავების საშუალებას. ფროიდის ფსიქოანალიტიკური თეორიის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს რომ, იუმორი წარმოადგენს ერთგვარ თავდაცვის მექანიზმს, რომელიც გვეხმარება უარყოფითი, არასასიამოვნო ემოციის, შიშის და მწუხარების დათრგუნვაში. თეორიათა ეს ჯგუფი ძირითადად ფოკუსირებულია იუმორის მიმღებზე, ან უფრო კონკრეტულად, იუმორის ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაზე, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს მიმღებში. ფროიდი მიიჩნევს, რომ იუმორი არის ეგრედწოდებული ჩამანაცვლებელი მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა გარდაქმნას ადამიანთა სოციალურად ტაბუდადებული აგრესიული იმპულსები და მიიღოს მისაღები სახე. ეს კი თავიდან აცილებს ადამიანს ტაბუდადებული აგრესიული იმპულსების ჩახშობისთვის საჭირო დამატებითი მენტალური ენერჯის ფლანგვას.

იუმორის თეორიათა უმრავლესობა სინამდვილეში შერეული თეორიებია და ბევრ თანამედროვე მკვლევარს მიაჩნია, რომ მთლიანობაში იუმორი არის ერთიან ინტეგრირებულ თეორიაში გაერთიანებული უზარმაზარი და მრავალმხრივი ფენომენი.

ლინგვისტური თეორიები წარმოადგენს პირობით სახელწოდებას იმ თეორიებისა, რომლებიც წარმოდგენილი იქნება ნაშრომში. ყველა მათგანი მიეკუთვნება ან კავშირშია შეუსაბამობების თეორიებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ავტორი უარყოფს ამ ფაქტს.

ნაშრომში მოკლედ განვიხილავთ მხოლოდ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურის - არტურ კოსლერს, ვიქტორ რასკინს და სალვატორ ატარდოს (კოსლერი, რასკინი და ატარდო / Koestler & Raskin & Attardo) ნააზრევს.

არტურ კოსლერი (1905-1983) ტრიადის ყველაზე ადრეული ავტორია, რომელიც ცნობილია როგორც ნოველისტი და ბევრი საინტერესო ნაშრომის ავტორი (The Gladiators (1939), Darkness at Noon (1941), The Yogi and the Commissar (1945)). კოსლერმა თავისი შეხედულებები იუმორთან დაკავშირებით ყველაზე ვრცლად გადმოსცა მრავალტომიან ტრაქტატში - The Act of Creation (1964).

უნდა აღინიშნოს, რომ ტრაქტატი იუმორის შესახებ შეადგენს წიგნის მხოლოდ ერთ მეშვიდედ ნაწილს - წიგნის მთავარი თემა შემოქმედებითობაა (creativity). კოსლერის მიხედვით, შემოქმედებითობა წარმოადგენს გარკვეული სახის ტრიპტიქს, რომელიც შედგება სამი სფეროსგან - იუმორის, აღმოჩენისა და ხელოვნებისაგან. ყველა მათგანი ეფუძნება ბისოციაციას. ბისოციაციურობა, ანუ სპეციფიკური, კონცეპტუალურად ორსახოვანი ბუნება ნებისმიერი კრეატიული ქმედების მახასიათებელია. იუმორის შემთხვევაში ეს ნიშნავს კომიკურ შეუსაბამობას ან ოცილაციას ჩარჩო ფრეიმებს, დისკურსის სამყაროსა და ასოციაციურ კონტექსტებს შორის. სამეცნიერო აღმოჩენის შემთხვევაში იკვეთება ობიექტური ანალოგია, ხელოვნების შემთხვევაში კი - სურათი.

არსებობს შემოქმედის სამი სახეობა: ხუმარა (jester), ბრძენი და ხელოვანი. მათ შესაბამემა სამი ემოციური განწყობის ტიპი. კრეატიულობის ტიპი აგრესიულია იუმორის შემთხვევაში, აღმოჩენის შემთხვევაში - ნეიტრალური, ხოლო თანამგრძობი, აღმაფრთოვანებელი ან ტრაგიკული - ხელოვნების შემთხვევაში. იწვევს თუ არა ბისოციაციური შეუსაბამობა შედეგის შეცვლას ხუმრობაში, ლოგიკური პრობლემის გადაჭრას ან სამეცნიერო აღმოჩენას, ამაღლებულ ან ტრაგიკულ გამოცდილებას, დამოკიდებულია სიტუაციის სპეციფიკაზე, ადრესატის მეხსიერების შინაარსსა და მის ემოციურ მდგომარეობაზე, ადრესატის ღირებულებების სისტემასა და სხვა ფაქტორებზე.

კოსლტერის აზრით, იუმორი გარკვეულწილად პარადოქსს გულისხმობს, რადგან სიცილი არის უნივერსალური ფიზიოლოგიური რეაქცია სხვადასხვა ტიპის, განსხვავებულ და რთულ ინტელექტუალურ და ემოციურ სტიმულზე. ამრიგად, აშკარაა რომ ის იზიარებს თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ იუმორის ფენომენი არ შეიძლება თავსდებოდეს მხოლოდ ერთ კონცეფციაში ან თეორიაში. კოსლერი ამტკიცებს, რომ იუმორი მოტივირებულია აგრესიული და/ან შორსმჭვრეტელი/საზრიანი, თავდაცვითი ან თავდასხმითი იმპულსებით, სიცილი კი წარმოადგენს ამ იმპულსების აშკარა ან ფარულ განტვირთვას (unloading). აგრესიულ-თავდაცვითი ემოციები წარმოიქმნება ჩვენი ნეირობიოლოგიური „ღრმა ფენებიდან“ და აქვს უფრო მეტი მდგრადობა და ინერცია, ვიდრე ჩვენს მიერ მოგვიანებით განვითარებულ მსჯელობას. მამასადამე, მენტალური მოვლენის უეცარი ბისოციაცია ორ შეუთავსებელ მატრიცასთან, ასოციაციურ კონტენტქსტებთან, ჩარჩო ფრეიმებთან იწვევს უეცარ „ნახტომს“ ერთი მატრიციდან მეორეზე, მაგრამ ჩვენს ემოციებს არ შეუძლიათ ასეთი სწრაფი გადართვა და სწორედ ამიტომ ჩვენი ფსიქოლოგიური დამაბულობა/წნეხი გამოსავალს პოულობს სიცილში, ანუ „ყველაზე ნაკლებად წინააღმდეგობრივი არხის“ გამოყენებაში.

კოსლერის ნაშრომის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღირებულებას წარმოადგენს კონცენტრაცია ბისოციაციის იდეაზე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაშრომის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღირებულებას წარმოადგენს იმ უნივერსალური როლის აღმოჩენა, რომელსაც ასრულებს ადამიანის გამოცდილება პროგნოზირების პროცესში.

სრულიად ნათელია ღრმა ანალოგიის არსებობა იუმორსა და მეტაფორას შორის, შესაბამისად, ბუნებრივია, რომ მსოფლიოში ცნობილი კოგნიტოლოგები (ფოკონიე და ტურნერი / Fauconnier & Turner, 2002:37) უაღრესად აფასებენ კოსლერის შემდეგ მოსაზრებას: „კრეატიულობა გულისხმობს სხვადასხვა დომენების ელემენტთა გაერთიანებას“. კოგნიტური ლინგვისტიკის ბელგიელი წარმომადგენლები (ბრონი და ფეიარტი / Brône & Feyaerts, 2003:1) მსგავს შეფასებას აკეთებდნენ: „იგი იკვლევს ზოგად კოგნიტურ საფუძვლებს ისეთი უაღრესად განსხვავებული ფენომენისა, როგორცაა იუმორი, მხატვრული შემოქმედება და სამეცნიერო აღმოჩენა“. აღნიშნულ ფენომენთა შორის არსებული მიმართების სპეციფიკას ასევე იკვლევდნენ ლინგვისტი მილნერი (მილნერი / Milner, 1972:11) და სოციალური ანთროპოლოგიის წარმომადგენელი ჯონსონი (ჯონსონი / Johnson, 1976: 205–206).

სპეციალურ ლიტერატურაში იძებნება მეტად საინტერესო ნაშრომები (მულკი, 1988 და ლატა, 1999 / Mulkay, 1988; & Latta, 1999), რომლებიც ეძღვნება კოსლერის ნააზრევის განხილვას. მულკი მზადაა მიიღოს ბისოციაციის იდეა, მაგრამ თვლის, რომ კოსლერის თეორია ვერ ავსებს ბოლომდე სიცილის ზოგად თეორიას.

მიუხედავად ყველაფრისა, იუმორის თეორია კვლევის ის ერთადერთი სფეროა, სადაც კოსლერი კლასიკოსადაა აღიარებული. ლიტერატურის, ფილოსოფიის ან თუნდაც კრეატიულობის/შემოქმედებით თეორიაში არავინაა ისეთი, რომელიც ოდნავ მაინც მიუახლოვდება კოსლერს. ამის მიზეზი შესაძლოა გამომდინარეობდეს ნაწილობრივ კოსლერის ექსტრაორდინალური პიროვნებიდან და ბიოგრაფიიდან. კოსლერის ერთ-ერთი ბიოგრაფი დავიდ ჩეზარინი მას ემახდა „უსახლკარო გონებას“ (the homeless mind). ჩანს, რომ კოსლერს იგივე სახელით მოიხსენიებენ ჰუმანიტარულ სამყაროშიც.

ტრიადის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა ვიქტორ რასკინია, რომელიც განსაკუთრებით ცნობილია მისი წიგნით „იუმორის სემანტიკური მექანიზმები“. შეიძლება ჩაითვალოს, რომ რასკინმა თავისი ნააზრევით ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა იუმორის შეუსაბამობის თეორიაში.

რასკინის მონოგრაფია იწყება შესავალი ნაწილებით, რომელიც ეხება იუმორის არსს, იუმორისტული აქტის შემადგენელ კომპონენტებს, ძირითად ცნებებს და ტერმინებს, რომლებიც გამოიყენება იუმორისტულ კვლევებში. რასკინი პირველია, ვინც ღიად, დაუფარავად მიაკუთვნა იუმორისადმი საკუთარი მიდგომა ლინგვისტიკას.

ამკარაა, რომ რასკინის იუმორის სკრიპტების თეორია მიზნად არ ისახავს ზოგადად იუმორის ფენომენის ახსნას. რასკინის იუმორის სკრიპტების თეორია ორიენტირებულია მხოლოდ ვერბალური იუმორის ანალიზზე. გასაგებია ისიც, რომ ის ასახავს ენათმეცნიერების მდგომარეობას 1970-იანი წლების ბოლოს, როდესაც კრიზისმა ფორმალურ სემანტიკაში მიაღწია პიკს და სიტუაცია მზადდებოდა მომავალი კოგნიტიური გარღვევისათვის. ასე რომ, იუმორის სკრიპტების თეორიის მიზნები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„იდეალურ შემთხვევაში, იუმორის ლინგვისტური თეორია უნდა განსაზღვრავდეს და აყალიბებდეს აუცილებელ და საკმარის ენობრივ პირობებს/მოცემულობებს, რათა ტექსტი იყოს სასაცილო“ (რასკინი, 1985:47)

რასკინის მიხედვით, იუმორი შედგენილია ორი ერთმანეთის გადამფარავი სკრიპტისგან, რომელთაგანაც მხოლოდ ერთ-ერთი ჩანს იუმორის დასაწყისში. რასკინის კრიპტი წარმოადგენს სემანტიკური ინფორმაციის ნაწილს, კოგნიტურ სტრუქტურას, რომელიც გულისხმობს მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანის ცოდნას სამყაროს შესახებ. ყოველ მოსაუბრეს აქვს გარკვეული სკრიპტი თავის ცნობიერებაში და ცოდნაში, რომელიც ეხება ძირითად მოვლენებს, სიტუაციებს, სტანდარტულ პროცედურებს და ა.შ.

წიგნის ძირითადი ნაწილი მოიცავს თეორიულ და ემპირიულ თავებს. მოკლედ განვიხილოთ რასკინის ნაშრომის თეორიული ნაწილის მთავარი შემადგენელი თემები. იუმორის სკრიპტის თეორიის მთავარი დებულება შემდეგნაირად ჟღერს:

1. სკრიპტი ნაწილობრივ ან სრულად შეესაბამება ორ განსხვავებულ სკრიპტს;
2. ორივე სკრიპტი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულია, თუმცა ამავე დროს, მთლიანად ან ნაწილობრივ ფარავს ერთმანეთს.

აქედან გამომდინარე, იუმორის და კერძოდ, ანეკდოტის აღქმა შემდეგ სტადიებს მოიცავს: ანეკდოტის მოსმენის დროს მსმენელი უპირველესად მისთვის ნაცნობ, არამარკირებულ სკრიპტს მოარგებს ანეკდოტს. როდესაც თხრობა მიუახლოვდება გადართვის წერტილს, მსმენელი იწყებს სკრიპტების გადალაგებას, რაც მთავრდება ახალი, რელევანტური, მარკირებული სკრიპტის მორგებითა და ხუმრობის სწორი დეკოდირებით.

ანეკდოტები ასახვენ ადამიანის ცხოვრებას, სტერეოტიპულ სიტუაციებს, სახასიათო შტრიხებს. ღიმილი კი გამოწვეულია რამდენიმე მიზეზით: ადამიანის მიერ ანეკდოტში ასახული სიტუაცია ამოიცნობა და იმავდროულად აქტიურდება ის ცოდნა, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა იუმორი. როდესაც მთხრობელი იწყებს ანეკდოტის მოყოლას, აღმქმელის გონებაში ამოტივტივდება ის ცოდნა, რომელიც მან მიიღო გამოცდილებიდან. ასევე აქტიურდება კონცეპტები, ფრეიმები, სკრიპტები და მიმდინარეობს ინფორმაციის გაშიფვრა, დეკოდირება.

როდესაც მიმღები წაიკითხავს ან გაიგონებს ანეკდოტს, რომელიც ახლოს არ დგას მის კულტურასთან და მის მიერ დაგროვილ გამოცდილებასთან, მოსალოდნელია, რომ მიღებული ინფორმაცია მისთვის არაფრისმთქმელი აღმოჩნდეს და შედეგად, მიღებულმა ინფორმაციამ ვერ გამოიწვიოს ღიმილი. მოცემული ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს,

რომ ანეკდოტი კულტუროლოგიურ-სოციალურ, სპეციფიკურ-ფონურ თავისებურებებზეა დამოკიდებული.

სკრიპტების ურთიერთკავშირი ახსნილი იყო სკრიპტებს შორის ისეთი ტიპის მიმართებებით, როგორცაა: „სკრიპტების დამთხვევა“ („script overlap“) და „სკრიპტების ოპოზიცია“ („script opposition“). რასკინს მოჰყავს სემანტიკური საერთო ნაწილების მაგალითები, რომლებიც იდეალურად შეესაბამებიან ორივე სკრიპტს, ან რომლებიც ბუნებრივად ერგებიან ერთ სკრიპტს, მაგრამ პირობითად ერგებიან მეორესაც. ზოგიერთი ხუმრობის სკრიპტული ოპოზიცია ჩვეულებრივ ანტონიმური (წინააღმდეგობრივი ან შეუთავსებელი) ოპოზიციებია, მაგრამ მათი ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ანტონიმებს. ჯონ ლაიონზი ამ ერთეულებს განმარტავს როგორც „ლინგვისტურ ერთეულებს, რომელთა მნიშვნელობა ანტონიმურია მხოლოდ კონკრეტული დისკურსის ფარგლები და მხოლოდ ამ დისკურსის მიზნებისთვის“ (ლიონსი / Lyons, გვ.:108) თითოეული ხუმრობა აღწერს „რეალურ“ სიტუაციას და გამოიხმობს სხვა, „არარეალურ“ სიტუაციას. ოპოზიციები ცხადად შეიძლება გამოვლინდეს:

1. რეალურ, არარეალურ და არარსებულ სიტუაციებს შორის;
2. მოსალოდნელ და პათოლოგიურ, მოულოდნელ მდგომარეობას შორის;
3. შესაძლო და შეუძლებელ, ნაკლებად მოსალოდნელ სიტუაციებს შორის (ლიონსი, გვ.: 111).

ხუმრობით გამოიხმობილი სკრიპტები ხშირად მოიცავენ ორმაგ კატეგორიებს, როგორებიცაა: რეალური/არარეალური, ჭეშმარიტი/მცდარი, კარგი/ცუდი, სიკვდილი/სიცოცხლე, მდიდარი/ღარიბი და ა.შ. (ლიონსი, გვ.:113-114). ხუმრობათა უმრავლესობა შეიცავს სემანტიკური სკრიპტის გადამრთველ/შემცვლელ მექანიზმს, რომელიც ხაზს უსვამს სკრიპტების შეცვლის აუცილებლობას. მსგავსი მექანიზმების ორი მთავარ ტიპს წარმოადგენს ორაზროვნება და შეპირისპირებულობა.

რასკინის კლასიფიკაციაში არ ჯდება არარეალური ანეკდოტი, ე.წ. „სპილოს ანეკდოტები“, რომლებსაც აბსურდული ანეკდოტების სახელწოდებითაც მოიხსენიებენ. ასეთი ტიპის ანეკდოტები ძირითადად კითხვა-პასუხის სტილითაა აგებული. მაგ:

- Why is that elephant wearing red socks?

- His yellow ones are in the wash.

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთი აბსურდული ანეკდოტის რასკინის თეორიისათვის მისადაგება შეუძლებელი არ არის. იმისათვის, რომ აღნიშნული არარეალური ანეკდოტი გარდავქმნათ რეალურად საჭიროა შევქმნათ პირობითი სკრიპტი/ სცენარი:

On a visit to the Zoological Gardens in Dublin, Mrs O’Riley noticed that one of the elephants was wearing red socks. “Tell me, Brendan, “she said to MMrBehan, the keeper of the elephant house, “Why is that elephant wearing red socks?”

“Well, replied Mr. Behan, “you see, his yellow ones are in the wash.”

დუბლინში არსებობს ზოოპარკი. ისიც დასაშვებია, რომ სპილოს მოუქსოვონ წინდები, რადგან დუბლინში ინდოეთისაგან განსხვავებული კლიმატია. ქალბატონმა ო’რილიმ დასვა კითხვა წინდებთან დაკავშირებით, ხოლო მოპასუხე ვერ მიუხვდა მას - მოპასუხემ არასწორად აღიქვა კითხვა და ყურადღება გადაიტანა წინდის ფერზე. ყოველივე ამან კი გამოიწვია მკითხველის/ მსმენელის ღიმილი.

მოხდა არარეალური ანეკდოტის გარდაქმნა, რეალურ სამყაროში მტკიცედ დაფუძნება, იგი გააქტიურდა მხატვრული ეთნიკური სცენარით/სკრიპტით.

რასკინის წიგნის მეორე ნაწილში სკრიპტის კონცეპტი მოცემულია ისეთი ფართო და „იმპრესიონისტული“ მნიშვნელობით, რომელიც შესაძლოა სრულიად უსაფრთხოდ შეიცვალოს რამდენიმე ისეთი ჩვეულებრივი ტერმინით, როგორცაა: თემა ან მოტივი.

რასკინს მაგალითად მოჰყავს ძალიან ბევრი ხუმრობა, მაგრამ ძალიან ცოტა ადგილი აქვს დათმობილი მათ საფუძვლიან ანალიზს. მოცემულია „აგრესიული“ იუმორის სამი ტიპი - სექსუალური, ეთნიკური და პოლიტიკური.

რასკინის თქმით, სექსუალური იუმორი შესაძლოა დაიყოს ოთხ ძირითად ტიპად:

1. სექსუალური/არასექსუალური ოპოზიცია: აშკარა, დაუზუსტებელი;
2. არასექსუალური ოპოზიცია, აშკარად სექსუალური იუმორით;
3. სპეციფიური სექსუალური ოპოზიცია აშკარად სექსუალური იუმორით.

პირველი ტიპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ალუზია „ჩასმულია“ სექსუალურად ნეიტრალურ კონტექსტში. რასკინს ერთ-ერთ საილუსტრაციო მოდელად მოჰყავს შემდეგი მაგალითი: ინგლისელმა ეპისკოპოსმა მიიღო შემდეგი სახის ჩანაწერი ეპარქიის სოფლის

ქორეპისკოპოსისგან: “Milord, I regret to inform you of my wife’s death. Can you possibly send me a substitute for the weekend?” (Raskin, 1985: 106).

მეორე ტიპი მოულოდნელის, არანორმალურის მისაღებ, მოსალოდნელ ფორმაში გადაქცევას გულისხმობს. რასკინი სკრიპტებს უწოდებს ინცესტს, ერთსქესიანთა ურთიერთობას, სექსუალურ გამოუცდელობას და ა.შ. რასკინს მოჰყავს ლეგმენისგან ნასესხები მაგალითი: The mother tells the little girl that the little boy’s penis is a whistle. “No, it ain’t. I blew it all afternoon and I couldn’t get a sound out of it.” (რასკინი, 1985: 159).

მესამე ტიპის იუმორში, როგორც წესი, სექსუალურ შედეგზე წინ დგება მსმენელის მოლოდინები, მაგრამ მოლოდინები ცრუვდება. რასკინის მაგალითებიდან ყველაზე მეტად შემდეგი მაგალითი ემორჩილება წესებს: An officer is posted to a god-forsaken garrison. After a while, he asks his batman who has spent a few years there, “What do you do for sex? There isn’t a single woman here.” – “Oh, Sir, we all use the old camel over there.” – “Really? Officers too?” – “Yes, Sir.” After much hesitation, the officer decides to try it. That night he comes back to his quarters, dishevelled, dirty, and frustrated. “How do you all manage it? The camel does not seem to be used to it at all. She threw me off each time I tried.” – “We use the old camel to get to the village six miles from here, Sir.” (1985: 161).

ერთადერთი ფაქტორი, რაც მეოთხე ტიპს განასხვავებს მეორე ტიპისგან, არის ის, რომ ამ უკანასკნელში ხუმრობას ნეიტრალური დასაწყისი აქვს, მაგრამ მოვლენები დასაწყისიდანვე სექსუალურ დომენში ვითარდება. მოცემული ტიპის საილუსტრაციო მაგალითი: A nun is attacked and raped by twelve bandits in the desert. When they are done with her and flee the nun stands up and says, “That was nice. Enough and sinless.” (1985: 167).

რაც შეეხება პოლიტიკურ ხუმრობებს, რასკინის წიგნში ისინი დაყოფილია ორ კლასად: „denigration jokes” და “exposure jokes”. ძირითადი სკრიპტები წარმოადგენს პოლიტიკური ფიგურის, ჯგუფის ან ინსტიტუციის დამცირებას და აგრეთვე პოლიტიკური იდეის ან სლოგანის დაკნინებას. პოლიტიკური იუმორი პირდაპირ კავშირშია ეთნიკურ იუმორთან.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ რასკინი და სალვატორ ატარდო ერთად მუშაობდნენ სკრიპტის თეორიაზე. თუმცა, ჩვენთვის უცნობია, პირველად როდის შეხვდნენ ერთმანეთს რასკინი და სალვატორ ატარდო. 1973 წელს რასკინი ემიგრაციაში წავიდა მოსკოვიდან ისრაელში. 1978 წელს მუშაობა დაიწყო შეერთებულ შტატებში პერდიუს უნივერსიტეტში. სალვატორ ატარდო იტალიური წარმოშობის ლინგვისტია, რომელმაც

მუშაობა დაიწყო იმავე უნივერსიტეტში 10 წლის შემდეგ. 1991 წელს ის იცავს სადოქტორო დისერტაციას „ლინგვისტიკიდან იუმორისტულ კვლევამდე და უკან“. იუმორისტული თეორიის გარდა, მისი კვლევის სფეროებს წარმოადგენდა პრაგმატიკა, სემანტიკა, სოციოლინგვისტიკა და გამოთვლილი ლინგვისტიკა.

რასკინმა და ატარდომ გამოაქვეყნეს ერთობლივი ჩასწორებული ნაშრომი „სკრიპტის თეორია: ხუმრობათა მსგავსება და ხუმრობათა რეპრეზენტაციის მოდელი.“ (1991). სტატია მიზნად ისახავდა რასკინის სკრიპტზე დაფუძნებული თეორიის ინტეგრირებას ატარდოს ხუმრობების რეპრეზენტაციის ხუთსაფეხურიან მოდელთან. შედეგად, მეცნიერებმა წარმოადგინეს ვერბალური ხუმრობების რეპრეზენტაციის, „სემანტიკური დისტანციის“ (“semantic distance”) მექანიზმისა და კონკრეტულ ხუმრობათა ტექსტებს შორის მსგავსების ხარისხის შეფასების ექვსსაფეხურიანი იერარქიული მოდელი.

ანეკდოტში ეფექტს პირველ რიგში მოულოდნელობა ქმნის. მოულოდნელობა შესაძლოა გამოიწვიოს: დაპირისპირებულმა სკრიტმა, ფრეიმის ტერმინალების გადაადგილებამ ან ჩანაცვლებამ, ან საერთოდ გამოტოვებამ.

დიდ როლს თამაშობს სტილისტური ხერხების გამოყენება, ლინგვისტური მახასიათებლები და მნიშვნელობები.

ანეკდოტი და იუმორი ნებისმიერი კულტურისა და საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. ეს ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც იცვლება და რეაგირებს მოვლენების განვითარებასთან ერთად და შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნებს.

თავი III. ექსპექტაციები, გაცრუებული მოლოდინი და კოგნიტური რეპრეზენტაციები

3.1. შინაგანი კონტექსტი როგორც გამონათქვამის წარმოქმნისა და აღქმის კოგნიტური ბაზა

განაზოგადებს რა ფსიქოლინგვისტიკის მიღწევებს მონოგრაფიაში „XXI საუკუნის ფსიქოლინგვისტიკა: ოთხი ქვაკუთხედი“ რედაქტორი ა. კატლერი განმარტავს ფსიქოლინგვისტიკას როგორც „მეცნიერებას ურთიერთობების შესახებ“ და ფსიქოლინგვისტურ კვლევათა ოთხ ძირითად განზომილებას შორის გამოყოფს მეტყველების პროდუცირებისა და აღქმის პრობლემას (კუტლერი / Cutler, 2005).

ვ. ლეველტის ნაშრომმა დასაბამი მისცა მეტყველების პროდუცირების პროცესის ფართომასშტაბიან ექსპერიმენტულ კვლევასა და ექსპერიმენტულ მონაცემთა ინტერპრეტაციას (ლეველტი / Levelt, 1989).

თანამედროვე ლინგვისტიკაში აღდგენილია ბალანსი მეტყველების პროდუცირებისა და აღქმის პროცესებს შორის. ეს ფაქტი კი უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესების გამაერთიანებელი ახალი მოდელების გენერირების შესაძლებლობას.

ახალი მოდელების გენერირების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად განპირობებულია ლინგვისტიკაში ანთროპოცენტრისტული პარადიგმის ფუნქციონირებითა და კოგნიტური ფსიქოლოგიის ინსტრუმენტების ვალიდურობით ფსიქოლინგვისტური კვლევისათვის.

ცოდნა და წარმოდგენები სამყაროს შესახებ მოწესრიგებულია ადამიანის ცნობიერებაში. სწორედ ეს ფაქტი უზრუნველყოფს მნიშვნელობათა სწრაფ ხელმისაწვდომობას შეტყობინების აღქმისა და ინტერპრეტაციის პროცესში.

ინტერპრეტაციის ნებისმიერი აქტი გულისხმობს ინფორმაციის მიმართებას ცოდნის სქემებთან. შეიძლება, ვიმსჯელოთ შინაგანი (მენტალური) კონტექსტის არსებობის შესახებ. აშკარაა, რომ სწორედ ეს კონტექსტი წარმოადგენს გამონათქვამის გენერირებისა და მისი აღქმის საფუძველს.

შინაგანი კონტექსტის თეორიის თანახმად, ენის მატარებლისათვის არ არსებობს იზოლირებული სიტყვა, ვინაიდან სიტყვის ამოცნობა უკვე ნიშნავს მის ჩართვას წინამდებარე გამოცდილების კონტექსტში, ანუ სხვადასხვაგვარი ტიპის ცოდნისა და ურთიერთობების შინაგანი კონტექსტში. კონკრეტულ კულტურაში ჩამოყალიბებული

შინაგანი კონტექსტი წარმოადგენს ურთიერთგაგებისა და ურთიერთქმედების საფუძველს (ზალევსკაია / Залевская, 2005:196).

აღნიშნული თეორიის თანახმად, გარეგან (სიტუაციურ ან ტექსტუალურ) კონტექსტთან ერთად, არსებობს შინაგანი კონტექსტი, რომელიც წარმოადგენს კავშირებისა და ურთიერთობების რთულ სისტემას. აღნიშნული სისტემა რეპრეზენტირებულია პერცეპტული, კოგნიტური და აფექტური გამოცდილების სახით, რომლის მიღმაც სიტყვას, როგორც ინდივიდუალური ლექსიკონის ცალკეულ ერთეულს, ფუნქციონირება არ შეუძლია.

ეს ნიშნავს, რომ შეტყობინების აღქმა დამოკიდებულია არა მხოლოდ სიტუაციურ კონტექსტზე, არამედ შინაგანი კოგნიტური კონტექსტების მთელ კომპლექსზე. ახალი კოგნიტური მოდელის ფორმირება რეალობის ახალ ელემენტებსა და ობიექტებთან ურთიერთქმედების პროცესში გულისხმობს კოგნიტური რეპრეზენტაციის კონსტრუირებისათვის უახლოეს შინაგან კონტექსტებზე დაყრდნობას. აქედან გამომდინარე, იდენტიფიცირების პროცესი არასოდეს არ ხორციელდება „დეკონტექსტუალიზირებულ ვაკუუმში“. ადამიანისათვის კონტექსტს მიღმა წარმოდგენილი უცნობი სიტყვაც კი „გამოიხმობს“ მის შემეცნებაში არსებულ განსაზღვრულ ინფორმაციას.

ამრიგად, ვერგაგების საფუძველში დევს არა მხოლოდ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა სიტყვების დამატებითი მნიშვნელობების არცოდნა და სააზროვნო პროცესის პარალელიზმი, არამედ ურთიერთობის მონაწილეთა შინაგანი ლექსიკონის თვისობრივი განსხვავებები, ლექსემის კონოტატიურ ველთა სახესვაობა და შესაბამისად, ასოციაციათა ნაწილის არქონა - კომუნიკანტის გონებაში არავერბალური სახეებისა და იმპლიკაციების არქონა, რაც ხშირ შემთხვევაში გაცრეუბული მოლოდინის ეფექტის გაჩენის პროვოცირებას ახდენს.

შინაგანი და გარეგანი კონტექსტების ურთიერთქმედება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც უზრუნველყოფს მოლაპარაკისა და მსმენელისათვის აზრის განსაზღვრულ ინვარიანტულობას. უნდა აღინიშნოს, რომ შეტყვევების აღქმის ზოგიერთი მოდელის ინტერაქტიულობის მტკიცება მოკლებულია ლოგიკას კონტექსტის არასათანადო ინტეგრეტაციის გამო, რომლის თანახმადაც, სიტყვა იძენს ცნობადობას მხოლოდ მისი ტექსტუალური „გარემოცვის“ წყალობით (2005:307).

კითხვის ფსიქოლოგიის ტერმინებით თუ ვიმსჯელებთ, სიტყვის შინაგანი კონტექსტის როლში გამოდის მისი აზრობრივი ველი, რომელიც წარმოადგენს მკითხველისათვის ტექსტის პროექციისა და განვითარების ბაზას. ამრიგად, ვერბალური შეტყობინების ფსიქოლინგვისტური ანალიზი წარმოუდგენელია შინაგან კონტექსტთან, როგორც ერთგვარ ფონთან შეთავსების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს წინაშე აღმოჩნდება ტექსტის მხოლოდ ფორმალური მხარე - ფსიქოლოგიურად მკვდარი წარმონაქმნი, ვინაიდან ენა თავისთავად არ გამოხატავს არანაირ აზრს და არ მოიცავს არანაირ ცოდნას. შინაგანი ექსტრალინგვისტური ფაქტორები, რომლებიც ჩადებულია კონტექსტში, გულისხმობენ ადრესანტისა და ადრესატის ცოდნის საერთო ბაზის არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციის აქტის ეფექტურობას.

ბოლო დროს გამოიკვეთა ფონური ცოდნის ტერმინის ინტერპრეტაციული ველის მრავალფეროვნება: ზოგ შემთხვევაში მას განმარტავენ როგორც სოციალურ-კულტურულ ცოდნას, რომელიც დამახასიათებელია კონკრეტული ერისთვის და ათვისებულია მისი უმეტესი ნაწილის მიერ, სხვა შემთხვევაში კი იგი გააზრებულია როგორც მატერიალურ-ისტორიული, გეოგრაფიული და პრაგმატული ხასიათის ცოდნა, რომელსაც ფლობს ენის მატარებელი. ამრიგად, ფონური ცოდნა, არსებული განმარტებების თანახმად, არის კულტურული ხასიათის მონაცემები, რომლებიც ჩადებულია სუბიექტის ცნობიერებაში. აღნიშნული მონაცემები ეკუთვნის ამა თუ იმ სოციალურ ერთობას და სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს მათ თვისებრიობას.

ფონური ცოდნის არსებული განმარტებების ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა შემდეგი დასკვნა: მკვლევართა უმეტესობისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს კომუნიკანტების განსაზღვრული ჯგუფისათვის ფონური ცოდნის იდენტურობა. ამ შემთხვევაში ცოდნის იდენტურობა წარმოადგენს ცოდნის კოლექტიურობის აუცილებელ და საკმარის პირობას. აღნიშნულ თვალსაზრისში უგულებელყოფილია ის ფაქტი, რომ კოლექტიური მეხსიერება ფორმირდება და ფუნქციონირებს ინდივიდების მეხსიერებათა ურთიერთქმედების გზით. გარდა ამისა, არალოგიკურია ენობრივი ცოდნის დაპირისპირება სამყაროს შესახებ ენციკლოპედიურ, პრაგმატულ ცოდნასთან: რამდენადაც ინდივიდის საკუთრებას წარმოადგენს როგორც ენობრივი, ისე არაენობრივი ცოდნა, ცოდნის აღნიშნული ტიპები ურთიერთქმედებენ. შესაბამისად, არალოგიკურია მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ამრიგად, სამეტყველო ქმედების კვლევასთან დაკავშირებული ერთ-ერთი უმთავრესი სირთულე მდგომარეობს ცოდნას,

თვალსაზრისს, კონტექსტსა და აზრს შორის არსებულ მიმართებათა სპეციფიკის გამოვლენაში. აღნიშნული სირთულის დაძლევა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მეტყველების გაგებისათვის, არამედ ცოდნის, თვალსაზრისის, კონტექსტისა და აზრის ერთობლივი ფუნქციონირების თავისებურებათა იდენტიფიცირებისათვის.

გაგება ხორციელდება კომუნიკანტთა ფონური ცოდნის თანხვედრის წყალობით: რაც უფრო მაღალია კომუნიკანტთა ცოდნის იდენტურობის ხარისხი, მით უფრო ეფექტურია კომუნიკაციის პროცესი. კომუნიკანტთა თეზაურუსების არაიგივეობრიობა ზოგჯერ ახსნილია ინდივიდის გამოცდილების ინდივიდუალურობითა და მრავალფეროვნებით, ასევე მეტყველების აღქმის პროცესის შემოქმედებითობით (ჰუმბოლდტი / Гумбольдт, 1984). საქმე ისაა, რომ სიტყვის წარმოქმნასა და პერცეპციაზე ზეგავლენას ახდენენ არა თავად ინტრა და ექსტრალინგვისტური ფაქტორები, არამედ მათი ფსიქიკური ხატები, რომლებიც კონსტრუირდება კომუნიკანტთა მიერ როგორც მათი ინტენციებისა და მოთხოვნილებების, ისე შემეცნებითი პროცესების სპეციფიკის გათვალისწინებით. ჯერ კიდევ მეცხრამეტე ასწლეულის ლინგვისტიკაში ენა განიხილებოდა არა როგორც პროცესი ან პროცესების ერთობლიობა, არამედ როგორც ფსიქიკური ხატების ან/და ასოციაციების სისტემა.

გარდა აღნიშნული თავისებურებებისა, მეცნიერები გამოყოფენ შინაგანი კონტექსტის დამატებით მახასიათებლებს (პავილენისი / Павилёнис, 1986:380-388), (ბახტინი / Бахтин, 1986:445):

1. ენობრივი სუბიექტის გამოცდილების ერთდროულად ფუნქციონირებადი - კოგნიტური, ენობრივი და აფექტური - ასპექტების ურთიერთკავშირი;
2. მუდმივობა - შინაგანი კონტექსტის, როგორც ნებისმიერი მგრძნობელობითი შთაბეჭდილების წინმსწრები ფონის, მუდმივი არსებობის კონსტატაცია;
3. უწყვეტობა - ადამიანის ერთიანი ინფორმაციული ბაზა იმყოფება მუდმივი თვითგანვითარების პროცესში, რომლის დროსაც იქმნება ახალი კონცეპტუალური სურათები უკვე არსებულთა ბაზაზე;
4. შემოსაზღვრულობა-შემოუსაზღვრელობა - ვიწრო გაგებით, შინაგანი კონტექსტი შეზღუდულია აღმქმელი სუბიექტის ცნობიერების საზღვრებით, ფართო გაგებით კი, შინაგანი კონტექსტი შემოუსაზღვრელია;

5. მრავალდონიანობა - ენობრივი სუბიექტის ცნობიერებაში აზრობრივი კონტექსტების იერარქიული წყობა.

შინაგანი კონტექსტი დინამიურია, მასში მუდმივად ფიქსირდება აზრის მოძრაობა და შესაბამისად, შინაგანი კონტექსტის საზღვრებიც მობილურია - ისინი ცვლადია ინტერპრეტაციის მთელი პროცესის განმავლობაში (ბახტინი, 1986: 445), (დეიკი, 1983).

შინაგანი კონტექსტის დინამიურობა, პირველ რიგში, გულისხმობს, რომ შერჩეულ თვალსაზრისზე დაყრდნობით, სხვადასხვა დროის მონაკვეთში სუბიექტის გონება ახდენს თავისი მრავალმხრივი გამოცდილების სხვადასხვა ფრაგმენტის აქტუალიზებას უწინ აქტუალიზირებული მიმართებებისა და კავშირების გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს, რომ დაზუსტების, შესწორების, გამდიდრების და რადიკალური გარდაქმნის პროცესებიც კი ვრცელდება მთელს კონცეპტუალურ სისტემაზე, რომელიც იყენებს ინტერპრეტაციის ნებისმიერი ახალი აქტის შედეგებს სუბიექტის სამყაროს უკვე ჩამოყალიბებული სურათის „ჰარმონიზაციის“ მიზნით.

კოგნიტური ლინგვისტიკა კონტექსტს განიხილავს მენტალურ მოვლენად. ტერმინით „კონტექსტი“ უნგერერი და შმიტი აღნიშნავენ მენტალურ კონცეპტებსა და კოგნიტურ კატეგორიებს შორის ურთიერთქმედების კოგნიტურ რეპრეზენტაციას, რომელიც სუბიექტის ცხოვრებისეული მოღვაწეობის პროცესში ფორმირებისას კავშირში შედის მის ფონურ ცოდნასთან (უნგერერი და შმიტი / Ungerer & Schmid, 1996:78). იმისათვის, რომ მნიშვნელობებზე წვდომა იყოს თავისუფალი და ეფექტური, ამგვარი ცოდნა და წარმოდგენები უნდა იყოს სისტემატიზირებული გრძელვადიან მეხსიერებაში.

პასუხს კითხვაზე, თუ როგორ ხორციელდება მნიშვნელობებზე წვდომა ტექსტის აღქმის პროცესში, დღემდე არ გააჩნია ერთმნიშვნელოვანი პასუხი, ამიტომ, ავტორის კომუნიკაციური ინტენციების კონტექსტის მეშვეობით ამოცნობის საკითხი დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

აღნიშნულ პრობლემას რ. სტერნბერგი განიხილავს კოგნიტური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით (სტერნბერგი / Sternberg, 2005:624). ავტორის მტკიცებით, შინაგანი კონტექსტის პრობლემის განხილვისას აუცილებელია სათანადო ყურადღების დათმობა საკითხის ემოციური შემადგენლისათვის.

ინფორმაციის კოდირების, შენახვისა და ამოღების (გამოხმობის) თავისებურებების განსაზღვრისას, შინაგანი კონტექსტი წარმოგვიდგება არა მხოლოდ გრძელვადიან მეხსიერებაში ჩადებული ცოდნისა და თვალსაზრისების სახით, არამედ როგორც ერთგვარი ემოციური ფონი, გონების ემოციური მდგომარეობა, რომელიც განისაზღვრება გარე კონტექსტით, რაც აუცილებელია როგორც ცოდნის მისაღებად, ისე მის გადმოსაცემადაც.

ამგვარად, ტექსტის აღქმის პროცესში ხდება აღქმადი ობიექტის (სიტყვის) გაცნობიერებული ან გაუცნობიერებელი დაპირისპირება ინდივიდის წინამდებარე გამოცდილების იმ ობიექტთან, რომელიც მოიცავს სიტყვასთან დაკავშირებულ შეგრძნებათა მთელ მრავალფეროვნებას, ანუ, ფაქტობრივად, ხდება სიტყვის ჩართვა მრავალწახნაგოვან, პერცეპტულ, კოგნიტურ და აფექტურ შინაგან კონტექსტში. სწორედ ამიტომაც დაუშვებელი სიტყვის მნიშვნელობის ცნებამდე დაყვანა.

ამრიგად, შინაგანი კონტექსტი გვესმის როგორც ინდივიდის მრავალმხრივი მოღვაწეობის პროდუქტი. აღნიშნული მოღვაწეობა მიმდინარეობს აქტიური სუბიექტის ფსიქიკური ცხოვრების გაუცნობიერებელი პროცესების დონეზე, პერცეპტული, კოგნიტური და აფექტური, ვერბალური და არავერბალური, კონტინუალური და დისკრეტული ასპექტების ურთიერთქმედების ფონზე.

იმის გათვალისწინებით, რომ მრავალი მეცნიერის აზრით, ტექსტის სეგმენტაციის კრიტიკულ ერთეულს წარმოადგენს სიტყვა, ტექსტის აღქმის პროცესების მოდელირებისას გარდაუვალია შინაგანი ლექსიკონის, როგორც ადამიანის საკუთრების, გათვალისწინება. ტექსტის აღქმის თეორია უნდა ეყრდნობოდეს სიტყვის ფსიქოლინგვისტურ კონცეფციას და ითვალისწინებდეს ინდივიდუალური ცოდნის ფუნქციონირების სპეციფიკას.

შინაგანი კონტექსტის ცნების აღსანიშნავად ასევე გამოიყენება ისეთი ტერმინები, როგორიცაა: მენტალური ლექსიკონი, შინაგანი ლექსიკონი, ადამიანის ერთიანი საინფორმაციო ბაზა, სიტყვიერი მეხსიერება, ადამიანის ინფორმაციული თეზაურუსი.

შინაგანი, ანუ მენტალური ლექსიკონი - სისტემა, რომელიც ასახავს ენობრივი კომპეტენციის საზღვრებში არსებულ ცოდნას სიტყვებისა და მათი ეკვივალენტური ერთეულების შესახებ - ასრულებს ფუნქციებს არა მხოლოდ მითითებულ ენობრივ

ერთეულებთან მიმართებაში, არამედ, მათ უკან მდგომი ექსტრალინგვისტური (ენციკლოპედიური) ცოდნის სტრუქტურებთან მიმართებაშიც (კუბრიაკოვა, დემიანკოვი, პანკრაცი და ლუზინა / Кубрякова, Демьянков, Панкрац & Лузина, 1997: 97).

შინაგანი კონტექსტის ავტორი ა.ა.ზალევსკაია განმარტავს სიტყვას ადამიანის ერთიან პერცეპტულ-კოგნიტურ-აფექტურ საინფორმაციო ბაზასთან (მეხსიერებასთან) მიმართებაში. შინაგანი კონტექსტი ფორმირდება ფსიქიკური მოღვაწეობის კანონების თანახმად და კონკრეტულ სოციუმში გამომუშავებული ნორმების, ღირებულებებისა და შეფასებების კონტროლქვეშ (ზალევსკაია, 2005:316).

ამრიგად, ინდივიდუალური ლექსიკონი არის თვითორგანიზებადი დინამიური ფუნქციონალური სისტემა, კოდებისა და კოდური გადასვლების სისტემა, რომელშიც ის, რაც იდენტიფიცირდება ინდივიდის მიერ როგორც სიტყვა მისი ფორმისა და მნიშვნელობის ერთიანობაში, აღმოჩნდება ადამიანის მრავალწახნაგოვანი გამოცდილებაში არსებული მრავალფეროვანი კავშირების გადაკვეთის წერტილი. სწორედ ამ კვეთის გამო ცნობიერების სხვადასხვა დონეზე გათვალისწინებულია სოციალურ მიმართებათა პრიზმაში გარდატეხილი და პიროვნულად განცდილი ენობრივი და ენციკლოპედიური ცოდნა.

სამეტყველო-აზრობრივი მოღვაწეობის პროცესების კანონზომიერება და აღქმელი სუბიექტის მიერ მრავალმხრივი ობიექტური რეალობის აღქმისა და გადამუშავების პროცესები განსაზღვრავენ ლექსიკონის ერთეულების ხასიათს. სიტყვა უზრუნველყოფს წვდომას არა მხოლოდ ენობრივი და ენციკლოპედიური ცოდნის სისტემებზე, არამედ ემოციების, შთაბეჭდილებებისა და შეფასებების სფეროზეც.

ადამიანის კოგნიტური სისტემის განხილვისას სპეციალურ ლიტერატურაში ფიქსირდება ტერმინები „კონცეპტუალური სისტემა“ და „მენტალური სივრცე“. ორივე ფენომენი გულისხმობს სუბიექტის ან სუბიექტთა ჯგუფის წარმოდგენების სისტემას, რომელიც ატარებს ერთგვარ ინდივიდუალურ ემოციურ ელფერს და წარმოადგენს ქმედებათა საფუძველს (პავილენისი და ბახტინი / Павилѣнис & Бахтин, 1986:387).

ადამიანის ერთიან საინფორმაციო ბაზაში ცოდნის შენახვის ყველა ფორმა და მათით ოპერირების ყველა სტრატეგია ურთიერთდაკავშირებულია და აღბეჭდილია ემოციურ-

შეფასებითი ელფერით, რაც უზრუნველყოფს ადრესანტისა და ადრესატისათვის გადაცემული ან აღქმული შეტყობინების საზღვრებს მიღმა გასვლას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის კვლევები, რომლებიც ორიენტირებულია სიტყვის ფორმასა და მნიშვნელობას, ასევე ენობრივ სისტემაში სიტყვებს შორის არსებული კავშირების სპეციფიკის გამოვლენაზე. ამ ტიპის კვლევები ეყრდნობა იდეებს ასოციაციური კავშირების ტიპების დიფერენცირებისა და ენაში ასოციაციების როლისა და ფუნქციების განსაზღვრის თაობაზე. მნიშვნელოვანია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ფსიქოლოგიისათვის რელევანტური ასოციაციის ორი კანონი - მსგავსებისა და მომიჯნავეობის კანონები - სრულიად რელევანტურია ლინგვისტიკისათვისაც. ზემოხსენებული კანონების არსებობა უზრუნველყოფს ენის ათვისებასა და გამოყენებას:

1. წარმოდგენა საგანსა და წარმოდგენა სიტყვაზე ქმნის განუყოფელ წყვილს. აქ ძირითადად მოქმედებს მომიჯნავეობის კანონი. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის ფორმასა და მნიშვნელობას შორის არსებული კავშირის უცვლელობის საკითხი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს, ორ ობიექტს შორის კავშირის მდგრადობის აღიარება არ გამორიცხავს ერთ-ერთი ან ორივე ობიექტის თვისებებისა და მახასიათებლების ცვლილებას;
2. ყველა სიტყვას გააჩნია ორი ტიპის კავშირი: ერთი მხრივ, სიტყვა ყოველთვის შედის სიტყვათა განსაზღვრულ ბუდეებსა და სისტემებში, მეორე მხრივ კი, იგი ყოველთვის სიტყვათა რომელიმე რიგის წევრია (ზალევსკაია, 2005: 5).

ამ თვალსაზრისებში ნათლად იკვეთება ფ.დე სოსიურის ნააზრევის კვალი ენის პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებების თაობაზე (სოსიური / Сосиур, 1977). თუმცა, სოსიური ასოციაციურ მიმართებებს უპირისპირებდა სინტაგმატურ მიმართებებს. აღნიშნული დაპირისპირების საფუძვლად იგი მიიჩნევდა იმ ფაქტს, რომ ასოციაციური მიმართებები ეფუძნება მოსაუბრის მეხსიერებას და რომ მათი დახმარებით ერთიანდებიან სხვა (არარეალური) ელემენტები. სინტაგმატური ურთიერთობები კი ყოველთვის ზედაპირზეა და აერთიანებენ ელემენტებს, რომლებიც არსებობენ რეალობაში. უნდა აღინიშნოს, რომ იდეა იმის შესახებ, რომ ასოციაციური მიმართებები ახასიათებს ენის მხოლოდ პარადიგმატულ მხარეს, მოკლებულია ლოგიკას. ასოციაციური ურთიერთობების დამსახურებით ელემენტები, რომლებსაც ერთმანეთთან აქვთ რაიმე საერთო, ერთიანდებიან მნიშვნელოვან რიგებად და ყოველი მათგანი ხდება კონსტელაციის

ცენტრი, რომელშიც თავს იყრიან მასთან კოორდინირებული სხვა ელემენტები. ყოველი ელემენტი შესაძლებელია იყოს სხვა და არაერთი რიგის წევრი სხვა ელემენტებთან საერთო მახასიათებლების ქონის გამო (ზალევსკაია, 2005:78).

ლინგვისტები ყოველთვის აცნობიერებდნენ ასოციაციათა მნიშვნელოვნებას ენის ათვისებისა და ფუნქციონირებისათვის, მაგრამ ფსიქოლოგიზმში დადანაშაულების შიშის გამო არ კონცენტრირდებოდნენ მათ კვლევაზე. ასოციაციებთან მუშაობის პროცესში ლინგვისტები ხშირად ურევდნენ ერთმანეთში ერთი ობიექტის ორ ასპექტს: ენას, როგორც სისტემას და ენას, როგორც ადამიანის სამეტყველო უნარს. სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია ასოციაციების არსის დაზუსტების აუცილებლობა: „ასოციაციები წარმოადგენენ ენის მატარებლის საკუთრებას; მათ აქვთ უნარი, დააკავშირონ ერთმანეთთან სინტაქსის, სტილისტიკის და ა.შ. ჩარჩოებს მიღმა არსებული ენობრივი ერთეულები” (2005:15).

სიტყვის, როგორც ინდივიდუალური ლექსიკონის ერთეულის, ჩართვით აღმქმელი ინდივიდის მეხსიერების შინაგანი კონტექსტში აქტუალიზირდება სამყაროს ხატის კონკრეტული ფრაგმენტი: ინდივიდუალურ ლექსიკონში ფუნქციონირებისას სიტყვა ლაზერული სხივის როლს ასრულებს - იგი გამოსახავს სამყაროს კონტინუალურ და მრავალგანზომილებიან ხატის პირობით-დისკრეტულ ფრაგმენტს, კავშირებისა და მიმართებების მთელ მრავალფეროვნებას. სიტყვის შინაგან (პერცეპტულ, კოგნიტურ, აფექტურ) კონტექსტში ჩართვის პროცედურა გარეგან (სიტუაციურ, ტექსტუალურ, ვერბალურ) კონტექსტთან მიმართების გათვალისწინებით ასახულია სპირალისებურ მოდელში. მოდელის სახელწოდება განპირობებულია იმით, რომ სიტყვის სხვადასხვა ფუნქციების რეალიზება ტექსტში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ორმაგი მიმართულების სპირალის სახით, რომელიც, ერთი მხრივ, ამოდის ტექსტის სხეულიდან (მაგალითად, სიტყვის გრაფიკული ფორმიდან) და აღწევს ინდივიდის მრავალმხრივი გამოცდილების (ენობრივი და არაენობრივი, გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი, პერცეპტული, კოგნიტური, ემოციურ-შემფასებლობითი) სიღრმეში, მეორე მხრივ კი, ტექსტის პროექციაში, რომელიც ფორმირდება და ტრანსფორმირდება მრავალი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგად (2005:232).

სიტყვათა ინდივიდუალურ ლექსიკონში ძიების მოდელები წარმოადგენენ სიტყვათა/ან და სიტყვათა ჯგუფის ორგანიზების ჰიპოთეტურ პრინციპებს ადამიანის ერთიან ინფორმაციულ ბაზაში.

3.2. ექსპექტაციები და მათი როლი კოგნიტური რეპრეზენტაციების კონსტრუირებაში

კოგნიტურ ფსიქოლოგიაში ექსპექტაციები (მოლოდინები) ახსნილია პროგნოზირების ტერმინებით, ანუ, გაცრუებული მოლოდინის ფენომენი დაკავშირებულია სიტუაციის ყველაზე ნაკლებად სავარაუდო დასასრულთან. უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენები, რომლებიც ხასიათდებიან განხორციელების დაახლოებით ერთნაირი ალბათობით, ყოველთვის თანაბარი სიძლიერით არ გვაოცებენ. ასე, გაცრუება შეიძლება გამოიწვიოს არა იმდენად ამა თუ იმ მოვლენის განვითარების დაბალმა ალბათობამ, რამდენადაც კონტრასტის ხარისხმა მოულოდნელ და მოსალოდნელ, მაგრამ არმომხდარ მოვლენებს შორის, სხვა სიტყვებით, კონტრასტის ხარისხმა სცენარის ექსპექტაციასა და სცენარის ორიგინალურ განვითარებას შორის.

ამასთან დაკავშირებით ვ. მეიერი, რ. რაიზენზაინი და ა. შუტსვოლი საუბრობენ გაცრუებული მოლოდინის ჰიპოთეზაზე, რომლის თანახმადაც, გაცრუების ფენომენი წარმოიქმნება იმის შედეგად, რომ მოლოდინები, რომლებიც ეფუძნებოდა ადრე კონსტრუირებულ სქემებს, არ გამართლდა (მეიერი, 1997:251-274).

აღმქმელ სუბიექტთან ექსპექტაციების და ანტიციპაციების წარმოქმნასა და მათ სპეციფიკას ზოგიერთი მეცნიერი განსაზღვრავს იმპლიციტური მეხსიერების, ზოგი კი - პრაიმინგის ეფექტის გავლენით კოგნიტური რეპრეზენტაციების კონსტრუირებაზე.

პირველად ცნება პრაიმინგი დაფიქსირდა უცხოელი ფსიქოლოგების მ. პოზნერისა და ს. სნაიდერის (პოზნერი და სნაიდერი / Posner & Snyder, 1975:55-85).

პრაიმინგი ეწოდება მოვლენას, რომლის დროსაც იმპლიციტური მეხსიერების შეფასებისას უპირატესობა ადრე გაგონილ სიტყვას ან ნანახ სიტუაციას ენიჭება. ეს არის ცვლილება, რომელიც წარსული გამოცდილების გავლენით ვლინდება და პიროვნებას მასზე კონტროლი არ გააჩნია. პრაიმინგი ინდივიდის ნებისგან დამოუკიდებლად და ცნობიერების ჩარევის გარეშე ხორციელდება.

პრაიმინგი შესაძლოა აღმოცენდეს მაშინ, როცა ერთი სიტყვა დაკავშირებულია მეორესთან. მეიერმა და შვანდველდტმა აჩვენეს, რომ ერთ სიტყვას შეუძლია ფასილიტირება (პრაიმინგი) გაუწიოს მომდევნო სიტყვის გადამუშავებას და ამოცნობას. მაგალითად, სიტყვა ექთან ი ფასილიტირებას უწევს სიტყვა ექიმის გახსენებას. თუმცა არა პურის. ამ ეფექტს ასოციაციური პრაიმინგი ეწოდება და შესაძლოა სიტყვებს შორის

წმინდად სემანტიკური კავშირების შედეგად აღმოცენდეს ან იმიტომ, რომ კონკრეტული სიტყვები ხშირად გამოიყენება ერთად და ამ გზით არიან ერთმანეთთან ასოცირებულები.

პრაიმინგის ეფექტი, რომელიც ემპირიულად დასტურდება, კოგნიტურ ფსიქოლოგიაში კონექციონისტური პერსპექტივის მხარდასაჭერად გამოიყენება. ამ მოდელის მიხედვით, ცოდნის რეპრეზენტაცია კვანძების მრავალრიცხოვანი ქსელის გააქტიურებასთან არის დაკავშირებული. ერთი კვანძის აქტივაცია მასთან დაკავშირებული სხვა კვანძის აქტივაციას იწვევს. პრაიმინგის ეფექტი კი ორი კვანძის ერთმანეთთან აქტივირების გზით დაკავშირების შედეგად მიიღება.

კოგნიტური ფსიქოლოგიის ფარგლებში პრაიმინგ-ეფექტი ინტერპრეტირდება როგორც წარსული გამოცდილების ზეგავლენის არაპირდაპირი შეფასება ამა თუ იმ სააზროვნო ოპერაციაზე. პრაიმინგი იმპლიციტური (გაუცნობიერებელი) მეხსიერების ფენომენია. უნდა აღინიშნოს, რომ პრაიმინგი ხშირად წარმოგვიდგება მეხსიერების გაცილებით უფრო სტაბილური მაჩვენებლად, ვიდრე გაცნობიერებული მეხსიერების ფენომენი - პრაიმინგი გაცილებით უფრო რეზისტენტულია კოდირების პირობათა ცვლილებებისადმი.

ექსპერიმენტები ადასტურებს, რომ ტექსტის აღქმაზე პრაიმინგის ეფექტის გავლენის - მოლოდინსა და გაცეხას შორის არსებული მიმართების თავისებურების წვდომა არც ისე მარტივი ამოცანაა (მაგუაირი და კინი / Maguire & Keane, 2004).

სწორედ ამ კომპლექსურ ამოცანასთან გამკლავების მცდელობასთან ასოცირდება ვ. მეიერის, რ. რაიზენზაინისა და ა. შუტსვოლის „გაცრუებული მოლოდინის ჰიპოთეზა“ (The Expectancy-Disconfirmation Hypothesis), რომლის თანახმადაც გაცეხის ფენომენი ჩნდება მაშინ, როცა არ მართლდება უწინ კონსტრუირებულ სქემებზე დაფუძნებული მოლოდინები (მეიერი, 1997).

ბევრ გამოკვლევაში ფიგურირებს „მიხვედრის“- „გამოცნობის“ (ჰიპოთეზის აგების) მექანიზმის ცნება. აღნიშნული მექანიზმის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ტექსტისა და ფონური ცოდნის კავშირი. სწორედ ამ კავშირის წყალობითაა შესაძლებელი სიტუაციის განვითარების შესაძლო სცენარის განჭვრეტა. რ. შენკისა და რ. აბელსონის თვალსაზრისით, პროგნოზირების შესაძლებლობა ეფუძნება ტიპურ ფიქსირებულ სქემათა გახსენებას (შანკი და აბელსონი / Schank & Abelson, 1977).

ალბათური პროგნოზირების უნარი დაკავშირებულია მეხსიერების ორგანიზების თავისებურებასთან - კონკრეტული ინდივიდის წარსულის გამოცდილებაში ინახება ინფორმაცია მოვლენებისა და მათი თანმიმდევრობის შესახებ. ადამიანებს რომ გვეცხოვრა მოვლენათა მკაცრად დეტერმინირებულ გარემოში, პროგნოზირება არ მოითხოვდა განსაკუთრებულ ძალისხმევას.

მეხსიერებას იმ რეალობაში, რომელშიც ვცხოვრობთ, შეუძლია მოვლენათა მხოლოდ ალბათური პროგნოზირება. ფსიქოლინგვისტური თვალსაზრისით, კონტექსტი არსებობს „მსმენელის თავში“, ვინაიდან ინტერპრეტაციის აქტი ვერ შედგება ტექსტის ენობრივი ინფორმაციისა და ცოდნის სქემათა კავშირების გარეშე. სწორედ აღნიშნული სქემები ქმნიან ასოციაციურ შინაგან კონტექსტებს.

მეტყველების პროდუცირებისა და აღქმის პროცესში ალბათობის მექანიზმის მონაწილეობა გულისხმობს აღქმულ ობიექტთა მენტალური მოდელების კონსტრუირებას. აღნიშნული მოდელები დეტერმინირებულია რეციპიენტის კონცეპტუალური სფეროს თავისებურებით, მისი ფონური ცოდნის მოცულობითა და თვისებრიობით.

პერცეპტული პრაიმინგ-ეფექტების ანალიზმა მისცა მკვლევარებს შესაძლებლობა გაეკეთებინათ დასკვნა განსაკუთრებული რეპრეზენტაციული სისტემის არსებობის შესახებ, რომელსაც იმპლიციტური ხასიათი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ეს სისტემა შესაძლოა მივიჩნიოთ მხოლოდ იმ მექანიზმად, რომელიც ინერციულად აფიქსირებს სტიმულაციის სენსორულ პარამეტრებს (გრძელვადიანი ხატოვანი მეხსიერების მსგავსად), ექსპერიმენტები მოწმობენ, რომ პერცეპტული იმპლიციტური მეხსიერება, შესაძლოა, ფლობდეს სამყაროს შესახებ ფუნდამენტალურ ცოდნას.

წინსწრების ეფექტის მონაწილეობა ტექსტის გაგების პროცესში დამტკიცდა რ. გრაიმზ-მაგუაირის და მ. კინის ექსპერიმენტებში, რომლებიც მიზნად ისახავდნენ თხრობითი ტექსტის გაგებისას გაოცების ფენომენის სპეციფიკის გამოვლენას (მაგუაირი და კინი, 2004:833-838.). მეცნიერთა აზრით, ურთიერთობა ექსპექტაციებს, მოლოდინებს და გაოცებას შორის არც ისეთი მარტივია, როგორც ჩანს. ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგებმა აჩვენა, რომ რეციპიენტების მიერ ტექსტის მონაკვეთების გაგებისას კონსტრუირებული რეპრეზენტაციები უშუალო ზეგავლენას ახდენენ მომდევნო მოვლენათა აღქმაზე. ეს ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ მეხსიერებიდან ობიექტის ამოცნობის

და ამოღების (გამოხმობის) უნარი იცვლის თვისებებს პრაიმინგ-ეფექტის შედეგად (შაკტერი და ბუკნერი / Shacter & Buckner, 1998:185).

პრაიმინგის ფენომენი, ჩვეულებრივ, განიხილება მეხსიერების მექანიზმთა, უფრო ზუსტად კი, ეგრეთ წოდებული იმპლიციტური დამახსოვრების ფენომენის შესწავლის ფარგლებში. აქ მიზანშეწონილია საუბარი ამა თუ იმ ოპერაციათა წარმატებულობაზე წინამდებარე გამოცდილების ზეგავლენის არაპირდაპირ შეფასებაზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ იმპლიციტური ეფექტების წარმოსაქმნელად ხშირად ნაკლებად მნიშვნელოვანია მასალასთან მუშაობის ხასიათი და თავად მეხსიერების, ამ სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობით, არსებობა.

პრაიმინგი, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, განიხილება როგორც კოდირების ეტაპზე სიტყვის წინასწარი წარდგენა მისი „შევსების“ ამოცანის გამარტივების მიზნით. ამ შემთხვევაში პრაიმინგ-ეფექტის გავლენის ხარისხი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს კონკრეტული სიტყვის სწორად „შევსების“ აქტუალურ და რეფერენტულ ალბათობათა შედარების შედეგად მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებლით. თანაბარი სიხშირის სიტყვების შემთხვევაში ხდება შედარება „შევსების“ საშუალო ალბათობასთან.

პრაიმინგის სასაუბრო შეტყობინების აღქმაზე ზეგავლენის პრობლემის განხილვისას შეუძლებელია არ ვახსენოთ განწყობის თეორია, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ მისი რეალიზება ხორციელდება ქვეცნობიერად ჯერ კიდევ სტიმულის დეტალურ ანალიზამდე.

პერცეპციის მთელი პროცესის განმავლობაში მეტყველების აღმქმელი სუბიექტი აფასებს, „წონის“ მისთვის გამიზნულ შეტყობინებებს. ამ პროცესში შეიმჩნევა ამა თუ იმ სტერეოტიპის მიღების მზაობა, ხორციელდება რეაქცია სტიმულზე, როგორც მოსალოდნელზე. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა მოლოდინები არ მართლდება, რეციპიენტი მყისიერად ვერ აცნობიერებს შეცდომას.

მეტყველების გაგებასთან დაკავშირებული კვლევების ცენტრში იკვეთება მიხვედრის მექანიზმის ცნება (ჰიპოთეზის აგება), რომლის მუშაობაც უზრუნველყოფილია ტექსტუალური რეპრეზენტაციებისა და ფონური ცოდნის კავშირით. ეს უკანასკნელი ამარტივებს გაგების პროცესს და იძლევა სიტუაციის სავარაუდო დასასრულის წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობას.

რ. შენკისა და რ. აბელსონის თანახმად, პროგნოზირების შესაძლებლობა ეყრდნობა ტიპური სცენარების, სქემების გახსენებას (შანკი და აბელსონი, 1977:256).

ინდივიდის მეხსიერების განსაკუთრებული ორგანიზება იძლევა ინფორმაციას არა მხოლოდ წარსულში მომხდარი მოვლენების შენახვის, არამედ ამ მოვლენათა თანმიმდევრობის, სიხშირის შესახებაც. მეხსიერების სწორედ ეს თვისება განაპირობებს სუბიექტის სავარაუდო პროგნოზირების უნარს. ჩვენი რეალობა წარმოადგენს ალბათობით ორგანიზებულ გარემოს, ამიტომ ჩვენს მეხსიერებას ძალუძს მხოლოდ მომავალი მოვლენების სავარაუდო განჭვრეტა. პროგნოზირებისას ინდივიდი გრძელვადიან მეხსიერებაში ჩადებული რამდენიმე ალტერნატიული შეტყობინებიდან ირჩევს ერთს, მოცემული კონტექსტისთვის მაქსიმალურად მისაღებს.

ამრიგად, აშკარაა, რომ სავარაუდო პროგნოზირების გარეშე ნებისმიერი მოღვაწეობა შეუძლებელი იქნებოდა: სავარაუდო პროგნოზირება წარმოადგენს ამ სამყაროში მცხოვრები არსების მიერ სამყაროს სავარაუდო მოდელირებას (ფეიბენბერგი, კოული და მალცმანი / Feigenberg, Cole & Maltzman, 1969:354-369). ალბათობითი მექანიზმის აღქმის პროცესში მონაწილეობა გულისხმობს აღსაქმელი ობიექტების მენტალური რეპრეზენტაციების კონსტრუირებას რეციპიენტის კონცეპტუალური სფეროს, მისი პირადი ცოდნის ხარისხისა და მოცულობის შესაბამისად.

ვარაუდის მექანიზმის მონაწილეობა მეტყველების პროდუცირების პროცესში დაკავშირებულია ადამიანის ფსიქიკაში ვარაუდის სუბიექტური შეფასების მექანიზმის არსებობასთან. სუბიექტური შეფასება კორელირებს ტექსტში ობიექტური ვარაუდის ელემენტებთან. ჩ. ოსგუდის მეტყველების პროდუცირების კლასიკური მოდელი ასევე ემყარება ვარაუდის პრინციპს. აღნიშნული მოდელის თანახმად, მეტყველების პროდუცირების პროცესი მიმდინარეობს პარალელურად სამ სხვადასხვა დონეზე:

1. მოტივაციის დონეზე;
2. კოდირების დონეზე;
3. დეკოდირების დონეზე.

პრაქტიკული გამოცდილება, როგორც რეალობაში ორიენტირების ცოდნა, არის მეხსიერებაში სიტუაციის ტიპოლოგიის არეკვლა. ამასთან, კონკრეტული სიტუაციები ფლობენ უსასრულობის თვისებას - ისინი არასდროს მეორდებიან და არც იმეორებენ

ერთმანეთს მაქსიმალური სიზუსტით. და მაინც, სიტუაციები მეორდება. ეს კი უზრუნველყოფს მათი განსაზღვრული ტიპოლოგიური მახასიათებლების გამყარებას, რაც ხელს უწყობს მსგავსი სიტუაციების ამოცნობასა და საპასუხო რეაქციის განსაზღვრული ტიპის ფორმირებას. ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში მომავალი ქცევის მეტად ან ნაკლებად დიფერენცირებული გეგმა აღბეჭდილია მოცემულ სიტუაციასთან დაკავშირებული წინამდებარე გამოცდილების სპეციფიკით (კეჩუაშვილი / Кечухашвили, 1970:110-115).

ამრიგად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მეტყველების პროდუცირების პროცესში ინდივიდი აგებს რამდენიმე ყველაზე მეტად სავარაუდო ჰიპოთეზას იმ შინაარსის თაობაზე, რომელიც შემდგომ აღქმული იქნება მის მიერ პარტნიორის შეტყობინებიდან. ჰიპოთეზათა ფორმირება ხორციელდება კომუნიკაციური სიტუაციის შეფასების შედეგად, რომელიც შეესაბამება სიტუაციის ტიპს და ადრესანტის პიროვნულ თვისებებს. ურთიერთობის პროცესში კონსტრუირებული ჰიპოთეზა შეიძლება გამყარდეს, მოდიფიცირდეს ან რადიკალურად შეიცვალოს.

თავი IV. *გაცრუებული მოლოდინი, კონტექსტური პროცესები და იუმორისტული დისკურსი*

4.1. *ინტერტექსტუალობის და კონტექსტის თეორიის გამოყენების ანალიზი იუმორისტულ დისკურსში*

იუმორმა, როგორც სოციუმში ფართოდ გავრცელებულმა ფენომენმა და ინტერდისციპლინარული კვლევის საგანმა, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მეცნიერთა დიდი ყურადღება მიიპყრო. იუმორი ფართო კვლევის საგანია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში და ანთროპოლოგიაში.

იუმორი, განსაკუთრებით კი ვერბალური იუმორი, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული ატრიბუტი და კომუნიკაციური კომპეტენცია, იქმნება და გადმოიცემა მხოლოდ და მხოლოდ ენის მეშვეობით. სწორედ ამიტომ იკვლევენ იუმორს ლინგვისტიკის სააზროვნო სივრცის ფარგლებში.

ინტერტექსტუალობა თავდაპირველად ლიტერატურული კრიტიკის სფეროში გამოჩნდა. შემდეგ გაფართოვდა კვლევის სფერო - დაიწყო ინტერტექსტუალობის ლინგვისტურ სააზროვნო სივრცეში კვლევა. დისკურსის ანალიზში იუმორის ინტერტექსტუალური პერსპექტივიდან ხედვა მნიშვნელოვან ტენდენციად იქცა. აღნიშნული ტენდენციის არსებობას სრულიად ლოგიკური საფუძველი გააჩნია, ვინაიდან იუმორისტულ დისკურსს ახასიათებს ინტერტექსტუალური ბუნება.

ნორიკი (ნორიკი / Norrick, 1989:117-139) ვარაუდობს, რომ ინტერტექსტუალური იუმორი ეფუძნება ორიგინალ ტექსტს, შესაბამისად, იუმორის ადეკვატურად აღქმის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ტექსტის აღმქმელი სუბიექტის მიერ ინტერტექსტუალური ცოდნის ფლობა.

ლინგვისტიკის სააზროვნო სივრცეში იკვეთება იუმორის შესწავლის შესაძლებლობები ინტერტექსტუალური პერსპექტივიდან. ინტერტექსტუალობა დაკავშირებულია ორზე მეტ ტექსტთან: წყაროსთან ან წინამდებარე ტექსტთან და არსებულ ან სასურველ/სამიზნე ტექსტთან (target text). ამ უკანასკნელს, შესაძლოა, ერთდროულად გააჩნდეს სულ მცირე ორი კონტექსტი თითოეულ წყაროში, რომელსაც ასევე გააჩნია ინტერტექსტუალური კავშირები. აქედან გამომდინარე, ვარაუდობენ რომ კონტექსტის თეორია ეფექტურია ინტერტექსტუალური პერსპექტივიდან იუმორის ანალიზისთვის.

ინტერტექსტუალობის თეორიის ჩანასახს შესაძლოა მივაკვლიოთ სოსიურის ლინგვისტიკაში. სოსიური ენას განიხილავს როგორც განსხვავებული ნიშნებისგან შედგენილ სისტემას. ლინგვისტური ნიშნების მნიშვნელობათა წვდომა სხვა ნიშნებთან ურთიერთქმედებაში ხდება. სოსიური ნიშანს განიხილავს როგორც ერთ მთლიანობას, ნიშანში კი იდეასა და ბგერაზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება სხვა ნიშნებს, რომელიც მოცემული ნიშნის ირგვლივ არსებობს. ინტერტექსტუალობის კონცეპტი, ამ თვალსაზრისით, ძალიან ჰგავს სოსიურის სემიოტიკურ თეორიას (სოსიური, 2012).

ბახტინმა (ბახტინი, 1981) ერთხელ ასეთი რამ თქვა: “I live in a world of others’ words” (“მე ვცხოვრობ სხვების სიტყვების სამყაროში).” მას მიაჩნია, რომ ყველა ტექსტს გააჩნია დიალოგური ბუნება და მსოფლიოში ყველაფერი ნარატიული ხასიათის მატარებელია. ბახტინის დიალოგიზმის თეორია ხაზს უსვამს სოციალურ და ისტორიულ კონტექსტს, რომლის ფარგლებშიც ენა გამოიყენება.

პირველად ტერმინი ინტერტექსტუალობა დაფიქსირდა კრისტევას ნაშრომში (კრისტევა / Kristeva, 1969). გარკვეულწილად, კრისტევას ინტერტექსტუალობა არის რეფორმაცია: ბახტინის დიალოგიზმის განვითარება. კრისტევას შეხედულებაში გაერთიანებულია ლინგვისტურ ნიშნების სოსიურისეული ხედვა და ბახტინის დიალოგიზმი. კრისტევას მოსაზრებით, „ყოველი ტექსტი აგებულია ციტატებისგან, მოზაიკის მსგავსად. ყოველი ახალი ტექსტი წარმოადგენს სხვა ტექსტების შეთვისებასა და გარდაქმნის შედეგს.“ ტერმინი ინტერტექსტუალობა აბსტრაქტული და ფართოა. სავარაუდოდ, სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს მის გააზრებასთან დაკავშირებულ სირთულეებს.

მას შემდეგ, რაც ტერმინი ინტერტექსტუალობა პირველად გაჩნდა ლიტერატურული კრიტიკის სფეროში, მან მიიპყრო ლიტერატურის მრავალი თეორეტიკოსის, მათ შორის, ბარტის ყურადღება (ბარტი / Barthes, 1981:31-47). სწორედ ბარტი იყო ის მეცნიერი, ვინც დიდი წვლილი შეიტანა ინტერტექსტუალობის შესწავლაში.

მეცნიერებს განსხვავებული სტანდარტები აქვთ ინტერტექსტუალობის კლასიფიცირებისთვის. ინტერტექსტუალობაზე შესაძლოა ვისაუბროთ ფართო ან ვიწრო გაგებით. ვიწრო გაგებით, ინტერტექსტუალობა ეხება არსებულ ტექსტსა და წინამდებარე ტექსტს შორის კავშირს. ფართო გაგებით კი, ინტერტექსტუალობა გულისხმობს ურთიერთკავშირს არსებულ ტექსტსა და ნებისმიერი სახის ცოდნას, კოდს ან სემანტიკურ

მანიფესტაციებს შორის, რომლებსაც შეუძლია მნიშვნელობა მიანიჭოს წინამდებარე ტექსტს.

სპეციალურ ლიტერატურაში ფიქსირდება კლასიფიკაცია, რომელიც გვთავაზობს ინტერტექსტუალობის კონკრეტულ (specific) და ზოგად (generic) ფორმებად დაყოფას როგორც მკითხველის, ისე ანალიტიკოსთა პერსპექტივიდან. კონკრეტული ინტერტექსტუალობის შემთხვევაში ტესტი მოიცავს სხვების გამონათქვამებს კონკრეტული და ნათელი წყაროებიდან. ზოგადი ინტერტექსტუალობა კი უკავშირდება სხვადასხვა სტილისა და ჟანრის აღრევას.

ბრიტანელი ანთროპოლოგის მალინოვსკის თვალსაზრისით, კონტექსტი მიმართებაშია მთლიან გარემოსთან, რომელშიც ენა გამოიყენება და რომელშიც ტექსტის განთავსება ხდება (in which a text is folded), შესაბამისად, ეს ხელს უწყობს გამონათქვამთა ზუსტი მნიშვნელობის გაგებას (მალინოვსკი / Malinowsky, 1923).

მოგვიანებით ფირტმა განავითარა მალინოვსკის იდეა კონტექსტის შესახებ და შემოიტანა სამი ფაქტორი, მათ შორის, მონაწილეთა მახასიათებლები, რელევანტური საგნები და ვერბალური ქმედების ეფექტი (ფირტი / Firth, 1968:12-26).

ფირტის კვლევის საფუძველზე დაიწყო კონტექსტის ინტერპრეტირების ახალი გზის ძიება (ჰოლიდეი და ჰასანი / Halliday & Hasan, 2012). ამ პროცესის შედეგად გამოიყო კონტექსტის სამი ცვლადი: ველი (field), ტენორი (tenor) და რეჟიმი (mode). აღნიშნული ცვლადების კონტექსტის ინტერპრეტირებას ემსახურება იმ გარემოში, რომელშიც ხდება მნიშვნელობათა გაცვლა.

ინტერტექსტუალობა ეხება ტექსტთა ერთმანეთში შეღწევადობას: არც ერთი ტექსტი არ არსებობს იზოლირებულად, ისინი ურთიერთდაკავშირებულია მანამდე არსებულ ტრადიციებთან და კონტექსტთან, რომელშიც იგი წარმოიქმნება.

ინტერტექსტუალობის ანალიზი ცხადყოფს, რომ მინიმუმ ორი კონტექსტი შეესაბამება თითოეულ ტექსტს. არსებული ტექსტის არსებული კონტექსტი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ან ავსებდეს წინამორბედი ტექსტის კონტექსტს. სწორედ ამ ფაქტმა შეიძლება გამოიწვიოს იუმორისტული ეფექტი.

როგორ მივყავართ იუმორისტულ ეფექტამდე ინტერტექსტუალობას? - ინტერტექსტუალობა შემოჭრილია ყველაფერში, რასაც ვამბობთ ან ვწერთ. ჩვენი გამონათქვამები ან ტექსტები ეხმიანებიან წინამორბედ ტექსტებსა თუ გამონათქვამებს და იმპლიციტური ან ექსპლიციტური საშუალებით ახორციელებენ ხელახალ კონტექსტუალიზაციას. ნორიკი ვარაუდობს, რომ ინტერტექსტუალობას ადგილი აქვს ნებისმიერ დროს, როცა ხდება ერთი ტექსტის მეორესთან ასოცირება.

მითითება წარმოადგენს კონკრეტული ინტერტექსტუალობის ძირითად ფორმას, რომელიც გამოიყენება წყაროს დასაზუსტებლად. სწორედ მითითების მეშვეობით იდენტიფიცირდება წინამორბედ ტექსტსა და სამიზნე/სასურველ ტექსტს შორის არსებული ინტერტექსტუალური კავშირები:

Teacher: Elmer, who won the War of the Roses? (მასწავლებელი: ელმერ, ვინ მოიგო ვარდების ომი?)

Elmer: It's not over yet, but so far the bugs are winning. (ელმერი: ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ჯერჯერობით მწერები იმარჯვებენ).

ეს არის მოკლე დიალოგი, რომელიც გაიმართა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. მასწავლებლის მიერ ნახსენები the War of the Roses სინამდვილეში ეხებოდა ომს, რომელიც მოხდა ლანკასტერებსა და იორკებს შორის. ომი გრძელდებოდა დაახლოებით 30 წლის განმავლობაში. სტუდენტმა არასწორად გაიგო მასწავლებლის შეკითხვა. სტუდენტმა ვარდების ომი გაიგო როგორც ვარდებსა და მწერებს შორის ომი, რამაც გამოიწვია იუმორისტული ეფექტი.

ზოგჯერ ავტორს არ სჭირდება წინამდებარე ტექსტის არსებულ ტექსტში გადმოტანა - ზოგჯერ მხოლოდ რამდენიმე მონაკვეთის ხსენებამაც კი შესაძლოა „გახსნას“ მთლიანი მნიშვნელობა და კონტექსტი.

განვიხილოთ სხვა მაგალითი: 90-იანი წლების ოსკარით დაჯილდოების ცერემონიის დასაწყისში, წამყვანმა შეახსენა სტუმრებს, არ ამდგარიყვნენ მაშინვე, როგორც კი საკუთარი სახელის გამოცხადებას გაიგონებდნენ. წამყვანის განცხადებამ გამოიწვია დამსწრე საზოგადოების სიცილი. თუმცა, თუ აუდიტორიას არ ეცოდინებოდა, რა მოხდა 1989 წლის ოსკარით დაჯილდოების ცერემონიაზე, იუმორისტული ეფექტი ვერ მიიღწეოდა. იუმორი აღიქვა აუდიტორიამ მხოლოდ იმიტომ, რომ ყველამ იცოდა, რომ

წინა ცერემონიაზე ჯილდოს გამოცხადების დროს არასწორი კონვერტი გახსნეს. წამყვანი და აუდიტორია იზიარებდა ერთსა და იმავე ინტერტექსტუალურ ფონს, სწორედ ამიტომ შეიქმნა იუმორისტული ეფექტი.

იმის განსახილველად, თუ როგორ გამოიყენება კონკრეტული ინტერტექსტუალობა იუმორში და როგორ იქმნება იუმორისტული ეფექტი, განვიხილოთ მაგალითები სიტკომიდან „Friends”, სადაც ვხვდებით უამრავ იუმორისტულ დისკურსს:

Waiter: So, would you like any dessert?

Michael: No! No dessert, just a check, please.

Rachel: Oh, you're not having fun, are you?

Michael: No, no, I am, but only because for the last hour and a half I've been playing the movie Dinner in my head.

(Laugh).

დიალოგი ხდება მაშინ, როდესაც რეიჩელი და მაიკლი რესტორნის დატოვებას აპირებენ, რადგან რეიჩელმა საბოლოოდ აღმოაჩინა, რომ მაიკლი მასთან ერთად ვერ ატარებს დროს საინტერესოდ. რეიჩელი ძალიან წუხს ამის გამო, მაგრამ მაიკლი ევფემისტურად პასუხობს და მიუთითებს ფილმზე „Dinner”. იგი უყვება რეიჩელს ფილმის სიუჟეტს სტუდენტებზე, რომლებიც სადილზე ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ ბედნიერებასა და მწუხარებას. ამგვარად, აწმყო ტექსტი ეხება რეიჩელის პაემანს მაიკლთან. წყარო კი ფილმში სტუდენტების გამოცდილების გაზიარებაზე საუბრობს. ეს ორი ტექსტი ორი კონტექსტით ხასიათდება განსხვავებული როლებით. სწორედ როლებისა და დისკურსების სხვაობა იწვევს იუმორისტულ ეფექტს.

ინტერტექსტუალურ მიმართებათა დამყარების ერთ-ერთ ეფექტურ გზას წარმოადგენს ალუზია, რომლის შემთხვევაშიც განსაკუთრებული სახის მითითება მიემართება ხოლმე ცნობილ ხალხს ან ისტორიულ მოვლენებს. ეს თემები ნაცნობი უნდა იყოს როგორც მოსაუბრისა და მსმენელისთვის, ისე მწერლისა და მკითხველისთვის. შესაბამისად, იუმორი, რომლის შესაქმნელადაც ალუზია გამოიყენება, უფრო მარტივად აღსაქმელია ორივე მხარისთვის.

კლიშე, როგორც სპეციფიური ინტერტექსტუალობის ფორმა ეხება სიტყვებს ან გამონათქვამებს, რომლებიც ხშირად გამოიყენება კონკრეტულ სფეროში/დარგში და იწვევს იუმორისტულ ეფექტს. განვიხილოთ მაგალითი სიტკომიდან „Friends“:

Chandler: No way!

Monica: I'm telling you, she went to the airport, and she's gonna go for it with Ross!

Phoebe: Oh my god. This is huge. (laugh) This is bigger than huge. This is like, all right, what's bigger than huge?

Joey: Um, this?

Phoebe: Yes.

რეიჩელი წავიდა აეროპორტში, რათა სიყვარულში გამოუტყდეს როსის. მონიკა კი აღფრთოვანებული აცნობებს ყველას ამ ამბის შესახებ. ფიბმა ახლახანს შეიცვალა ჩენდლერისა და ჯოის ვარცხნილობა, რაც მონიკას შეუმჩნეველი დარჩა. “This is huge.” ეს ფრაზა ხშირად გამოიყენება ხოლმე ახალ ამბებში. ფიბი კი ამ ფრაზას იყენებს მონიკას მესიჯზე საპასუხოდ რეიჩელის გამბედაობასთან დაკავშირებით. სოციალური საქმიანობის ბუნება და დისკურსის სფერო ამ ორ კონტექსტში ეწინააღმდეგება ერთმანეთს, რაც ქმნის კიდევ იუმორისტულ ეფექტს.

დეგება ერთმანეთს, რაც ქმნის კიდევ იუმორისტულ ეფექტს.

კლიშეს გამოყენების შემდეგი მაგალითი ასე გამოიყურება:

Monica: Joey speed it up!

Joey: I'm sorry, it's the pigs. They're reluctant to get in the blankets!

Phoebe: Monica, how did this happen? I thought you had this all planned out.

Monica: Do you want me to cry? Is that what you want? Do you wanna see me cry?

Phoebe: Sir! No sir! (laugh)

მონიკას ეჩქარება. მას დრო აღარ რჩება საქორწილო წვეულების მოსამზადებლად, ამიტომ იგი სთხოვს ფიბს და ჯოის, რომ აუჩქარონ. ფიბს აინტერესებს, როგორ მოხდა ეს, როცა მას ყველაფერი დაგეგმილი ეგონა. თუმცა, რადგან მონიკას ახსნის დრო არ აქვს, იგი მხოლოდ სამ რიტორიკულ შეკითხვას სვამს აგრესიულად, მეთაურის მსგავსად.

შეკითხვები აიძულებს ფიბს, მოკლე პასუხი გასცეს შეკითხვებს: “Sir! No sir.” “Sir” დამახასიათებელია პოლიციელთა მეტყველებისათვის. კლიშე აუდიტორიას ახსენებს ამ სიტყვის კონტექსტს - პოლიციელები ასე მიმართავენ ან პასუხობენ მეტაურებს. ფიბი და მონიკა ახლო მეგობრები არიან, შესაბამისად, ეს ორი კონტექსტი დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის დისკურსთან, რაც ქმნის იუმორისტულ ეფექტს. კლიშეს, როგორც კონკრეტული ინტერტექსტუალობის ფორმას, შეუძლია იუმორისტული ეფექტის გენერირება, როდესაც იგი გამოიყენება სიტუაციისათვის არარელევანტური ტიპის დისკურსში.

ინტერტექსტუალობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ციტირება. ციტირებული სიტყვები ან წინადადებები წარმოადგენენ წყაროს ანალოგიურ ვერსიას ან ვარიაციას საწყისი ტექსტიდან.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი სიტკომიდან „Friends“:

Phoebe: So...now...What about with Mike’s mom?

Rachel: Oh, with the mother, just...just constantly tell her how amazing her son is. Take it from me, mom loves me.

Ross’s mom one time said I’m like the daughter that she never had.

Monica: She said what?

Phoebe: That’ she’s like the daughter she never had.

(Phoebe points at her ears.) Listen!

ფიბს სურს მოისმინოს მონიკასგან და რეიჩელისგან რჩევა იმის თაობაზე, თუ როგორ მოაწონოს თავი მისი საქმროს მშობლებს. რეიჩელი ფიბს საკუთარ გამოცდილებას უზიარებს და უყვება მისი და როსის (მისი შეყვარებულის) დედის შეხვედრის ისტორიას. რეიჩელი ახდენს როსის დედის სიტყვების ციტირებას: „I’m like the daughter that she never had.” მონიკა როსის დაა და მისთვის დაუჯერებელია ის, რაც დედამისმა თქვა. ამიტომ სვამს შეკითხვას: “She said what?” ეს კი უბრალოდ გაცრუების გამომხატველი რიტორიკული შეკითხვაა. თუმცა, ფიბს არასწორად ესმის მონიკას რეაქცია და ციტირებს რეიჩელის ნათქვამს, რაც იწვევს სიცილს.

შემდეგი მაგალითი სიტკომიდან „Friends“:

Monica: Ross, come sign this birthday card for dad. Rich is gonna be here any minute.

Chandler: Oooh, Rich is going to the party too, huh?

Monica: Well, he's my parents' best friend, he has to be there.

Joey: Oh, is today the day you're gonna tell them about you two.

Monica: Yeah. It's my dad's birthday, I decided to give him a stroke.

Phoebe: No, I think you should tell them.

Monica: No, I don't even know how serious he is about me. Until I do, I'm not telling them anything.

Ross: I don't know, I don't think mom and dad would mind. Remember when you were 9 and Richard was 30, how dad used to say, “God I hope they get together”. (Laugh)

მეგობრები მსჯელობენ, უნდა უთხრას თუ არა მონიკამ მშობლებს ახალი მეგობარი ბიჭის შესახებ, რომელიც მისი მშობლების საუკეთესო მეგობარია და ბევრად უფროსია მასზე. როსი, მონიკას უფროსი ძმა, ახდენს მამამისის იმდროინდელი სიტყვების ციტირებას, როდესაც მონიკა პატარა იყო. ციტირებული სიტყვები პირველად ტექსტში ნიშნავდა, რომ მონიკას მამას სურვილი იყო, მონიკა და რიჩარდი ერთად ყოფილიყვნენ, თუ კარგად გაუგებდნენ ერთმანეთს როგორც მეგობრები. ახლანდელ ტექსტში კი მიმდინარე სიტუაცია გულისხმობს იმას, რომ მონიკა და რიჩარდი ხდებიან შეყვარებულები. იქმნება ინტერტექსტუალური წინააღმდეგობა, რომელიც წარმოშობს იუმორისტულ ეფექტს.

პაროდია ინტერტექსტუალობის განსაკუთრებულ ტიპს წარმოადგენს და განისაზღვრება როგორც იმიტაციის ფორმა. პაროდია ახდენს არა მხოლოდ კონტენტის, არამედ ორიგინალი ტექსტის სტრუქტურის იმიტირებასაც. პაროდის გამოყენება ახალი ღვინის დამზადებას ჰგავს, რომელიც გემოთი ძალიან ჰგავს ძველს, თუმცა უფრო მძლავრი ეფექტი გააჩნია. მსგავსი გზით შექმნილმა გამონათქვამებმა შესაძლოა გამოიწვიონ იუმორისტული ეფექტი.

განვიხილოთ მაგალითი სიტკომიდან „Friends“:

Joey: Real estate, huh? Humm...

Monica: Oh, and you know who's selling a great apartment? Richard!

Chandler: Oh, and you know whose knowledge of her ex-boyfriend is shocking? Monica! (Laugh)

ჯოიმ მიაღწია ფინანსურ კეთილდღეობას და მონიკას და ჩენდლერს ეკითხება, აქვთ თუ არა რამე იდეები თანხის ინვესტიციურებასთან დაკავშირებით. მონიკა სთავაზობს ჯოის, რომ განიხილოს უძრავ ქონებაში ინვესტიციურება და ადელვებული ამბობს, რომ მის ყოფილ შეყვარებულს რიჩარდს აქვს გასაყიდი ბინა: “Oh, and you know who's selling a great apartment? Richard!” ამ მომენტისთვის კი ვიცით, რომ მონიკა და ჩენდლერი ურთიერთობაში არიან. მონიკას ნათქვამის მოსმენისას ჩენდლერი პაროდირებას უკეთებს მისი ნათქვამის სტრუქტურას, გამოხატავს სიბრაზესა და ეჭვიანობას, რომ მის მეგობარ გოგოს ისევ აქვს კონტაქტი ყოფილ შეყვარებულთან. ჩენდლერის მიერ შეკითხვის სტრუქტურის იმიტირება წარმოშობს იუმორისტულ ეფექტს.

ზოგადი ინტერტექსტუალობა ჩნდება ჟანრებისა და სტილის შერევისას. ჟანრი მიჩნეულია კომუნიკაციურ მოვლენად, რომლის გაზიარება ხდება გარკვეული პროფესიონალების ან აკადემიური საზოგადოების მიერ გარკვეული მიზნებით. სხვა სიტყვებით, ჟანრი არის ადამიანთა გარკვეული ჯგუფისთვის კომუნიკაციის საშუალება. სტილი ეხება გამონათქვამის მანერასა და გზებს, რომლითაც იდეა უნდა გამოიხატოს ენის მეშვეობით. ზოგადი ინტერტექსტუალობის სწორად გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს იუმორისტული ეფექტი.

განვიხილოთ სიტკომიდან „Friends” მაგალითები, რომლებშიც დემონსტრირებულია ზოგადი ინტერტექსტუალობის იუმორში გამოყენების თავისებურება:

Phoebe: I have just a few questions to ask, so I'll get out my official forms. So question one: You were married to Frances' daughter, Lily. Correct?

Frank Buffay: Yes, I was.

Phoebe: Question two: Did that marriage end: A: happily?

B: Medium? C: in the total abandonment of her and her two children?

Frank Buffay: I guess then I would have to say C.

Phoebe: OK, total abandonment. Reasons for abandonment: A: Top-secret government work. B: Amnesia. or C. You're just a selfish, irresponsible bad bad man.

დიალოგი შედგა ფიბსა და მამამისს შორის, რომელმაც მიატოვა იგი, როდესაც პატარა იყო. ფიბს სურს დარწმუნდეს, რომ ეს მამაკაცი ნამდვილად მამამისია და ეკითხება, თუ რატომ მიატოვა, თუმცა ამ კითხვის დასმისას უხერხულობას გრძნობს. მამისათვის შეკითხვების დასმისას ფიბი მიმართავს ოფიციალური კითხვარის ჟანრს. ამ სცენაში არაფორმალური და ფორმალური ჟანრების შერევა იწვევს იუმორისტულ ეფექტს.

Joey: Sup? Sup dude?

Chandler: (putting his hands up) Take whatever you want, just please don't hurt me.

Joey: So you're playing a little Playstation, huh? That's whack! Playstation is whack! Come on, am I 19 or what?

Chandler: Yes, on a scale from 1 to 10, 10 being the dumbest a person can look, you are definitely 19.

დიალოგი მიმდინარეობს საუკეთესო მეგობრებს ჯოის და ჩენდლეს შორის. ჯოი მსახიობია. იგი უკვე 31 წლისაა, მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ ჯერ კიდევ შეუძლია 19 წლის ბიჭის განსახიერება, ცდილობს ჩაიცვას და ისაუბროს 19 წლის ბიჭივით. სიტყვები “Sup”, “Sup, dude” და “That's whack” არაფორმალურია და თინეიჯერები იყენებენ. ორი განსხვავებული ენობრივი სტილის არევა წარმოშობს იუმორისტულ ეფექტს.

ამრიგად, ინტერტექსტუალობა იუმორის ერთ-ერთი მახასიათებელია. იგი თამაშობს მნიშვნელოვან როლს იუმორისტული ეფექტის შექმნასა და მის ადეკვატურ აღქმაში. კონტექსტის თეორია კი იძლევა იუმორისტული ეფექტის შექმნის მექანიზმთა ანალიზის საშუალებას.

4.2. გაცრეხული მოლოდინის მაპროვოცირებელი კოგნიტური პროცესების ექსპერიმენტული კვლევა

ვერბალური შეტყობინების გააზრების პროცესში გაცრეხული მოლოდინის წარმოქმნის მიზეზების იდენტიფიცირებისა და გაცრეხული მოლოდინის ფენომენის სხვადასხვა ასპექტის შესწავლის მიზნით ჩატარდა ექსპერიმენტი. ექსპერიმენტული კვლევა წარმოადგენს გაცრეხული მოლოდინის ლინგვო-კოგნიტური მოდელის აღწერას.

ინფორმაციული მიდგომის მიხედვით, ინფორმაციის დამუშავების მოდელები ინტერპრეტირებულია როგორც დესკრიფციის ეტაპების თანმიმდევრობა, რომელიც საჭიროა ადამიანის მიერ ბუნებრივი ენის პროცესირებისათვის. მოდელი წარმოადგენს ლოგიკურ (ნიშნობრივ) კონსტრუქციას, რომელსაც შეუძლია შესწავლილი ობიექტის გარკვეული მახასიათებლების რეპროდუცირება, იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნები ამ კონსტრუქციის საკვლევ ფენომენტთან შესაბამისობაზე წინასწარ არის განსაზღვრული.

არ არსებობს მოდელი, რომელიც მოიცავს მოდელირებული ობიექტის ყველა მახასიათებელს, გამონაკლისის გარეშე. თუმცა, ეს არც არის საჭირო, ვინაიდან მოდელირების ამოცანა მდგომარეობს საკვლევ ფენომენის ყველაზე საინტერესო მახასიათებელთა გამოყოფაში.

მოდელირების კონკრეტული ამოცანის სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება ცნებათა და ოპერაციათა სისტემა. აქვე უნდა ითქვას, რომ ერთი და იმავე მახასიათებელთა მოდელირებისას შეიძლება კონსტრუირდეს რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული მოდელი.

საკვლევი ობიექტის მოდელირების გზით ჩვენ ვიღებთ ახალ ინფორმაციას მის შესახებ, რაც აუცილებლად აისახება კონსტრუირებულ მოდელში. ჩვენ ვაცნობიერებთ მოდელის იზომორფულობას საკვლევი ობიექტის მიმართ წინასწარ განსაზღვრული პარამეტრების მიხედვით. ამრიგად, ობიექტის მოდელირება წარმოადგენს ობიექტის შემეცნების აუცილებელ კომპონენტს.

ერთ-ერთ პრობლემას, რომელიც გაჩნდა ექსპერიმენტული კვლევის მოსამზადებელ ეტაპზე, წარმოადგენს შერჩევა იმ მეთოდებისა და ამოცანების, რომელთა გამოყენებაც უზრუნველყოფს ჰიპოთეზათა შემოწმებას.

გაცრეუბული მოლოდინის ფენომენი, შესაბამისად კი, მისი ემპირიული კვლევა, საკმაოდ სპეციფიკურია: ერთი მხრივ, გაცრეუბული მოლოდინი ფსიქოლოგიური მდგომარეობაა, მეორე მხრივ, გაცრეუბული მოლოდინი ხშირად ჩნდება დიალოგურ მეტყველებაში და ფიქსირდება ტექსტის აღმქმელი ინდივიდის ვერბალურ რეაქციაში.

ტექსტის აღქმის სპეციფიკის კვლევის მიზნით, ნაშრომში გამოყენებულია ენობრივი ნიშნის შევსების - გამონათქვამის დასრულების - მეთოდი.

ენობრივი ნიშნის შევსების მეთოდი ეფუძნება ტექსტის წინასწარ განზრახულ დეფორმაციას და ცდისპირისათვის ტექსტის შეთავაზებას მისი (ტექსტის) აღდგენის მიზნით (ტელიორი / Taylor, 1995:327). ჩვენი კვლევისათვის რელევანტური აღმოჩნდა აღნიშნული მეთოდის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ცნობილია გამონათქვამის-წინადადების დასრულების მეთოდიკის სახელწოდებით.

„ჩვეულებრივ“ ტექსტ-სტიმულში მოვლენათა თანმიმდევრობა პროგნოზირებადია. „არაპროგნოზირებადი“ ტექსტი-სტიმული კი ხასიათდება გარკვეული „შეუთავსებლობით“, „წინააღმდეგობრიობით“, თუმცა აქაც საქმე გვაქვს არა მოვლენათა ფანტასტიკურ განვითარებასთან, არამედ რეალური ცხოვრებისათვის ტიპურ მოულოდნელობასთან.

ტექსტების-სტიმულების შერჩევისას ვეყრდნობოდით იმ იდეას, რომ შემოთავაზებული ტექსტები უნდა აფიქსირებდნენ რეალური ცხოვრებისათვის მეტ-ნაკლებად ტიპურ სიტუაციებს, იმისათვის რომ ცდისპირებმა მარტივად შეძლონ ამა თუ იმ სიტუაციის წარმოდგენა და სცენარის დასასრულის მოფიქრება.

მასალის შერჩევის კიდევ ერთი მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს ტექსტების-სტიმულების ფორმის კონდენსირებულობა, ვინაიდან ჩვენი მიზანია გარეგანი ტექსტუალური კონტექსტის ზეგავლენის მინიმოზაცია და ინტერპრეტაციის შინაგანი კონტექსტის იდენტიფიცირება.

შემოქმედებითი კოგნიტური მიდგომის (creative cognitive approach) თანახმად, მიუხედავად შემოქმედებითად აზროვნებისათვის განწყობის, ინტენციისა და მზაობისა, ცდისპირები ვერ თრგუნავენ თავიანთი წარსული გამოცდილების ზეგავლენას, რომელიც განაპირობებს ტექსტების-სტიმულების მეტ-ნაკლებად ტიპურ დასასრულს. ექსპერიმენტის მონაცემთა ანალიზმა დაადასტურა, რომ შემოქმედებითად აზროვნებამ

შეიძლება გადაალახინოს ადამიანს საკუთარი ცოდნისა და თვალსაზრისების საზღვარი, თუმცა სრულად საკუთარი ცოდნისა და თვალსაზრისებისაგან ადამიანი ვერასოდეს განთავისუფლდება.

ჩვენი კვლევის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ადამიანის მენტალური ლექსიკონის, ადამიანის კოგნიტური გამოცდილების გავლენის იდენტიფიცირება ამა თუ იმ ტექსტის-სტიმულის აღქმის სპეციფიკაზე. აღნიშნული გავლენის იდენტიფიცირება იძლევა ამა თუ იმ ინდივიდთან ამა თუ იმ მოლოდინის (ექსპექტაციის) ჩამოყალიბების მიზეზის (საფუძვლის) ახსნის შესაძლებლობას.

ტექსტი-სტიმულის აღქმისა და შევსებისას ცდისპირები ოპერირებენ კონცეპტებით, რომლებიც ექსპერიმენტის განმავლობაში ქმნიან გარკვეულ კლასებს. ამ ტიპის სააზროვნო პროცესის ელემენტთა ურთიერთქმედება ეთანადება მენტალურ სივრცეთა თეორიას (Mental Spaces) (ფოკონიე, 1994:190) და მისი შემდგომი განვითარების შედეგად ჩამოყალიბებულ კონცეპტუალური ინტეგრაციის თეორიას (Conceptual Blending) (ფოკონიე და ტურნერი, 1998:133-187.). სწორედ აღნიშნული თეორიები დაედო საფუძვლად ნაშრომში განხორციელებულ კვლევას.

აღნიშნულ თეორიათა თანახმად, ინდივიდის სხვადასხვა ტიპის სააზროვნო ქმედებათა განხორციელების უნარი (მსჯელობა, დასკვნის ჩამოყალიბება და ა.შ.) ეფუძნება კონცეპტუალურ ინტეგრაციას, როგორც მენტალურ ოპერაციათა უმნიშვნელოვანეს სახეობას. მენტალური სივრცე წარმოადგენს სივრცეს, რომელშიც ინფორმაცია გაერთიანებულია მისი მახასიათებლების მიხედვით. ეს კი ნიშნავს, რომ მენტალურ სივრცეში ინტეგრირებულია ინფორმაციის ელემენტები.

მენტალური სივრცე ემსახურება კონცეპტუალურ ორგანიზაციას და იკავებს შუალედურ პოზიციას აღსაწერ სიტუაციას, ენობრივ სტრუქტურებსა და მის აღმწერებს შორის (ფოკონიე, 1994:190).

ამრიგად, მენტალური სივრცე წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაციის დროებით „საცავს“ (ფოკონიე და ტურნერი, 1998:133-187.). მენტალური სივრცე, როგორც კონცეპტუალური მთლიანობა, იქმნება აღქმისა და ქმედების თავისებურებათა იდენტიფიცირების მიზნით.

ნაშრომში ენობრივი სტრუქტურა განიხილება მენტალურ სივრცეთა თეორიის კონტექსტში (კულსონი და ფოკონიე / Coulson & Fauconnier, 1999), რომლის თანახმადაც,

შემოსული ინფორმაცია წარმოადგენს ერთგვარ საყრდენს კომუნიკანტთა მიერ ენობრივი ინფორმაციის მათივე ფონურ ცოდნასა და გარეგან კონტექსტთან დაკავშირებისათვის. სწორედ ამ კავშირის წყალობით ხორციელდება ვერბალური სიტუაციის გააზრება და გადამუშავება.

ტექსტის აღქმისა და გადამუშავების პროცესში იდენტიფიცირდება შემომავალ მენტალურ სივრცეთა საერთო ელემენტები. ასე იქმნება „მთლიანური სივრცე“ (generic space), რომელიც აპროეცირებს ერთი სივრცის მახასიათებლებს მეორე სივრცეზე.

შემომავალ სივრცეთა ელემენტების პროეცირებას ახასიათებს შერჩევითობა: 1. ყველა ელემენტი არ პროეცირდება შერწყმულ ერთეულში; 2. შერწყმულ ერთეულში შესაძლოა არსებობდეს ელემენტები, რომლებიც არ ფიქსირდებიან შემომავალ სივრცეებში. ამ ელემენტთა არსებობა ფიქსირდება ფრეიმებსა და ცოდნის სქემებში. ამრიგად, შემომავალი ინფორმაციის პროცესირება ინტეგრაციის მრავალეტაპიანი პროცესია.

კონცეპტუალური ინტეგრაციის ძირითად მექანიზმს წარმოადგენს კომპოზიცია (composition), დასრულება (completion) და გადამუშავება (elaboration) (კულსონი და ფოკონი, 1999). თითოეული მექანიზმი ზეგავლენას ახდენს გადამუშავებული ინფორმაციის ხასიათზე. კომპოზიციის მექანიზმი ასრულებს ატრიბუტულ ფუნქციას - ერთი მენტალური სივრცის ინფორმაციას უსაბამებს სხვა მენტალური სივრცის ელემენტებს.

დასრულების მექანიზმზე ვსაუბრობთ მაშინ, როდესაც შემომავალი ინფორმაციის პროექცია შეესაბამება გრძელვადიან მეხსიერებაში აკუმულირებულ მონაცემებს.

გადამუშავების პროცესი გულისხმობს კონცეპტუალური ინტეგრაციის შედეგად მიღებული სიტუაციის ან ფენომენის მენტალურ კონსტრუირებას. იგულისხმება, რომ ახალი ინფორმაციის ელემენტებთან „შეჯახებისას“, მეტყველების აღმქმელ სუბიექტს შეუძლია აღწერილი მოვლენის მოდელირება მისთვის უკვე ნაცნობი ელემენტების მეშვეობით.

ნაშრომში ექსპერიმენტული კვლევის მონაცემთა გადამუშავების პროცესი გულისხმობს ცდისპირთა მიერ ტექსტის-სტიმულის მიერ წარმოდგენილი სიტუაციის ან მოვლენის გონებაში „გადათამაშებას“, შემდეგ კი რეაქციის დაფიქსირებას.

ჩვენ ვთვლით, რომ სიტყვა წარმოადგენს ადამიანის ერთიან ინფორმაციულ ბაზაზე წვდომის საშუალებას. აღნიშნული ინფორმაციული ბაზა ინახავს ინდივიდის წარსული (რაციონალური და არარაციონალური, ინდივიდუალური და სოციალური) გამოცდილების პროცესირების შედეგად მიღებულ მონაცემებს. ამრიგად, ნაშრომში ცდისპირთა მიერ დავალების შესრულება - ტექსტი-სტიმულის დასრულება - იწყება სიტყვათა იდენტიფიცირებიდან. ნაშრომში სიტყვა გააზრებულია როგორც სინამდვილის მრავალმხრივად და ფუნქციონალურად ასახვისათვის, გაგებისა და ურთიერთგაგებისათვის აუცილებელი და საკმარისი ერთეული.

ტექსტით რეპრეზენტირებული სიტუაციის აღქმისა და გააზრების პროცესში სიტყვის მნიშვნელობა აქტუალიზდება მოცემული სიტუაციის კონტექსტში, რომელიც მოცემული მომენტისათვის ერთადერთია სუბიექტისათვის. შემდეგ აქტივირდება სხვა ლექსიკური მნიშვნელობები და ცდისპირი ცდილობს გაარკვიოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ელემენტები მოცემული სიტუაციის გაშიფვრისათვის. როგორც კი სუბიექტის ყურადღება კონცენტრირდება რომელიმე მახასიათებელზე, ეს მახასიათებელი იძენს დამოუკიდებელი ობიექტის სტატუსს, რომელსაც, თავის მხრივ, ასევე გააჩნია მახასიათებელთა გარკვეული რეპერტუარი. ადამიანს თავად შეუძლია ახალ მახასიათებელთა შექმნა უკვე არსებული ცოდნისა და უწინ ათვისებული კავშირების ახალ სიტუაციაზე პროეცირების გზით. ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ეტაპზე საქმე გვაქვს მოლოდინის ერთგვარ სივრცესთან, რომლის ძირითად ელემენტს წარმოადგენს სიტყვათა კონტექსტუალური მნიშვნელობები. ეს უკანასკნელნი ქმნიან სიტუაციის ტექსტს, ცოდნისა და გამოცდილების გარკვეულ სტრუქტურებს (ცნებებს, კონცეპტებს, სქემებს, სცენებს, ფრეიმებს, პროტოტიპებს), რომლებიც აკუმულირებულია მესხიერებაში. მოლოდინის სივრცის ელემენტები პროეცირდებიან შემომავალი სივრცეების ელემენტებზე, რის შედეგადაც იქმნება საერთო სივრცე (generic space).

ტექსტით რეპრეზენტირებული სიტუაციის აღქმის პროცესი იმართება ასოციაციური კავშირებით, რაც ავლენს სემანტიკური პრაიმინგის ზეგავლენას. ასოცირება ხორციელდება პარალელურად რამდენიმე მიმართულებით და ერთი ასოციაცია „იხმოზს“ მეორეს. ცოდნის ფორმები, რომლებიც შეადგენენ სიტუაციის მენტალურ მოდელს, არსებობენ ინდივიდის ცნობიერებაში ტექსტის აღქმის პროცესის აქტივიზაციამდე. იმისათვის, რომ აღმქმელმა სუბიექტმა გაიაზროს ტექსტის კონკრეტული ფრაგმენტი (ეპიზოდი), მან ტექსტის მოცემულ ეპიზოდში აღწერილი მოვლენის მსგავსი სცენის

რეპრეზენტაცია უნდა გადაიტანოს ხანგრძლივი მეხსიერებიდან მუშა მეხსიერებაში. ერთი და იმავე სცენის რეპრეზენტაციები სხვაობენ ინდივიდიდან ინდივიდში. აღნიშნული სხვაობა განპირობებულია ინდივიდთა ცხოვრებისეული გამოცდილების არაიდენტურობით. სწორედ ეს უკანასკნელი ხსნის გაცრუებული მოლოდინის ეფექტის არსებობის ფაქტს.

ამრიგად, გაცრუებული მოლოდინის სიტუაციაში შემომავალი ინფორმაცია შეესაბამება ინდივიდუალური ცოდნის სქემებს, რომლებიც ყალიბდება ინდივიდის წარსული გამოცდილების საფუძველზე. გაცრუებული მოლოდინის სიტუაციაში შემომავალი ინფორმაცია კატეგორიზდება კონკრეტული ცდისპირის ასოციაციური კავშირების შესაბამისად. შემდეგ ყურადღება კონცენტრირდება გარეგან ვერბალურ (ტექსტუალურ) კონტექსტზე.

ექსპერიმენტული კვლევის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების ფორმულირება:

1. ენობრივი ნიშნის შევსების მეთოდის გამოყენება გენერირებული კონტრტექსტების ფორმალურ და სემანტიკურ ანალიზთან კომბინაციაში წარმოადგენს მეტყველებისა და მენტალური პროცესების, კერძოდ კი, გაცრუებული მოლოდინის წარმოქმნის პროცესის, თავისებურებათა გააზრების საკმაოდ ეფექტურ საშუალებას. ფორმალური ანალიზი იძლევა აღმქმელი სუბიექტის ქმედების სტრუქტურის სპეციფიკის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. სემანტიკური ანალიზი უზრუნველყოფს აღმქმელი სუბიექტის ქმედების შინაარსობრივი მხარის გამოვლენას. ჯამში, ანალიზის სხვადასხვა ტიპის გამოყენება იძლევა მოლოდინის ვერბალური შეტყობინების პროგნოზირებისას წარმოქმნილ ფენომენად გააზრების საფუძველს. სწორედ ანალიზის სხვადასხვა ტიპის სინთეზირება უზრუნველყოფს აღქმასა და მეტყველების პროდუცირებაზე მოლოდინის ზეგავლენის ხარისხის განსაზღვრის შესაძლებლობას;
2. მიღებული კონტრტექსტების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ვერბალური შეტყობინების გააზრებისა და ალტერნატიული ვერბალური შეტყობინების კონსტრუირების პროცესში სუბიექტი „გადაათამაშებს“, პროგნოზირებს და აფასებს ტექსტით რეპრეზენტირებული სიტუაციის ამა თუ

იმ დასასრულის ალბათობას. ალბათური პროგნოზირება ეფუძნება მოლოდინებს, რომლებიც ყალიბდება აღმქმელი სუბიექტის ცოდნისა და თვალსაზრისების, გარეგანი (ტექსტუალური) კონტექსტისა და გამომავალი ინფორმაციის ურთიერთქმედებაში;

3. ტექსტების-სტიმულების აღქმის შედეგთა ანალიზმა დაადასტურა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მოლოდინის მენტალურ სივრცეთა თვისებრიობა და შევსების ხარისხი დეტერმინირებულია პრაიმინგის ეფექტის, სხვა სიტყვებით, „წინამორბედობის“ გავლენის ხარისხით. ნაშრომში ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის მონაცემთა ანალიზმა ცხადყო სემანტიკური პრაიმინგის გავლენის დომინაცია, რაც გულისხმობს ასოციაციური აზროვნების ჩართულობას, ასოციაციურ მიმართებათა დადგენას ტექსტის პროექციის კონსტრუირების პროცესში;
4. გარდა გარეგანი კონტექსტისა, ტექსტით რეპრეზენტირებული სიტუაციის აღქმის პროცესში ჩართულია ინტერპრეტაციის შინაგანი კონტექსტი, კერძოდ კი, ცდისპირის მრავალგანზომილებიანი კოგნიტური, აფექტური და რეცეპტიული გამოცდილების შედეგი;
5. მიღებული კონტრტექსტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ტექსტით რეპრეზენტირებული სიტუაციის აღქმის პროცესში გამოიყოფა მენტალური ქმედების შემდეგი კომპონენტები:

ყურადღების კონცეტრირება ტექსტის ნიშნებზე (სიტყვებზე), რომლებიც ამ შემთხვევაში წარმოადგენენ მოცემული ტექსტის სემანტიკურ კვანძებს. აღნიშნული კომპონენტი გულისხმობს მენტალურ რეპრეზენტაციათა დონეზე გადასვლას;

მუშაობა ტექსტით რეპრეზენტირებული სიტუაციის მენტალურ რეპრეზენტაციებზე, რაც გულისხმობს სიტუაციის დასასრულის ალბათურ პროგნოზირებასა და ამა თუ იმ მოლოდინების ჩამოყალიბებას შემოთავაზებული სცენარის დასასრულთან დაკავშირებით;

ჩამოყალიბებული მოლოდინების შესაბამისი ალტერნატიული ვერბალური შეტყობინების კონსტრუირება. აღნიშნული კომპონენტი გულისხმობს გადასვლას სიტყვიდან აზრზე და, პირიქით, აზრიდან სიტყვაზე. სწორედ აქ იკვეთება მეტყველების აღქმისა და პროდუცირების მექანიზმთა ფუნქციონირების სპეციფიკა.

6. ნაშრომში ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა კვლევამ დაადასტურა ჩვენი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მოლოდინი, როგორც ცოდნის ინდივიდუალურ სტრუქტურათა „საცავი“, სხვაობს სუბიექტიდან სუბიექტში. ეს ფაქტი კი ხსნის კომუნიკაციური მარცხის (წარუმატებლობის) მიზეზებს. სწორედ კომუნიკაციური მარცხი იწვევს გაცრეუბული მოლოდინს როგორც ინტერპერსონალურ, ისე ინტერკულტურულ კომუნიკაციაში.
7. ნაშრომში ექსპერიმენტული კვლევის შერჩეული მეთოდის გამოყენების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

მიუხედავად ცდისპირთა მცდელობისა, მოეფიქრებინათ ტექსტის რეპრეზენტირებული სიტუაციის არატიპური და არაპროგნოზირებადი დასასრული, კონტრტექსტები აღმოჩნდა მხოლოდ იმდენად არაპროგნოზირებადი, რამდენადაც ამის საშუალებას აძლევდა ცდისპირს მის მიერ დაგროვილი ცხოვრებისეული გამოცდილება;

მიუხედავად კონტრტექსტების კრეატიულობისა, მათი კრეატიულობა არ გადის ცდისპირთა ფონური ცოდნის, სტერეოტიპებისა და თვალსაზრისების ჩარჩოებს მიღმა.

4.3. ტექსტები და კონტრტექსტები

ნაშრომში ექსპერიმენტული კვლევის მონაცემთა გადამუშავების პროცესი გულისხმობს ცდისპირთა მიერ ტექსტი-სტიმულის მიერ წარმოდგენილი სიტუაციის ან მოვლენის გონებაში „გადათამაშებას“, შემდეგ კი რეაქციის დაფიქსირებას. „გადათამაშების“ შედეგის (კონტრტექსტის) ხასიათზე გავლენას ახდენს კომპოზიცია (composition), დასრულება (completion) და გადამუშავება (elaboration).

კომპოზიციის მექანიზმის ფუნქციონირების შედეგს წარმოადგენს ცდისპირთა მიერ კონსტრუირებულ კონტრტექსტებში ერთი მენტალური სივრცის ინფორმაციის სინთეზი სხვა მენტალური სივრცის ელემენტებთან.

დასრულების მექანიზმის ფუნქციონირება გამოიხატება ცდისპირთა მიერ კონსტრუირებულ კონტრტექსტებში შემომავალი ინფორმაციის პროექციის შესაბამისობაში მოყვანას გრძელვადიან მეხსიერებაში აკუმულირებულ მონაცემებთან.

გადამუშავების პროცესში განხორციელებული კონცეპტუალური ინტეგრაციის შედეგად მენტალურად კონსტრუირდება სიტუაცია ან ფენომენი. ახალი ინფორმაციის ელემენტებს ცდისპირები „უმკლავდებიან“ მათთვის უკვე ნაცნობი ელემენტების მეშვეობით.

ექსპერიმენტული კვლევის მონაცემთა ანალიზმა ცხადყო, რომ ცდისპირთა მიერ ტექსტი-სტიმულის დასრულება იწყება სიტყვათა იდენტიფიცირებიდან.

სიტყვის მნიშვნელობა აქტუალიზდება მოცემული სიტუაციის კონტექსტში. შემდეგ აქტივირდება სხვა ლექსიკური მნიშვნელობები და ცდისპირი განსაზღვრავს ელემენტთა ღირებულებას მოცემული სიტუაციის გაშიფრისათვის.

სწორედ ამ ეტაპზე იქმნება კონტექსტუალური მნიშვნელობების მომცველი მოლოდინის ერთგვარი სივრცე.

ერთი და იმავე სიტუაციისა თუ ფენომენის რეპრეზენტაციები სხვაობენ ინდივიდიდან ინდივიდში. აღნიშნული სხვაობა განპირობებულია ინდივიდთა ცხოვრებისეული გამოცდილების არაიგივეობრიობით. სხვადასხვა ცდისპირთა მიერ აგებულ კონტრტექსტებში ფიქსირდება ცოდნის განსხვავებული სქემები, რომლებიც დეტერმინირებულია ინდივიდის წარსული გამოცდილების სპეციფიკით.

ექსპერიმენტული კვლევის შედეგად მიღებული კონტრტექსტების ანალიზმა ცხადყო, რომ ვერბალური შეტყობინების გააზრებისა და ალტერნატიული ვერბალური შეტყობინების აგებისას სუბიექტი პროგნოზირებს სიტუაციის ამა თუ იმ დასასრულის ალბათობას. ალბათური პროგნოზირება ეფუძნება მოლოდინებს, რომლებიც ყალიბდება აღმქმელი სუბიექტის ცოდნის, თვალსაზრისების, გარგანი და შინაგანი კონტექსტების ურთიერთქმედებაში.

არატიპური და არაპროგნოზირებადი დასასრულის მქონე კონტრტექსტების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ორი კანონზომიერება:

არატიპური და არაპროგნოზირებადი დასასრულის მქონე კონტრტექსტები მხოლოდ იმდენადაა არატიპური და არაპროგნოზირებადი, რამდენადაც ამის საშუალებას აძლევს ცდისპირს მის მიერ აკუმულირებული ცოდნა და გამოცდილება;

კონტრტექსტების კრეატიულობა არ სცდება ცდისპირთა ფონური ცოდნის, სტერეოტიპებისა და თვალსაზრისების ჩარჩოებს.

ექსპერიმენტული კვლევის მონაცემთა ფორმალურმა და სემანტიკურმა ანალიზმა უზრუნველყო მოლოდინის მენტალურ სივრცეთა გამოვლენისა და აღწერის, ასევე მეტყველების აღქმისა და პროდუცირებაზე მოლოდინის ზეგავლენის ხარისხის განსაზღვრის შესაძლებლობა.

შემოგთავაზებთ რამდენიმე ფრაგმენტს ტექსტი-სტიმულებისა და კონტრტექსტების ანალიზიდან:

ტექსტი-სტიმულის სრული ვერსია შემდეგნაირად გამოიყურება: The only difference between the saint and the sinner is that every saint has a past, and every sinner has a future - ერთადერთი განსხვავება წმინდანსა და ცოდვილს შორის ისაა, რომ ყოველ წმინდანს აქვს წარსული, ყოველ ცოდვილს კი - მომავალი. (ოსკარ უაილდი)

ცდისპირებს შევთავაზებთ ტექსტი-სტიმულის არასრული მონაკვეთი, რომელიც მათ უნდა დაესრულებინათ: The only difference between the saint and the sinner is that _____.

ცდისპირების მიერ პროდუცირებულ ვერსიებში არ დაფიქსირდა ორიგინალთან თანმხვედრი ვერსია, თუმცა მივიღეთ კონტრტექსტთა საკმაოდ მრავალფეროვანი რეპერტუარი:

1. the saint is in heaven after death, while the sinner is in hell (წმინდანი სიკვდილის შემდეგ სამოთხეშია, ცოდვილი კი - ჯოჯობეთში);
2. the saint is close to God, while the sinner is close to Devil (წმინდანი ღმერთთანაა ახლოს, ცოდვილი კი - ეშმაკთან);
3. the saint is dead and the sinner is alive (წმინდანი მკვდარია და ცოდვილი - ცოცხალი);
4. the saint is alive in Heaven and the sinner is alive in Hell (წმინდანი ცოცხალია სამოთხეში და ცოდვილი ცოცხალია ჯოჯობეთში);
5. the saint is alive in Heaven and the sinner is alive on Earth (წმინდანი ცოცხალია სამოთხეში და ცოდვილი ცოცხალია დედამიწაზე);
6. the saints are in the majority, while the sinners are in the minority (წმინდანები უმრავლესობაში არიან, ცოდვილები კი - უმცირესობაში).

ანალიზმა ცხადყო, რომ ცდისპირთა მიერ პროდუცირებული კონტრტექსტების აბსოლუტური უმრავლესობა დაეფუძნა:

1. მეზობლობის ასოციაციას სივრცეში: „წმინდანი სამოთხეში - ცოდვილი ჯოჯობეთში“; „წმინდანი ღმერთთან - ცოდვილი ეშმაკთან“;
2. კონტრასტის ასოციაციას: „მკვდარი - ცოცხალი“; „სამოთხე - ჯოჯობეთი“; „უმრავლესობა - უმცირესობა“; „სამოთხე - დედამიწა“; „ღმერთი - ეშმაკი“.

ცდისპირებს შევთავაზებთ ტექსტის-სტიმულის უფრო ვრცელი ვერსიაც: „The only difference between the saint and the sinner is that every saint has a past, ... „ ამ შემთხვევაში კი მივიღეთ ორიგინალის მსგავსი ვერსიები. ცდისპირთა მიერ პროდუცირებულ ვერსიათა და ორიგინალის თანხვედრა განაპირობა კონტრასტის ასოციაციამ - „წარსულმა“ გამოიწვია მისი კონტრასტული „მომავლის“ რეპროდუქცია. მხოლოდ ერთ ვერსიაში დაფიქსირდა განსხვავებული კონტრტექსტი: The only difference between the saint and the sinner is that every saint has a past, and every sinner lives in the present. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კონტრტექსტი დაეფუძნა კონტრასტის ასოციაციას „წარსული“ – „აწმყო“.

ცდისპირებს შევთავაზებთ, დაესრულებინათ ტექსტი-სტიმული შერლოკის პასუხის კონსტრუირების გზით:

Sherlock, how did you find out the killer was lazy? (შერლოკ, როგორ მიხვდით, რომ მკვლელი ზარმაცია?)

The corpse is still alive (გვამი ისევ ცოცხალია).

ცდისპირებს შევთავაზებთ ტექსტი-სტიმულის შემდეგი მონაკვეთი: - Sherlock, how did you find out the killer was lazy?

1. The killer did not delete his fingerprints (მკვლელმა თითის ანაბეჭდები არ წაშალა);
2. The police found the killer sleeping on the corpse (პოლიციამ მკვლელი გვამზე მძინარე იპოვა);
3. The killer left the gun on the murder scene (მკვლელმა იარაღი მკვლელობის ადგილზე დატოვა);
4. The killer left the knife in the corpse (მკვლელმა დანა გვამში დატოვა);
1. 5. The killer was so slow that the police caught him on the murder scene (მკვლელი იმდენად ნელი იყო, რომ პოლიციამ ის მკვლელობის ადგილზე დაიჭირა).

აღნიშნულ ტექსტ-სტიმულზე ვერ მივიღებთ ორიგინალის იდენტური ვერსია. ანალიზმა ცხადყო, რომ კონტრტექსტის შექმნისას ცდისპირთა აბსოლუტური უმრავლესობა დაეყრდნო მკვლელობის სტანდარტულ სცენარს, რომლის თანახმადაც, მკვლელი შლის საკუთარი თითის ანაბეჭდებს, არ ტოვებს მკვლელობის ადგილზე მკვლელობის იარაღს და რაც შეიძლება სწრაფად ეცლება მკვლელობის ადგილს. ცდისპირთა თვალსაზრისით, სწორედ არასტანდარტულ ქცევაში ვლინდება მკვლელის სიზარმაცე. კონტრტექსტებში იკვეთება შემდეგი ასოციაციური კავშირები: „სიზარმაცე - ძილი” The police found the killer sleeping on the corpse (პოლიციამ მკვლელი გვამზე მძინარე იპოვა); „ზარმაცი - ნელი” (The killer was so slow that the police caught him on the murder scene (მკვლელი იმდენად ნელი იყო, რომ პოლიციამ ის მკვლელობის ადგილზე დაიჭირა)).

ორიგინალის იდენტური ვერსიის არარსებობა განაპირობა ცდისპირთა კონცენტრირებამ სიტყვაზე „გვამი”, რომლის სემანტიკურ სტრუქტურაში გამორიცხულია „ცოცხლად ყოფნის” სემანტიკური კომპონენტის არსებობა.

In the center of our city the building “with its top in the heavens” is being built. The building is so tall that workers can no longer understand one another - ჩვენი ქალაქის ცენტრში შენდება ზეცას მიბჯენილი შენობა. იგი ისეთი მაღალია, რომ მუშებს აღარ ესმით ერთმანეთის.

ცდისპირებს შევთავაზებთ, დაესრულებინათ ტექსტი-სტიმულის შემდეგი მონაკვეთი: In the center of our city the building “with its top in the heavens” is being built. სტიმული-ტექსტის დასასრულის სახით ცდისპირებმა ააგეს შემდეგი ტიპის კონტრტექსტები:

1. God will disrupt the work by so confusing the language of the workers that they can longer understand one another (ღმერთი შეაფერხებს სამუშაოს მუშებისათვის ენის ისე აღრევით, რომ ისინი ვეღარ შეძლებენ ერთმანეთის გაგებას);
2. The building will never be completed because God will confuse the workers’ language and they won’t be able to continue working (შენობა არასოდეს დასრულდება, რადგან ღმერთი აურევს მუშებს ენას და ისინი ვეღარ გააგრძელებენ მუშაობას);
3. Apartments on higher floors are very expensive so only rich people can buy them (ბინები მაღალ სართულებზე ძალიან ძვირია, ამიტომ მხოლოდ მდიდრები შეძლებენ მათ ყიდვას);
4. Density restrictions are being ignored, so the process of construction will be stopped (საცხოვრებელი სიმჭიდროვის შეზღუდვები უგულებელყოფილია, ამიტომ მშენებლობის პროცესი შეჩერდება);
5. The tenants will dwell in heaven (ბინადარნი სამოთხეში იცხოვრებენ);
6. Reach for the heavens, and hope for the future, and all that will be, not what we are. (ჯღონ დენვერი)
7. Only dogs will live in the building, because heaven goes by favor. "Heaven goes by favor. If it went by merit, you would stay out and your dog would go in." - სამოთხე მოიპოვება უპირატესობით. ეს რომ დამსახურებით ყოფილიყო, შენ გარეთ დარჩებოდი და შენი ძალი კი იქ შევიდოდა”. (მარკ ტვენის)
8. Heaven... I'm in heaven,
And my heart beats so that I can hardly speak.
And I seem to find the happiness I seek,
When we're out together dancing cheek to cheek. (ირვინგ ბერლინი)

მონაცემთა ანალიზის შედეგად, ტექსტი-სტიმულის დასასრულის სახით დაფიქსირდა ორი ვერსია, რომელთა მსგავსებაც ორიგინალთან განპირობებულია ბაბილონის გოდოლის მშენებლობის მითის ცოდნით (ბაბილონის გოდოლი - კოშკი რომელიც მოხსენიებულია ძველ აღთქმაში, დაბადება (11:1-9). ძველი ებრაული მითის თანახმად, მსოფლიო წარღვნის შემდეგ ადამიანებმა განიზრახეს სენაარის მიწაზე (მესოპოტამია) ქალაქისა და ისეთი კოშკის აშენება, რომელიც ცას მისწვდებოდა. ადამიანის თავხედობით

განრისხებულმა ღმერთმა აურია მათ ენა და გაფანტა მთელ დედამიწაზე. დაუმთავრებელ ქალაქს ეწოდა ბაბილონი (სახელწოდებას ლეგენდა უკავშირებს ძველ ებრაულ სიტყვას ბალალ - არევას): God will disrupt the work by so confusing the language of the workers that they can longer understand one another (ღმერთი შეაფერხებს სამუშაოს მუშებისათვის ენის ისე აღრევით, რომ ისინი ვეღარ შეძლებენ ერთმანეთის გაგებას); The building will never be completed because God will confuse the workers' language and they won't be able to continue working (შენობა არასოდეს დასრულდება, რადგან ღმერთი აურევს მუშებს ენას და ისინი ვეღარ გააგრძელებენ მუშაობას).

ცდისპირთა მიერ პროდუცირებულ ზოგიერთ კონტრტექსტში გამოიკვეთა ცოდნა მშენებლობის თანამედროვე სტანდარტებისა და ბინების ფასის შესახებ: Apartments on higher floors are very expensive so only rich people can buy them (ბინები მაღალ სართულებზე ძალიან ძვირია, ამიტომ მხოლოდ მდიდრები შეძლებენ მათ ყიდვას); Density restrictions are being ignored, so the process of construction will be stopped (საცხოვრებელი სიმჭიდროვის შეზღუდვები უგულებელყოფილია, ამიტომ მშენებლობის პროცესი შეჩერდება).

რამდენიმე შემთხვევაში დაფიქსირდა „ალუზიური“ კონტრტექსტი: Reach for the heavens, and hope for the future, and all that will be, not what we are (ჯონ დენვერი); The tenants will dwell in heaven (ბინადარნი სამოთხეში იცხოვრებენ). „ალუზიურ“ კონტრტექსტთა ბირთვულ სიტყვას წარმოადგენს „სამოთხე“, რაც განაპირობა ცდისპირთა ყურადღების კონცენტრაციამ ტექსტი-სტიმულის ფრაზაზე “with its top in the heavens”.

ცდისპირებისათვის შეთავაზებული ტექსტი-სტიმულის სრულია ვერსიაა: Dale Carnegie's new book “How to Get Rid of Friends” you acquired through his previous book „How to Win Friends and Influence People” has been released. - გამოვიდა დეილ კარნეგის ახალი წიგნი “როგორ მოვიშოროთ მეგობრები”, რომლებიც შეიძინეთ ჩემი წინა წიგნის “როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და როგორ ვიმოქმედოთ ადამიანზე” მეშვეობით.

დავალება გულისხმობდა ორიგინალში არსებული შემდეგი მონაკვეთის შევსებას: you acquired through his previous book „How to Win Friends and Influence People” (რომლებიც მისი წინა წიგნის).

ტექსტი-სტიმულის კონტრტექსტების სახით მივიღეთ შემდეგი ვერსიები:

1. you acquired through his previous book „How to Win Friends and Influence People” (რომლებიც მისი წინა წიგნის “როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და როგორ ვიმოქმედოთ ადამიანზე” მეშვეობით შეიძინეთ);
2. who betrayed you (ვინც გიღალატა);
3. who are envious of you (ვისაც შურს შენი);
4. who are friends with your enemies (ვინც შენი მტრების მეგობარია);
5. who are fake (ვინც ყალბია);
6. who unfriended me on facebook (ვინც ფეისბუქზე წამშალა მეგობრებიდან);
7. who are unreliable (ვინც არ არის სანდო);
8. who are unvaccinated (ვინც არ არის ვაქცინირებული);
9. who are ungrateful (ვინც უმადურია).

ცდისპირთა მიერ პროდუცირებულ კონტრტექსტთა უმრავლესობაში გამოიკვეთა მეგობრის მიმართ „სტანდარტული” პრეტენზიები. მხოლოდ ერთ კონტრტექსტში გაჩნდა დროით (პანდემიით) დეტერმინირებული პრეტენზია - მეგობრობის პირობად განიხილება ვაქცინაცია. მონაცემთა ანალიზის შედეგად დაფიქსირდა ტექსტი-სტიმულის მსგავსი მხოლოდ ერთი ვერსია, რომლის მსგავსებაც ორიგინალთან განპირობებულია დიელ კარნეგის წიგნის სახელწოდების ცოდნით: „How to Win Friends and Influence People” (“როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და როგორ ვიმოქმედოთ ადამიანზე”).

ცდისპირებისათვის შეთავაზებული კიდევ ერთი ტექსტი-სტიმული ასე გამოიყურება: Sometimes you win, sometimes you learn! (ზოგჯერ გაიმარჯვებთ, ზოგჯერ ისწავლით!)

ტექსტი-სტიმულის კონტრტექსტების სახით მივიღეთ შემდეგი ვერსიები:

1. Sometimes you win, sometimes you lose! - ზოგჯერ გაიმარჯვებთ, ზოგჯერ დამარცხდებით!)
2. Sometimes you win, sometimes you lose, sometimes it rains. - ზოგჯერ იმარჯვებთ, ზოგჯერ მარცხდებით, ზოგჯერ წვიმს! (ბულ დურამი)
3. Sometimes you win, but not very often. - ზოგჯერ იმარჯვებ, მაგრამ არც ისე ხშირად.
4. Sometimes you win, sometimes you make others win. - ზოგჯერ იმარჯვებ, ზოგჯერ სხვას ამარჯვებინებ! (რაღი შანკარი)

ცდისპირთა მიერ კონსტრუირებულ კონტრტექსტთა უმრავლესობაში დაფიქსირდა კონტრასტის ასოციაცია - „მოგება - წაგება“. რამდენიმე შემთხვევაში დაფიქსირდა „ალუზიური“ კონტრტექსტი: Sometimes you win, sometimes you lose, sometimes it rains. - ზოგჯერ იმარჯვებთ, ზოგჯერ მარცხდებით, ზოგჯერ წვიმს! Sometimes you win, sometimes you make others win. - ზოგჯერ იმარჯვებ, ზოგჯერ სხვას ამარჯვებინებ!

ცდისპირებს ტექსტი-სტიმულის სახით შევთავაზეთ ალან მაიერის მოთხრობა „Bad Luck“ (უილბლო). ცდისპირებს უნდა დაესახელებინათ პერსონაჟის უილბლობის სავარაუდო მიზეზი.

I awoke to searing pain all over my body. I opened my eyes and saw a nurse standing by my bed. - მთელს სხეულში დავლილმა ძლიერმა ტკივილმა გამაღვიძა. თვალები გავახილე და საწოლთან მდგარი მედდა დავინახე.

“Mr Fujima,” she said. “You were lucky to have survived the bombing of Hiroshima two days ago. But you’re safe now here in this hospital.” - მისტერ ფუჯიმა - თქვა მან, - თქვენ გაგიმართლათ, ორი დღის წინ დაბომბილ ჰიროსიმას ცოცხალი გადაურჩით, ახლა საავადმყოფოში ხართ, თქვენ აღარაფერი გემუქრებათ.

Weakly, I asked, “Where am I?” - მისუსტებულმა ვკითხე: სად ვარ?

“Nagasaki,” she said. - ნაგასაკში - მიპასუხა მან.

პერსონაჟის უილბლობის მიზეზების ნუსხა შემდეგნაირად გამოიყურება: The man is unlucky _____.

1. because he is ill (ვინაიდან იგი ავდაა);
2. because he is in hospital (ვინაიდან იგი საავადმყოფოში წევს);
3. because his family lives in Hiroshima. (ვინაიდან მისი ოჯახის წევრები ჰიროსიმაში არიან);
4. because he knows nothing about his family members (ვინაიდან არაფერი იცის ოჯახის წევრების შესახებ);
5. because his wife and children died in Hiroshima (ვინაიდან მისი ცოლი და შვილები დაიღუპნენ ჰიროსიმაში);
6. because he survived the bombing of Hiroshima on 6 August 1945, but found himself in Nagasaki which was bombed on 9 August 1945 (ვინაიდან იგი გადაურჩა ჰიროსიმას 6 აგვისტოს 1945 წელს, მაგრამ აღმოჩნდა ნაგასაკში, რომელიც დაბომბეს 9 აგვისტოს 1945 წელს);

დაბომბვას 1945 წლის 6 აგვისტოს, მაგრამ აღმოჩნდა ნაგასაკიში, რომელიც დაიბომბა 1945 წლის 9 აგვისტოს).

ცდისპირების მიერ პროდუცირებულ ვერსიათაგან მხოლოდ ერთი აღმოჩნდა დეტერმინირებული ცოდნით 1945 წლის 6-9 აგვისტოში ჰიროსიმასა და ნაგასაკიში განვითარებული მოვლენების შესახებ ცოდნით. პაციენტის უიღბლობის რეალურ მიზეზს წარმოადგენს სამი დღის შემდეგ დაბომბვის მეორე წერტილში აღმოჩენა.

ცდისპირებისათვის შეთავაზებული ტექსტი-სტიმულის სრული ვერსია შემდეგია: Anything that does not kill us will mutate and try to kill us again. - ყველაფერი, რაც არ გვკლავს, მუტირებს და ხელმეორედ შეეცდება ჩვენს მოკვლას.

ტექსტი-სტიმულის შესავსები ვერსია კი ასე გამოიყურება: Anything that does not kill us _____.

1. let us live (გვაცოცხლებს);
2. is not a killer (არ არის მკვლელი);
3. let us feel the beauty of life (გვაგრძნობინებს ცხოვრების მშვენიერებას);
4. makes us stronger. (გვამლიერებს).

ცდისპირთა მიერ პროდუცირებულ კონტრტექსტებში არ დაფიქსირდა დროით (პანდემიით) დეტერმინირებული შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე, ორიგინალის თანმხვედრი ვერსია: will mutate and try to kill us again. - მუტირებს და ხელმეორედ შეეცდება ჩვენს მოკვლას. კონტრტექსტებში გამოიკვეთა კონტრასტის ასოციაცია: „სიცოცხლე - სიკვდილი” და ასევე ალუზიური კონტრტექსტი: Anything that does not kill us makes us stronger. - ყველაფერი, რაც არ გვკლავს, გვამლიერებს. (ფრიდრიხ ნიცშე)

ტექსტი-სტიმულის სრული ვერსია შემდეგია: And they lived happily ever after. Then they met each other. (და ისინი დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ. შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს).

ცდისპირებისათვის შეთავაზებული ტექსტი-სტიმულის შესავსები ვერსია კი ასე გამოიყურება: And they lived happily ever after. Then _____.

ტექსტი-სტიმულის კონტრტექსტების სახით მივიღეთ შემდეგი ვერსიები:

1. they died (ისინი გარდაიცვალნენ);
2. they both died at the end (ბოლოს ორივე გარდაიცვალა);
3. they died together (ისინი ერთად გარდაიცვალნენ);
4. archaeologists discovered two hugging skeletons (არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ორი ჩახუტებული ჩონჩხი).

ყველა კონტრტექსტში იკვეთება კანონზომიერება, ბუნებრივი თანმიმდევრობა, მოვლენათა ლოგიკური განვითარება. იცოცხლეს დიდხანს, იცხოვრეს ბედნიერად, უყვარდათ ერთმანეთი, ვერ იცოცხლეს უერთმანეთოდ და ერთად დაიხოცნენ. ყველა კონტრტექსტში დომინირებს „სიკვდილის“ „დასასრულის“ სემა, რაც განაპირობა ცდისპირთა კონცენტრირებამ სიტყვაზე „დიდხანს“.

ცდისპირთა მიერ პროდუცირებულ ვერსიათაგან არც ერთი არ დაემთხვა ორიგინალის დასასრულს. ეს განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ყველა კონტრტექსტი დაეფუძნა ბედნიერი სიყვარულის სტანდარტულ სცენარს, რომლის თანახმადაც შეხვედრა და შეყვარება წინ უსწრებს ქორწინებას, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს ბედნიერ და ხანგრძლივ თანაცხოვრებას. ბედნიერი და ხანგრძლივი თანაცხოვრების კონცეპტის ენობრივად ობიექტივირებულია ფინალურ ფრაზაში: and lived happily ever after/and lived happily forever and ever.

ნაშრომში ასევე გაანალიზდა სენტენციები მათში გაცრუებული მოლოდინის ფენომენის ობიექტივაციის სპეციფიკის გამოვლენის თვალსაზრისით.

1. გაცრუებულ მოლოდინს ქმნის ელემენტების კონტრადიქტორულობა:

მსგავსებისა და სხვაობის კონტრადიქცია: People have one thing in common; they are all different. - ადამიანებს მხოლოდ ერთი რამ აქვთ საერთო - ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან. (რობერტ ზენდი);

იძულებისა და ნებაყოფლობითობის კონტრადიქცია: Life forces a person to do a lot of things voluntarily. - ცხოვრება აიძულებს ადამიანს ბევრი რამ გააკეთოს ნებაყოფლობით. (სტანისლავ ეჟი ლეცი);

შემთხვევითობისა და დაგეგმილობის კონტრადიქცია: Everything happened by accident, just as planned! - ყველაფერი მოხდა შემთხვევით, ისე, როგორც დაიგეგმა!

მოთმინებისა და მოუთმენლობის კონტრადიქცია: God, give me patience, immediately! - ღმერთო, მომეცი მოთმინება, დაუყოვნებლივ!

სიცარიელისა და სისავსის კონტრადიქცია: There is some kind of huge emptiness in him, filled with erudition. - მასში იგრძნობა ერუდიციით სავსე უზარმაზარ სიცარიელეს. (სტანისლავ ეჟი ლეცი);

წარსულისა და მომავლის კონტრადიქცია: Give me back my past. There was such a wonderful future there. - დამიბრუნეთ ჩემი წარსული. იქ ისეთი მშვენიერი მომავალი იყო;

სიმძიმისა და სიმსუბუქის კონტრადიქცია: There is nothing heavier than „light ties” - არაფერია მასზედ უფრო მძიმე, ვიდრე „მსუბუქი კავშირები”;

დაღლილობისა და დასვენების კონტრადიქცია: There is nothing so tiring as watching someone else's vacation. - არაფერია ისე დამღლელი, როგორც სხვისი დასვენების ყურება (ანჯეი სტოკი);

სიფართოვისა და სივიწროვის კონტრადიქცია: That man is widely known in a narrow circle. - ის კაცი ფართოდაა ცნობილი ვიწრო წრეებში.

2. გაცრუებული მოლოდინი იქმნება ბუნებრივი მიზეზ-შედეგობრიობისა და მოვლენათა ლოგიკური თანმიმდევრობის დარღვევით:

სიმსუქნე და შიმშილი: What a pity when you are fat and hungry. - რა სამწუხაროა, როცა ხარ მსუქანი და შიმშირი;

არაზროვნება და თანამოაზრეების ყოლა: The less you think, the more like-minded you have. - რაც უფრო ნაკლებს ფიქრობ, მით მეტი თანამოაზრე გყავს;

ვერხედვა და სწორად სიარული: The more you cannot see, the better you go. - რაც უფრო ვერ ხედავ, მით უფრო სწორად მიდიხარ;

სახლში ყოფნა და უსახლკარობა: The longer I stay home, the more I look like a homeless person. - რაც უფრო დიდხანს ვარ სახლში, მით უფრო უსახლკაროს ვგავარ;

განვითარებისა და გამრავლების კონტრადიქცია: Humans stop developing as soon as they start multiplying - ადამიანები წყვეტენ განვითარებას, როგორც კი იწყებენ გამრავლებას. (სირილ ნორტკიტ პარკინსონი);

მემკვიდრეობითობის პრინციპის - მშობლებისაგან შთამომავლებისათვის თვისებების გადაცემის თანმიმდევრობის რღვევა: Madness is hereditary - it is passed from children to parents. - სიგიჟე მემკვიდრეობითია - იგი გადადის ბავშვებიდან მშობლებზე.

3. გაცრეუბულ მოლოდინს ასევე ქმნის არსობრივად იგივეობრივი ელემენტების კონტრადიქცია:

ადამიანისა და კაცობრიობის კონტრადიქცია: Man is an intelligent being, but that does not necessarily mean that humanity is intelligent. - ადამიანი გონიერი არსებაა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კაცობრიობაც გონიერია. (რაიმონ არონი);

ქალისა და დიასახლისის კონტრადიქცია: The motto of emancipation – „One housewife to every woman”. - ემანსიპაციის დევიზი - „ყოველ ქალს - თითო დიასახლისი”;

ადგომისა და გაღვიძების კონტრადიქცია: Getting up early means nothing if you do not wake up. - ადრე ადგომა არაფერს ნიშნავს, თუ არ გაიღვიძე.

4. გაცრეუბული მოლოდინი იქმნება არაკორელაციურ ელემენტთა კორელაციურობით:

წარსულისა და მომავლის სივრცესა და დროში არარელევანტური ლოკაცია: Sooner or later there comes a day when a person only sees the past ahead and the future somewhere behind. - ადრე თუ გვიან დგება დღე, როცა ადამიანს მხოლოდ წარსული ხვდება წინ, მომავალი კი სადღაც უკან რჩება.

პესიმიზმისა და ოპტიმიზმის კორელაციურობა: A pessimist is a well-informed optimist. - პესიმისტი კარგად ინფორმირებული ოპტიმისტია.

სიკვდილისა და ნუგეშის, სიცოცხლისა და შიშის კორელაციურობა: The only consolation on the death-bed is that you are no longer afraid of life. - სასიკვდილო სარეცელზე ერთადერთი ნუგეში ის არის, რომ სიცოცხლის აღარ გეშინია.

ერთგულებისა და სასჯელის კორელაციურობა: Loyalty is the most severe punishment a woman can use to punish a man. - ერთგულება ყველაზე მკაცრი სასჯელია, რითაც ქალმა შეიძლება მამაკაცი დასაჯოს. (ჟაკ ბოსიუე)

ახალგაზრდობისა და სისულელის კორელაციურობა: Youth is given to man only once; Then you have to look for some other excuse for your own foolishness. - ახალგაზრდობა ადამიანს მხოლოდ ერთხელ ეძლევა; შემდეგ უნდა მოძებნოთ რაიმე სხვა გამართლება საკუთარი სისულელეებისათვის.

5. გაცრეუბულ მოლოდინს ასევე ქმნის ალუზიურობა, დადგენილი მნიშვნელობის დეკონსტრუქცია, შემფასებლური დამოკიდებულებისა და სუბიექტთა როლების ცვლილება:

სინათლე გვირაბის ბოლოს, ჩვეულებრივ, ასოცირდება პოზიტიურ გამოსავალთან. მოცემულ ტექსტში დადგენილი მნიშვნელობა დეკონსტრუირებულია გაცრეუბული მოლოდინის შექმნის მიზნით: If you see light at the end of the tunnel, then you are not looking in the right direction. - თუ თქვენ ხედავთ სინათლეს გვირაბის ბოლოს, ესე იგი საჭირო მიმართულებით არ იყურებით. ბარი კომონერი

If the government is dissatisfied with its people, it should dismiss those people. - თუ ხელისუფლება უკმაყოფილოა თავისი ხალხით, მან ეს ხალხი უნდა გადააყენოს. მოცემულ ტექსტში გაცრეუბული მოლოდინი შექმნა ალუზიამ შემდეგ ტექსტთან: If people are dissatisfied with their government, they should dismiss the government. - თუ ხალხი უკმაყოფილოა თავისი ხელისუფლებით, მან უნდა გადააყენოს ხელისუფლება.

ჩვეულებრივ, შუქი ნათელს ჰფენს რაიმეს. მოცემულ ტექსტში გაცრეუბული მოლოდინი შექმნა სწორედ დადგენილი მნიშვნელობის დეკონსტრუქციამ: In order to shed light on a situation, it is often necessary to turn off the light. - იმისათვის, რომ ნათელი მოჰფინოს სიტუაციას, ხშირად სინათლის ჩაქრობაა საჭირო. (რიშარდ პოდლეესკი)

ჩვეულებრივ, მემკვიდრეობითობა (როცა შვილები მიჰყვებიან თავიანთი მშობლების კვალს), პოზიტიურ მოვლენად ფასდება. მოცემულ ტექსტში გაცრეუბული მოლოდინი შექმნა მოვლენის (მემკვიდრეობითობის) უარყოფითმა შეფასებამ: The advantage of a large family is that in the extreme case at least one child will not follow in the footsteps of the parents. -

მრავალშვილიანი ოჯახის უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ უკიდურეს შემთხვევაში ერთი შვილი მაინც არ გაჰყვება მშობლების კვალს.

ჩვეულებრივ, მშობლები მართავენ შვილებს. მოცემულ ტექსტში გაცრეხული მოლოდინი შექმნა მშობლებისა და შვილების როლების ცვლილებამ: Parents are such simple creatures that all children can manage them. - მშობლები ისეთი მარტივი ქმნილებები არიან, რომ მათი მართვა ყველა შვილს შეუძლია.

In a marriage participating is more important than winning. - ქორწინებაში უფრო მნიშვნელოვანი მონაწილეობაა და არა გამარჯვება. მოცემულ ტექსტში გაცრეხული მოლოდინი შექმნა ალუზიამ შემდეგ ტექსტთან: Participating is more important than winning. - უფრო მნიშვნელოვანი მონაწილეობაა და არა გამარჯვება.

Everything new is well seen old / Every new wife is well forgotten old. - ყველაფერი ახალი კარგად დანახული ძველია/ყოველი ახალი ცოლი კარგად დავიწყებული ძველია. მოცემულ ტექსტში გაცრეხული მოლოდინი შექმნა ალუზიამ ტესტთან: Everything new is well-forgotten old. - ყველაფერი ახალი, კარგად დავიწყებულია ძველია.

ამრიგად, ნაშრომში გაანალიზებულ სენტენციებში გაცრეხულ მოლოდინს ქმნის: ელემენტების კონტრადიქტორულობა; მიზეზ-შედეგობრიობისა და მოვლენათა ლოგიკური თანმიმდევრობის დარღვევა; არსობრივად იგივეობრივი ელემენტების კონტრადიქცია; არაკორელაციურ ელემენტთა კორელაციურობა; ალუზიურობა, დადგენილი მნიშვნელობის დეკონსტრუქცია, შემფასებლური დამოკიდებულებისა და სუბიექტთა როლების ცვლილება.

4.4. გაცრეებული მოლოდინი ანტი-ანდაზაში

ტრანსფორაციის ცნება, რომელიც დაკავშირებულია ცვლილებისა და გარდაქმნის პროცესთან, აღნიშნავს მეორადი ერთეულების შექმნის ერთ-ერთ ხერხს. ტრანსფორაციის შედეგს წარმოადგენს პირველადი ენობრივი ერთეულისაგან (სტრუქტურისაგან) განსხვავებული მეორადი ერთეულის (სტრუქტურის) კონსტრუირება.

ანტი-ანდაზის შემთხვევაში ტრანსფორაციის შედეგს წარმოადგენს პირველადი ენობრივი ერთეულისაგან - სტრუქტურისაგან (ანდაზისაგან) შინაარსობრივად განსხვავებული მეორადი ერთეულის - სტრუქტურის (ანტი-ანდაზის) კონსტრუირება.

კვლევის მოცემული სეგმენტის მიზანს წარმოადგენს ანდაზის (ტექსტის) ტრანსფორმაციის შედეგთა ანალიზი გაცრეებული მოლოდინის ეფექტის შექმნის მექანიზმის იდენტიფიცირების მიზნით.

ტექსტის ტრანსფორმაციისას ტექსტის ტრადიციული ვერსიის (ანდაზის) საფუძველზე იქმნება ტექსტის ახალი ვერსია (ანტი-ანდაზა), რომელშიც მოდიფიცირებულია ტრადიციული ვერსიის ფორმა და შინაარსი.

ანდაზის ტრანსფორმაციის საფუძველს წარმოადგენს ენობრივი „თამაში“, რომელიც ხასიათდება არაპროგნოზირებადობით, მოულოდნელობით, შემთხვევითობითა და არანორმატიულობით. ენობრივი „თამაში“, როგორც ენობრივი ქმედება, ეფუძნება ნორმატიულის არანორმატიულით, ჩვეულებრივის უცნაურით, დროში გამოცდილი ძველის ახლით ჩანაცვლებას. სწორედ ასე იქმნება ახალი ინდივიდუალური თვალსაზრისები სამყაროზე და სწორედ ასე დგება სამყარო „თავდაყირა“. საბოლოოდ კი, სწორედ ასე ცრუვდება მოლოდინი და იქმნება გაცრეებული მოლოდინი.

ტერმინი „ანტი-ანდაზა“ მომდინარეობს გერმანული ტერმინიდან „Antispruchwort“, რომელიც ვ. მიდერს ეკუთვნის. პარემიოლოგის თვალსაზრისით, ანტი-ანდაზები ძველი ანდაზების პაროდისა წარმოადგენენ და ხასიათდებიან სატირულ-იუმორისტული ბუნებით (მიდერი / Mieder, 2004:28).

ანტი-ანდაზას ვ. მიდერი განმარტავს როგორც „სახეცვლილ, „დეფორმირებულ“, „დაგრეხილ სიბრძნეს“ (ინგლისური „twisted wisdom“, გერმანული „verdrehte Weisheiten“) (მიდერი, 2002: 254).

ინგლისურ ენაში არსებობს მ. გროფსკის მიერ შექმნილი ანტი-ანდაზის აღმნიშვნელი ტერმინი „perverb”. ტერმინი წარმოიშვა ორი კომპონენტის „perverse” და „proverb” შეერთების შედეგად და ნიშნავს „გაფუჭებულ ანდაზას” (მიდერი, 2004: 365).

ანტი-ანდაზა წარმოადგენს ტრადიციული ანდაზის ანტიპოდს (ანტონოვა / Антонова, 2010, გვ.: 97):

ანდაზის ტრადიციული ვერსია: A bird in the hand is worth two in the bush (ხელში ერთი ჩიტის ყოლა სჯობია ბუჩქში მჯდომარე ორ ჩიტსა) - ანტი-ანდაზა: A bird in the hand is a dangerous thing;

ანდაზის ტრადიციული ვერსია: An apple a day keeps the doctor away (დღეში ერთი ვაშლი ექიმს ჯობიაო) ანტი-ანდაზები: An apple a day is worth two in the bush (დღეში ერთი ვაშლი ჯობს ხვალინდელ ორს) / A laugh a day keeps the psychiatrist away (ერთი გაცინება ფსიქიატრს აგარიდებს) / An effort a day keeps failure away (დღეში ერთი ძალისხმევა წარუმატებლობას აგაცილებს) / A patient without health insurance keeps the doctor away (პაციენტი, რომელსაც არ აქვს ჯანმრთელობის დაზღვევა, ექიმს ირიდებს).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: Beauty is only skin deep (გარეგნული სილამაზე მხოლოდ კანის ზედაპირზეა) - ანტიანდაზა: Beauty is only skin (გარეგნული სილამაზე მთავარი არ არის).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: All that glitters is not gold (ყველაფერი ოქრო როდია, რაც ბრწყინავს) - ანტიანდაზა: All that glitters is not dull (ყველაფერი მოსაწყენი როდია, რაც ბრწყინავს).

1. ანდაზის ტრადიციული ვერსია: Honesty is the best policy (პატიოსნება - საუკეთესო პოლიტიკაა) - ანტი-ანდაზა: Beauty is the best policy (მშვენიერება - საუკეთესო პოლიტიკაა).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: Better late than never (სჯობს გვიან ვიდრე არასდროს) - ანტი-ანდაზა: Better late than sorry (დაგვიანებით ბოდიშის მოხდა სჯობს სინანულს).

2. ანდაზის ტრადიციული ვერსია: Don't bite the hand that feeds you (ნუ უკბენ ხელს, რომელიც გაჭმევს) - ანტი-ანდაზა: Don't bite the hand that looks dirty. (ნუ უკბენ ხელს, რომელიც ჭუჭყიანია).

ანტი-ანდაზების ფონდი ხასიათდება თემატური მრავალფეროვნებით. ისინი დასცინიან და უარყოფენ საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებს. ანტი-ანდაზა შეიძლება განვიხილოთ როგორც ჰიბრიდული ტექსტი.

ანტი-ანდაზები იქმნება გავრცობის, სუბსტიტუციის, გამეორების და ა.შ. გამოყენების გზით.

ყველაზე ხშირია ანტი-ანდაზის შექმნა გავრცობის ან ანდაზის ტრადიციული ვერსიისათვის ახალი სემანტიკის დამატების შემთხვევები:

ანდაზის ტრადიციული ვერსია: All we need is love; (ყველაფერი რაც ჩვენ გვჭირდება - სიყვარულია); ანტი-ანდაზა: All we need is love – all we get is homework; (ყველაფერი რაც ჩვენ გვჭირდება - სიყვარულია; ყველაფერი რასაც ვიღებთ - საშინაო დავალება).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: Man's home is his castle; (კაცისთვის სახლი მისი ციხესიმაგრეა) - ანტი-ანდაზები: Man's home is his castle, let him clean it (კაცისთვის სახლი მისი ციხესიმაგრეა, დაე, დაასუფთავოს იგი) / A man's castle is his home, and his wife has the keys to all the rooms. (კაცისთვის სახლი მისი ციხესიმაგრეა, რომლის ყველა ოთახის გასაღები მის მეუღლეს აქვს).

საკმაოდ ხშირია ანტი-ანდაზის შექმნა ანდაზის ტრადიციული ვერსიის სემანტიკის ახალი სემანტიკით ჩანაცვლების გზით:

ანდაზის ტრადიციული ვერსია: Give a man a fish and you feed him for a day; teach a man to fish and you feed him for a lifetime (თუ ადამიანს თევზს მისცემ, მას გამოკვებავ 1 დღით, ხოლო თუ თევზაობას ასწავლი - მთელი ცხოვრება) - ანტი-ანდაზები: Give a man a fish and you feed him for a day. Teach a man to fish and he will sit in the boat drinking beer (თუ ადამიანს თევზს მისცემ, მას გამოკვებავ 1 დღით, ხოლო თუ თევზაობას ასწავლი ჩაჯდება ნავში და ლუდს დალევს).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: A friend in need is a friend indeed (გასაჭირის დროს გვერდით მყოფი მეგობარი ნამდვილი მეგობარია) - ანტი-ანდაზები: A friend in need is a friend to be avoided (გასაჭირში მყოფი მეგობარი ის მეგობარია, რომელსაც უნდა აერიდო)/ A friend in need is my worst nightmare (გასაჭირში მყოფი მეგობარი ჩემი უსაშინლესი

კომმარია) / A friend that isn't in need is a friend indeed (მეგობარი, რომელსაც არაფერი სჭირდება, ნამდვილი მეგობარია).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: The early bird catches the worm (ადრეული ფრინველი ჭიას იჭერს) - ანტი-ანდაზა: The early bird may get the worm, but the second mouse gets the cheese. (ადრეულმა ფრინველმა შესაძლოა დაიჭიროს ჭია, ხოლო ყველს მეორე თაგვი იღებს).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: A man is as old as he feels, a woman as old as she looks (კაცი იმ ასაკისაა, რამდენსაც გრძნობს. ქალი კი იმ ასაკისაა, როგორც გამოიყურება) - ანტი-ანდაზა: A man is as old as he looks before shaving, and a woman is as old as she looks after washing her face (კაცი იმ ასაკისაა, რამდენადაც წვერის გაპარსვამდე გამოიყურება, ქალი კი იმ ასაკისაა, როგორც პირის დაბანის შემდეგ გამოიყურება).

საკმაოდ ხშირია ანდაზების ტრადიციული ვერსიებისა და თანამედროვე გამონათქვამების ელემენტების კომბინირება:

ანდაზის ტრადიციული ვერსია: One hand washes the other (ხელი ხელს ბანს) - ანტი-ანდაზა: One brain washes the other (ტვინი ტვინს რეცხავს).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: Home is where you hang your hat (სახლი ის ადგილია, სადაც ქუდს ჰკიდებ) - ანტი-ანდაზა: Home is where you hang your @; (სახლი ის ადგილია, სადაც შენს @-ს წერ).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: There is no place like home (სახლს არაფერი სჯობს) - ანტი-ანდაზა: There's no place like home.com! (home.com- ს (ერთ-ერთი ვებ-გვერდი) არაფერი სჯობს).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: Home is where the heart is (სახლი იქაა, სადაც გულია) - ანტი-ანდაზა: Home is where computer is (სახლი იქაა, სადაც შენი კომპიუტერია).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: A journey of a thousand miles begins with a single step (ათასმილიანი მოგზაურობა ერთი ნაბიჯით იწყება) - ანტი-ანდაზა: A journey of a thousand sites begins with a single click. (ათასობით ადგილზე მოგზაურობა ერთი დაწკაპუნებით იწყება).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: You can't teach an old dog new tricks (ბებერ ძაღლებს ახალ ფანდებს ვერ ასწავლი) - ანტი-ანდაზა: You can't teach a new mouse old clicks (ახალ თავგს (კომპიუტერის თავგვი - ე.წ. „მაუსი“) ძველ დაწკაპუნებებს ვერ ასწავლი).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: Too many cooks spoil the broth (ბევრი მზარეული ერთ კერძს დასტრიალებს და აფუჭებს) - ანტი-ანდაზა: Too many clicks spoil the browse (ბევრი დაწკაპუნება დათვალიერების პროცესს აფერხებს).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: Give a man a fish and you feed him for a day; teach a man to fish and you feed him for a lifetime (მიეცი კაცს თევზი და საკვები ექნება ერთი დღისთვის, ასწავლე კაცს თევზაობა და საკვები ექნება ყოველდღე) - ანტი-ანდაზა: Give a man a fish and you feed him for a day; teach him to use the Net and he won't bother you for weeks (მისცე ადამიანს თევზი- ნიშნავს, გამოკვებო ის ერთი დღით: ასწავლე მას ბადის გამოყენება და ის არ შეგაწუხებთ რამდენიმე კვირის განმავლობაში).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: A cat has nine lives (კატას ცხრა სიცოცხლე აქვს) - ანტი-ანდაზა: A chat has nine lives (ჩატს ცხრა სიცოცხლე აქვს).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: Don't bite off more than you can chew (იმაზე მეტი არ მოკბირო, ვიდრე დალეჭვა შეგიძლია) - ანტი-ანდაზა: Don't byte off more than you can view (შეინახე მხოლოდ ინფორმაციის ის რაოდენობა, რომლის დათვალიერებასაც შეძლებ).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: Fact is stronger than fiction (ჭეშმარიტება ჭორზე უფრო უცნაურია) - ანტი-ანდაზა: Fax is stranger than fiction (ფაქსი ჭორზე უფრო უცნაურია).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: Opportunities will never cease (შესაძლებლობები არასდროს შეწყდება)- ანტი-ანდაზა: Windows will never cease (Windows (კომპიუტერული პროგრამა) არასდროს შეწყდება).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: Virtue is its own reward (სათნოება ჯილდოა) - ანტი-ანდაზა: Virtual reality is its own reward (ვირტუალური რეალობა, ჯილდოა).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: A fool and his money are soon parted (სულელი და ფული ერთად ვერ ჩერდება) - ანტი-ანდაზა: A user and his leisure time are soon parted (კომპიუტერის მომხმარებელს არ აქვს თავისუფალი დრო).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: A penny saved is a penny earned. (დაზოგილი პენი - გამომუშავებული პენია) - ანტი-ანდაზა: A penny saved is a penny taxed (დაზოგილი პენი - დაბეგრილი).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: The best things in life are free (ცხოვრებაში საუკეთესო რაღაცები უფასოა) - ანტი-ანდაზა: The best things in life are duty free (ცხოვრებაში საუკეთესო რაღაცები საბაჟო გადასახადისგან თავისუფალია).

უმეტესად, ანდაზის ტრადიციული ვერსიის ცნობადობას უზრუნველყოფს სინტაქსური სტრუქტურის შენარჩუნება ანტი-ანდაზაში:

ანდაზის ტრადიციული ვერსია: An apple a day keeps a doctor away (დღეში ერთი ვაშლი ექიმს ჯობია) - ანტი-ანდაზა: An onion a day keeps everybody away (დღეში ერთი ხახვი ყველას მოგაშორებს).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: Seeing is believing (ნახვა - რწმენა) - ანტი-ანდაზა: Tasting is believing (დაგემოვნება - რწმენა).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: Where there is smoke, there is fire (იქ, სადაც კვამლია, ცეცხლიცაა) - ანტი-ანდაზები: Where there is smoke, there is pollution (იქ, სადაც კვამლია, დაბინძურება) / Where there is a smoke there's dinner; (იქ, სადაც კვამლია, სადილია).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: Better late than never (სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს)- ანტი-ანდაზა: Better never than late (სჯობს არასდროს, ვიდრე გვიან).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: Where there's a will, there's a way (სადაც სურვილია, იქ გზაც არსებობს) - ანტი-ანდაზა: Where there's a will, there's a relative (სადაც ანდერძია, იქ ნათესავიცაა).

ანდაზის ტრადიციული ვერსია: What doesn't kill you makes you stronger (ყველაფერი, რაც არ გკლავს, გაძლიერებს) - ანტი-ანდაზა: What doesn't kill you makes you stranger (ყველაფერი, რაც არ გკლავს, გაუცხოვებს).

ორი ანდაზის გაერთიანების შედეგად კონსტრუირდება ერთი ახალი შინაარსის მქონე ანტი-ანდაზა. ანდაზების ტრადიციული ლოგიკის რღვევა ქმნის იუმორისტულ ეფექტს:

ორი ანდაზის ტრადიციული ვერსიები: Practice makes perfect (პრაქტიკა გზის უნაკლოს) / Nobody's perfect (იდეალური არავინაა) - ანტი-ანდაზა: If practice makes perfect and nobody's perfect then why practice? (თუ პრაქტიკა გზის იდეალურს და თანაც იდეალური არავინაა, მაშინ რატომ ვართ დაკავებული პრაქტიკით?)

ცნობილი ანდაზების მიზანმიმართული „დეფორმაციის“ შემთხვევები ფიქსირდება ენათა უმრავლესობაში, შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ანტი-ანდაზების წარმოქმნის მიზეზები უნივერსალურია. ადამიანს უწევს ცხოვრება მუდმივად ცვალებად სამყაროში. სწორედ ამიტომ, სამყაროს სტერეოტიპული ხედვა, რომელიც ანდაზებშია ფიქსირებული, კარგავს აქტუალობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ანდაზამ შეიძლება იქონიოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა ადამიანის აზროვნებისა და ქცევის სტერეოტიპიზაციაზე.

ანტი-ანდაზების ფონდის ანალიზმა ცხადყო შემდეგი: ადამიანი უარს ამბობს, ბრმად ენდოს „ხალხურ სიბრძნეს“ - იგი კრიტიკულად აფასებს სტერეოტიპებს და ქმნის „არააქტუალური სიბრძნის“ აქტუალურ ვერსიას.

ანტი-ანდაზების შექმნა უკავშირდება ენობრივი ექსპრესიულობის ფუნქციასაც. ანტი-ანდაზები ხშირად გამოიყენება მედიასა და რეკლამაში: სპორტული საქონლის ერთ-ერთმა მაღაზიამ გამოიყენა სლოგანი: No body is perfect!

ანდაზის ტრადიციული ვერსია „A Woman's place is in the house“ (ქალის ადგილი სახლშია) „Los Angeles times“- ში ჩაანაცვლა ანტი-ანდაზამ „A Woman's Place Is in the House – and the Senate and Legislatures“ (ქალის ადგილი სახლში, სენატსა და საკანონმდებლო ორგანოებშია).

ინგლისურ ანტი-ანდაზებში ფიქსირდება ქალის ფენომენის გადააზრების ტენდენცია: God made man first, but doesn't everyone make a rough draft before they make a masterpiece; She wasn't fragile like a flower. She was fragile like a bomb; A woman without a man is like a fish without a bicycle

(ღმერთმა თავდაპირველად კაცი შექმნა, თუმცა ყველა როდი იწყებს შედეგის შექმნას ესკიზით; იგი (ქალი) არ იყო ყვავილივით ნაზი; იგი (ქალი) ბომბივით მსხვერვადი იყო; ქალი კაცის გარეშე იგივეა, რაც თევზი ველოსიპედის გარეშე) (Phraseology and culture in English / ed. P. Skandera., 2007).

ზოგიერთი მკვლევარი ანტი-ანდაზას ველერიზმს უწოდებს. ველერიზმი არის გამონათქვამი, რომელიც გამოხატავს მსგავსებას, შედგება კარგად ცნობილი ციტატისაგან და აქვს იუმორისტული გაგრძელება. ველერიზმი წარმოიშვა ჩარლზ დიკენსის „პიკვიკის კლუბის ჩანაწერებიდან“, სადაც სემ ველერი იყენებდა სწორედ ასეთ ფრაზებს.

ველერიზმი წარმოადგენს კლიშეთა, გამონათქვამთა თუ ანდაზათა იუმორისტულად უარყოფას. დროთა განმავლობაში გარკვეულ სიტუაციაში შეიძლება დაკარგოს აქტუალობა დიდი ხნის წინ დამკვიდრებულმა კლიშემ თუ სტერეოტიპმა. ველერიზმი ასეთ სიტუაციას მახვილგონივრული სიტყვებით ცვლის:

ველერიზმის ერთ-ერთ სახეობად ითვლება ტომ სვიფტი (Tom Swifty), რომელიც შეიცავს კალამბურულ ზმნიზებას. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ზმნიზება წინადადებაში სწორადაა გამოყენებული, სწორედ მასზე მოდის იუმორის „ტვირთი“ (<https://jokes.scoutlife.org/jokes/tom-swifty/>): “My power went out,” Tom said darkly; “I only have vegetables,” Tom said fruitlessly; “Being a wolf is awesome,” Tom howled; “You really need to check your spelling,” Tom corrected; “I’m only good at protecting things,” Tom said defensively; “I can’t remember all this information,” Tom said thoughtfully; “I need a candy bar,” Tom snickered; “Math is my favourite subject,” Tom added; “My favourite singer is Taylor,” Tom said swiftly; "Don't add too much water," said Tom with great concentration.

ანტი-ანდაზების ფონდის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ანდაზებისა და ანტი-ანდაზების თემატური ბლოკები ჯანმრთელობის, დროის ციკლოზობის, საქმისადმი პასუხისმგებლობისა და სიტყვის ძალაზე უპირატესობის, ადამიანის დადებითი და უარყოფითი თვისებების შესახებ:

1. An apple a day keeps the doctor away (დღეში ერთი ვაშლი ექიმს ჯობიაო)

მოდIFIკაციები: A glass of wine a day keeps the doctor away (დღეში ერთი ჭიქა ღვინო ექიმს ჯობიაო) / A burger a day keeps the doctor away (დღეში ერთი ბურგერი ექიმს ჯობიაო) / An apple a day keeps the doctor away, but if the doctor is cute, forget the fruit (დღეში ერთი ვაშლი ექიმს ჯობიაო, მაგრამ თუ ექიმი მომხიბლავის, ხილი დაივიწყე).

2. History repeats itself (ისტორია მეორდება)

მოდIFIკაციები: History repeats itself. Historians repeat each other (ისტორია მეორდება. ისტორიკოსები ერთმანეთისას იმეორებენ) / If history repeats itself, I am so getting a dinosaur

(თუ ისტორია მეორდება, მე დინოზავრს მივიღებ) / History never repeats itself. Man always does (ისტორია არასდროს მეორდება, ადამიანები კი - ყოველთვის) / Each time history repeats itself, the price goes up (ყოველ ჯერზე, როდესაც ისტორია მეორდება, ფასები იზრდება).

3. The pen is mightier than sword (კალამი უფრო ძლიერია, ვიდრე ხმალი)

მოდIFIკაციები: The pen is mightier than the sword, and considerably easier to write with (კალამი ხმალზე ძლიერია და საგრძნობლად ადვილია მისით წერა) / The pen is mightier than the sword, but I prefer my laptop (კალამი ხმალზე ძლიერია, მაგრამ მე ჩემი ლეპტოპი მირჩევნია) / The pen is mightier than the sword if the sword is very short, and the pen is very sharp (კალამი ხმალზე ძლიერია მაშინ, როდესაც ხმალი ძალიან მოკლეა, კალამი კი ძალიან ბასრი).

4. Honesty is the best policy (პატიოსნება - საუკეთესო პოლიტიკაა)

მოდIFIკაციები: Honesty is the best policy – unless, of course, you are dealing with your wife (პატიოსნება საუკეთესო პოლიტიკაა, რა თქმა უნდა, მანამ სანამ საქმე ცოლთან გამკლავებას არ ეხება) / Honesty is the best policy. Unless you want people to like you (პატიოსნება საუკეთესო პოლიტიკაა. თუ არ გსურს, რომ ხალხს მოსწონდე) / Honesty is the best policy, when there's money in it (პატიოსნება საუკეთესო პოლიტიკაა, როდესაც მასში ფულია).

5. Better to have loved and lost than never to have loved at all. (უმჯობესია გიყვარდეს და დაკარგო, ვიდრე არასდროს შეგიყვარდეს)

მოდIFIკაციები: It is better to have loved and lost than to live with a psycho for the rest of your life (უმჯობესია გიყვარდეს და დაკარგო, ვიდრე იცხოვრო ფსიქოპატთან ერთად ცხოვრების ბოლომდე) / Remember: it is better to have loved money and lost, than never to have loved money at all (გახსოვდეს: უმჯობესია ფული გიყვარდეს და დაკარგო, ვიდრე არასდროს გქონდეს იგი).

6. Silence is golden (სიჩუმე ოქროა)

მოდIFIკაციები: Silence is golden, unless you have a cat. Then silence is suspicious... very suspicious (სიჩუმე ოქროა, მანამ სანამ კატა არ გყავს. შემდეგ კი სიჩუმე საეჭვოა... ძალიან

საეჭვო) / Silence is golden. Duct tape is silver. (სიჩუმე ოქროა, წებოვანი ლენტო კი - ვერცხლი).

7. Hell hath no fury like a woman scorned (განრისხებული ქალი ჯოჯობეთზე უარესია).

მოდფიკაციები: Hell hath no fury like a woman denied her wine (ჯოჯობეთშიც არ არსებობს იმაზე დიდი მრისხანება, ვიდრე ქალი, რომელმაც უარი თქვა ღვინოზე) / Hell hath no fury like a woman who stepped on the Legos you promised you'd pick up (ჯოჯობეთშიც არ არსებობს იმაზე დიდი მრისხანება, ვიდრე ქალის მრისხანება, რომელმაც ფეხი დააბიჯა ლეგოს, რომლის აღებასაც მანამდე დაჰპირდი).

8. Don't let the cat out of the bag (არ ამოუშვა კატა ჩანთიდან)

მოდფიკაცია: Please, don't let the cat out, no matter what it tells you. (გთხოვთ, არ ამოუშვათ კატა ჩანთიდან, რაც არ უნდა გითხრას მან).

9. The grass is always greener on the other side of the fence (ღობის ერთ მხარეს ბალახი ყოველთვის უფრო მწვანეა)

მოდფიკაციები: If the grass is greener on the other side, there's probably more manure there (თუ ბალახი ერთ მხარეს უფრო მწვანეა, იქ ალბათ მეტი სასუქია) / When the grass looks greener on the other side of the fence, it may be that they take better care of it there (თუ ბალახი ერთ მხარეს უფრო მწვანეა, ალბათ იქ უკეთ უვლიან მას) / The grass is greener where you water it (ბალახი იქ უფრო მწვანეა, სადაც ირწყვება).

10. Don't count your chickens before they are hatched (ნუ დათვლი წიწილებს, სანამ არ გამოიჩეკებიანო)

მოდფიკაციები: People who count their chickens before they are hatched act very wisely because chickens run about so absurdly that it's impossible to count them accurately (ადამიანები, რომლებიც წიწილებს გამოჩეკამდე თვლიან, უფრო ბრძნულად იქცევიან, რადგან წიწილები ისე ქაოსურად დარბიან, რომ თითქმის შეუძლებელია მათი ზუსტად დათვლა) / What is the second half of the proverb «Don't count your chickens...»? – ... Eat them (რა არის ანდაზის - „ნუ დათვლი წიწილებს...“ - დასასრული? - ... შეჭამე ისინი).

11. Rome wasn't built in a day (რომი ერთ დღეში არ აშენებულა)

მოდფიკაციები: Rome wasn't built in a day. Was it built at night (რომი ერთ დღეში არ აშენებულა, იგი ღამით აშენდა) / Rome wasn't built in a day. And neither was your body (არც რომი და არც შენი სხეული არ აშენებულა ერთ დღეში) / Rome wasn't built in a day, except in Lego Land (რომი ერთ დღეში არ აშენებულა, თუ არ ჩავთვლით ლეგოს) / Rome wasn't built in a day, and the internet is our new Rome (რომი ერთ დღეში არ აშენებულა, ინტერნეტი ჩვენი ახალი რომია).

12. He who laughs last laughs longest (იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის)

მოდფიკაციები: He who laughs last just didn't get the joke (ის, ვინც ბოლოს იცინის, ხუმრობას ვერ მიხვდა) / He who laughs last thinks slowest (ვინც ბოლოს იცინის, ნელა ფიქრობს) / He who laughs last is laughing at you (ვინც ბოლოს იცინის, შენ დაგცინის) / He who laughs last didn't get it in the first place (ვინც ბოლოს იცინის, ხუმრობა თავიდან ვერ გაიგო) / He who laughs first has the dirtiest mind. He who laughs last obviously didn't get the joke (ვინც პირველი იცინის, მას ყველაზე ბინძური გონება აქვს. ვინც ბოლოს იცინის, ცხადია, ხუმრობა ვერ გაიგო).

13. Revenge is a dish best-served cold (შურისძიება არის კერძი, რომელიც ცივად უნდა მიირთვა)

მოდფიკაციები: Revenge is a dish best-served cold. Revenge is also sweet. Basically, revenge is an ice-cream (შურისძიება არის კერძი, რომელიც ცივად უნდა მიირთვა. შურისძიება ტკბილიცაა. ძირითადად შურისძიება ნაყინია).

14. There is no place like home (მშობლიურ სახლზე უკეთესი ადგილი არ არსებობს)

მოდფიკაცია: There's no place like work (სამსახურზე უკეთესი ადგილი არ არსებობს).

15. Home is where the heart is (სახლი იქაა, სადაც გულია)

მოდფიკაციები: Home is where you park it (სახლი იქაა, სადაც აპარკინებ) / Home is where the wine is (სახლი იქაა, სადაც ღვინოა) / Home is where the cat is (სახლი იქაა, სადაც შენი კატაა) / Home is where Mum is (სახლი იქაა, სადაც დედაშენია) / Home is where wi-fi connects automatically (სახლი იქაა, სადაც wi-fi ავტომატურად ირთვება).

16. Great minds think alike (დიდი გონებით დაჯილდოებული ადამიანები ერთნაირად ფიქრობენ)

მოდუფიკაციები: Great minds think alike, but fools seldom differ (დიდი გონების მქონე ადამიანები ერთნაირად ფიქრობენ, მაგრამ სულელები იშვიათად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან) / Great minds think alike... Unfortunately, so do stupid ones (დიდი გონების მქონე ადამიანები ერთნაირად ფიქრობენ ... სამწუხაროდ, სულელებიც ასევე იქცევიან) / Great minds think alike – especially when they are female (დიდი გონების მქონე ადამიანები ერთნაირად ფიქრობენ, განსაკუთრებით, თუ ისინი ქალები არიან) / Great minds drink alike (დიდი გონების მქონე ადამიანები ერთნაირად სვამენ).

17. If life deals you lemons, make lemonade (თუ ცხოვრება გთავაზობს ლიმონს, გააკეთე მისგან ლიმონათი)

მოდუფიკაციები: When life gives you lemons, sell them to buy wine (თუ ცხოვრება გთავაზობს ლიმონს, გაყიდე ისინი ღვინის საყიდლად) / When life gives you lemons, grab tequila and salt (როდესაც ცხოვრება ლიმონს გთავაზობს, დაახვედრე ტეკილა და მარილი).

18. That which does not kill us makes us stronger (ყველაფერი, რაც არ გკლავს, გაძლიერებს)

მოდუფიკაციები: That which doesn't kill you, usually really, really hurts (ყველაფერი, რაც არ გკლავს, რეალურად, ნამდვილად, ნამდვილად გტკივა) / That which does not kill me probably won't taste very good (ყველაფერს, რაც არ მკლავს, ალბათ არ აქვს ძალიან კარგი გემო) / That which doesn't kill us dies horribly (რაც არ გკლავს, თავად საშინლად კვდება).

19. If at first, you don't succeed try, try, and try again (თუ თავდაპირველად არ გამოგდის, კიდევ და კიდევ სცადე)

მოდუფიკაციები: If at first, you don't succeed, try, try again or get somebody else to do it (თუ პირველ ცდაზე არ გამოგდის, კიდევ სცადე ან იპოვე ის ვინც ამის გამკეთებელია) / If at first, you don't succeed, try, try again. If you fail even after these attempts, perhaps you're just stupid (თუ პირველ ცდაზე არ გამოგდის, კიდევ და კიდევ სცადე. ამის შემდეგ თუ კიდევ არ გამოგივა, გამოდის რომ სულელი ხარ) / If at first, you don't succeed... skydiving is not for you! (თუ პირველ ცდაზე არ გამოგდის...პარაშუტით ხტომა შენი საქმე არ არის).

20. Don't bite the hand that feeds you (ნუ უკბენ ხელს, რომელიც გაჭმევს) (ნუ მოჭრი იმ ტოტს რომელზეც ზიხარ)

მოდისკაცია: Don't bite the hand that feeds you. Mostly because it's your own hand and people will wonder about the teeth marks (ნუ უკბენ ხელს, რომელიც გაჭმევს. უმეტესწილად, ეს შენივე ხელია და ხალხი დაინტერესდება ნაკბილარით).

21. Those who live in glass houses shouldn't throw stones (ვინც შუმის სახლში ცხოვრობს, ქვები არ უნდა ისროლოს)

მოდისკაციები: People who live in stone houses, shouldn't throw glasses (მათ, ვინც ქვის სახლებში ცხოვრობს, არ უნდა ისროლონ ჭიქები) / People who live in glass houses, shouldn't throw stones. Unless, of course, they enjoy many broken windows (ვინც შუმის სახლში ცხოვრობს, ქვები არ უნდა ისროლოს. რა თქმა უნდა, თუ მას ბევრი გატეხილი ფანჯარა სიამოვნებას არ ანიჭებს).

22. The road to hell is paved with good intentions (ჯოჯობეთისაკენ მიმავალი გზა კეთილი სურვილებით არის მოკირწყლული)

მოდისკაციები: The road to hell is paved with works-in-progress (ჯოჯობეთისაკენ მიმავალი გზა მიმდინარე სამუშაოებითაა მოკირწყლული) / The road to hell is paved with zombies (ჯოჯობეთისაკენ მიმავალი გზა ზომბებითაა მოკირწყლული) / The road to hell is paved with democrats (ჯოჯობეთისაკენ მიმავალი გზა დემოკრატებითაა მოკირწყლული).

ანდაზების ფუნქციონირების მექანიზმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ანდაზები იცვლებიან რეალიათა ცვლილების ზეგავლენით. ანტი-ანდაზების შექმნა განპირობებულია ყოველდღიურობის მონოტონურობისაგან თავის დაღწევის სურვილით.

შეიძლება ითქვას, რომ ანტი-ანდაზები ახალი თაობის ანდაზებია, რომლებიც იქმნება თანამედროვე სამყაროს დინამიურობის წყალობით. უნივერსალიზაციის პროცესმა ახალი ჟღერადობა შესძინა „ხალხურ სიბრძნეს“, რომელსაც გააჩნია ახლებურად გაჟღერების უდიდესი პოტენციალი.

დასკვნა

ნაშრომში გაცრეხული მოლოდინის ფენომენის კვლევა ორიენტირებულია იმ კონცეპტუალურ კონსტრუქტთა ძიებაზე, რომელთაც გააჩნიათ ცოდნის, ემოციისა და განცდის ერთიანი რეპრეზენტაციული სივრცის ფორმით წარმოდგენის უნარი.

აღნიშნული მიდგომის განხორციელების გზად ნაშრომში მიჩნეულია გაცრეხული მოლოდინის ლინგვოკოგნიტური მოდელირება, რომელმაც მოგვცა აზრობრივი მოლოდინისა და სიუჟეტური მოლოდინის ერთ მთლიანობად განხილვის შესაძლებლობა. ეს შესაძლებლობა გულისხმობს მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის პროცესების კვლევისადმი კოგნიტური მიდგომის გამოყენებას.

ნაშრომში აღნიშნული მიდგომის ვალიდურობა დადგენილია მეტყველების პროდუცირებისა და მეტყველების აღქმის ინტეგრაციული მოდელის საზღვრებში. აღნიშნულ მოდელს გააჩნია ყველა რელევანტური მიდგომის ერთ თეორიაში გაერთიანების პოტენცია. სწორედ ამიტომ დავინახეთ კოგნიტურ მიდგომაში ჩვენი კვლევისათვის რელევანტური პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობა.

ნაშრომში გაცრეხული მოლოდინის ფენომენის კვლევა განხორციელებულია კოგნიტური ლინგვისტიკისა და ფსიქოლინგვისტიკის სააზროვნო სივრცეთა კვეთაზე, შესაბამისად, გაცრეხული მოლოდინი განხილულია ისეთ ფსიქოლინგვისტურ ფენომენებთან კავშირში, როგორებიცაა ტექსტის არაერთმნიშვნელოვნება, ექსპექტაცია, პროგნოზირება და ალბათობა.

კოგნიტური მექანიზმების ფუნქციონირების მახასიათებლები გაცრეხულ მოლოდინში წარმოდგენილია როგორც „მოლოდინის მენტალურ სივრცეთა ინტეგრაციის“ მოდელები, რომლებიც ხსნიან მეტყველების აღქმის პროცესის სტრატეგიულ ბუნებას სავარაუდო პროგნოზირების პრინციპის გათვალისწინებით.

მოლოდინის მენტალურ სივრცეთა ხარისხი და სტრუქტურა განსაზღვრულია პრაიმინგის ეფექტის გავლენით და ფორმალურ მამოტივირებელ ელემენტებზე დაყრდნობით. გაცრეხული მოლოდინის შექმნაში დომინირებს პრაიმინგის სემანტიკური ტიპი, რომელიც გულისხმობს ასოციაციური აზროვნების მონაწილეობას ტექსტის კონსტრუირების პროცესში.

მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი კანონზომიერებები:

მთელი თავისი ორიგინალურობისა და ინდივიდუალურობის მიუხედავად, ყველაზე არატიპური მოლოდინებიც კი არ გადიან ინდივიდის პერცეპტულ-კოგნიტიურ-აფექტური გამოცდილების ჩარჩოებს მიღმა;

არატიპური და არაპროგნოზირებადი კონტრტექსტები მხოლოდ იმდენადაა არატიპური და არაპროგნოზირებადი, რამდენადაც ამის საშუალებას აძლევს ცდისპირის მისი ცოდნა და გამოცდილება;

გაცრეუბულ მოლოდინს ქმნის აღსაქმელი ინფორმაციის ელემენტთა მენტალური რეპრეზენტაციების არაიდენტურობა;

ელემენტთა რეპრეზენტაციების არაიდენტურობა წარმოადგენს კომუნიკანტთა ექსპექტაციების შეუთავსებლობის მიზეზს;

მოლოდინის ყველა სახეობას აერთიანებს ინტეგრალური თვისება - ადამიანის სტერეოტიპიზირებული დამოკიდებულება მოსალოდნელი ობიექტის მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოლოდინის ყველა სახეობის საფუძველში დევს ენობრივ ერთეულთა შეთანხმების თავისებურებათა შესახებ ცოდნის არსებობა, ენის მატარებელთა წარმოდგენა „სიტუაციის ნორმალური განვითარების” თაობაზე ან ცოდნა ეფექტური ურთიერთობის განხორციელების პრინციპების შესახებ;

გაცრეუბული მოლოდინის სიტუაციაში შემომავალი ინფორმაცია შეესაბამება ინდივიდუალური ცოდნის სქემებს, რომლებიც ყალიბდება ინდივიდის წარსული გამოცდილების საფუძველზე. გაცრეუბული მოლოდინის სიტუაციაში შემომავალი ინფორმაცია კატეგორიზდება კონკრეტული ცდისპირის ასოციაციური კავშირების შესაბამისად;

ვერბალური შეტყობინების გააზრებისა და ალტერნატიული ვერბალური შეტყობინების კონსტრუირების პროცესში სუბიექტი „გადაათამაშებს”, პროგნოზირებს და აფასებს ტექსტით რეპრეზენტირებული სიტუაციის ამა თუ იმ დასასრულის ალბათობას. ალბათური პროგნოზირება ეფუძნება მოლოდინებს, რომლებიც ყალიბდება აღმქმელი სუბიექტის ცოდნისა და თვალსაზრისების, გარეგანი (ტექსტუალური) კონტექსტისა და შემომავალი ინფორმაციის ურთიერთქმედებაში;

მოლოდინის მენტალურ სივრცეთა თვისებრიობა და შევსების ხარისხი დეტერმინირებულია პრაიმინგის ეფექტის, სხვა სიტყვებით, „წინამორბედობის“ გავლენის ხარისხით. ნაშრომში ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის მონაცემთა ანალიზმა ცხადყო სემანტიკური პრაიმინგის გავლენის დომინანცია, რაც გულისხმობს ასოციაციური აზროვნების ჩართულობას, ასოციაციურ მიმართებათა დადგენას ტექსტის პროექციის კონსტრუირების პროცესში;

გარდა გარეგანი კონტექსტისა, ტექსტით რეპრეზენტირებული სიტუაციის აღქმის პროცესში ჩართულია ინტერპრეტაციის შინაგანი კონტექსტი, კერძოდ კი, ცდისპირის მრავალგანზომილებიანი კოგნიტური, აფექტური და რეცეპტიული გამოცდილების შედეგი;

მიღებული კონტრტექსტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ტექსტით რეპრეზენტირებული სიტუაციის აღქმის პროცესში გამოიყოფა მენტალური ქმედების შემდეგი კომპონენტები: ყურადღების კონცენტრირება ტექსტის ნიშნებზე (სიტყვებზე), რომლებიც ამ შემთხვევაში წარმოადგენენ მოცემული ტექსტის სემანტიკურ კვანძებს. აღნიშნული კომპონენტი გულისხმობს მენტალურ რეპრეზენტაციათა დონეზე გადასვლას;

მოლოდინი, როგორც ცოდნის ინდივიდუალურ სტრუქტურათა „საცავი“, სხვაობს სუბიექტიდან სუბიექტში. ეს ფაქტი კი ხსნის კომუნიკაციური მარცხის (წარუმატებლობის) მიზეზებს. სწორედ კომუნიკაციური მარცხი იწვევს გაცრეუბულ მოლოდინს როგორც ინტერპერსონალურ, ისე ინტერკულტურულ კომუნიკაციაში;

ექსპერიმენტული კვლევის მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ტექსტისტიმულის აღქმისა და შევსებისას ცდისპირები ოპერირებენ კონცეპტებით, რომლებიც ექსპერიმენტის განმავლობაში ქმნიან გარკვეულ კლასებს. ამ ტიპის სააზროვნო პროცესის ელემენტთა ურთიერთქმედება ეთანადება მენტალურ სივრცეთა თეორიასა და კონცეპტუალური ინტეგრაციის თეორიას.

კონცეპტუალური ინტეგრაციის ძირითადი მექანიზმები - კომპოზიცია (composition), დასრულება (completion) და გადამუშავება (elaboration) - ზეგავლენას ახდენენ გადამუშავებული ინფორმაციის ხასიათზე, კერძოდ:

კომპოზიციის მექანიზმი ასრულებს ატრიბუტულ ფუნქციას - ერთი მენტალური სივრცის ინფორმაციას უსაბამებს სხვა მენტალური სივრცის ელემენტებს;

დასრულების მექანიზმი აქტივირდება მაშინ, როდესაც შემომავალი ინფორმაციის პროექცია შეესაბამება გრძელვადიან მეხსიერებაში აკუმულირებულ მონაცემებს;

გადამუშავების პროცესში ხორციელდება კონცეპტუალური ინტეგრაციის შედეგად მიღებული სიტუაციის ან ფენომენის მენტალური კონსტრუირება - ახალი ინფორმაციის ელემენტებთან „შეჯახებისას“, მეტყველების აღმქმელ სუბიექტს შეუძლია აღწერილი მოვლენის მოდელირება მისთვის უკვე ნაცნობი ელემენტების მეშვეობით.

განხორციელებულმა კვლევამ მოგვცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალება: რა არის გაცრეუბული მოლოდინი - ეფექტი თუ სიტუაცია? - ჩვენი პასუხი ამ შეკითხვაზე შემდეგნაირად ჟღერს: გაცრეუბული მოლოდინი არის თამაში, რომლის ძირითად პრინციპს წარმოადგენს პროგნოზირებად (მოსალოდნელ) და არაპროგნოზირებად (მოულოდნელ) ვერსიათა შეუსაბამობით, კონვენციონალიზმის ხელყოფით წარმოქმნილი სიტუაციის ეფექტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

აფრიდონიძე, შ. (2011). ქართული ენის პარონიმული ლექსიკონი

არისტოტელე, (1994). არისტოტელე, „დიდი ეთიკა“, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი.

არისტოტელე, (1981). არისტოტელე, „რიტორიკა“, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი.

გამყრელიძე, კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. (2003). „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი.

გომბეთელიანი, ი. (2014). „Lingua-Cultural Peculiarities of Humor“, „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში 2“, ბათუმი.

ერთელიშვილი, ფ. (1957). *ანდაზის ცნების საკითხისათვის*. „მნათობი“, №3

თუმანიშვილი, ხ. (2005). „ანდაზის ზოგადი თეორიის საკითხები სირიულ-დიალექტოვანი არაბული მასალის ანალიზის შუქზე“, დისერტაცია ფმკ სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ჩიქოვანი, მ. (1986). „ხალხური შემოქმედების ისტორიისა და თეორიის საკითხები“, მეცნიერება, თბილისი.

Антонова, О. Н. (2010). *Антипословицы как средство функциональной модификации медиадискурса* (на материале прессы Великобритании и США) // Вестн. Самар. гос. ун-та. No 3 (77).

Арнольд, И. В. (1981). *Стилистика английского языка*.

Бахтин, М.М. (1986). *Эстетика словесного творчества* [Текст] / М.М. Бахтин. - М.: «Искусство»

Бревдо, И.Ф. (1999). *Механизмы разрешения неоднозначности в шутке* [Текст]: автореф. дис. ... канд. филол. наук : 10.02.19 / Бревдо И.Ф. - Тверь : Изд-во Тверского гос. ун-та

Виноградов В.В., (1946), *Основные понятия русской фразеологии как лингвистической дисциплины*.

Воскресенский, И.В. (2002). *Эффект обманутых ожиданий в понимании текста* [Текст] / И.В. Воскресенский // Психолингвистические исследования слова и текста. - Тверь: Твер. гос.

Гумбольдт, В. (1984). фон. *Избранные труды по языкознанию* [Текст] / В. Фон Гумбольдт. - М.: Прогресс.

Динсмор, Дж. (1996). *Ментальные пространства с функциональной точки зрения* [Текст] / Дж. Динсмор // Язык и интеллект. - М.: Прогресс

Донгак, С.Б. (2001). *Языковая игра и обманутое ожидание*. Критика и семиотика Вып 3/4. М.: Прогресс

Фоконье, Ж. (1994). (Fauconnier, G. Mental Spaces: Aspects of Meaning Construction in Natural Language [Text] / G. Fauconnier. - Cambridge etc.: Cambridge Univ. Press

Залевская, А.А. (2005). Слово. Текст [Текст]: *Избранные труды* / А.А. Залевская. - М.: Гнозис – 307

Киселева, Р.А. (1970). *Вопросы методики стилистических исследований в работах* М. Риффатерра // Вопросы теории англ. и рус. языков / Уч. зап. Ленинград. пед. ин-та им. А.И. Герцена. Т.471. Вологда

Кечхуашвили, Г.Н. (1970). Об одной объяснительной модели восприятия речи [Текст] / Т.Н. Кечхуашвили // Планы и модели будущего в речи. - Тбилиси: Мецниереба.

Кокаре, Э. Р. (1970). *“О своеобразии и сходстве латышских и эстонских пословиц”*,
Взаимосвязи балтов и прибалтийских финнов. Рига

Крикманн, А. (1984). *“Опыт объяснения некоторых семантических механизмов пословицы : Паремнологические исследования”*

Кубрякова, Е.С, Демьянков, В.З., Панкрац, Ю.Г., Лузина, Л.Г. (1997). *Краткий словарь когнитивных терминов* [Текст] / М.: Филологический факультет МГУ им. Ломоносова

Левин, Ю.М. (1984). *“Провербиальное пространство // Паремнологические исследования”*

Матвеева, Т.В. (1991). *Функциональные стили в аспекте текстовых категорий*: Дис. ... д-ра филол. наук. Свердловск

Павилёнис, Р.И. (1986). *Понимание речи и философия языка* [Текст] / Р.И. Павилёнис // Новое в зарубежной лингвистике. Вып. XVII. Теория речевых актов. - М., С. 380-388.

- Пермяков, Г. Л. (1970). “*От поговорки до сказки (заметки об общей теории клише)*”
- Риффатер, М. (1980). *Критерии Стилистического Анализа*. /М Риффатер// Новое в зарубежной лингвистике. Вып. 9. Лингвостилистика. М.: Прогресс
- Семен, Г.Я. (1987). *Парадокс как стилистический прием* // Филол. науки. № 5
- Соссюр де, Ф. (1977). Труды по языкознанию [Текст] / Ф. де Соссюр / Пер. с франц. — М.: Прогресс.
- Сорокин, Ю. А, Марковина, И. Ю. (1988). Этнопсихолингвистика
- Ерофеев, Н. (1962). *Туманный Альбион*.
- Фоллесдаль, Д. (1986). *Новое в зарубежной лингвистике*. Вып. 18.: Логический анализ естественного языка. -М.: Прогресс
- Хоанг, Ф. Э. “Семантика высказывания // Новое в зарубежной лингвистике”, Прагматика, вып.
- Якобсон, Р.О. (1985). *Избранные произведения*.
- Якобсон, Р.О. (1987) *Вопросы поэтики. Постскрипtum к одноименной книге* // Якобсон Р.О. Работы по поэтике: Переводы.
- Attardo, S. (1994). *Linguistic Theories of Humor*. Berlin–New York: Mouton de Gruyter.
- Baron, N. S. (2010). “*Discourse Structures in Instant Messaging: The Case of Utterance Breaks*”, Language@ Internet, Volume 7, No 4.
- Baron, N. (2000). “*Alphabet to email. How written English evolved and where it.s heading,*” Routledge, London/New York.
- Bakhtin, M. (1981). *The Dialogic Imagination: Four Essays*. London: the University of Texas Press
- Barthes, R. (1981) *Theory of the Text*, in R. Young (ed.). *Untying the Text*, 31-47, London: Routledge
- Bayan, R. (2006). “*Words That Sell*”, 2nd edition, McGraw-Hill Professional, New York.
- Bell, A. (1991). “*The Language of News Media*”, Longman, London.
- Berger, J. (2013). “*Contagious: Why Things Catch on*”, Simon & Schuter, New York.

- Bernstein, D. (1974). *“Creative Advertising”*, Longman, London.
- Bhatia, V. K. (2010). *Interdiscursivity in Professional Communication*. Discourse & Communication Vol. 21 No. 1
- Black, M. (1962). *“Models and Metaphors: Studies in Language and Philosophy”*, Cornell University Press, London.
- Blair, W. & Hill, H. (1978) *“American Humor”*, Oxford University Press, New York.
- Boas, F. (1940). *“Race, Language, Culture”*, Macmillan, New York.
- Boyle, R. (2006). *“Sports Journalism: Context and Issues”* London, Sage.
- Brincley, R.C. (1928). The Common Concept Of Public Opinion in the Social Sciences//Social Forces, Vol. p.393.
- Brône, G., Feyaerts K., (2016). *Cognitive Linguistics and Humor Research*
- Brown, G. & Yule. G, (1983). *“Discourse Analysis”*, Cambridge University Press, Cambridge.
- Buchanan, W. & Cartril, H. (1953). *How Nations See Each Other*, Urbana.
- Carter, R. (2004). *“Language and creativity: The Art of Common Talk”*, Routledge, London.
- Chris, R. (1997). *“Understanding Customers”*, Butterworth Heinemann, Oxford.
- Chiaro, D. (1992). *The language of jokes: Analysing verbal play*
- Collins dictionary, (2001). *Collins Cobuild English Dictionary for Advanced Learners*. Third edition, Harper Collins Publishers, London.
- Cook, G. (1992). *“The Discourse of Advertising”*, Routledge, London.
- Cook, G. (2011). *“Language Play, Language Learning”*, Oxford University Press, Oxford.
- Coulson, S. & Fauconnier, G. (1999). *Fake Guns and Stone Lions: Conceptual and Privative Adjectives // Cognition and Function in Language / B. Fox, D. Jurafsky & L. Michaelis (Eds.)*. - Palo Alto, CA: CSLI
- Corner, J. (1983). *”Textuality, communication and media power: In Language,*
- Culler, J. (1988). *“On Puns: The Foundation of Letters”*, Blackwell, Oxford.

- Cutler, A. (2005). *Twenty-first-century psycholinguistics: four cornerstones*. Hillsdale, NJ: Lawrence Erlbaum Associates
- Meyer, D., & Schvaneveldt, R. (1971). *Facilitation in recognizing pairs of words: Evidence of a dependence between retrieval operations*. *Journal of Experimental Psychology* 90(2):227-32
- Davis, B. H., & Brewer, J. (1997). *“Electronic discourse: Linguistic individuals in virtual space”*, Suny Press, New York.
- Delabastita, D. (1994). *“Focus on the Pun: Wordplay as a Special Problem in Translation Studies”*, *International Journal of Translation Studies*, Volume 6, Issue 2. 223-243
- Delabastita, D. (1996). *“Wordplay and translation: Introduction. In The Translator. Studies in Intercultural Communication,”* Volume 2, Number 2; St. Jerome Publishing, Manchester.
- Delabastita, D. (1994). *“Focus on the Pun: Wordplay as a Special Problem in Translation Studies”*, *International Journal of Translation Studies*, Volume 6, Issue 2. 223-243
- Deleuze, G. (2008). *“Logic of sense”*, Oxford University Press, USA.
- Dundes, A. (1962). *Trends in Content Analysis // Midwest Folklore*
- Fauconnier, G. (1994). *Mental Spaces: Aspects of Meaning Construction in Natural Language / G. Fauconnier. - Cambridge etc.: Cambridge Univ. Press., p. 190.*
- Fauconnier, G. & Turner, M. (1998). *Conceptual Integration Networks / G. Fauconnier, M. Turner // Cognitive Science. 22 (2), VC: San Diego, p.*
- Feigenberg, I.M. (1969). *Probabilistic Prognosis and Its Significance in Normal and Pathological Subjects [Text] / I.M. Feigenberg // A Handbook of Contemporary Soviet Psychology / M. Cole and I. Maltzman (Eds.). - New York-London: Basic Books*
- Firth, J.R. (1968). *Linguistic Analysis as a Study of Meaning*. In *Selected Papers of J.R. Firth*. Edited by F.R. Palmer. Longmans Linguistics Library.
- Freud, S. (1949). *An Outline of Psychoanalysis*. London: The Hogarth Press.
- Grimes-Maguire, R. & Keane, M.T. (2004). *Evidence of Muddy Knowledge in Reaching for the Stars: Creating Novel Endings to Event Sequences*. *Proceedings of the twenty-Sixth Annual Conference of the Cognitive Science Society*. Hillsdale, NJ: Erlbaum

- Halliday, M. K. & Hasan, R. (2012) *Language, Context and Text: Aspects of Language in a Social-semiotic Perspective*. Beijing: World Publishing Corporation
- Humboldt, W. von. (1909). *Prologue to his version of Agamemnon's Aesquillus*. In *Schriften*, vol.129-37. Berlin: Berh's Verlag.
- Jakobson, R. (1981). "Subliminal Verbal Patterning in Poetry", *Selected Writings, III*, Mouton Publishers, The Hague-Paris-New-York
- Jakobson, R. (1966). "Die Folklore als eine besondere Form des Schaffens", *Selected Writings, t. IV*, Slavic Epic Studies, The Hague-Paris.
- Johnson, R. (1976). *Two Realms and a Joke: Bisociation Theories of Joking*. *Semiotica*, 16 (3), pp. 195–221.
- Katz D. & Braly K. (1933). *Racial Stereotypes in One Hundred College Students* // *Journal of Abnormal and Social Psychology*, Vol.28.
- Koestler, A. (1964). *The Act of Creation*. London: Hutchinson & Co
- Krikman, A. (1999). "Some Additional Aspects of Semantic Indefiniteness of Proverb", *Proverbio. Com. №2*
- Kristeva, J. (1969). *Semiotics: Researches for Semantic Analysis*. Paris: Seuil Press
- Latta, R. L. (1999). *The Basic Humor Process: A Cognitive-Shift Theory and the Case against Incongruity*. Berlin & New York: Mouton de Gruyter [1998].
- Leigh's. (1994). *categorization of wordplay* (figures of speech)
- Levelt, W. (1989). *Speaking: From intention to articulation*. Cambridge, MA: MIT Press, 1989
- Levinson, S. C. (1994). "Pragmatics", CUP.
- Leppihalme, R. (1997). *Culture Bumps: An Empirical Approach to the Translation of Allusions*. (Topics in Translation; Vol. 10). Multilingual matters.
- Llado, R. (2002). "La Paraula Reversa: Estudi la traducció dels jocs de Mots Bellaterra", *Servei de Publicacions de la Universitat Autònoma de Barcelona*.
- Lyons, J. (1969). *Introduction to Theoretical Linguistics*, *Philosophical Quarterly* 19 (77):371

- Malinowsky, B. (1923). “*The problem of meaning in primitive language*”, in supplement to C. K. Ogden and I. A. Richards, *The Meaning of Meaning*. London: Kegan Paul
- Meyer, W. V., Reisenzein, R. & Schutzwohl, A. (1997). *Towards a Progress Analysis of Emotions: The Case of Surprise* [Text] / W.V. Meyer, R. Reisenzein, A. Schutzwohl // *Motivation and Emotion*, 21(3).
- Mieder, W. (2004). *Speak Louder Than Words: folk wisdoms in art, culture, folklore, history, literature and mass media*. New York: Peter Lang Publishing Inc.
- Mieder, W. (2002). *Twisted Wisdom: Modern Anti-Proverbs*: DeProverbio.
- Milner, G. (1968). “*The Psychology of Communication*”.
- Mulkay, M. (1988). *On Humour: Its Nature and Its Place in Modern Society*. Cambridge & Oxford & New York: Polity Press.
- Nash, W. (1985). *The Language of Humour.*, 1st Edition, London
- Norrick, N. R. (1989). *Intertextuality in Humor*. *International Journal of Humor Research* 2(2):117-139
- Partington, A. (2006). *The linguistics of laughter: A corpus-assisted study of laughter talk*. New York: Routledge.
- Paz, O. (1971). Claud Levi-Strauss: “*An Introduction*”.
- Posner, V.I. & Snyder C.R.R. (1975). *Attention and Cognitive Control* [Text] / V.I. Posner, C.R.R. Snyder // *Information processing and cognition: The Loyola Symposium* / R.L. Solso (Ed.). - Hillsdale, NJ: Erlbaum.
- Raskin, V. (1985). *Semantic Mechanisms of Humor*. Dordrecht & Boston & Lancaster: D. Reidel Publishing Company.
- Raskin, V. & Attardo, S. (1994). *Non-literalness and non-bona-fide in language*. *Pragmatics and Cognition*, 2 (1), pp. 31–69
- Riffater, M. (2002). *Stylistic Context*.
- Ritchie, G. (2004). *The Linguistic Analysis of Jokes*. London: Routledge.

- Saussure, F. (2012). *Course in General Linguistics*. Beijing: Foreign Language Teaching and Research Press
- Schank, R.C. & Abelson, R., (1977), *Scripts, Plans, Goals, and Understanding*. Hillsdale, NJ: Earlbaum Assoc
- Shacter, D.L., & Buckner, R.L. (1998). *Priming and the Brain* [Text]: Review / D.L. Shacter, R.L. Buckner // *Neuron*. V. 20.
- Shultz, T. R. (1976). *A cognitive-developmental analysis of humour*.
- Sternberg, R.J. (2005). *Cognitive psychology* [Text] / R.J. Sternberg. - Fort Worth etc.: Cengage Learning.
- Taylor, A. (1962). *“The Proverb”*, Hatboro, Pennsylvania.
- Taylor, J.R. (1995). *Linguistic Categorization: Prototypes in Linguistic Theory*. - 2nd ed / J.R. Taylor. - Oxford Clarendon Press, p. 327.
- Ungerer, F. & Schmid, H.J. (1996). *An introduction to cognitive linguistics* [Text] / F. Ungerer, H.-J. Schmid. - London; New York: Longman.
- Van Dijk, T.A. (1983). *Strategies of discourse comprehension* [Text] / T.A. Van Dijk, W. Kintsch. - New York: Academic Press.
- Qin, W. (1996). *“Racial Characteristics of Proverb”*, The 1996 Tokyo International Proverb Forum. [<http://www.sscnet.ucla.edu/comm/steen/cogweb/Abstracts/TokyoForum 96.html>]
- Xinbin. (2005). *Critical Linguistics: Theory and Application*. Shanghai: Shanghai Foreign Language Education Press